

ქსენია სიხარულიძე

ქართული მნებლები
და
სალსუზი უემოქმელები

წიგნის პირველი



ს ა ს ე ლ გ ა ე ი

190. თბილისი • 56

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

სიტყვიერ ხელოვნებას ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართველი ხალხის უძველეს კულტურაში. ქართული ლიტერატურის ძეგლები V საუკუნიდან არის ცნობილი. ბევრი ამ ძეგლთაგანი ღრმა იდეური და მალალმხატვრულია. განსაკუთრებით ხნოვანია ქართული ხალხური შემოქმედება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნით ადრე არის შექმნილი ბრწყინვალე ნიმუში საგმირო ეპოსისა თქმულება ამირანის შესახებ და მრავალი სხვა ეპიკური ნაწარმოები. სიტყვიერი ხელოვნების დამოუყიდებელ სფეროდ განვითარებული ლიტერატურა ყველა ერში საზრდოობდა ხალხური შემოქმედებით და თავის მხრივ ამდიდრებდა ამ უკანასკნელს. მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა და ხალხური შემოქმედება ორგანულად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული. ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების კავშირი და ურთიერთობა ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის ერთი მეტად აქტუალურა პრობლემაა. ეს არის პრობლემა ხალხის ერთიანი პოეტური ხელოვნების განვითარებისა. მარქსისტული მეცნიერება წმინდა ხალხურად არ მიიჩნევს ყველაფერს, რაც ზეპირსიტყვიერებას ჩვენამდე მოუტანია. ზეპირსიტყვიერებაში ბევრი რამ არ არის ხალხური — იმ გაგებით, თუ იგი არ ასახავს ხალხის ყოფას და არ გამოხატავს მის სულისკვეთებას. ზეპირსიტყვიერებამ ჩვენამდე მოიტანა ზოგი ისეთი რამ, რაც მშრომელი ხალხის მსოფლმხედველობისათვის უცხოა. აღსანიშნავია, რომ მოწინავე მწერლობა ზეპირსიტყვიერებიდან ძირითადად იღებდა არა ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ ნაწარმოებს, არამედ წმინდა ხალხურს, პროგრესული იდეების მატარებელ ნაწარმოებებს, მათ მოტივებსა და სახეებს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ქართული ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობა.

ეს წიგნი შედგება საკმაოდ ხანგრძლივი დაკვირვებისა ქართველი მწერლების შემოქმედებასა და ხალხურ სიტყვიერებაზე. ნაშრომის ცალკე თავები სხვადასხვა დროს არის დაწერილი. ამ თავებში წარმოდგენილი მასალები მომავალში გამოყენებული იქნება ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთობის ისტორიის შესაქმნელად. წიგნში განხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის რამდენიმე მოჩენილი მწერლისა და საბჭოთა პოეზიის ერთი დიდი წარმომადგენლის — გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან. ამ შემთხვევაშიც სურათი მთლიანი არ არის. ასე, მაგალითად, დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი. დაკვირვების ობიექტად მასალების შერჩევას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გაუქმება, ქვეყნის ეკონომიური ზრდა, კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება ქმნიდა პირობებს ამ დიდი მოძრაობისთვის.

ეს პროცესი დააჩქარა საქართველოს რუსეთთან კავშირმა. ნაციონალურ ტრადიციებთან ერთად მოწინავე ქართველი ინტელიგენტების მიერ რუსეთიდან პროგრესულ-დემოკრატიული იდეების შემოტანა ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესის ზრდის ერთი მთავარი ფაქტორი იყო. ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს გაცნობილი, ერის სამსახურისათვის მოწოდებული მოწინავე ქართველი ახალი თაობა გატაცებით დაეწაფა ხალხური შემოქმედების დაუშრობელ წყაროს. მათ ჩაუყარეს საფუძველი ქართული ფოლკლორის მეცნიერულ კვლევას. ამით აიხსნება, რომ დასაბამი ქართული და დასავლეთ ევროპის ფოლკლორისტიკისა არსებითად განსხვავდება. დასავლეთ ევროპაში რომანტიკოსები ხალხურ პოეზიაში მხოლოდ წარ-

სულის გადანაშთს ეძებდნენ; ქართველი რეალისტები კი ხალხურ შემოქმედებას უყურებდნენ, როგორც ცოცხალ სინამდვილეს. მასში ხედავდნენ წარსულსაც და თანამედროვეობასაც. ამის ნათელი ილუსტრაციაა „ივერიის“ მეთაური, სადაც აღნიშნულია: „ივერიაში“ იბეჭდება სხვადასხვა ნაწარმოები სახალხო სიტყვიერებისა, სხვათაშორის ზღაპრებიცა, და ამ სახით თანდათან გროვდება მასალა ერის წარსულისა და აწყმოსულიერისა და ზნეობრივის ვითარების მკვლევართათვის“¹. მოწინავე ქართველი ინტელიგენტები ისე, როგორც დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, ხალხურ შემოქმედებას დემოკრატიული პრინციპებით უდგებოდნენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს და სხვა მოწინავე ქართველ მწერლებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული ხალხური შემოქმედების დიდი მნიშვნელობა ერთიანი სალიტერატურო ენის გამდიდრების, მშობელი ერის წარსულის შესწავლის, აწყმოს გაუმჯობესებისა და მომავლის გათვალისწინების საქმეში. დიდი ქართველი მწერლების შემოქმედების ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს ხალხური სიტყვიერება წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. მაღალ შეფასებას აძლევდნენ და დაკვირვებით სწავლობდნენ ხალხის ენას, როგორც წყაროს ლიტერატურული ენის გამდიდრებისა. მთლიანად XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართული მწერლობა, მისი იდეური და მხატვრული მხარე დიდად არის დავალებული ხალხური შემოქმედებისგან. გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა ხალხური შემოქმედების ნიჟშების მოხდენილად გამოყენებით, მათი სიტუეტების, მოტივებისა და სახეების კიდევ უფრო მაღალ ესთეტიკურ საფეხურზე აყვანით გაზარდეს თავიანთ ნაწარმოებთა შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება, ამავე დროს თვითონ მოახდინეს გავლენა ხალხურ შემოქმედებაზე და გააძლიერეს იგი როგორც თემატკურად, ისე მხატვრულად. ხალხურ შემოქმედებასთან ურთიერთობაშია საბჭოთა მწერლობაც. მოწინავე ქართველი

¹ „ივერია“, 1889 წ., № 134.

საბჭოთა მწერლების შემოქმედება ორგანულად არის დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს ხალხის ფაქიზი გემოვნებით შექმნილი სახეები ეპიკური გმირებისა, კიდევ უფრო გაასხივოსნეს ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ეროვნული და სახალხო გმირები. საბჭოთა მწერლებმა ახალ ესთეტიკურ საფეხურზე აიყვანეს ხალხური სიუჟეტები, მოტივები, მხატვრული სახეები. საბჭოთა ლიტერატურა თავის მხრივ ასაზრდოებს და ამდიდრებს ხალხურ შემოქმედებას. ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობისას საბჭოთა პოეტური ხელოვნების განვითარებაში წამყვანი როლი, ცხადია, ლიტერატურას ეკუთვნის. ამის ნათელი ილუსტრაციაა გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ალ. აბაშელის, კ. გამსახურდიას, ალ. მირცხულავას, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის და სხვ. შემოქმედების ძლიერი გავლენა მუშებისა და კოლმეურნეების ზეპირსიტყვიერებაზე.

როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საკითხს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა და ფოლკლორისტიკა აყენებს, როგორც ხალხის ერთიანი პოეტური ხელოვნების განვითარების საკითხს. საბჭოთა ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთობის საკითხი სოციალისტური რეალიზმის ერთი ძირითადი საკითხია. მისი დიდი აქტუალობა ხაზგასმით აღინიშნა სოციალისტური რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ხალხური შემოქმედების შესანიშნავმა მცოდნემ და ოსტატურად გამოყენებულმა დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე¹. ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური და საინტერესოა რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის განვითარების ისტორიისათვის. ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საკითხი ზედნაშენის ბაზისთან დამოკიდებულების ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. ლიტერატურისა და ხალხური შე-

¹ М. Горький, О литературе, изд. 3-е, 1937, стр. 450—6.

მოქმედების ურთიერთობის საკითხი იმ მხრივ არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ წარმოგვიდგენს ხალხის ერთიანი პოეტური ხელოვნების განვითარების პროცესს. ეს არის შემოქმედებითი პროცესი ახალი შინაარსის ტრადიციული ფორმით გადმოცემისა და ტრადიციული ფორმის ახალი სოციალური შინაარსით გარდაქმნისა. ამგვარად, ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საკითხი კლასიკური მემკვიდრეობის გამოყენების, ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხია ერთიანი სიტყვიერი ხელოვნების განვითარებაში.

ილია ჭავჭავაძე

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებებით შთაგონებულ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მედროშის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას ახასიათებს მისივე სიტყვები: „ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების, ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებას“¹, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი, ისევე როგორც მისი უანგარო ამაგი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, ქართველი ერის უკვდავების ძარღვის შენძრევის ერთი გამოხატულება იყო. ეს იყო გამოხატულება გენიის ძლიერი სულის პასუხისა ხალხის განვითარებაზე. ილია ჭავჭავაძეს ჭაბუკობიდანვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნების ცხოველმყოფელი ძალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. იგი სათანადოდ აფასებდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მოწინავე იდეებს, როგორც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მძლავრ ფაქტორს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი სიტყვები: „...ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსული მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შეს-

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1941 წ., გვ. 30.

წავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს...“¹ ეს სიტყვები უნდა გვახსოვდეს, როცა მშობლიური ხალხური შემოქმედებისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხს ვეხებით. დიდ პოეტს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხალხის შემოქმედებითი ფანტაზია. პეტერბურგში ყოფნისას ნინო აბხაზისადმი მიწერილ წერილში ჭაბუკი პოეტი ნატრობს მშობლიური ზღაპრების მოსმენას². ბავშვობიდანვე თანდაყოლილი სიყვარული ხალხური შემოქმედებისა დიდმა მწერალმა მოწიფულობაში კიდევ უფრო გააღრმავა ეროვნული კულტურის ტრადიციისა და რუსეთში ათვისებული პროგრესულ-დემოკრატიული იდეების წყალობით. ეროვნული ვითარების საუუძველიან ცოდნას მოწყურებული სამშობლოში დაბრუნებული პოეტი გატაცებით დაეწაფა ხალხის სიბრძნის უძირო ზღვას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და გავრცელების ინიციატორთა შორის ერთი პირველთაგანი ილია ჭავჭავაძე იყო. განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მოღვაწე ხალხურ შემოქმედებას უყურებდა როგორც ქართველი ერის აღორძინების, ცხოვრების წინსვლისათვის ბრძოლს, ახალი აზრის გამოქვდვისა და განვითარების ერთ უმძლავრეს იარაღს. მისი მდიდარი მხატვრული შემოქმედება, ღრმად გააზრებული წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფელეტონები და სხვადასხვა გარემოებათა გამო წარმოთქმული სიტყვები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა ღრმად ჩაწვდა მწერალი ხალხურ შემოქმედებას. პოეტი მაღალ შეფასებას აძლევდა მშრომელი ხალხის შემოქმედებით უნარს. ის აფასებდა ხალხურ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ მხარეს და მათ მოხდენილად იყე-

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 180.

² ილია ჭავჭავაძე, წერილები, აფხაზეთის სახელგამი, 1949, გვ. 19.

ნებადა ცხოვრების განახლებისა და შრომის განთავისუფლები-
სათვის ბრძოლის საშუალებად.



ილია ჭავჭავაძე კაბინეტში არ გაცნობია მდიდარ ქართულ
ხალხურ შემოქმედებას. მან იგი გაიცნო და აითვისა მშრომე-
ლი ხალხის ქირსა და ღვინში უშუალო მონაწილეობით. მწერ-
ლის დიდ სიყვარულსა და გულისხმიერებას მშობელი ხალხის
შემოქმედებისადმი გვაცნობენ მის თანამედროვეთა მოგონე-
ბანი. საგურამოელი გლეხი ნამწყესარი ალექსი შოთნიაშვილი
ასე იგონებს ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრებს: „... დაგვიძახებ-
და ვინც კი ახლო ვმუშაობდით, გვიბრძანებდა, დაისვენეთო,
ახლა გვეტყოდა, იმღერეთო, ჩვენცა ვმღეროდით, ვშაირობდით,
და ბატონი იცინოდა ხოლმე“. ამავე მოგონებაში ვკითხულობთ:
„ერთი გზირიანთ სოსიკა იყო, არაკამდა (არაკებს აამბობინებ-
და) და ამღერებდა ძველ სიმღერებსა, ძალიან უყვარდა ხუმრო-
ბა“¹. სახალხო მთქმელებისა და მომღერლებისადმი ილიას
დიდ გულისხმიერებაზე მოგვითხრობენ სხვა მისი თანასოფლე-
ლი გლეხებიც. მეზღაპრე და მომღერალ სოსიკასთან პოეტის
შეხვედრას შემთხვევითი ხასიათი არა ჰქონია. მეორე გლეხის
მოგონებითაც საგურამოში მისვლისას ილია ყოველთვის ინა-
ხულებდა სოსიკა გზირიშვილს². ამ სოსიკა გზირიშვილს კალო-
ზე მუშაობისას შეუმღერებია ილიასთვის საკმაოდ ვრცელი
ლექსი. ცნობილია ამ იმპროვიზაციის ფრაგმენტი:

შამკობილო ვარდის კონა
ილია ჭავჭავაძეო,
თავადეში ხარ ნაქები,
გლეხებისა მოწყალო³.

ილიას ყოფილი მოურავი ყვარელში ნოშრევან ჯაფარიძე
გადმოგვცემს, რომ ილია ყოველ წელიწადს ესტუმრებოდა
მშობლიურ სოფელს. იგი იქ ახლოს ეცნობოდა გლეხების ყო-

¹ „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 1 — 2, 1940 წ., გვ. 198 — 199.

² იქვე, გვ. 200.

³ იქვე, გვ. 215.

ფაცხოვრებას და გულისყურით აკვირდებოდა ხალხურ სიმღერებს. ჯათარიძის მოგონებით, ილიას „უყვარდა ლოფლის სიმღერები და ჩაფიქრებული ყურს უგდებდა. მარანში, საწნახელში რომ ყურძენს წურვას დაუწყებდნენ, მაშინვე მეტყობდა: — აბა, გაუმასპინძლდი კარგად ღვინით. ილია კი იჯდა სკამზე იქვე და სიამოვნებით ყურს უგდებდა იმათ ოხუნჯობას და სიმღერებს“¹. დიდი პოეტი უახლოვდებოდა მთქმელებს, წვდებოდა მათ სულსა და გულს და იქიდან მათდა შეუმჩნევლად კრებდა ძვირფას საუნჯეს ხალხურ შემოქმედებისა. ყველაფერი ეს შესაფერ გარემოში ხდებოდა. პოეტი მთქმელებს აყენებდა ბუნებრივ პირობებში, მათთან ერთად შეექცეოდა პურღვინოს, შთააგონებდა მშობლაური პეიზაჟით, მთა იყო იგი. გორა თუ ტბა და შეუქმნიდა განწყობილებას ხალხურ ნაწარმოებთა თხრობისა. ბაზალეთის ტბასთან ახლოს ამგვარად მოისმინა მან ლეგენდა, რომელიც მისი ღრმა პატრიოტული ლექსის „ბაზალეთის ტბის“ შთაგონების წყაროა. იქვე მოისმინა გადმოცემა სპარსელების წინააღმდეგ ბაზალეთის მინდორზე ქართველების თავგანწირული ბრძოლის შესახებ. ილიას შემკრებლობითი მუშაობა სანიმუშოა თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისითაც. მწერლის შემკრებლობითი მუშაობის თავისებურებას გვაცნობს ერთი მეტად საინტერესო მოგონება გამოქვეყნებული „ლიტერატურის მატთანეში“².

ხალხური შემოქმედებისადმი ილიას დამოკიდებულები შესასწავლად საქიროა გათვალისწინებულ იქნას მისი დღეობა „ილიაობა“. ეს დღეობა საგურამოში გრანდიოზულად ტარდებოდა და ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცეოდა. მწერლის პატივსაცემად აქ აკრებიებოდნენ არა მხოლოდ მოწინავე ქართველი ინტელიგენტები, არამედ მშრომელი ხალხის წარმომადგენლებიც როგორც მახლობელი ლოფლებიდან, ისე საქართველოს შორეულ კუთხეებიდანაც. ილია ქავეკავაძე და მისი სტუმრები ამ დღეობაზე ისმენდნენ და აკვირდებოდნენ ხალხურ შემოქმედებას, უშუალოდ ეცნობოდნენ მისი შესრულების წესებს. ეკატერინე გაბაშვილის გადმოცემით, „ილია თანხლებით ინ-

¹ „ლიტერატურის მატთანე, წიგნი 1 — 2, გვ. 153.

² იქვე, გვ. 176 — 177.

ტელიგენციისა და რჩეული სტუმრებით დადიოდა მოქეიფე გლეხობის გარშემო, ალაგ-ალაგ ჩაჯდებოდა მათ შუა, ელაპარაკებოდა, მათ სადღეგრძელოს სვამდა. საგანგებოდ მოწვეული მომღერალნი მღეროდნენ „მრავალეამიერს“, „სუფრულს“¹. ეს ტრადიციული დღეობა მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედების ერთგვარი დემონსტრაცია იყო. მწერალი ქალი ასე იგონებს ილიას დღეობის ერთ ეპიზოდს: „მშვენიერი სურათი წარმოგვიდგა ყველას თვალწინ; ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასის იარაღით ასხმულნი, მშვენიერ დარახტულ ცხენებზედ, წყვილ-წყვილად, ნელა, ნელა მოდიოდნენ და „მგზავრულს“ მწყობრად მღეროდნენ“². ილიას თანასოფლელი გლეხის მოგონებაში გულუხვი მასპინძლის შესახებ ნათქვამია: „თითონ თავზედ დაგვადგებოდა და ძალიან გულითა გვთხოვდა, კარგად იქეიფეთო. ილიას კახური სიმღერები და „მრავალეამიერი“ უყვარდა ძალიანი“³. ყოფილი მეხბორეს გადმოცემით „ილიაობას ყველა მხრიდან იყრიდა ხალხი თავსა... ას კაცზე მეტი მარტო ხევსურები მოდიოდნენ ხოლმე ილიაობას. ყველა სოფლის ხალხს ცალ-ცალკე დასხამდა საქეიფოდ. უსათუოდ მოვიდოდა ხოლმე ჩვენთან სუფრაზე, დაგვხედავდა, ხევსურებთანაც ყოფნა ძალიან უყვარდა, სუფრაზე ხევსურების სიმღერა“⁴. ილიას უყვარდა ღრმა პატრიოტული, მებრძოლი სულისკვეთების გამომხატველი სიმღერები. ამგვარი სიმღერები განსაკუთრებული ძლიერებით ხვდებოდა სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით ანთებულ პოეტის გულს. მეტად საინტერესოა ცნობა გ. ლასხიშვილის შემუშარებიდან. გ. ლასხიშვილი იგონებს ზაფხულობით საგურამოში დიდ მწერალთან გატარებულ დროს, იგონებს „ილიაობას“ და დღეობის ობიექტის შესახებ წერს: „ძალიან უყვარდა სიმღერის მოსმენა, მაგრამ თვითონ არც ხმა ჰქონდა, არც სმენა. ძალიან უყვარდა სიმღერა „მუმლი მუხასა“ და ეს იყო, მგონი, ერთად-ერთი სიმღერა, რომლის ასრულებაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

¹ „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 1 — 2, გვ. 102.

² იქვე, გვ. 104 — 106.

³ იქვე, გვ. 215.

⁴ იქვე, გვ. 212.

„მუჰლი მუხასა
გარს ეხვეოლა“, —

დაიწყებდა ილია და ბოლოს მაღალის ხმით, მაგიდაზე მუშტის
დაკვრით, გაათავებდა:

„მუჰლი დაიხრჩო,
მუხა გადარჩაო“. —

ისეთი ახალგაზრდული გატაცებითა და გრძნობით შეპყვირებ-
და, თითქო თვალწინ ხედავდა, როგორ იხრჩობოდენ საქართ-
ველს მტერნი (მუჰლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართვე-
ლო)“¹; ამაზე მემუარებში ვკითხულობთ: „სადილის დასრულე-
ბამდე ილია ჩავიდოდა ეზოში გლეხებთან, იქ დაღევდა მათთან
და ამღერებდა ხალხურ ლექსებს. ნასადილევს გაამართვინებდა
ჭიდაობას, რომელშიაც ჩამოსული სტუმრები იღებდენ მონა-
წილეობას“².

ამგვარად ეცნობოდა პოეტი მშობლიურ ხალხურ შემოქმე-
დებსა. ჰოგონებებიდან ირკვევა, რომ ტრადიციულ დღეს მშრო-
მელი ხალხის შემოქმედებით უნარს ეცნობოდა არა მხოლოდ
დღეობის ობიექტი ილია ჭავჭავაძე, არამედ — სტუმრად მოსული
მოწინავე ქართველი ინტელიგენტებიც. ისინი იქვე ახდენდნენ
ფიქსაციას ნიჟიერ სახალხო მთქმელთა რეპერტუარისა. მეტად
საინტერესოა ამ მხრივ 1949 წელს საქართველოს სსრ მეცნიე-
რებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტე-
რატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მცხეთის რაიონში მო-
წყობილი ექსპედიციის მასალები. ნიჟიერმა მოლექსემ, წინა-
მძღვრიანთკარის მცხოვრებმა თედო გულბათაშვილმა, მისი
რეპერტუარის ჩაწერისას ცნობილი შრომის სიმღერის „სახნის-
მა სთქვას“ შესახებ ექსპედიციის წევრებს აცნობა: „მე ეგა
სათამაშო სიმღერაში ვთქვი საგურამოში, ჭავჭავაძის დღეობა-
ზე. ერთმა, წერა-კითხვის საზოგადოებიდანა გამიყვანა განზედა,
ჩაწერა ეს სიმღერა და ერთ კვირაში „ღედა ენაში“ გამოვიდა.
სტუმარი იყო ქალაქიდან... მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, თუ
ახლა ცოცხალია, მოხუცებული იქნება“. მთქმელის მიერ მოხ-
სენებული ჩამწერი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

¹ გ. ლასხივილი, მემუარები, თბილისი, 1934 წ., გვ. 92 — 93.

² იქვე.

ცვლებული საზოგადოების რომელიმე წევრი იქნებოდა. ილიას დღეობაში საინტერესო მთქმელის თედო გულბათაშვილის მონაწილეობის შესახებ აგრონომმა ლევან წინამძღვარიშვილმა ექსპედიციის წევრს ფოლკლორისტს თამარ ოქროშიძეს აცნობა: „თედოს წინამძღვარიანთკარში პაპაანთ თედოს ეძახდნენ. ილიას დღეობა ისე არ იქნებოდა, რომ თედო და მასთან ერთად რამდენიმე გლეხი არ მოსულიყვნენ. იქ თედო მღეროდა, შაირებს ამბობდა, საერთოდ განთქმული იყო თავის მოლექსეობითა და სიმღერით. ილიას უყვარდა ასეთები“. თამარ ოქროშიძემ დაადგინა, რომ ილიას დღეობაში ფიქსირებული თედო გულბათაშვილის ნათქვამი ლექსი მართლაც ჩქარა გამოუქვეყნებიათ დღეობის შემდეგ, მხოლოდ არა „დედა ენაში“, როგორც ეს მთქმელს ახსოვდა, არამედ — „ივერიაში“ 1888 წელს № 169, 12 აგვისტოს¹. დასტურდება, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები დღეობაზე იწერდნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და აქვეყნებდნენ პერიოდიკის ფურცლებზე. ეს ფაქტიც ნათელი მაგალითია ხალხური შემოქმედებისადმი ილია ჭავჭავაძის დიდი მზრუნველობისა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ინტელიგენციის მედროშეს თავისი დღეობაც მშრომელი ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოამჟღავნების ერთ-ერთ საშუალებად ჰქონდა.



მრავალი მოგონება გვაცნობს, თუ რა გარემოში ისმენდა და იწერდა ილია ჭავჭავაძე ხალხური სიტყვიერების იმ ღრმა შინაარსის მაღალ მხატვრულ ნიმუშებს, რომლებიც გამოქვეყნებულია პერიოდიკის ფურცლებზე. ნაწილი მის მიერ შეკრებილი მასალებისა ილიამ გადასცა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრების ორგანიზატორს პეტრე უმიკაშვილს².

ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი შესანიშნავი ნიმუშები

¹ იხ. თ. ოქროშიძე, მოლექსე გუთნისდედა, „ლატერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., № 40.

² პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბილისი, 1937 წ., გვ. 553, 563, 583, 590, 602, 605 — 609 და სხვ.

ხალხური პოეზიისა სათაურით „გლეხური სიმღერები“ დაბეჭდა 1873 წელს „კრებულის“ ნომრებში. თუ როგორ აფასებდა მწერალი ამ სიმღერებს, ჩანს პირადი წერილიდან კირილე ლორთქიფანიძისადმი: „...გიგზავნი გლეხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. გამოიზოგე. სხვა ლექსებს ველარ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია“¹. ილიას ჩანაწერები გამოქვეყნდა აგრეთვე „ივერიის“ ფურცლებზე სათაურით „ამბავათ გაგონილნი“².

ილია ჭავჭავაძის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა, ისე როგორც ყოველი მისი წამოწყება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, მისაბაძი იყო მისი თანამედროვე ყველა მოწინავე ადამიანისათვის. ხალხური შემოქმედების დიდი მოყვარული და შესანიშნავი მცოდნე, ილიას უფროსი თანამოღვაწე, გამოჩენილი მწერალი რაფიელ ერისთავი სათანადოდ გამოეხმაურა „კრებულის“ ფურცლებზე. ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილ ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშების გამოქვეყნებას. „კრებულის“ იმავე წლის ნომერში რაფიელ ერისთავმა დაბეჭდა რამდენიმე ნიმუში ხალხური პოეზიისა შესრულების წესების აღნიშვნით. მის მიერ შეკრებილ ნიმუშებს რ. ერისთავმა წაუძღვარა წინასიტყვაობა, რომელშიაც გამოთქვა აღფრთოვანება ილიას მიერ დიდი ეროვნული საქმის წამოწყების გამო. რ. ერისთავმა ხაზგასმით აღნიშნა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა მიერ წამოწყებული შემკრებლობითი მუშაობის დიდი მნიშვნელობა ეროვნული კულტურის გამდიდრებისა და შესწავლის საქმეში. წინასიტყვაობაში კვითხულობთ:

„ამ უკანასკნელ დროში, ზოგიერთთა პირთა განიძრახეს დიახ სასარგებლო და ჩვენთვის სასიამოვნო აზრი: ძველებური მდაბიური სიმღერების, ლექსების და ანდაზების შეკრება, რომელნიც გლეხებმა და სხვათა მრავალთა ჯერჯერობით ზეპი-

¹ ილია ჭავჭავაძე, წერილები, გვ. 32.

² „ივერია“, 1877 წ., № 5. ეს მასალები, როგორც ილიას მხატვრული პროზის ნიმუშები, შეტანილია მის თხზულებათა პირველ ტომში და დათარიღებულია 1887 წლით. იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბ., 1937 წ., გვ. 422 — 423.

რათ იცინან და წერილით კი არსად გვეგულავენ. — ყოველი მოყვარული მშობელის დედა ენისა და ქართულის ლიტერატურისა უნდა დაეჩქაროს და იმეცადინოს შეკრებისათვის ესე გვართა, ვიდრე იგინი, ჯერ კიდენ, სრულებით არ დავიწყებია ხალხსა.

ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა რაოდენიმე ნამუში გლეხების სიმღერებისა და პ. უმიკაშვილი კი ამზადებს გამოსაცემათ მისგან შეგროვებულს ძველს სიმღერებს და ჩვენც მოუთმენლად მოველით ამ გამოცემას¹. რ. ერისთავმა აღნიშნა ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი ხალხური პოეზიის ნიმუშების დიდი მნიშვნელობა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ილია ჭავჭავაძის შემკრებლობითი მუშაობით შთაგონებულმა მწერალმა მის მიერ შეკრებილ მასალებს ამგვარი შენიშვნა დაურთო: „ჩემის მხრით წარუდგენ მკითხველებს შემდეგთა შეგროვებულთა ჩემ მიერ ძველებურს სახალხო ლექსებს, სიმღერებს და ანდაზებს“¹. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დამახასიათებელია ისიც, რომ „ივერიის“ რედაქციამ მწერლის მიერ შეკრებილ გადმოცემებსა და თქმულებებს შემდეგი შენიშვნა დაურთო: „გთხოვთ, ვისაც ამგვარი ამბები გაგონილი ჰქონდეთ, რედაქციას აცნობოს“².

ილია ჭავჭავაძე გულისხმიერებით მოეკიდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების პროგრამას, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მისი თავმჯდომარეობით ჩატარდა სხდომა, რომელმაც განიხილა პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის შედგენილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების პროგრამა³. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს ფართოდ კარები პირველად ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსულმა „საქართველოს მოამბემ“ გაუღო.

¹ რ. ერისთავი, ქართული სახალხო პოეზია, „კრებული“, 1873 წ., № 7.

² „ივერია“, 1877 წ., № 5.

³ ა. ოქროშიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, გვ. 408.

ილია ქავჭავაძე კარგად იცნობდა ფოლკლორისტიკის თეორიულ საკითხებს. იგი იცნობდა მსოფლიოს ხალხურ შემოქმედებას. ქართულ მასალებს სწავლობდა ანვა ხალხთა მასალებთან ურთიერთობისა და შედარების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებით. საქართველოს საჯარო წიგნთსაცავში დაცულია მისი პირადი ბიბლიოთეკა, სადაც სხვათა შორის ინახება ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ედ. ტეილორის ნაშრომების რუსული თარგმანები¹. ეს ნაშრომები სავსეა ილიას შენიშვნებით, მინაწერებითა და განახლებებით². ილიას გულმოდგინედ განუხილავს ეს ნაშრომები. წიგნში საილუსტრაციოდ მოყვანილი მსოფლიო ხალხური შემოქმედების მასალებსათვის მიუწერია მსგავსი ქართული ანდაზები, ზღაპრის პერსონაჟების სახელები, ხალხური რწმენანი და სხვები. ასე, მაგალითად, ტეილორის წიგნში „პირველყოფილი კულტურა“ გახაზულია გავრცელებული გამოთქმა: *быть готовым лезть из кожи* და ილიას ხელით მიწერილია: „თავის ქერქში არა დგება“³. იმავე წიგნში ლურჯი ფანქრით გახაზულია ინგლისური ანდაზის *Out the frying-pan into the fire*-ს რუსული თარგმანი *со сковороды да в огонь* და წითელი ფანქრით მიწერილია ქართული ანდაზა: „ვაის გავექეც და ვუის შევეყარო“⁴. გახაზულია აგრეთვე სხვადასხვა ხალხთა მოთხრობები და რწმენანი მგელკაცებზე და მიწერილია გავრცელებული ქართული ზღაპრის პერსონაჟის სახელი „მგელკაცა“⁵. გახაზულია სურამის ციხის ლეგენდის მსგავსი მასალები.

¹ Э. Тейлор, Первобытная культура, т. 1. R $\frac{146-104}{3}$; Антропология, R $\frac{146-106}{3}$

² ამის შესახებ გვაცნობა თამარ მაქაყარიანმა.

³ R $\frac{146-104}{3}$ Э. Тейлор, Первобытная культура, стр 60.

⁴ იქვე. გვ. 83.

⁵ იქვე. გვ. 288.

ბი¹,—რწმენა, რომლის მიხედვითაც ძალის ყმუილი ადამიანის სიკვდილის მომასწავებელია² და მრავალი სხვა. მეტად საინტერესოა განახაზები ტეილორის მეორე ნაშრომში „ანთროპოლოგია“. ამ წიგნში, სხვათა შორის, გახაზულია ადგილები, რომელიც ილიამ გამოიყენა მითოლოგიისა და ისტორიის ურთიერთობისა და კერძოდ აზროვნების ისტორიის გასათვალისწინებლად თავის ღრმა მეცნიერულ წერილებში: „აი ისტორია“, „ქვათა ღალადი“ და სხვები. დასახელებულ წიგნში ილიას აღუნიშნავს მრავალი ადგილი, სადაც არის მსჯელობა მითის რაობაზე, ენის საკითხებზე, ფანტაზიაზე და სხვებზე. სანიმუშოდ მოგვყავს მითის რაობის შესახებ წითელი ფანქრით გახაზული ერთი ადგილი, რომელსაც ილია ქართული მითოლოგიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას უდაოდ უწევდა ანგარიშს: „Нельзя смотреть на миф, только как на заблуждения и безумие; напротив, он представляет интересный продукт человеческого ума. Это — мнимая история, вымышленный рассказ о событиях никогда не случавшихся“³. საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და მისი განვითარების გზების, არქეოლოგიის, მითოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების საფუძვლიანი ცოდნით ილიამ გააბათილა ყალბი მოსაზრებანი ქართველი ხალხის, ქართული კულტურისა და ენის შესახებ. დასახელებულ წერილში გამოყენებულია შედარებითი მითოლოგიის მონაცემები. მოყვანილია ვებერის, კორშის, ტეილორის, სპენსერის, ლებოკის და სხვათა მოსაზრებანი⁴. ილიამ ფართო მასშტაბით დააყენა მითის შექმნის საკითხი: „შედარებითმა მითოლოგიამ აღმოაჩინა, რომ ეს მითად გადაქცევა მართალისა და მოგონილის წინაპრისა, — მთელს ქვეყნიერობაზედ შემჩნეულია“⁵. ამ

¹ R 146—104
3 Э. Тейлор, Первобытная культура, стр. 98—99.

² იქვე, გვ. 111.

³ R 146—806
3 Э. Тейлор, Антропология, стр. 383.

⁴ ი. ქავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 374, 375, 376 და სხვები.

⁵ იქვე, გვ. 376.

დებულებიდან გამოდის ილია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისას. მან მკაცრად გააკრიტიკა ჯაბადარის მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი კიაქსარია. (რომელმაც თითქოს დაარუბანდი ააშენა და ამ დროიდან ქართველებმა ისწავლეს შენობისათვის ქვეთკირის გამოყენება). ამას ილიამ დაუპირისპირა მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება, სადაც დასმულია მითოლოგიისა და ისტორიის ურთიერთობის საკითხი და ნათლად არის ნაჩვენები მითის ადგილი „ქართლის ცხოვრებაში“: „ჩვენის მატინის „აფრიდონი“ რაღაც მითიური გმირია, „რომელმაც შეკრაო ჯაკვით ბევრასფ, გველთა უფალიო, და დააბა მთაზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“. განა პირდაპირ არა სჩანს აქედამ, რომ ეს „აფრიდონი“ რაღაც ზღაპრული გმირია და არა კიაქსარია? აშკარაა, აქ „ქართლის ცხოვრება“ იმეორებს იმ მითიურ გმირის სახელს, რომელსაც ფირდოუსი თავის შაჰ-ნამეში იხსენიებს ფერიდუნად, ანუ ფრედუნად, და რომელსაც, მინამ გამეფდებოდა სპარსეთში, რაღაც შაქმე ჰქონია სპარსეთის მეფის სოლაკის გველებთან“¹. ილია მთელი სიღრმით სვამს მითის შექმნის საკითხს. ამ საკითხს უკავშირებს იგი პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიულ გონებას, რომელიც ვერ სწვდებოდა საგნებისა და მოვლენების ნამდვილ არსს. შედარებითი მეთოდია გამოყენებული ქართველთა ღვთაების პანთეონზე მსჯელობისას. ილიამ აღნიშნა ქართველ ღვთაებათა მსგავსება სხვა ხალხთა მითებთან. ამ შემთხვევაში ილიამ ანგარიში გაუწია „მსგავს ბუნებასა და გარემოებას“ და დაასკვნა: „ერთისა და იმავე თვისებისა და მნიშვნელობის ღმერთნი, ხოლო სახელების სხვაობით-კი, ყველა ერში მოიპოვებიან“². კვლევის ქეშმარიტ მეთოდად ილიას შედარებით-ისტორიული მეთოდი მიაჩნდა. ილიამ აღნიშნა, რომ ფილოლოგია, როგორც ენის შემსწავლელი მეცნიერება დიდ სამსახურს უწევს ისტორიას, რომ ენის გამოკვლევა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის. „ეს ღონე გამოიჩინა ფილო-

¹ ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 339.

² იქვე; გვ. 376 — 379.

ლოგიამ უფრო მაშინ, — წერს ილია, — როცა ადამიანის გონებაში მოაგნო ერთს გვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ ჰქვია. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, როცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვიდასა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამოიმწევედა“¹.

ილია ჭავჭავაძემ საგანგებო წერილები მიუძღვნა ხალხური შემოქმედების საკითხებს. ამ წერილებში მოცემულია ღრმა მეცნიერული თვალსაზრისი ხალხური შემოქმედების მნიშვნელობაზე. მცირე მოცულობის წერილი „ხალხის ზნეჩვეულებათა შესახებ“ ბევრის მხრივ არის საინტერესო. მასში სწორად არის ახსნილი გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გატაცება ხალხური შემოქმედებით. წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრება და გამოქვეყნება დიდი ეროვნული საქმეა. ილია წერს: „ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში, გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების ბეჭდვაა ჩვენს ეურნალ-გაზეთებში“. ილიას მიერ მართებულად არის გაკრიტიკებული საგნით ცალმხრივი გატაცება, რასაც საქმისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. წერილში დაყენებულია საკითხი ხალხური შემოქმედების მოსაზღვრე დისციპლინებთან მჭიდრო კავშირში შესწავლისა. ხალხური შემოქმედების შემსწავლელ მეცნიერებაში სახელმძღვანელოდ დარჩება ილიას სიტყვები: „ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნოებაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მართო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, II, გვ. 323.

ხალხის ცხოვრების საკიროებაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულების გარდა ხალხის სხვა შეხედულებას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყოველგვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმისი ყოველი გონებითი ნაწარმოები უნდა შევეკრიბოთ“¹. ხალხური შემოქმედების ბუნების გასაგებად მოსაზღვრე დისციპლინების გათვალისწინების საკიროების საკითხი ილიამ მკვეთრად დააყენა სხვა წერილებშიც. წერილში „ერი და ისტორია“ შესანიშნავად არის დასაბუთებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური შემოქმედების ქვეშარტი რაონის შესაცნობად, მისი იდეურ-მხატვრული მხარის გასაგებად ისტორიის საფუძვლიან ცოდნას. ილია ქვეყნადეს განწირულად მიაჩნდა ერი, „რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია“. განწირულად მიაჩნდა იგი ერი, „იმიტომ რომ რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის“. ილიამ აღნიშნა ხალხური შემოქმედების დიდი ისტორიული ღირებულება: — აღნიშნა, რომ ხალხურ შემოქმედებაში მოიპოვება მდიდარი მასალა ერის წარსულისა და აწმყოს შესაცნობად და ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ამ მასალას გამოცლილი აქვს ყოველგვარი შთამაგონებელი ძალა. ფოლკლორისტიკაში სახელმძღვანელოდ დარჩება დიდი პატრიოტული მგზნებარებით დაწერილი მისი სტრიქონები ისტორიისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის შესახებ. ილიას მოსაზრებით, ერს, რომელსაც დავიწყებული აქვს თავისი ისტორია, „არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გასწიროს თავი, რას გამოიხარჩლოს და რას არა, ფეხ-ქვეშოცამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტინი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-

¹ ი. ქვეყნადე, თხზ. სრ. კრებ. II, გვ. 503.

ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამის-თანა ერთი ჩაინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ, რაც დრო ღიდეს, იგი ნუგეშიც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება. იმიტომ რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრად-და გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშია. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცუცხლმოსაკიდებელი ძალ-ლონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც-კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამო და ფუტია ერის გამხნეებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის“¹.

ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ილია ჭავჭავაძის წერილი „ქართული ხალხური მუსიკა“². იგი დაწერილია ლადო აღნიაშვილის მიერ 1886 წელს ქართულ თეატრში გამართულ კონცერტზე შესრულებული ქართული ხალხური სიმღერების გამო. ამ წერილში მკვეთრად არის დასმული საკითხი ტექსტისა და მელოდიის მჭიდრო კავშირისა. მოხდენილად არის განმარტებული სიმღერა, როგორც „ბედნიერად შექსოვილი პოეზია და მუსიკა“³. — ან „მწყობრი ხმა — მწყობრ სიტყვასთან შეერთებული“⁴. ილიამ სათანადოდ შეაფასა სიმღერის დიდი შთამაგონებელი როლი. მისი არაჩვეულებრივი გამომსახველობა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსიკისა და პოეზიის შერწყმა ძლიერად გვაგრძნობინებს აღამიანის გულისთქმას, მის სიხარულსა და მწუხარებას.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 509 — 510.

² იქვე, გვ. 130 — 134.

³ იქვე, გვ. 131.

⁴ იქვე, გვ. 130.

ტექსტისა და მელოდიის როლი სიმღერაში ილიამ ამგვარად განსაზღვრა: „... სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰმწველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრს ხმასა“¹. სიმღერა, პოეტის სიტყვებით, „განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა“, გამომსახველია მისი ლხინისა და მწუხარების. ილია წერს: „ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდან ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიბეჭს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა“². მწუხარებაში სიმღერის შთამაგონებელი ძალა გამოიყენა პოეტმა პატრიოტული გრძნობის გამოსახატავად გაცილებით უფრო ადრე დაწერილ პატარა ლექსში:

როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო,
 კაცთან არ ვილტვი მის განქარებად;
 მყის თავის-თავად ლალი, უბრალო,
 სიმღერა მორბის ნუგეშ-საცემად.
 და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ,
 ის ჩემებრ არის სევდით ბურვილი,
 მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვსცნობ
 და მევე მიყვარს ჩემი წუხილი³.

სიმღერის ამგვარი დანიშნულებ. გამოყენებული აქვს მწერალს მხატვრულ პროზაშიც. ოთარაანთ ქვრივი თავის გამრჯე მეუღლეს ასე დასტირის: „ჭირიცა და ლხინიც სულ მღერითა და გალობით იცოდა“⁴. სიმღერის ამგვარი ფუნქცია გამოყენებულია აგრეთვე ქართული ლიტერატურის განვითარების გზების კანონზომიერების გასათვალისწინებლად-

¹ ი. ჯავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. 11, გვ. 130.

² იქვე.

³ ი. ჯავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. 1, გვ. 68.

⁴ იქვე, გვ. 429.

დაც. ილიამ აღნიშნა, რომ ლირიკა „მწერლის გულთა წვა-
დაგვის“ გამომზატველია. ლირიკის წამყვანი როლი ქართულ
ლიტერატურაში XIX საუკუნის 30-იან წლებში და კერძოდ
აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ილიამ საქართველოს მაშინ-
დელი პოლიტიკური ვითარებით ახსნა. ამისთვის მან მოხდენ-
ილად გამოიყენა სიმღერის შთამაგონებელი ძალა: „ჩვენ
ვერ ვიტყვი, რომ ამისთანა მგალობელი მწერლობა მეტი
იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილი ცხოვრებისათვის: ქანც-
გაწყვეტილი მუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმ-
წარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი
ჭირ-ბოროტი. და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭი-
რო, თვისთა მწერალთა ტკბილი გალობით ასე თუ ისე გაი-
ქარვოს კაეშანი“¹.

ამავე წერილში ილიამ კალმის ერთი მოსმით დაახასიათა
ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებები.
დიდი ცოდნითა და ღრმა გრძნობით არის დახასიათებული
„ზარი“, „მაყრული“ და „ორპირი“. „ჩვენებური „ზარი“, ეგ
გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შეთვისხორცებული,
იგივე სიმღერაა სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ
„მაყრული“ — სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც „ორ-
პირი“ — ვაჟკაცობისა, მედგრობისა და მზნეობისა“².

სიმღერის მრავალფეროვნების საფუძველს ილია ადამიან-
ისა და არა მხოლოდ ცალკე ადამიანის, არამედ მთელი ერის
სულისა და გულის მოძრაობის მრავალფეროვნებაში ხედავს.
აქ მოსაზრებას ილია ასაბუთებს ანდაზით: „ადამიანის გული
იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაიღვევა თავის დღეში“³.

ილიას აღნიშნული აქვს საზოგადოდ სიმღერის და კერძოდ
ქართული ხალხური სიმღერის უაღრესად ნაციონალური ხასია-
თი, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუსიკის ისტორიისა
და თეორიის გასათვალისწინებლად. მისი დებულებით ქართუ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 79, წერილები მეცხრამეტე
საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე.

² იქვე, გვ. 130.

³ იქვე, გვ. 131.

ლი ხალხური სიმღერა „თვითმყოფი სიმღერაა, და ამ მხრით მუსიკის მკოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის“¹.

ამავე წერილში დასმულია საკითხი წინაპართაგან შექმნილი ხალხური სიმღერების გავრცელებისა. ხალხური შემოქმედების დიდმა მოამაგე პოეტმა გულთბილი მადლობა მიუძღვნა ლადო აღნიაშვილს ქართული კონცერტის გამართვისათვის, — რატილს კი — გუნდის გაწვრთნისათვის და აღნიშნა: „სასურველია, რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმემ ხშირად გვასიამოვნოს ხოლმე ისე, როგორც შაბათს საღამოს გვასიამოვნა“².

წერილში დასმულია აგრეთვე საკითხი სცენურ ხელოვნებაში ქართული ხალხური სიმღერების გამოყენებისა. მწერალმა ღრამატულ დასს მიზნად დაუსახა წარმოდგენებში ქართული ხალხური სიმღერების გამოყენება. ილია ჭავჭავაძემ მშვენივრად იცოდა, რომ ხალხური შემოქმედება ასულდგმულებს ქეშმარიტ ხელოვნებას. ილიას მიერ მკვეთრად დასმულ ამ საკითხს, სხვა საკითხებთან ერთად, დღემდე შერჩა აქტუალური მნიშვნელობა.

* * *

ილია ჭავჭავაძის მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში ეროვნულსა და სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მეცნიერული შეხედულებანი ხალხური შემოქმედების რაობაზე, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებზე და მათ სოციალურ ფუნქციაზე. მწერლის პათეტიკური მიმართვა ანდაზისა და მისი მთქმელისადმი „კაცია ადამიანის“ შესავალში მოხდენილი დახასიათებაა ფოლკლორის ერთი სპეციფიკური ჟანრისა და მის შემოქმედთა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 133, წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე.

² იქვე, გვ. 134.

პოლემიკურ წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე სიცრუე“, მოცემულია ზუსტი განმარტება ზღაპრისა, იგავისა და არაკისა.

სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუის“ ფილოსოფიურ სახელწოდებას ილია ამგვარად ხსნის: „მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო“. ზღაპრის, არაკისა და იგავის რაობას ილია ასე არკვევს და ახასიათებს: „ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე — შიგ ჩასახული აზრია“¹. ხალხური სიტყვიერების ამ უანართა ნაწარმოებების აღმზრდელობით მნიშვნელობას ილიამ მეტად მაღალი შეფასება მისცა: „იგავი, არაკი, ზღაპარი იწინისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწვრთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად“². აქ, მოკლედ, მაგრამ სწორად არის შეფასებული ზღაპრის, არაკისა და იგავის შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ქართული ფანტასტიკური ზღაპრის ტრადიციული შესავალი ფორმულის ფუნქციის განსაზღვრა. ილიამ აღტაცება გამოთქვა ქართული ზღაპრის ტრადიციული ფორმულის გამო, რომლითაც ხალხმა ზედმიწევნით აღნიშნა ჭეშმარიტი ხელოვნების სასწაული. ამის გამო ილია წერს: „ჩვენი ზღაპარი ტყუილად კი არ იწყება „იყო და არა იყო რა-თი“. „იყო“ შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო რა“ ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულის-ყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც-კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება“³. ამ თვალსაზრისით მწერალი ზღაპარს, არაკსა და იგავს გვერდით უყენებს მხატვ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., გვ. 280.

² იქვე, გვ. 280 — 281.

³ იქვე, გვ. 280.

რულ ლიტერატურას, კერძოდ „ვეფხისტყაოსანსაც“. იქვე ვკითხულობთ: „მთელი ეგრეთწოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბით ცხადჰყოს მართალი“¹. ასე ღრმა მეცნიერულია დიდი მწერლის მიერ ხალხური შემოქმედების რაობის გარკვევა და ცალკეულ ჟანრთა ნაწარმოებების განსაზღვრა და განმარტება. შეიძლება არ დავეთანხმოთ მწერალს ტერმინ „არაკის“ „არაკი აყო“-დან წარმოშობის საკითხში. ეს ტერმინი სხვა გზით დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში და ფართო გავრცელება ჰპოვა ხალხშიც.

სხვა წერილებშიც აღნიშნა ილიამ ხალხური შემოქმედების აღმზრდელი მნიშვნელობა, მისი დიდი შთამაგონებელი ძალა. უაღრესად პატრიოტულ წერილში „ქვათა ღალადი“, რომელშიაც საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და ენის საკითხები მაღალ, მეცნიერულ და პრინციპულ სიმაღლეზეა აყვანილი, საილუსტრაციოდ გამოყენებულია ხალხურ ლექსებში მოცემული მაღალი ზნეობრივი იდეალები. ილია ქადაგებს: „ქეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდაო“ და აღნიშნავს: „ამისათვის საკმაოა საღი ჰკუა და უბრყვილო გული უბრალო გლეხკაცისაც, „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა“, ან: „ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვებარი“, — განა უბრალო გლეხკაცის ნათქვამი არ არის?“².

ილია ჰავეჰავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებას. მისი შეხედულებით ხალხის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე უნდა აიგოს ისტორია. მწერალმა გულისტკივილით აღნიშნა ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ მეფეთა და დიდებულთა ისტორია არის. მან დასაბუთებულად, მკაცრად გააკრიტიკა ისტორიისადმი ცალმხრივი მიდგომა: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამ-

¹ ი. ჰავეჰავაძე, თხზ. სრ. კრებ. გვ. 281.

² ი. ჰავეჰავაძე, თხზ. სრ. კრებ. II, გვ. 419.

ბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავისთავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.

ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის-ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“¹. ხალხის ცხოვრების ისტორიის ფარდის ასახდელად ილია დიდ მნიშვნელობას აძლევდა ზეპირსიტყვიერებას. „აი ისტორიაში“ წინა ისტორიული ხანის შესახებ მსჯელობისას ვკითხულობთ, რომ იგი „ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული“. ილია აღნიშნავს, რომ ადამიანის გონებამ შესძლო ამ გასაღების პოვნა, ამგვარად შესძლო ახსნა წინა ისტორიული მმართველობის, ოჯახური წესების, ჩვეულებების და სხვათა. ერთ-ერთ ამგვარ გასაღებად ილიას ზღაპარნარევი ამბები და თქმულებები მიაჩნია. ხალხურ ნაწარმოებებს ილია არ აიგივებს ისტორიულ დოკუმენტებთან. მან მწვენივრად იცის, რომ ამ ნაწარმოებებში ბევრი რამ ხალხის ფანტაზიის ნაყოფია, იცის, რომ ისტორიკოსი ამგვარ ამბებსა და თქმულებებს კრიტიკულად უნდა მიუღდეს. ილია წერს: „ეს გასაღები ზოგში ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევი ამბები, თქმულებანი, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ნე-ჩვეულებისა“. იქვე, ქვევით ვკითხულობთ: „თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოთ“².

წერილში „ქვათა ღაღადი“ აღნიშნულია, რომ ზეპირსიტყ-

¹ ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., II, გვ. 483.

² იქვე, გვ. 322 — 323.

ვიერება ყველა ერისათვის ყოფილა წყაროდ ისტორიისა. საგულისხმოა პატკანოვის საწინააღმდეგოდ მიმართული სიტყვები:

„ლანგლუა ამბობს, რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა“ ზღაპარიად და სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლოს, კახოს და სხვა ამისთანაები, რასაკვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, და რომელი ერია ქვეყანაზე, რომ თავისი ისტორია ამისთანა ზღაპრით არა ჰქონდეს დაწყებული“¹. ხალხური ლექსის ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე წერილიდან „ლუარსაბ წამებული“ შემდეგი ადგილი: „ამ ლუარსაბის დროსვე იყო ერთი სხვა გამოჩენილი კაციც, ნუგზარ არაგვის ერისთავი, სიმამრი სააკაძისა, რომლის სახელიც დღევანდლამდე სახსოვრად ჩარჩენია გულში საქართველოს ერს. ჩვენი ერი დღესაც ნუგზარს იხსენიებს ამ საგულისხმიერო ლექსით:

„ნუგზარ ერისთვის დროსაო,
სისხლის წვიმების დროსაო“².

საგულისხმოა ამ მხრივ კიდევ ერთი პატარა წერილი „ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“. წერილში დახასიათებულია ვახტანგ ორბელიანის ოჯახური აღზრდის პირობები. ხაზგასმულია, რომ დედამ — თეკლე ბატონიშვილმა ვახტანგს ბავშვობიდანვე ჩაუნერგა მამულის სიყვარული. აღნიშნულია, რომ ვახტანგ ორბელიანის ოჯახი ეკუთვნოდა იმ ოჯახებს, რომელთაც „შერჩათ კიდევ ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანწირულ გმირთა, რომელთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნეობით აღტაცებულ ქაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს. თუმცა ყოველი ეს კარჩაკეტილი იყო, ხმაამოუღებელი, ღაქსაქსული, აქა-იქ ცალ-ცალკე ბუქტავდა, მაგრამ არ შეიძლება თავის საქმე კი არ ეკეთებინა, თავისი ნასკვი არ გამოენასკვა და ადრე თუ გვიან არ წამოეყენებინა ცხოვრებისათვის გამოსახსნელად“³. ეროვნული გრძნობით გამთბარი ეს სიტყვები

¹ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. II, გვ. 428.

² იქვე, გვ. 489.

³ იქვე, გვ. 102 — 103.

მხოლოდ ვახტანგ ორბელიანის პატრიოტიზმთან დაკავშირებული კერძო ფაქტის გამომხატველი არ არის. ეს ღრმამეცნიერული გაგება საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მწერალს განზოგადოებული ჰქონდა, რის საუკეთესო ნიმუშია მისი უკვდავი პოემა „აჩრდილი“. ამ პოემაში თითქმის ასეთივე სიტყვებითაა დახასიათებული საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა პატრიოტული დანიშნულება, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

საგმირო პოეზიის სოციალური ფუნქციის შესანიშნავი ახსნაა მოცემული დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს ნათქვამ გრძნობიერ სიტყვებში: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგან წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თავიანთსა სცემს სასოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუფიწყარობა“¹. მწერლის სიტყვების დამადასტურებელია დიდ ეროვნულ გმირზე შექმნილი ხალხური ნაწარმოებები.



ილია ჭავჭავაძე სავსებით ფლობდა ხალხურ სიტყვიერებას, სიტყვიერი ხელოვნების ამ თავისებურ სფეროს. ბუნებრივია, რომ ეროვნული კულტურის ეს უძვირფასესი განძი, ხალხის ნაფიქრ-ნაგრძნობისა და პოეტური შემეცნების საუნჯე მისი შემოქმედების უდიდესი ფაქტორია. ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხების გადაჭრისას ილიამ უხვად გამოიყენა შესაფერისი ნიმუშები ხალხური შემოქმედებისა. ილიას შემოქმედებაში გაცოცხლებული, გაახლებული და ღრმად გააზრებული ეს მასალები უხეში თვითმპყრობელური რეჟიმისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი საუკეთესო ხერხია. ილია ჭავჭავაძის მდიდარ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. II, გვ. 486 -- 487.

სა და მრავალფეროვან შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერება სწორად სოციალური პრობლემის დაყენების საშუალებაა; ზოგ ნაწარმოებში იგი თანაბრადაა გამოყენებული როგორც სოციალური, ისე ეროვნული მოტივების გასამახვილებლად. უფრო მეტ შემთხვევაში კი მშობელი ქვეყნის დიდმა მოამაგემ გამოიყენა იგი ეროვნული საკითხის მკვეთრად დასმისა და გადაჭრისათვის. ამ შემთხვევაში ხალხური შემოქმედების გამოყენების ხასიათი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ძირითადი იდეით არის განსაზღვრული.



ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება, მისი პირადი ცხოვრება სავსეა ფაქტებით, რომლებიც ადასტურებენ მწერლის დიდ თანაგრძნობას მშრომელი ხალხისადმი. ილია ჭავჭავაძემ მხატვრული შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები მიუძღვნა სოციალური უთანასწორობის საკითხს.

მაღალი შეფასება დაიმსახურა სოციალური უთანასწორობისადმი მიძღვნილმა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებმა. სოციალური უთანასწორობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მაღალ მხატვრულ დონეზეა აყვანილი. ილია ჭავჭავაძემ მოგვცა მომნიბელელი სიმართლით დაწერილი ბრწყინვალე ფურცლები. გლახთა და მემამულეთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ბევრი ამგვარი ფურცელი შთაგონებულია სწორედ ხალხური შემოქმედებით.

სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული შესანიშნავი ლექსი „გუთნის დედა“. ლექსში უდიდესი პოეტური გზნებით არის დახატული უფლებააყრილი ყმა გლეხის მდგომარეობა. ეს ლექსი არ არის დამოუკიდებელი ხალხური შემოქმედებისაგან. მისი დასაწყისი სტრიქონები შთაგონებულია ხალხური ლექსით, რომლის პირველი ჩანაწერი ჩვენთვის 1850

წლის რუსული თარგმანით არის ცნობილი¹. შესადარებლად მოგვეყავს ილიას ლექსის დასაწყისი და ხალხური ლექსი.

ილია ჭავჭავაძე:

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ.
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვკიმოთ ჭაპანი ჩვენო,
უსიხარულოდ დაელით დღენი...

ხალხური:

Ну буйволки, рогатый
Я тебе товарищ по ярму;
Но не могу нести его с тобой:
Меня называют еще мальчишкой.

ქართული ვარიანტები:

- 1) პო ტპუ კამეჩო, რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო.
მეხრეობას ვერ გაგიწევ:
პატარა ბიჭი მქვიანო.
- 2) პო პტუ კამეჩო, მქვიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
მე მეუღლობას ვერ გიზამ:
პატარა ბიჭი მქვიანო.

ილიას ლექსი ბრმად არ მისდევს ხალხურ ტექსტს. მისი გუთნის დედა იძულებულია ლაბასთან ერთად „ერთგულად კიმოს ჭაპანი“. ეს გარემოება ოდნავადაც არ ასუსტებს იმ მძაფრ სოციალურ მოტივს, რაც ხალხური ლექსის დამახასიათებელია. პირიქით, ილია თავისი ლექსით კიდევ უფრო ღრმად გვახედებს პირუტყვზე უარეს სავალალო ყოფაში ჩავარდნილ ყმა გლეხის სულში. ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავ გლეხთა სიბეჩავის ასახვის მიზნით ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ცნობილი გუთნური სიმღერა:

¹ И. Евлахов, О народных песнях и певцах в Грузии, «Кавказ», 1850. № 64.

„გლახის ნაამბობი“ დაუზოგავი მხილება იყო ბატონყმობის მახინჯი მხარეებისა. ამ ნაწარმოებში ჩართული ზღაპრის, ლექსების, ანდაზების და სხვათა საშუალებით მწერალმა ჩაგვახედა სოციალური ბოროტებით გამწარებულ ყმა გლეხთა გულში; მათი საშუალებით დაგვანახა ფუქსავატი, ზვიადი, ყინიანი ბატონის შემზარავი სახე; გაგვაცნო მეფის მოხელეთა მუხანათობა, — მათი „უსამართლო სამართალი“.

ზღაპრის იდეურ-მხატვრული მხარე, მისი დიდი შთამაგონებელი ძალა მწერალმა გამოიყენა მშრომელთა სულისკვეთების, მათი ფიქრისა და განცდის ასახვის საშუალებად. დასამახსოვრებელია გაბროს სიტყვები: „...ყური ვუგდე და ის, რასაც კითხულობდა, თითქო მეცნო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოს. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადამიტრიალდა. „დალახვრა ღმერთმა, — წამოვიძახე უცებ, — ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?“.. დიად, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გახლდათ... მე რომ მ.შინ წიგნი მკოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა“².

მრავალი ანდაზა ამ ნაწარმოებში გამოყენებულია უვიცობისა და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცოდნას დაუფლებული ადამიანი იწორჩილებს ბუნებას, დასაბუთებულია ანდაზების საშუალებით. საინტერესოა ამ მხრივ მოთხრობის ერთი ეპიზოდი. უვიცმა გლეხმა პეტრემ შვილს აუკრძალა წერა-კითხვის სწავლა. გლეხები მის საქციელს კიცხავენ: „ავი ძაღლი არც თითონ სკამს, არც სხვას აკმევს... მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რად ასწავლის?.. — შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისტანა თავხედს კაცსა შეუჩვევარ ღბინსა“³.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 14.

2 იქვე, I, 271 — 272.

3 იქვე, გვ. 275.

სოციალური მოტივის გამახვილების მიზნით აქვე მოცემულია კრიტიკა ძველი წარმოშობის ანდაზისა და მის შინაარსთან დაპირისპირებულია ცოდნით შეიარაღებული ადამიანის ყოვლის შემძლეობა ბუნების გარდაქმნის საქმეში. უვიცი პეტრე თამამად ეუბნება გლეხს, რომ მისი შვილის საქმე არ არის სწავლა: „...რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე!“¹ შემდეგ კი, როცა გლეხი დარწმუნდა ცოდნისა და გამოცდილების დიდ ძალაში, აღტაცებით წარმოთქვა: „ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე“². ცოდნისა და გამოცდილების დიდი მნიშვნელობა და ძალა აღნიშნულია იმავე გლეხის ნათქვამი ანდაზებით: „მჯობს მჯობი არ დაეღვეა“ და „საიღამ სადაო, წმინდაო საბაო“³.

მოთხრობაში ჩართული მრავალი ანდაზა და სიტყვის მასალა ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოწოდების ხერხია. სანიშნუშოა ამ მხრივ მღვდლისა და გაბროს დიალოგი:

— „კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონა? — კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

— იმ ფერის იქნება შენც გცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!“

— ღმერთმა ქნას, მეც ეგ მინდა, ნეტავი მეცხოს!

— აი, ეს ბურთი და ეს მოედანი, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო.

— მე უარზედ არა ვდგევარ, ვცდი, თუნდა კლდემ ქვეშ მაგიტანოს...

... — ე! თუ ეგრეა, მაგისთანა გულმაგარსა ვერაფერი ვერ მაგიტანს ქვეშ, თუ მაგიტანს, აუღებები ფეხზედ“⁴.

თავისუფლებისათვის ბრძოლას ქადაგებს მწერალი მღვდლის სიტყვებით, რომელშიაც ჩართულია ხალხური გამო-

¹ ი. ჰავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ. I, გვ. 275.

² იქვე, გვ. 277.

³ იქვე, გვ. 276.

⁴ იქვე, გვ. 279 — 280.

თქმა: — იმას კი არა შეედრება რა, როცა ცა ქუდად გვაქვს და დედამიწა ქალამნადა“¹.

წოდებათა შორის ჩატეხილ ხიდს რელიეფურად გამოხატავს ანდაზა: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს“. ეს ანდაზა ათქმევინა მწერალმა ენიან დათიკოს სინდისის ქენჯნის გამოსახატავად საციმბიროდ გამგზავრებულ გაბროსა და პეპიას დახსნის წუთებში². იგივე ანდაზა გაიმეორა დათიკომ, როცა მისგან გაუბედურებული ყმა გლეხის დამბაჩით გულგაგმირული დაეცა³.

ხალხური საგმირო-საისტორიო ეპოსის შესანიშნავი ნიმუშის „არსენას ლექსის“ ერთი ძირითადი ეპიზოდით არის შთავონებული ამ მოთხრობაში ბორკილშეხსნილი: ტუსაღის ფარაჯაში გამოწყობილი გაბროსა და ვაჭრის შეხვედრის სცენა. უკმელ-უსმელი, ცის ქვეშ დარჩენილი, დასუსტებული პეპიას ხსნის მიზნით გაბრომ ვაჭარს ჩამოართვა ცხენი, იარაღი, ტანისამოსი, საგზალი და ორიოდ თუმანიც. თავისი მოქმედება მან სახალხო გმირზე ნათქვამი სიტყვებით გაამართლა: „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როღი წაგახდენსო“, — იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი“⁴.

უსამართლობისაგან გულამღვრეულ ადამიანთა განწყობილებას გვაცნობს ანდაზა, რომელიც მშრომელთა დაჭრილი გულია მალამო იყო. გარყვნილი დათიკოს თავხედობით აღელვებული პეპია გაბრომ ასე ანუგეშა: „ნუ გეშინიან, ისე არა სწვიმს, როგორც ჰქუხს“⁵.

პროგრესულ-დემოკრატიულ იდეას აძლიერებს ხალხური წემოქმედება პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

ამ პოემაში პოეტს მოცემული აქვს ზუსტი დახასიათება ძველი შრომის სიმღერის ტრადიციის, მისი ფუნქციონისა და ბუნების. ამით მკითხველი ღრმად იხედება სოციალური უკულ-

¹ ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. I, გვ. 292.

² იქვე, გვ. 313.

³ იქვე, გვ. 319.

⁴ იქვე, გვ. 314.

⁵ იქვე, გვ. 303.

მართობით განაწამებ მშრომელთა სულში. პოემის შესავალში მოცემულია მშობლიური კუთხის გრანდიოზული პეიზაჟი მთვარიან ღამეში. ამას თან ახლავს ურმულის ტრადიციის, მინი მნიშვნელობის უტყუარი დახასიათება:

მხოლოდ კი ერთგან ურემი მშიმე
მიჭრიალებდა. გზას აღვიძებდა
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაქლუღუნებდა.
ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰყერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდევ ვით ღრუბელს ქარი" 1.

ძველი შრომის სიმღერების სოციალური ბუნების გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ადგილი პოემისა, სადაც მეურმე შენატრის მის მიერ ნაჩვენები გზით კაკო ყაჩაღისაკენ მიმავალ „თავზე ხელალებულ“ მხედარს. თავისუფლებას მონატრებული მაშვრალი ბედუკუღმართობის ღრმა სცვდას ურმულში აქსოვს:

თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ ნეტავი შენ!“ — წაიღულუნა
და გაიქნია რა თავი, მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღულუნა 2.

ამ პოემაში ბატონყმობის მკაცრი კრიტიკის საშუალებადაა გამოყენებული „არსენას ლექსი“. მენახირეთა ყოფის აწერისას ნაჩვენებია „არსენას ლექსის“ დიდი შთამაგონებელი ძალა სოციალური ბოროტებით დაჩაგრულთათვის. ზაქროს სიტყვებში იშვიათი ოსტატობით არის მოცემული მშრომელი ხალხის დიდი საყვარული უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირისადმი:

ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავეთ მე შემეთვისა
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა...

1 ი. კვაქვაძე, თხზ. სრ. კრებ. I, გვ. 147—148.

2 იქვე, გვ. 148—149.

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯაერი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული¹.

პოემაში ნათელი მაგალითებით არის აღნიშნული საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა გენეზისი, რაც ამახვილებს სოციალურ მოტივს. მნიშვნელოვანია ამ მხრაც ზაქროს სიტყვები კაკოსადმი:

შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს².

გმირი თავის უკვდავებას სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლით ქმნის. ზაქროს სიტყვებით დასაბუთებულია არსენას სახელის უკვდავება:

მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლუხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლუხკაცის ბედი, კირი და ლხენა,
შვილსავეით კალთით უტარებია.
აბა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურებია!
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია³.

წარსულში მშრომელთა ყოფის შესანიშნავი დახასიათებაა მოცემული ზაქროს თავგადასავალში სიმღერისა და ზღაპრის ტრადიციის მოხდენილი აღწერით⁴.

ხალხური შემოქმედება მძლავრი ფაქტორია ამ პოემის სიუჟეტის განვითარებაში. იგი საუკეთესო ხერხია პოემის გმირების მეზობლი სულისკვეთების დასახატავად. ბუნებრივია, რომ ხალხური შემოქმედებით შთაგონებულმა ნაწარმოებმა ფართო რეზონანსი პოემა ხალხში. ცნობილია მისი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. I, გვ. 154.

² იქვე, გვ. 151.

³ იქვე, გვ. 152.

⁴ იქვე, გვ. 153 — 154.

ხალხური ვარიანტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხურ ვარიანტში სახალხო გმირი არსენა გაცივებულია პოემის გმირთან — ზაქროსთან¹.

რთული სოციალური ვითარების ასახვის საშუალებად არის გამოყენებული ხალხური სიტყვიერება „გლენტა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“. ბატონყმობას გაუქმებით შექმნილ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა განწყობილება გამოხატულია ხალხური სიმღერებითა და ანდაზებით. მომრიგებელ მოსამართლემ ადვილად შეარიგა მოხუცი ბატონი და მისი ყოფილი ყმა იაკო. კეთილი ბატონისა და ბრძოლის უნარდაკარგული ყმის განწყობილება გამოხატულია სიმღერით. მოხუცი ასე მიმართავს ყოფილ ყმას: „წამო, იაკო, ერთი ჩვენ კაკალ ქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლაღი ყმა, მტერო, არ შეგეპოვები“².

გაბოროტებული აზნაურის ქვრივი კი ბატონყმობის გაუქმებით მოწოლილ ბოღმას გლეხების მიმართ ნათქვამი უხეში კლასიური ბუნების ანდაზებით ანთხევს: „გეგენი, ჩემო დიდებულო ხელმწიფევე, ღორი ტილივით არიან, ფეხზე რომ დაისვათ, თავზედ აგაცოცდებიან“³. ან კიდევ: „მგელს სახარება თუნდა წაუკითხე, თუნდა არა“⁴.

წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის შესანიშნავი დასახუთებაა „ოთარაანთ ქვრივში“ მოცემული სიმღერის დახასიათება. გიორგის ტრაგიკული სიკვდილით შეძრწუნებული არჩილი კესოსთან საუბარში წოდებათა შორის განსხვავებას ასე აღნიშნავს: „აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“⁵.

¹ ქ. სიხარულიძე, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, „ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 359.

² ი. ქავკავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 399.

³ იქვე, გვ. 403.

⁴ იქვე, გვ. 404.

⁵ იქვე, გვ. 466.

ოთარაანთ ქერივი ქართველი ქალის დაუფიწყარი სახეა. იგი სახეა სიმართლის მაძიებელი, გამრჯე ადამიანისა. ასეთივე ნათელი პიროვნება იყო მისი შვილი გიორგიც. მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ისეთებიც, ვისაც სოციალური ჩაგვრის შედეგად დაკარგული ჰქონდათ სიმართლის ძიებისა და პოვნის რწმენა. მათ სრულყოფილად დასახასიათებლად ნაწარმოებში ჩართულია ხალხური ლექსი. ამ ლექსის ნაწილი ანდაზადაც არის გავრცელებული. მოთხრობაში დასამასსოვრებელი ეპიზოდია გიორგის მიერ იარგული და თავხედი ზეჯინიბის დასჯა. გიორგის საქციელის გამო მსახურთა შორის გამართა სჯა-ბაასი: „ — მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვი-სო! — ამბობდნენ დაცივნით ზოგიერთნი ახალს მოჯაჰაგირეზედ.

— დაძველდები და შენც მოატან ქვიშასაო, — იძახოდნენ მეორენი.

— ეგ სახეა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქერივის შვილს ეძახიანო! — ამბობდა ამათში მარტო ერთად-ერთი კაცი, ისე ხმაამოუღებლივ, თავის გულში ამბობდა“¹.

* *

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში ხშირად ეროვნული და სოციალური პრობლემები ერთად არის დაყენებული. პოემა „აჩრდილში“ ეროვნული განთავისუფლების დიად იდეას თან ახლავს იდეა შრომის განთავისუფლებისა. სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ „გლახის ნაამბობში“ გვხვდება პატრიოტული გრძნობით გამთბარი ისეთი ამაღელვებელი სტრიქონები, როგორიცაა საციმბიროდ გაგზავნილი გაბროს განცდების აღწერა². ორი დიდი საკითხის — ეროვნული და სოციალური საკითხის გადაჭრას თანაბრად ემსახურება „კაცია ადამიანიც“. ყველა ეს ნაწარმოები მეტად საინტერესოა ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. საქართველოს ბედით, მშობელი ერის მთლიანობის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 452.

² იქვე, 312.

იდეით არის შთაგონებული პოემა „აჩრდილი“. ამავე პოემაში სასტიკად არის დაგმობილი სოციალური უთანასწორობა. ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები, მათა შესრულების წესი, თუ სოციალური ფუნქცია ილია ჭავჭავაძის ჩვეულებრივი ოსტატობით არის გამოყენებული ამ ნაწარმოებში. ამ პოემის ერთი უძლიერესი ადგილი აგებულია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობის, სოციალური ფუნქციისა და შესრულების წესების ღრმა მეცნიერულ თვალსაზრისზე. პოეტი ქადაგებს, „რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ და თანამემამულეთა ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების მიზნით მაღალ შეფასებას აძლევს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებსა და მათზე შექმნილ სიმღერებს:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ კაბუჯთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლოერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მონადომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვალსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, —
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება. —
ყოველი იმღერს და სხვა მოკმული
გმირი იმ მღერით დაიბადება¹.

შრომის სიმღერებისა და მათი შესრულების წესების დახასიათება აძლიერებს ხაწარმოებში მოცემულ შრომის გან-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 129.

თავისუფლების იდეას. პოეტმა გამოთქვა რწმენა შრომის თავისუფლების გამარჯვებისა და მშრომელს უწინასწარ-ბეტყველა:

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წარმეულთ ნიქთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თუთ აღმალდები,
ორც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღულუნი დაღონებული,
მღერა, ვით კენესა, საწყალის მეზრის,
შორი ხმა მწუქმსის დაობლებული, —
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტბილი..
- მიწდორნი, ტყენი, ნახნაენი, ველნი
შენის ლენითა განიხარებენ.
შენგან შემქულნი იგი ყოველნი
შენს ტბილ სიმღერას ბანს გამოსცემენ¹.

შრომის ტყვეობაში მყოფი მაშვრალისა და მომავალი, თავისუფალი „განკაცებული“, ახალი ქვეყნის შეილის შედარების მიზნით ამ სტრიქონებში დახასიათებულია სხვადასხვა ეპოქის შრომის სიმღერის ჰანგი, კილო და ბუნება. ძველი შრომის სიმღერების სევდიან ჰანგსა და კილოს ილიამ გასაოცარი წინასწარმეტყველური გრძნობით დაუპირისპირა განთავისუფლებული ხალხის შრომის სიმღერები. ილიას წინათგრძნობა გამართლდა. ჩვენს ქვეყანაში ახლა თავისუფლების სიმღერებს „ბანს გამოსცემენ“ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების „მიწდორნი, ტყენი, ნახნაენი, ველნი“.

ეროვნული და სოციალური საკითხების მკვეთრად დაყენების მიზნით ილიას შემოქმედებაში გამოყენებულია გავრცელებული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

პოეტის შემოქმედებაში ამ ანდაზის ფუნქციას ნათელს

¹ ი. ჰავქავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 133.

ფენს ადრე დაწერილი, ხელოვნების დანიშნულებისადმი მიძღვნილი ლექსის „ჩემო კალამოს“ სტრიქონები:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულელია!“
ბრყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულელიში რაოდენიც სიყვარულია!¹

წერილში „საქართველოს მოამბეზე“ მეცნიერებისა და ხელოვნების დანიშნულების საკითხებზე მსჯელობისას ილია წერს: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი“. „...ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლესური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“².

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ამ ანდაზის ჩოლო მხატვრული პროზის ბრწყინვალე ნიმუშში „კაცია ადამიანში“. მოთხრობის ეპიგრაფად წამძღვარებული ანდაზა გამოხატავს მწერლის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

ამავე ნაწარმოებში სხვა ანდაზების საშუალებით დაგმობილია უშინაარსო ცხოვრება, სიზარმაცე, უქნარობა. გადაგვარებულ თავადთა უაზრო მოქმედება გამოხატულია ანდაზით „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“³. ანდაზით „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“ სასაცილოდ არის აღებული დაკნინებულ თავადთა უსუსური ღონისძიება დრომოკმული, ძველი წესწყობილების — ბატონყმობის დაცვისა⁴. მუქთახორა თავადთა თვალსაზრისი მშრომელ ხალხზე გამოხატულია ლუარსაბის ნათქვამი ანდაზებით: „ლორის მკებნარსავით, რომ

¹ ი. ჯავახიანი, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 73.

² იქვე, ტ. II, გვ. 47.

³ იქვე, ტ. I, გვ. 315.

⁴ იქვე, გვ. 316.

გლახკაცი ფეხზედ დაისო, თავზე აგაცოცდებო, მაშ! შიშა შეიქმს სიყვარულსაო“¹. უმოქმედოთა და გადაგვარებულთა მკაცრ სატირას წარმოადგენს ამ ზოთხრობაში ჩართული ანდაზები: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“²; „ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“³; „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“⁴ და მრ. სხვა.

ეროვნული და სოციალური მოტივების გაღრმავების მიზნით ამ ნაწარმოებში დაპირისპირებულია ორი ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შეილი სჯობდეს მამასა“ და „ნუ დააგდებ ძველსა გზასა“⁵. მწერალი ხაზს უსვამს პირველი ანდაზის პროგრესულობას და აკრიტიკებს მეორეს, უცხოურა წარმოშობის ანდაზას, რომელსაც ლოზუნგად ვერ გაიხდის ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლი ადამიანი.

მწერლის მიზანდასახულებას გვამცნობს აგრეთვე ნაწარმოების დასკვნაში ჩართული ანდაზა: „მე მიყვილია და გათენდება თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდესაც იქნებოდა“⁶.

გადაგვარებულ ადამიანთა სახეების სრულყოფის მიზნით, მათი გონებრივი სილატაკის და გაუნათლებლობის დასასაბუთებლად ნაწარმოებში ჩართულია ცრურწმენანი, ამ რწმენათა საფუძველზე შექმნილი თქმულებანი, შელოცვები, მათი შესრულების წესები და სხვები.



დიდმა მწერალმა ხალხური შემოქმედების ბევრ ბრწყინვალე ნიმუშს ჩაჰბერა უკვდავების სული, გადაამუშავა, განაახლა და თავის მხატვრულსა და პუბლიცისტიკურ ნაწერებში დაუკავშირა სამშობლოს ბედს.

¹ ი. კაქავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 334.

² იქვე, გვ. 326.

³ იქვე, გვ. 328.

⁴ იქვე, გვ. 368.

⁵ იქვე, გვ. 387.

⁶ იქვე, გვ. 389.

ხალხური ლეგენდით არის შთაგონებული ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში, დიადი ეროვნული გრძნობის ვირტუოზულად გამომხატველი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. ლეგენდები ბაზალეთის ტბაზე, როგორც აღვნიშნეთ, ილიამ ამ ტბის ახლოს მოისმინა თანასოფლელ გლეხებისაგან. ამ ლეგენდების ილიას ლექსთან შედარება ცხადყოფს, თუ რა ღრმა აზრი მისცა პოეტმა ხალხურ ნაწარმოებებს. უკანობი წალკოტი ბაზალეთის ტბის ქვეშ სამშობლოს სიმბოლიური სახეა. იგი სახეა მშობლიური ხალხისა, რომელმაც „შეანძრია თავის უკვდავების ძარღვი“ და ელოდა „ვაჟკაცსა სახელოვანსა“.

ხალხური შემოქმედების ნიმუშებით არის შთაგონებული და სულჩადგმული მრავალი უძლიერესი ადგილი მხატვრული პროზის შედევრის „მგზავრის წერილებისა“. კავკასიონის პირქუში მთების კლდე-ღრეში ქექა-ქუხილით, ზარიანი ხმაურითა და შფოთვა-ფოთვით დაუმონავი და შეუპოვარი თერგის დინება ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერლისათვის ერის გამოღვიძების, ბრძოლისა და შემოქმედების სიმბოლო იყო. თვითმპყრობელობის უხეშ რეჟიმთან შეგუებულთა, ბრძოლის უნარმოკლებულთა დაუზოგავი მხილება ვლადიკავკავის მიდამოებში მღორედ მიმავალი თერგისადმი მიძღვნილი ანდაზაჩართული სტრიქონები.

უმოქმედობა, ზვიადობა და მედიდურობა არის დაგმობილი ცივსა და მიუკარებელ მყინვარზე ნათქვამ სიტყვებში ჩართული სიტყვის მასალით: „... დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდად მაქვს და დედამიწა ქალამნადაო“¹.

ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ეროვნული მთლიანობის იდეა სრულყოფილია ლელთ ღუნისა მიერ მოთხრობილი თქმულებით არშის ციხეზე. მოხევემ დაასრულა თუ არა თქმულება მოხევეთა და კახელთა ერთიმეორის დალაშქერის შესახებ,

¹ ი. ჰავკავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 255.

შენიშნა: „— აწინა ყველანი ქართველნი ძმანები ვარნი. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის“¹.

„მგზავრის წერილებში“ მოცემული იდეა „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ მწერალმა კიდევ უფრო გააღრმავა და განავითარა პოემა „განდეგილში“. პოემას საფუძვლად უდევს სამიჯნურო ცდუნების მოტივზე აგებული ხალხური ლეგენდა, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მსოფლიო ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში. ილია ჭავჭავაძემ თავისებური სახე მისცა ხალხურ ლეგენდას და მით განოხატა პროგრესულ-დემოკრატიული იდეა, რომლის დანერგვასაც შესწირა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე. დამტკიცებულია, რომ პოემის დაწერისას ილიამ გამოიყენა უშუალოდ ქართული ხალხური წყარო².

ამ დრამად ფილოსოფიურ პოეტურ ქმნილებაში ყურადღებას იქცევს ხალხური შემოქმედებიდან აღებულ გმირთა გამოკვეთილი სახეები. მათი საშუალებით განსახიერებულა სიცოცხლის უდიდესი ძალა.

ჰატრიოტული პოემის „ქართველის დედის“ მიზანდასახულება მოცემულია ქვესათაურში „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“. ქართველი ერის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება ამ ნაწარმოებში ხალხური ლექსი. სამშობლოს დასაცავად მიმავალი შვილისა და მომაკვდავი დედის გამოთხოვების ამადლევებელ სცენას ეპიგრაფად უძღვის პოეტის.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 263.

² Хаханов, Кн. Чавчавадзе, как этнограф. „Этнографическое обозрение“, 1908 г. кн. LXXVI: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945 წ.; ს. მაკალათია, ხევი..., ნინო მახათაძე, ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფოლკლორული წყაროება, სტალინის სახ. თბილისის სახ. უნ-ტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II; მ. ჩიქოვანი, „მიჯაპვეული ამირანი“, 1947 წ., გვ. 28 — 83.

მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული გავრცელებული საგმირო
სიმღერა:

გაგვიძელ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვიპაც თავი აქვს ცდისაო.

ქართველ ერს იდეალად დაუსახა პოეტმა მის მიერ დახატულ
პატრიოტ დედა-შვილთა ჯანსაღი სულისკვეთება. ამ მიზნი-
სათვის გამოიყენა შთამაგონებელი, მებრძოლი ხალხური სიმ-
ღერა. ეპიგრაფად წამძღვარებული ხალხური ლექსი აღრმავ-
ებს და ნათელს ხდის ნაწარმოების ძირითად იდეას, ამდიდ-
რებს მის იდეურ-მხატვრულ მხარეს.

ხალხურ შემოქმედებასთან არის დაკავშირებული პოემა
„მეფე დიმიტრი თავდადებული“. ქართველი ხალხის ტრაგიკუ-
ლი წარსულის ამსახველ პოემას პოეტმა წაუმძღვარა ღრმად
მოფიქრებული შესავალი. მასში მოცემულია საგმირო-საინს-
ტორიო ნაწარმოებთა შესრულების გარემოს ნათელი სურათი.
აქ დიდი დაკვირვებითა და ღრმა ცოდნით არის აწერილი საგ-
მირო სიმღერების შესრულება. საგმირო ამბები შთამაგონე-
ბელი იყო თვითმპყრობელური რეჟიმით სულშეხუთული
ხალხისათვის. ამგვარი ამბების ოსტატურად შემსრულებლ-
ები — მეფანდურეები, მესტვირეები და სხვები ხალხის სიყვარ-
ულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. ყველაფერი ეს
ქართველი ერის დიდმა მოამაგემ გამოიყენა პატრიოტული
გრძნობის გაღვიძებისა და გაღრმავების მიზნით. ფანტურის
ჰანგზე შესრულებული სიმღერის კილოთი დაწერილი პოე-
მის შესავალი ასეთია:

უქმე დღე იყო, ტვირთძიმე და დამაშვრალი,
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა;
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანდურე იჯდა ცალკედ და მღუმარებდა.

„ეჰ, რას ჰყაყანებთ“, — დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა. —
შინაც ძლივს ვუძლებთ დღე-მუდამის ქირს, ვაგლახობას!
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წაღიღმა...
ბრმა მეფანდურევე, გვითხარ რამე, ჰამა-შვილობას!
გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული.

ეგებ გულს ეანგი მოაშორო კარგის ამბითა...
კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრულ,
გული გაზრდილი ვაებათა, წვათ და დაგვითა“.

ბრმა მეფანდურე გაიმართა მაჰინევე წელში.
სახე ღრუბლილი გაუნათლდა რაღაც მადლითა;

მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანდური ხელში,
დაპკრა ფანდურსა და დამღერა ნელისა ხშითა¹.

პოემა სიუჟეტურად დამოუკიდებელია ხალხური შემოქმედებისაგან, მაგრამ მასში მოხდენილად ჩართული ანდაზები სრულყოფენ პატრიოტ გმირთა უკვდავ სახეებს. ანდაზები იწვევენ აგრეთვე მძულვარებას უხეში ძალმომრეობისადმი. ბრმა მეფანდურე ყველა ამბავს მშობლიური ხალხის წარსულ ტრაგედიაზე და უკეთესი მომავალისაკენ მოუწოდებს მსმენელებს ანდაზით: „წინა კაცი უკანასი ხიდიო, ნათქვამია“². ანდაზითვეა გამონათული სამშობლოსათვის თავდადებული მეფის გონიერება: „ოცჯერ ზომევა, ერთხელ ჭრათ წესია ჰეფეთ ქებულთა“³. განსაკუთრებით აძლიერებს ნაწარმოების ეროვნულ მოტივს ანდაზა, რომელსაც ჯალათ ყეინს წამების წინ ეუბნება შეუღორეკელი ბეფე საქართველოსი: „ნუ მოგაქვთ თავი იმით, რომ ძალა აღმართის მხენელია“⁴.

ეს პატრიოტული პოემა გადავიდა ხალხში. ცნობილია მისი ხალხური ვარიანტი გადმოცემის სახით⁵.

საგმროო თქმულებათა შესრულების ტრადიციას გვაცნობს მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. მამა უამბობს შვი-

¹ ი. ჰაქვაძე, თზ. სრ. კრებ. 1, გვ. 163.

² იქვე, გვ. 164.

³ იქვე, გვ. 167.

⁴ იქვე, გვ. 180.

⁵ ქს. სინარულიძე, ლიტერატ. ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, „ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 357 — 359.

ლებს აგრესორ თათართა წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირის ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის თავდადების შესახებ. ამავე მოთხრობაში აწერილი ზღაპრის შესრულების გარემო ქმნის საინტერესო საყოფიერო სცენას ¹.

ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლის, შრომისა და მოქმედების იდეით არის შთაგონებული პოლემიკური ლექსი „პასუხის პასუხი“. ერთიანი სალიტერატურო ენისათვის შებრძოლი პოეტი ამ ლექსში მის წინააღმდეგ ამხედრებულ ძველი თაობის წარმომადგენლებს უმასპინძლდება ქართული ზღაპრის ცნობილი პერსონაჟის სახელწოდებით: „თქვე ნაცარმქექნო“ ². ამავე ლექსში ძველი თაობის საყვედურის გაძო, თითქოს ახალ თაობას სათანადო მიზანი და სწავლა არა ჰქონდა, ილიამ მოიმარჯვა ანდაზა:

„უგზოდ მელელნო,
უსწავლელნო, —
ასეთმა ფურმა უნდა დაგწიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწველდესა, —
ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს“ ³.

ხალხური პოეზიის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა გამოყენებით არის დახასიათებული პოეტის თანამედროვე საზოგადო მოღვაწენი ლექსში „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“. გიორგი წერეთელი გაკრიტიკებულია გადამუშავებულ ხალხური ლექსითა და ანდაზით:

„მე ვარ და ჩემი ნახატი,
გამთენებელი ღამისა“.
„ბებერსა სასძლოდ მორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდო“ ⁴.

¹ ი. ჰავეკაძე, თბ. სრ. კრებ., I, გვ. 420 — 421.

² იქვე, გვ. 92.

³ იქვე, გვ. 94 — 95.

⁴ იქვე, გვ. 106.

სალიტერატურო ენის საკითხში ქურნალი „კვალი“ გაკრიტიკებულია თამარ მეფის ციკლის ეპიტაფიის ხასიათის ლექსის გადამუშავებით:

გაწმინდე ენა ქართული,
უწყლოსა წყალი ვაღინე¹.

აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ანდაზა და ზღაპარი მელაზე, რომელიც სოროში შეძვრა და კუდი გარეთ დარჩა:

მთესველი მარტო მას მომკის,
რაც უხნავს და უთესია.
ვინცა სოროში თავსა ჰყოფს,
კუდი კი გარედ ჰრჩებაო².

ამავე ლექსში ხალხური პოეზიის ნიმუშებით არის გაკრიტიკებული აგრეთვე სილოვან ხუნდაძე, ზონელი, მიხეილ მაჩაბელი, ივანე მაჩაბელი და სხვები.

ხალხური პოეზიით არის ნასაზრდოვები მამხილებელი, ეროვნულ-პატრიოტული ლექსები: „გამოცანები“³ და „კიდევ გამოცანები“⁴.

ხალხური შემოქმედება ეროვნული საკითხის გამუქების მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, უხვად არის გამოყენებული პუბლიცისტურ წერილებში. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითზე შევჩერდებით. წერილში „ზოგიერთი-რამ“ მწერლის მოსაზრების დასასაბუთებლად მოყვანილია ეზოპეს არაკი, რომელიც ქართულ საზღაპრო ეპოსშიც არის დამკვიდრებული⁵. გასული საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ილია წერს: „განვითიეთუღლით,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 109.

² იქვე, გვ. 114, ზღაპარი სოროში შემძვრალ მელაზე ილიას გამოყენებული აქვს აგრეთვე ფელეტონში „კარგი რამ გვირდეს, გიკვირდეს“, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 254. შდრ. ხალხური ზღაპარი მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 23 — 24.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 82 — 85;

⁴ იქვე, გვ. 88.

⁵ „ღედა ენა“, შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, 1895 წ., გვ. 138.

ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებაშ, ცალ-ცალკეობაშ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკებლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტკრევს“¹. ამ არაკით მწერალმა ცხოველმყოფელობა მისცა ეროვნული მთლიანობის იდეას, რასაც მიეძღვნა დასახელებული წერილი. ეტყობა, ილიას განსაკუთრებით მოსწონდა ეზოპეს არაკის პროგრესული იდეა, რადგან იგი გამოიყენა ჯერ კიდევ ჭაბუკობაში დაწერილ პატრიოტულ ლექსში „ჩემი თარიღალი“.

თუ ჩვენში ძმობა იქნება,
საქმე არსად წაგვიხდება.
აგერ თვით დიდი ეზოპი
თავის ზღაპრით შემოწმება².

ილია ჭავჭავაძემ თავის მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო ქართველი ქალის იდეალს. ქართველი ქალების ნათელი სახეები შექმნა ილიამ მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივში“, პოემა „ქართველის დედაში“ და სხვებში. ამ მხრივ არც მისი პუბლიცისტიკა ჩამორჩება მხატვრულ შემოქმედებას. ქართველ ქალებში ეროვნული გრძნობის გაღრმავებას მიუძღვნა ილიამ წერილი „პატარა საუბარი“³. ფელეტონში „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ ქართველ ქალებში ეროვნული სულის ამაღლების მიზნით გამოყენებულია საბავშვო თამაშობა. წერილში ვკითხულობთ: „შეიძლება ჩვენმა ქალებმა ქართული ლაპარაკი აღარ ითაკილონ, იქნება რაღაცა დაისწავლონ, იქნება დაისწავლონ კიდევ და ძერა-დედობის სათამაშოდ მოწყობილი ტიურნირები, როგორც იყოს, ცრემლის ფრქვევით და ვაი-ვაგლახით დასთმონ“⁴.

საახალწლო ფელეტონში „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ ილია მშობელ ერს უსურვებს უჭკნობ სიჭაბუკეს. მწერალი იგო-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. II, გვ. 54.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 36 — 37.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., II, გვ. 294.

⁴ იქვე, გვ. 257.

ნებს ქართლ-კახეთში გავრცელებულ ლექსებს¹ და მათი სა-
შუალებით ამხელს ქართველების ნაკლს: „შეიძლება ჩვენი
მტკვარი დოდ იქცეს, გორის ციხე ჯამად, იალბუზი ჯამში
ჩაყრილ მქადად, მცხეთის ხიდი კოვზად და ისეთი მუცელიც
ჰქონდეს კაცს, რომ ყოველივე ეს ერთ სადილადაც არა ჰყოფ-
ნიდეს, — გლეხური სიმღერისა არ იყოს, შეიძლება —

ზღვა დაშრეს,
ქეიშა გამოჩნდეს.
თევზი მთას ვლიდეს სიარულითა,
ვარი ბჰედ იჯდეს.
ჯორი შეილს ზრდიდეს.
მველი თავს ადგეს კიანურით..

ყოველივე ეს შესაძლოა, მხოლოდ ოთხი რამ არის ყოვლად
შეუძლებელი: ერთი — ვალში ჩავარდნილი კაცის ვალიდამ
გამოსვლა, მეორე — ქართველ ლიტერატორის კუჭ-მადრობა,
მესამე — აქაურის ექიმებისაგან კაცის მორჩენა და მეოთხე —
დროთა-ბრუნვის „ისპოლნიტელნი ლისტის“ გაუქმება და თა-
ვიდამ აცდენა“².

ფელეტონში „საახალწლოდ“ ჩართულია ზღაპრული მო-
ტივი, საახალწლო დალოცვა და ანდაზები. ცხოვრების განახ-
ლებისათვის ბრძოლისადმი გულგრილი დამოკიდებულება
გაკრიტიკებულია ანდაზით. ახალი წლის მოლოდინში გასული
წელი ასეა შეფასებული „კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვე-
ული ჰირი იყო და შეჩვეული ჰირი ხომ ზოგჯერ ქართველი-
სათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია“³. ძველი წელის შესაფა-
სებლად არის აგრეთვე წერილში ნათქვამი: „რა გვათესინა, რა
მოგვამკევიანა“⁴. გასული წლით უკმაყოფილო მწერალი სვამს
კითხვას, თუ ვინ უნდა გააღოს ბედის დახშული კარები და
საპასუხოდ იმარჯვებს ნიშნის მოგების გამომხატველ ანდაზას,

¹ ხალხური სიტყვიერება, წიგ. I, ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 356,
402 და სხვ.

² ი. ქავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 258.

³ იქვე, გვ. 261.

⁴ იქვე, გვ. 262.

რომელიც მისთვის ჩვეული ხერხით არის დამუშავებული: „ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშვიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო“¹. ამგვარად იშველიებს ანდაზებს მწერალი ამავე წერილში ეროვნულ საკითხებზე მსჯელობისას: „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს“, „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს“ და სხვებს².

ხალხური შემოქმედებით არის ნასაზრდოები ილია ჭავჭავაძის მრავალი პოლემიკური წერილი. ამ წერილებში ხალხური შემოქმედება საუკეთესო ხერხია ეროვნული კულტურის ღირსების დაცვისა და მეცნიერული აზრის გავრცელებისა და განვითარებისათვის. ამ მიზნით ილიას არა ერთხელ აქვს გააოყენებული ქართული ჯადოსნური ზღაპრის შესავლის იუმორისტული ხასიათის ტრადიციული ფორმულა. პირველად იგი ილიამ გამოიყენა მებრძოლი სულისკვეთების მატარებელ წერილში „პასუხი“. წერილის დიად მიზანდასახულებას მწერალი გვაცნობს ეპიგრაფად წამძღვარებული დიდი რუსი მოაზროვნის ბელინსკის შესანიშნავი სიტყვებით: „Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — шеголеватостью, критику комплиментами“³. ბელინსკის სიტყვებმა თავის დროზე შეარყია სლავიანოფილთა მოძველებული შეხედულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ქართულ სინამდვილეში ამგვარივე როლი ითამაშა ილიას წერილმა. იგი მიმართული იყო აღ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და სხვა რომანტიკოსთა წინააღმდეგ, რომელნიც სამი სტატით ამხედრდნენ ილია ჭავჭავაძის მებრძოლი წერილის „ორიოდე სიტყვა კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ წინააღმდეგ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 262.

² იქვე, გვ. 262 — 263.

³ იქვე, გვ. 19.

ამის გამო ილია ჭავჭავაძე თავის „პასუხში“ წერს: „ბარაქალა. ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიანზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიან და არა თავის სტატიების ღირსებითა; იმ ზღაპრისა არ იყოს: „ასმა კაცმა ვერ შექამაო. ერთი კაცის ლუკმა იყოო“¹. ზღაპრის ტრადიციული ფორმულის ფრაგმენტით ამგვარად გამოხატა მწერალმა მოძველებულ შეხედულებათა უსუსურობა. ფელეტონში „სხარტულა“ იმავე ფორმულის ფრაგმენტით გამოხატულია გ. თუმანიშვილის მსჯელობის არათანმიმდევრულობა ქართული გაზეთის საკითხზე. გ. თუმანიშვილს არ მიაჩნდა მიზანშეწონილად საქართველოში ისეთი დიდი გაზეთის გამოცემა, როგორც ევროპაში იყო. თავის მოსაზრებას იგი ასაბუთებდა ცნობისმოყვარეობის არა სათანადოდ გავრცელებით. პატარა გაზეთი კი არ მიაჩნდა საკმარისად ქვეყნის ამბების ამსახველად. ამის გამო ილია წერს: „ახლა აქ მეტყვით კიდევ: ერთი შეგვატყობინეთ, რა უნდა გ. თუმანიშვილს: დიდი გაზეთიო, თუ პატარაო. ვაი, თქვე საწყლებო! მებრალეებით! აი, ის უნდა, რომ „დიდს ქვაბში არ ეტეოდეს, პატარაში ლაღე იყოს“, როგორც ერთი ქართული ზღაპარი ამბობს“². იმავე ფორმულის საშუალებით ილიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ყალბ შეხედულებას ქართველი ტომების შესახებ. ილიამ სასტიკად გააკრიტიკა ზელინსკის ნაშრომის გამო „Кавказ“-ში დაბეჭდილი რეცენზია. რეცენზიაში ეჭვია გამოთქმული იმერლების ხევსურების, სვანებისა და მეგრელების ქართველობაზე. რეცენზენტის უვიცობით აღმწოთებული ილია წერს: „Кавказ“-ი ჰკილავს ბ-ნს ზელინსკის, რომ ჯერ აღრეა იმის თქმა, ვითომც ქართველი ქართველი იყოსო, და ჩვენ-კი „Кавказ“-ის მეცნიერს პუბლიცისტს ვეტყვით: ბ-ნო, გვიანდაა იმისი თქმა, რომ ქართველი ქართველი არ არისო.

დავანებოთ თავი ამ სასაცილო ამბავს. განა ამისთანაებს განმარტება-ლა უნდა და ამაზე მეტად კვალში ჩადგომა! რაც

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 19.

² იქვე, გვ. 247.

უნდა ზიზილ-პიპილებით მოირთოს, რომეა მაინც რომეაა. ისა სჯობია, ზურგი შევაქციოთ ამ განკერძოებულ ამბავსა და საზოგადო ჭირი ეხლანდელის დროებისა აღვნიშნოთ.

ვის არ გაუგია ერთი სასაცილო ზღაპარი ქალაში მომკვდარის ჩიტიისა, რომელიც არც დიდს ქვაბში ეტეოდა და პატარაშიაც ლაღე იყო. სწორედ ამ ჩიტის ამბავი დაეძარტა ადამიანის ჭკუასა და ლოდიკასა ჩვენს დროში: აღარც დიდ თავში ეტევა და პატარაშიაც ლაყუა თუ ლაღეა — რაებს არა ჰბოდვენ? რაებს არა ლაყობენ?“¹.

მეცნიერული აზრების დასაბუთების საშუალებად არის გამოყენებული ხალხური შემოქმედების ნიმუშები ისეთ პატრიოტულ წერილებში, როგორცაა „აი ისტორია“, „ქვათა ლაღადი“ და სხვები. ამ წერილებით ილიამ მტვრად აქცია ყალბი მოსაზრებანი საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, ქართული ენისა და სხვა საკითხებზე. ჯაბადარის მეცნიერულად უსუსური წერილი „Письма о Грузии“ „აი ისტორიაში“ ასეა შეფასებული: „ჩიტი ბრდღვნად არა ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყო“. მაგრამ რაკი წერილი ანტიპატრიოტული ხასიათისაა და აყალბებს ქართული კულტურის საკითხებს, ილიას საჭიროდ მიაჩნია მისი განადგურება. ამიტომ ზემოთ მოყვანილ ანდაზას მწერალი თან დასძენს: „რაც გინდა სთქვი — ბრდღვნადაცა ჰღირს და დევნადაც“².

საქართველოს ისტორიისა და საერთოდ ქართული ეროვნული კულტურის საკითხებში ჯაბადარის უვიცობას ამავე წერილში სათანადო კვალიფიკაციას აძლევს ანდაზები: „სანეკრე ნახა და სახტომი კი არ გაუსინჯაო“³; „გაჭირვება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო“⁴. არაპრინციპულობა საქართველოს ისტორიის საკითხების განხილვისას ასეა გამოხატული:

„ასე ჩემო მანანსო,
ხან ისე და ხან ასეო“⁵.

¹ ი. ქაქავაძე, თხზ. სრ კრებ., ტ. II, გვ. 206.

² იქვე, გვ. 330.

³ იქვე, გვ. 336.

⁴ იქვე, გვ. 342.

⁵ იქვე, გვ. 343.

ქართული ანბანის წარმოშობაზე მცდარ შეხედულებას აბათილებს ანდაზა: „მივეყვით ისევ მტყუანს ტყუილის კარამდინ“¹.

იმის გამო, რომ ჯაბადარმა თავი ვერ გაართვა ქართველი ხალხის კულტურის საკითხებს და „საქართველოს ისტორიის მაგიერ უნდელი ზღაპრები ჯლაბნა“, ილია წერს: „თავის ქერქში მჯდარიყო ის ერჩივნა, იმიტომ, რომ тетеревам не летать по деревьям, ანუ ჩვენებურად — არა შეჯდა მწყერ ხესა, არა იყო გვარი მისი“².

ბაიერნის მცდარ მოსაზრებათა გაზიარების გამო ჯაბადარის მისამართითაა ნათქვამი: „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“³; „მითხარ, ვის იცნობ, გეტყვი, ვინა ხარ“⁴ და სხვები. ჯაბადარის მიერ სამთავროს სასაფლაოების ხანაში კაციკამიობის ძიება და ამგვარად ქართული კულტურის სიმდიდრის დაუფასებლობა ასეა გამოხატული: „ქოთანმა იგორა, იგორა და თავის სარქველი იპოვაო“⁵.

ამგვარივე მიზნით არის გამოყენებული ამ წერილში მრავალი სხვა ანდაზა.

„ქვათა ღალადში“ ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პატკანოვის მცდარი შეხედულება „ქართლის ცხოვრებაზე“. პატკანოვის მცდარ აზრს მიემხრო ნიკო მარი. ილიამ მკაცრად გააკრიტიკა ნიკო მარი, რისთვისაც გამოიყენა ჯადოსნური ზღაპრის მზა ფორმულა. ილია აღნიშნავს, რომ ნიკო მარი პატკანოვის „გზანე დამდგარა და დიდის რიხით იჭიმება, თითქო მალლა ფრინველს არ გადაიფრენს და დაბლა ქიანქველას არ გაიტარებსო“⁶. ნიკო მარისა და პატკანოვის ურთიერთობის გამო მოყვანილია ანდაზა: „ხარი ზართან დააბი, ან ფერს იცვის, ან ზნესაო“⁷.

¹ ი. პაექვაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 354.

² იქვე, გვ. 366.

³ იქვე, გვ. 368.

⁴ იქვე, გვ. 387.

⁵ იქვე, გვ. 370.

⁶ იქვე, გვ. 432.

⁷ იქვე, გვ. 435.

ამავე წერილში პოლემიკის საშუალებად გამოყენებულია ზღაპრები. კუტულის მცდარი მოსაზრება კავკასიაში ქართველების გადაშენების შესახებ, ილიამ შეაღარა გავრცელებული ქართული ზღაპრის „ნაცარქექიას“ მოტივს: „ასე ქვეყნის სასაცილოდ პირის დაღება ნაცარქექიას საქმეა: წყლიან ყველს უჭერს ხელს და ქვეყანას-კი ეფიცება, ქვას ვადენ წყალსაო“¹.

ურარტელების ქება გოლმსტერმის მიერ, რომელმაც არც კი იცოდა, რომ ამით ქართველების უძველეს კულტურას აქებდა, შედარებულია ზღაპართან უგნური დათვის შესახებ: „თურმე ნუ იტყვი, ურარტელნი ქართველები ყოფილან და ბ-ნი გოლმსტრემი აქ იმ გულუბრყვილო დათვის მაგიერობასა ჰთამაშობს, რომელმაც აქაო-და შუბლზე ბუზი აზის და აწუხებს ჩემს მეგობარსაო, აილო და შუბლში უშველებელი ლოდი დააზილა ბუზის ასაფრენად“².

ეროვნულ საკითხებზე პოლემიკის ხერხია ამავე წერილში მრავალი ანდაზა, როგორიცაა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“³; „ხერხი სჯობია ღონესაო“⁴; „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს“⁵ და მრავალი სხვა.

უხვად არის ჩართული ანდაზები და სხვა ქანრის პოეზიის ნიმუშები ეროვნულ საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში: „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“, „ბულვარის აკადემია“, „უარყოფელობა ჩვენში“; „ამბავი ყბად-ასალები და წყალ-წასალები“, „ივერიის“ მეთაური 1888 წ. №№ 13, 16 და სხვებში. მიხეილ ყიფიანის ნეკროლოგში სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობის აღსანიშნავად მწერალს გამოყენებული აქვს ბავშვის დაბადებისას წარმოსათქმელი ღრმა აზრის შემცველი ინდური დაღოცვა: „პაწია ყრმავ, ეხლა, როცა პირველად მოსდინხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო-კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის; იყავნ ისე, რომ, როცა

¹ ი. ჰავკავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 440

² იქვე, გვ. 460.

³ იქვე, გვ. 418.

⁴ იქვე, გვ. 419.

⁵ იქვე, გვ. 421.

ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს“¹. ამავე დალოცვა „ბრძენთაგან თქმულს“ უწოდებს მწერალი გაბრიელ ეპისკოპოზის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში².

* *

ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელს ხალხური სიტყვიერება მშობლიური ენის ერთ საუკეთესო საზრდოდ მიიჩნდა. ზრუნავდა რა ლიტერატურული ენის გამდიდრებისათვის, მისი ბარბარიზმებისა და არქაიზმებისაგან განთავისუფლებისათვის დიდი მწერალი ენის სიწმინდის ყველა გულშემატკივარს მიზნად უსახავდა: „ყურადღება მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი“³. ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად აღიარა: „ხალხია ენის კანონის დამდებო“⁴. სიტყვას კი იმის მიხედვით აფასებდა „თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე, ვარგისიაო“⁵. ასე მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ ხალხის ენას. მას იზიდავდა ხალხის უნარი ღრმა აზრის პოეტურად გამოხატვისა. ამ მხრივაც დიდმა პოეტმა ბევრი რამ აიღო ხალხისაგან. ილია ჭავჭავაძის ენის სიმდიდრე და მიმზიდველი სისადავე, მისი სტილის სიმსუბუქე, სინატიფე და დახვეწილობა, მისი არაჩვეულებრივი უნარი მდიდარი აზრის მკაფიოდ და ლაკონურად გამოსახვისა უნდა აიხსნას მის მიერ უხვად გამოყენებული ხალხური შემოქმედების ნიმუშების გათვალისწინებით. აკადემიკოს აკაკი შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ ანდაზებისა და ლამაზი გამოთქმების უხვად გამოყენება ილიას სტილის დამახასიათებელია⁶.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ კრებ., ტ. II, გვ. 535.

² იქვე, გვ. 544.

³ იქვე, გვ. 27.

⁴ იქვე, გვ. 29.

⁵ იქვე, გვ. 32.

⁶ აკ. შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, „ილია ჭავჭავაძე“, საიუბილეო კრებული, სტალინის სახ. თბ. სახ. უნ-ტის გამომცემლობა, თბილსი, 1939 წ., გვ. 26 — 33.

ანდაზა რომ აზრის სხარტად გამოხატვისა და ენის დახვეწილობის ნიმუშად მიაჩნდა მწერალს, ეს მრავალი მაგალითიდან ჩანს, საინტერესოა ამ მხრივ მისი კრიტიკა გ. თუმანიშვილის ენისა. თუმანიშვილის ენის წუნის გამო ილიამ ირონიით აღნიშნა, რომ მისი ნათქვამები „სულ ანდაზად გადავა ხალხში“¹.

მდიდარი აზრის ძლიერად და ნათლად გამოსახატავად ილია ხშირად იყენებდა ხალხურ ეპითეტს. საინიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიგონებთ. ილია ქავეჭავაძემ მეტად მაღალი შეფასება მისცა ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილ ხალხურ ლექსს. პოეტს ხიბლავდა ამ ლექსის უშუალობა. დიდმა შემოქმედმა ხალხური ლექსის მხატვრული სახე-ეპითეტი, სიმბოლო, ხალხის წრფელი, მგზნებარე გულიდან ამოსროლილ ასაფეთქებელ წამლად მიიჩნია. ამ მხრივ მან ხალხური ლექსი ინდივიდუალურ შემოქმედებაზე მაღლა დააყენა. ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით პოეტი წერს: „...ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგეთა ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო. ასე ამოიკენესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის და, თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდბუნებოვანობისა. ეს რკინისკარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომკვხარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვაა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდამვე ამოფეთქებული, ვიოა თოფის წამალი, როცა ეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი და არა

¹ ი. ქავეჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. II, გვ. 244.

ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისთვისაც დაუვალე-
 ბიათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგე-
 ჯოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო, ისე არსად არ გამართლდება
 ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ რომ ერის მიერ ქება
 უდიდ-ღვაწლოდ ძნელი საშოვარი განძია და ბევრი სახელდე-
 ბული ისტორიაში კაცი ვერ დაიქალებს, რომ იგი სახელი
 თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს“¹. ამ სიტყვებით ილიამ ზედ-
 მიწევნით განსაზღვრა ხალხური ლექსის იდეურ-მხატვრული
 მხარე, მისი დიდი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება.
 მაგრამ ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩ-
 ვენებინა, შემდეგ მწერალმა როგორ გამოიყენა მის მიერ ასე
 დაფასებული ხალხური ეპითეტი ეროვნულ საკითხზე მსჯე-
 ლობისას. ამ ეპითეტის საშუალებით როგორ გაამდიდრა საკუ-
 თარი ენა, მკაფიოდ და ნათლად გამოხატა ღრმა აზრი. საქარ-
 თველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავზე დაწერილ წე-
 რილში, ილიამ აღნიშნა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერ-
 თება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური პირობებით იყო
 ნაკარნახევი. ამ აზრის ნათელსაყოფად მან მოხდენილად გა-
 მოიყენა ხალხური ეპითეტი: „დასუსტებული საქართველო,
 რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“,
 უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა
 გარს შემორტყმულ მტერს“². ასე სწორი პოლიტიკური აღლო-
 თი შეაფასა ილიამ საქართველოს რუსეთთან შეერთება. ეს
 იმას არ ნიშნავს, რომ მწერალს მისი სამშობლო წარსულში
 დაკნინებულად ჰყავდა წარმოდგენილი. „ქვათა ღაღადში“
 საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა შორის გაკრიტიკე-
 ბულია ქიშმიშოვიც VXIII საუკუნის საქართველოს ვითარების
 არასწორი დახასიათების გამო. ერეკლე მეორის გარდაცვალე-
 ბასთან დაკავშირებით ილია წერს: „მართალია, შეგვეხსნა ოგი
 რკინის კარი, მაგრამ საამისოდ-კი მაინც საქმე არ გავგხდომია,
 რომ დიდსა და პატარას ხორცი ეგლიჯნა საქართველოსათვის“³.

¹ ი. ჯავახიძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 547.

² იქვე, გვ. 492.

³ იქვე, გვ. 444.

თუ როგორ ამდიდრებდა მწერალი თავის ენას ხალხური გამო-
თქმებით, ეს სხვა მაგალითებიდანაც ჩანს. 1873 წელს ილიამ გა-
მოაქვეყნა მის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი:

„დავბერდი, მშვილდი ძირს დავდე,
მალა მთაშია ძევს საღმე,
დალპება, ალყა აპსძვრება,
არ მიაღვება მზე საღმე“¹.

პოეტს მოსწონებია ამ ლექსში სიბერისა და უძლურების
გამოხატვა „მშვილდის ძირს დადებით“. შემდეგში ეს ხალხური
პოეტური სახე მან გამოიყენა საკუთარ მხატვრულ შემოქმე-
დებაში. მოვიგონოთ ეპიზოდი მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“.
მრავალგვარი უსამართლობისაგან გაბოროტებულმა ობოლმა
ბიჭებმა მძინარე მეურმეს პეტრეს გაძარცვის მიზნით ჯიბე
მოჭრეს. ამის გამო პეტრე ამბობს: „არა, შვილო, ეხლა ჩემი
შვილდი უნდა ძირს დავდო, ტყუილად კი არ ნეუბნებოდა ჩემი
უფროსი შვილი: — მამი, — დაჰბერდი, შორს გზაზედ მეურ-
მეობაში ვეღარ გამოდგებიო“². „ოთარაანთ ქვრივშიც“ იმავე
ხალხური გამოთქმით არის გამოხატული სიბერე: პეტრემ ვერ
მოახერხა სათივის სწორად დადგმა, რის გამოც გულისტკივი-
ლით თქვა: „კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს
დასდოს“³.

თუ როგორ მოსწონდა დიდ შემომქმედს ხალხურ ნაწარმო-
ებთა კილო და სტილი და უახლოვებდა მას თავის მხატვრულ
ენას, ეს ჩანს. მისი პირადი წერილიდან პეტრე ნაკაშიძისადმი,
რომელსაც უძღვნა პოემა „ქართვლის დედა“. ილია წერს: „პეტ-
რე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვენეს
ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკოლაძეს
დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ
პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზე უფ-
რო ჯარის სიმღერა მომწონს, გლახურ კილოზედ მოწყობი-

¹ „კრებული“, 1873 წ., № 10.

² ი. ჰავეშაიძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 409.

³ იქვე, გვ. 458.

ლია“¹. ხალხმა სასიმღეროდ აიტაცა ეს ლექსი, რომელიც მართლაც ხალხურ კილოზეა დაწერილი.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული ენა მკიდროდ არის დაკავშირებული ხალხურ პოეზიასთან. პატრიოტული ლექსის „ნანას“ ხასიათი ხალხურია. ხალხურია მისი მისამღერიც², ხალხური გამოცანების უნარიცაა დაწერილი ლექსები: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“³.

კაცთმოყვარეობა და მაღალი ზნეობა ილიას მხატვრულ შემოქმედებაში ზოგჯერ ხალხური სიტყვიერებით არის გამოხატული. სანიმუშოა ამ მხრივ მღვდლის სიტყვები „გლახის ნაამბობიდან“:

„— ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრის არ აყოს, სანთელივით და სხვისთვის კი გაუნათებია“⁴.

მთელ რიგ ნაწარმოებებში ზღაპრის მოტივებით და ანდაზებით მოცემულია გმირის ხასიათი და თვისებები. „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით გიორგის ვაჟკაცობა, თავისუფლებისადმი სიყვარული და ამავე დროს მშობელი დედისადმი უდიდესი მოკრძალება გამოხატულია ზღაპრის ტრადიციული ფორმულით: „შვილი, რომელიც სხვისგან თავზედ ფრინველსაც არ ვადიფრენდა და ფეხ-ქვეშ ჭიანჭველსაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა“⁵.

ამავე ნაწარმოებში მშობლებთან შვილის მსგავსება გამოხატულია ანდაზით: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“. მითები და ცრურწმენის საფუძველზე შექმნილი თქმულებანი გამომხატველია დაქინებულ თავადთა გონებრივი ავლადიდების⁶. გონებაჩლუნგი დარეჯანისა და ლუარსაბის და გაქ-

¹ ი. ჭავჭავაძე, წერილები, გვ. 30. ი. ბოცვაძის რედ. სოხუმი, 1949 წ.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., I, გვ. 40.

³ იქვე, გვ. 82 — 90.

⁴ იქვე, გვ. 283.

⁵ იქვე, გვ. 436.

⁶ იქვე, გვ. 345.

ნილი მკითხავის სახეები სრულყოფილია შელოცვის შესრულების გარემოსა და წესის მოხდენილი აღწერით: „ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბლის მარცვალი. აიღო ხელში დანა და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი, მითომ და ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა — ჩვენი ცოლ-ქმარნი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო“. ამას მოსდევს ჯადოს პოვნისა და დაწვის სასაცილო სცენა¹.

ხალხური შემოქმედებით ილიას ნაწერებში ზოგჯერ საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, მისი მრავალფეროვანი ბუნებაა განსახიერებული. დიდაქტიკური ზღაპრიდან წარმოშობილი გავრცელებული გამოთქმით „გლახის ნაამბობში“ დახასიათებულია საქართველოს მდიდარი ბუნება და ნოყიერი ნიადაგი: „... ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც — გლახისა არ იყოს — „ქრისტე — ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტია“, ყველგან კაი ადგილებია“². შრომის სიმღერის ტრადიცია ჩართულია შემოდგომის შუაგულის დახასიათებაში: „მისწყდა სოფელში ხმამალალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაქრობამ თავისი დრო მოიქამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო“³.

ამგვარი მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება გაიზარდოს. ეს მაგალითები მაჩვენებელია იმისა, რომ ხალხური შემოქმედება მწერლის მხატვრული ენის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა.

* * *

ილია ჭავჭავაძე მეტად თავისებურია ხალხური შემოქმედების გამოყენებაში. მის შემოქმედებაში იშვიათად არის ჩართული გადაუმუშავებელი ხალხური ტექსტი. თვით ანდაზებიც-კი, რომელიც ხალხურ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა თავისი მტკიცედ შეკრული აღნაგობით, საგრძნობლად გადამუშავებულია. ხშირ შემთხვევაში აზრის ეს შეკუმშულად და სხარტად გამომხატველი ფორმულა დანაწევრებულია და ისეა ჩართული ილიას შემოქმედებაში. ასე, მაგალითად, ანდაზით „კარგ

¹ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრებ. I, გვ. 380 — 382.

² იქვე, გვ. 264.

³ იქვე, გვ. 456.

მთქმელს კარგი გამგონი უნდა“ „Новое обозрение“-ს და „Кавказ“-ის ურთიერთობა ასეა გაკრიტიკებული: „ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, რომ მთქმელს გამგონი უნდა და კარგა გამგონიცა, და თუ მთქმელს და გამგონს ერთმანეთის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება, მაშასადამე, არც განკითხვაა და არც სამართალი“¹.

ანდაზის არსებითი გადამუშავების მაგალითი გვხვდება აგრეთვე იოსებ დავითაშვილის პოეზიის დახასიათებაში: „ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი; არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი“². ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებულია ანდაზა: „ცარიელ ქვევრს რასაც ჩაძახებ, იმას ამოგძახებს“. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.



ხალხურ შემოქმედებასთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ მწერლის ზოგი ნაწარმოები შესულია ხალხური შემოქმედების სალაროში. ზემოდ ჩვენ მივუთითეთ მისი პოემების ხალხურ ვარიანტებზე. ხალხმა გამოიყენა აგრეთვე მისი ლექსის „ქართველი სტუდენტების სიმღერის“ დასაწყისი სტრიქონები:

„ღედამ რომ შეილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო“³.

ფართოდ არის ცნობილი ამ სიმღერის გავლენით შექმნილი ხალხური სასიმღერო შაირი.

მოწაფეთა საალბომო ლექსებად არის გავრცელებული აფორიზმები „დამაკვირდიდან“:

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა,
წინ შიამებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო“;

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. კრებ. II, გვ. 212.

² იქვე, გვ. 117 — 118.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 61.

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულგრძელ-პაოთა ძლევა სჯობს
ვაჟაკობითა ძლევასა“¹.

და სხვები.

ხალხმა სასიძლეროდ აიტაცა, შესანიშნავი ნიმუშები ილიას ლირიკისა „გახსოვს ტურფავ“ და „სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი“.

* * *

ასე მრავალმხრივია ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან. ხალხური შემოქმედება უდიდესმა მწერალმა მშობელი ქვეყნის სამსახურში გამოიყენა. ეროვნული კულტურის ეს ძვირფასი საგანძური მისი დიადი შემოქმედების იდეური და მხატვრული სრულქმნის, მისი ხალხურობის ერთი მძლავრი ფაქტორთაგანია. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშემ, როგორც ვნახეთ, მაღალი შეფასება მისცა ხალხურ შემოქმედებას. ბევრი მისი მოსაზრება ხალხური შემოქმედების მნიშვნელობის, მისი შესრულების წესებისა და ცალკეულ უანრთა შესახებ სახელმძღვანელოდ დარჩება ფოლკლორისტიკაში. ილია ჭავჭავაძის დამსახურება ამ დარგში თავის დროზე სათანადოდ იქნა შეფასებული. მისმა თანამოღვაწემ და თანამებრძოლმა, ქართული ფოლკლორისტიკის ერთმა ფუძემდებელთაგანმა პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა წერილი დაწერა ილია ჭავჭავაძის ეთნოგრაფიულ მოღვაწეობის შესახებ². რუსეთის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ კი პროგრესულ-დემოკრატიული იდეების მქადაგებელი დიდი ქართველი მწერლის ხსოვნას საგანგებო სხდომა მიუძღვნა მისი ვერაგული მკვლელობის წლის თავზე, რომელზედაც სხვათა შორის სიტყვებით გამოვიდნენ ცნობილი ფოლკლორისტიკოს. მილერი, ალ. ხახანაშვილი და დ. არაყიშვილი³.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 103.

² «Этнографическое обозрение», 1908 г.

³ «Этнографическое обозрение», 1909 г.

აკაკი წერეთელი

ქართული ხალხური შემოქმედების შემკრებ-მკვლევართა და მოხდენილად გამოყენებელთა შორის ერთი პირველი ადგილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე დიდ წარმომადგენელს აკაკი წერეთელს ეკუთვნის. დაუფასებელია ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც მან ხალხურ შემოქმედებას დასდო. მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრება-შესწავლა იყო. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი წერილი „მოგონება, მარგანეცის გამო“. აკაკი ჩაება შავი ქვის მრეწველობის საქმეში იმ მიზნით, რომ შემოსავლის გარკვეული ნაწილი მოეხმარებინა ხალხური შემოქმედების შეგროვებისათვის. ის წერს: „ოლონობ კი ის იმედები, რომლითაც მაშინ მე ვხელმძღვანელობდი განხორციელებულიყო და მე მზათ ვიყავი და მზათაცა ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე სიღარიბეში გამეტარებია, გინდ ხელგაშვერილს დღიური ლუკმის მოსაპოვებლათ“. მის მიზანთა შორის ის მხოლოდ ერთს ასახელებს: „მხოლოდ ერთს მათგანს მოვიხსენიებთ, რომელიც თითქმის მძიმე ტვირთად მიმყვება საფლავში“¹. აქ მას ჩამოთვლილი აქვს ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრი. მწერალი მიუთითებს მათი სასწრაფოდ შეკრების აუცილებლობაზე.

ხალხური შემოქმედებისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და უდიდესი მზრუნველობის დამადასტურებელია მისი ანდერძი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „...ქონებიდან სამოსახლო ადგილს შენობებით, მათ შორის კარის ეკლესიით სოფელ

¹ „მოგონება“, „მარგანეცის გამო“, „კვალი“, 1893 წ., № 34.

სხვიტორში (შორაპნის მაზრა) ვუანდერძებ სრულ საკუთრებათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა იქ გახსნას ჩემ სახელობაზე საქალაქო სასწავლებელი.

„ვენახსა კი და დანარჩენ ჩემ უძრავ ქონებას, სრულ საკუთრებაში ვუტოვებ ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, რათა მან შექრიბოს და გამოსცეს ქართული ზღაპრები, ლექსები და საზოგადოდ ზეპირი თქმულებანი.

„... თუ ვინიცობაა ვინმე მოისურვებს ჩემს ხსოვნას პატივი სცეს გვირგვინით, მე ვსთხოვ მას გვირგვინის საფასური შეიტანოს ხსენებულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ზემოთ აღნიშნულ მიზნისათვის“¹.

აკაკი წერეთლის კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი მხურვალე მოწოდება ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვების შესახებ. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მნიშვნელოვანი წერილები, სადაც გაშუქებულია ხალხური შემოქმედების მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისათვის. ერთ-ერთ შენიშვნაში აკაკი გამოეხმაურა „ივერიაში“ დაბეჭდილ აზიურ ლეგენდას აბრეშუმის ქიის შესახებ. მან თხოვნით მიმართა „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ეზრუნათ ხალხური შემოქმედების შესაკრებად: „განა არ მოხერხდებოდა, რომ ჩვენშიაც შემდგარიყო საზოგადოება მაგ აზრით და საშვილიშვილო საქმე გაგვეკეთებინა. კი, მაგრამ ან მთქმელი სადა გვყავს და ან გამგონე?“²

აკ. წერეთელს ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვება გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. იგი ამ საქმეს ყველა საჭირო და სასწრაფო საქმეზე მაღლა აყენებდა: „ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვადასხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის... მაგრამ არც ერთი კი მათგანი ისეთი საჭირო და სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ გადმოცემების“ შეკრება და შეგროვება... შედარებით ამ დიდ საქმესთან სხვები ყველა თითქმის ჩხირკედელაობათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამდენი ხანია განზე ვუდგებით

¹ აკაკის ანდერძის შინაარსი. ეურნ. „განათლება“, 1915, ნაწ. II.

² „ივერია“, 1889 წ., № 216.

ამ საკირო საქმეს“¹. აკ. წერეთელი შემკრებისაგან გარკვეულ კოდნასა და მომზადებას მოითხოვდა, რათა ნათქვამი საფუძველიანად ჩაწერილიყო².

აკ. წერეთელი მოითხოვდა ამ საქმეში ახალგაზრდობის ჩაბმას. მათ უნდა მისცემოდათ გარკვეული გასამრჯელო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მასალების შესაკრებად. მწერალმა შემკრებლებისათვის გარკვეული ინსტრუქციაც კი შეიმუშავა. აკაკის მიერ შემუშავებულ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრების ინსტრუქციას დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ამავე წერილში აკ. წერეთელი მოითხოვდა ხალხური შემოქმედების ფონდის დაარსებას. ხალხური შემოქმედებისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე მოწოდება არ შეუწყვეტია მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ალ. აბაშელის მიერ გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, მცტად საყურადღებო მოხსენებაში, მან მიმართა საზოგადოებას: „იმათი (ხალხური შემოქმედების — ქ. ს.) დავიწყება წარსულზე ხელის აღება“³.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელმა დიდი როლი ითამაშა ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში. ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად მას მშობლიური ხალხური სიტყვიერება მიაჩნდა. მწერალი მოუწოდებდა თანამედროვეთ, მშობლიური ენის გამდიდრების მიზნით, დაკვირვებოდნენ ხალხურ მეტყველებას. აკაკი წერდა: „კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ. აი ახლაც სოფლებს ზღაპრებს ვათქმევინებ ხოლმე და უნდა ნახოთ, რამდენ სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს, ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის“⁴.

აკაკის მოწოდებები უყურადღებოდ არ დარჩენილა. მის წერილებს ეხმაურებოდა თვით რედაქცია. ერთ-ერთ მის წერილს

¹ აკაკი, განცხადებასავეთ, „ვეალი“, 1895 წ., № 6.

² იქვე.

³ „ხალხური ზეპირ-სიტყვიერება და მისი მნიშვნელობა“, „თეში“, 1913 წ., № 118.

⁴ აკაკის კრებული, № 2, 1898 წ.

წინ უძღვის „კვალის“ რედაქციის განცხადება. რედაქცია მოითხოვს აკაკის წერილის მიზნისა და პროგრამის გაფართოებას¹. აკაკის მოწოდების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა „კვალის“ რედაქცია. დაიწყო ფულის მოგროვება ხალხური შემოქმედების საერო ფონდის დასაარსებლად. საზოგადოების ნაწილი დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ წამოწყებას. საქმის განსახორციელებლად დაარსდა სპეციალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: აკაკი წერეთელი, დ. ლამბაშიძე, გ. წერეთელი, ა. გარსევანიშვილი და ექიმი. „კვალში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა ფულის შემწირველთა სიები და შემოწირული ფულის რაოდენობა. 1897 წელს აკაკი აარსებს საკუთარ თვიურ ჟურნალს „კრებულს“, რომელიც ინიციატივას იღებს ხალხური შემოქმედების შეკრებაში. კომიტეტის სპეციალური დადგენილებით, „კვალის“ მიერ შეკრებილი ფული საერთო ფონდის დასაარსებლად გადაეცა ამ ორგანოს. აკაკის მთავარი მიზანი ამ ორგანოს დაარსებისას ხალხური შემოქმედების შეკრება-გამოქვეყნება იყო. ამას ადასტურებს მისი წერილი ერთ-ერთი თანამშრომლისადმი: „პირველ ენკენისთვის უნდა გამოვიდეს ჩემი „კრებული“. გამოგიტყდები და გეტყვი, მარტო მისთვის, რომ ჩემი ნაწერები გამომეცა, მე არ ვიტვიტობდი ამ ძნელ საქმეს, მაგრამ ჩემი უმთავრესი წამახალისებელი ზეპირ-სიტყვაობაა. ამას უნდა შევსწირო ჩემი უკანასკნელი ძალ-ღონე და გავუკვლიო გზა“... „იმედი მაქვს ლუკმა პური დავიკლო და გამოცემას ხელი არ შევეშვა, გინდ სულაც არ მეყოლონ ხელმომწერლები. სულ რომ არა იყოს რა, საწყალი დაბალი ხალხი ხომ წაიკითხავს და ჩემთვის სწორედ ეს არის დიდი სანატრელი“².

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა აწერლის განცხადება კომიტეტის წევრებისადმი ჟურნალ „კრებულის“ დაარსებისას: „დღეს, რადგანაც მე ჩემი გულის სანატრელი ამისრულდა და საკუთარი რედაქცია მაქვს ჟურნალის „კრებულისა“, რომელშიაც განსაკუთრებული განყოფილებაა ზეპირსიტყვიერების საბეჭდავად, მთავრობისაგან ნება-დართული, ამისათვის, ვი-

¹ ქართული საერო საქმე, „კვალი“, 1895 წ., № 6.

² თ. კიკვაძე, აკაკის ანდერძის გამო, „ახალი აზრი“, 1915 წ., № 136.

ახოვ, რომ შეკრებილი ამ საგნისათვის, „კვალის“ რედაქციიდან გადაეცეს „კრებულის“ რედაქციას¹. ჟურნალი „კრებულის“ განსაკუთრებული განყოფილება დათმობილი ჰქონდა ხალხურ შემოქმედებას. ამ ორგანოს ირგვლივ დაირაზმნენ ხალხური შემოქმედების ცნობილი შემკრებნი. ისინი დაუზარებლად აწოდებდნენ რედაქციას შეკრებილ მასალებს. იმ კუთხის აწერით, სდაც ჩაწერილია ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ესენი იყვნენ: მესხი, კოტე გვარამაძე, სოსიკო მერკვილაძე, „ქართველი ოსებში.“ ნ. ია-ნი, ვ. ებანოიძე და სხვები. აკაკი უშუალოდ იყო ჩაბმული შეკრება-ჩაწერის საქმეში. ჟურნალის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „ზეპირსიტყვაობის გამო“², რომელიც ადრე დაბეჭდილი იყო „კვალში“ — 1895 წლის № 6. ამ წერილს გამოეხმაურა დ. ხ., რომელმაც მიმართა საზოგადოებას: „ყოველი ქართველის მოვალეობას შეადგენს, იზრუნოს, რომ აკაკის ხმა არ დარჩეს „ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“ და თავი მოებას ამ საქმეს“³. მართლაც თანდათანობით ებმებოდა თავი ამ საქმეს. „კრებულის“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა აკაკის მიერ ჩაწერილი ზღაპარი „ბროწეულის წყარო“ და სოფელ სხვიტორის აწერა. ყოველ მომდევნო ნომერში ზედიზედ იბეჭდებოდა ხალხური შემოქმედების ნიმუშები.



გულუბრყვილობა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ აკაკის წამოწყებული საქმე მხოლოდ თანაგრძნობას ხვდებოდა მაშინდელ საზოგადოებაში. სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო. ზოგს კიდევ კარგად არ ჰქონდა შეგნებული ხალხური შემოქმედების დანიშნულება და მისი შეკრების აუცილებლობა.

როგორც ზევით ვნახეთ, აკაკი გარკვეული მიზნით ჩაება მარგანეცის საქმეში. საინტერესოა ამის გამო ერთ-ერთი პი-

¹ ან. წერეთლისა, ზეპირ-სიტყვიერების საერო ფონდის საქმე. „კვალ“. 1897 წ., № 26.

² „კრებული“, 1897 წ., № 1.

³ დ. ხ., ფიქრი და შენიშვნა (აკაკის წერილის გამო), „კრებული“. 1897 წ., № 1.

როვნების მიერ მიწერილი წერილი აკაკის მამისადმი: „შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ჩვენ ყველანი სიხარულით მივეგებეთ: გვეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც, მისიანებს, ბევრად გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წაედგა, ან ადვოკატობით სხვებსავე მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირობას გამოუღდა...

„...აქ იმერეთია... მაგრე ხომ არ იტყვიან? ქვეყანა დასცინის, რიგი რას ამბობს და რიგი რას“¹. ეს წერილი მაშინდელი საზოგადოების ჩამორჩენილი ნაწილის აზრის გამომხატველი იყო. აკ. წერეთელი დაუნდობლად ებრძოდა ასეთ მცდარ აზრებს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი პასუხი ვინმე „პედაგოგისადმი“, რომელიც გამოეხმაურა აკაკის „კრებულის“ გამოსვლას და მასში გამოქვეყნებულ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. „წავიკითხე თქვენი ეპისტოლე, — წერს აკაკი, — და ბევრიც ვიცი. განსაკუთრებით მასიამოვნა თქვენი წერილიდან შემდეგმა ადგილმა: „მე, როგორც გამოცდილ პედაგოგს, დამეჯერება, რომ თქვენი „ზეპირ-სიტყვაობის“ განყოფილება უადგილოა უურნალში. ჩვენ თქვენგან გამოსალვიძებელს რამეს ველოდით და არა დასაძინებელს. ზღაპრებს განა სხვაგან კი არ გავიგონებთ? სოფელში მაგის მეტი რაღა იციან? აბა რა დასაბეჭდი იყო მისთანა უშინაარსო და უთავბოლო რამ, როგორც ბროწეულის წყაროა? — მაგ გვარა რამ ჩვენც ცოტა გავიგონია? ამასთანავე განა ადგილი უნდა ჰქონდეს თქვენს გამოცემაში ამათ მორწმუნეობას? მაშინ, როცა ეკონომიური საკითხები თვალში გვეჩხირებიან, თქვენ გადმომდგარხართ და ხალხში ამაო მორწმუნეობას ავრცელებთ, უაზრო შელოცვებს ბეჭდავთ და სხვანი“². აქ გამოთქმული აზრი „განათლებული“ პედაგოგისა თვით აკაკის შევაფასებინოთ: „ბატონო პედაგოგო, დიდი მხიარული ვართ, რომ ინსტიტუტი გაგითავებიან და დიპლომიც ხელში გიჭირავთ... მოგილოცავთ... მაგრამ ეგ ქა-

¹ აკ. წერეთელი, „მოგონება მარგანეცის გამო“, „კვალი“, 1893 წ., № 34.

² „უბრალო საუბარი“ („კრებული“-ს ფოსტა), „კრებული“, 1897 წ.,

დალდზე დაწერილი დიპლომი სამსახურში შესვლის დროს დაგვირდებათ... შეინახეთ.... და ჩვენ კი მისთანა დიპლომს უფრო ვუჯერებთ, რომელიც ტვინზეა დაწერილი და ნურაფერს უკაცრავათ, თუ თქვენი შენიშვნები ვერ მივიღოთ...

„დარწმუნებული ვართ, რომ ზღაპრები აღრევაც გექნებოდათ გაგონილი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გაგონება და შეგნება სულ სხვადასხვა ზმნაა. ზღაპარი „ბროწეულის წყარო“ უთავოდ არ მოგეჩვენებოდათ, რომ სარკის წინ არ მდგარიყავით... და რაც შეეხება დაძინებას, მოდი მოვიყვანოთ: ყმაწვილები, ეგ „ბროწეულის წყარო“ წავუკითხოთ და თქვენი პედაგოგიური ნაწერებიც, და რომელმაც უფრო აღრე დააძინოს, ის დარჩეს გამტყუნებელი“¹. ხალხური შემოქმედების უანგარო მონღაწეების სურვილის განხორციელებას არა მარტო საზოგადოების ერთი ნაწილის შეგნების დონე უშლიდა ხელს, მათ საქმეს მძიმე დაბრკოლებად ელოებოდა წინ თვითმპყრობელობის უხეში პოლიტიკა. როგორც აღვნიშნეთ, აკ. წერეთელი სათავეში ედგა ხალხური შემოქმედების საერო ფონდის დაარსების საქმეს. „კვალის“ რედაქციის საშუალებით დაიწყო ფულების მოგროვება. შემოწირული ფულის რაოდენობა და შემწირველთა სიები ქვეყნდებოდა ჟურნალ „კვალში“. თვითმპყრობელობის ცენზურა დაბრკოლებად აემართა წინ ამ საქმეს, 1895 წლის № 204 „ივერიაში“ დაიბეჭდა გვარამაძის საყვედურის წერილი, რომ „კვალმა“ შეაჩერა საერო ფონდისათვის შეკრებილი თანხებისა და შემწირველთა სიების გამოქვეყნება. „კვალის“ რედაქციის საპასუხო განცხადებაში ვკითხულობთ: „შემწირველთა სახელის და გვარის გამოცხადება ცენზურის უკანასკნელი განკარგულებისამებრ შეჩერდა. მათ გამოსაცხადებლად საჭიროა ნებართვის აღება გუბერნატორისაგან. ჩვენც შევეცადეთ, რომ ეს ნებართვა აღებულ იქნას, მაგრამ აქამდე საქმე არ გათავებულა“². ასეთი იყო ის გარემო, რომელშიაც აკ. წერეთელს უხდებოდა ხალხური შემოქმედებისათვის გზის გაკვლევა.

¹ „უბრალო საუბარი“ („კრებულო“-ს ფოსტა), „კრებული“, 1897 წ., № 2.

² „საყურადღებო ამბები“, „კვალი“, 1895 წ., № 42.

აჲ. წერეთელი არ იყო ხალხური შემოქმედების შეკრების მხოლოდ ინიციატორი და ორგანიზატორი. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო შენიშვნები ამა თუ იმ ხალხური შემოქმედების ნიმუშის შესახებ. მას მშვენივრად ჰქონდა შეგნებული ქართული ხალხური შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა. „შენიშვნაში“, რომელიც გამოხმაურება იყო „ივერიაში“ დაბეჭდილი ლეგენდისა აბრეშუმის კიის შესახებ, მწერალმა მიუთითა ამ ლეგენდის პარალელებზე ქართულ მასალებში¹. საგულისხმოა აგრეთვე „შენიშვნები პრომეთეოსზე და მედეა-იაზონზე“. აკაკის მოსაზრებით მითიური ელემენტებით დატვირთული თქმულებანი უცხო მხარიდან კი არ არის შემოტანილი ჩვენში, პირიქით, ჩვენგან აქვთ გატანილი ბერძნებს².

ა. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხურ პოეზიას. ზემოთ დასახელებულ მოხსენებაში „ხალხური ზეპირ-სიტყვაობა და მისი მნიშვნელობა“ მას მოჰყავს ხალხური ლირიკის ნიმუში: „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“. მეტად გონებამახვილია აკაკის მიერ. ხალხური ლირიკის ამ შესანიშნავი ნიმუშის შედარება რაფაელის მადონასთან, რომელსაც მშვენიერების განსახიერების მიზნით — ულამაზესი ყრმა უჭირავს ხელში. პოეტის აზრით, დასახელებულ ლექსს რუსთაველიც კი ხელს მოაწერდა.

თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა აკაკი ხალხურ პოეზიას, ჩანს იქიდანაც, რომ მან პატარა, ოთხსტრიქონიანი ლექსი:

„თამარ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა“³ —

უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე პოემა „თამარიანი“. „შავთელმა, რომელსაც საგნად ჰქონდა აღებული თამარ მეფის სიწმინდისა და ძლიერების ხელოვნებით გამოხატვა, მისი მეთათ-

¹ აკაკი, „შენიშვნა“, „ივერია“, 1889 წ., № 216.

² ა. წერეთელი, „შენიშვნები პრომეთეოსზე და მედეა-იაზონზე“, „კრებული“, 1897 წ., № 1.

³ აჲ. წერეთელი, „ხალხური ზეპირ-სიტყვაობა და მისი მნიშვნელობა“, „თემი“, 1913 წ., № 118.

სედიც ვერა სთქვა რა, რაც ხალხის გენიოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაჭრა“-ო¹ — აღნიშნავს ხალხური პოეზიის უდიდესი მოტრფიალე.

ვერ დავეთანხმებით აკ. წერეთელს სატრფიალო ლექსებისა და კლასთა ბრძოლის გამომხატველი ლექსების დაპირისპირების საკათხში. პოეტი წერდა: „უმნიშვნელო არც ერთი არ არის, თუმცა პირველს კი საისტორიო, საერო მნიშვნელობა აქვს და მეორე კერძობითა, ადგილობრივი და დიდხანსაც ვერ დაისადგურებს ხალხის გრძნობა-გონებაში“².

* *

ხალხური შემოქმედების შესახებ მოწოდებებსა და წერილებში აკაკი ხაზს უსვამდა ფოლკლორის მეცხიერულ ღირებულებას, მის დამოკიდებულებას სხვადასხვა დისციპლინასთან, როგორცაა ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, დიალექტოლოგია და სხვები. ამ მხრივ მას საყურადღებო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული³.

აკ. წერეთლის ნაწერებში მაცემულია მეტად საყურადღებო ცნობები, რომელნიც შუქს ჰფენენ ხალხური შემოქმედების საზოგადოებრივ ფუნქციას, მისი შესრულების წესებს საქართველოში, მხატვრულ თავისებურებასა, ენასა და სხვ. მოხსენებაში „ხალხური ზეპირ-სიტყვაობა და მისი მნიშვნელობა“, ვხვდებით საგულისხმო ცნობას: „ბატონყმობის დროს საქართველოში და უფრო დასავლეთ საქართველოში, ესე იგი იმერეთში, გლეხებს „ბეგარა“ ემართათ... იყვნენ მისთანა გლეხებიც, რომ ზღაპარი ემართათ, სხვებრ ყოველგვარად თავისუფალნი იყვნენ და ბატონისა და ბატონის ცოლშვილისათვის მხოლოდ ზღაპრები უნდა ეთქვათ ხოლმე. აი ამ მეზღაპრეებს შესწავლილი ჰქონდათ დიდ-ძალი... ყოველ-გვარი ზეპირ-სიტყვაობა მამა-პაპათაგან გადმონაცემი და იმას ავრცელებდნენ“⁴. ამავე ცნობას ვხვდებით მის პატარა

¹ აკ. წერეთელი, „ხალხური ზეპირ-სიტყვაობა და მისი მნიშვნელობა“, „თემი“, 1913 წ., № 118.

² „ზეპირ-სიტყვ. გამო“, „კრებული“, 1897 წ., № 1.

³ აკ. წერეთელი, „ზეპირ-სიტყვაობა და მისი მნიშვნელობა“. „თემი“, 1913 წ., № 118.

⁴ „ხალხ. ზეპირ-სიტყვ. და მისი მნიშვნელობა“. „თემი“ 1913 წ., № 118.

წერილში „განცხადებასავით“¹. საერთოდ, ხალხური შემოქმედების ტრადიციაზე და მისი შესრულების წესებზე ჩვენში მდიდარ მასალას ვხვდებით აკაკის შრავალფეროვან მხატვრულ შემოქმედებაში, რის შესახებაც ქვემოთ იქნება მსჯელობა. ამჟამად ხაზს ვუსვამთ მის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს „ჩემი თავგადასავალი“, რადგანაც მასში მოცემულია ფაქტიური მასალები ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ეანრის ტრადიციაზე ჩვენში. გვხვდება საბავშვო თამაშობანი: „კენჭობია“, „დანობია“, „ქორობია“ და სხვ.; ამ ნაწარმოებში აწერილია, თუ როგორ გარემოში და რა წრეში სრულდებოდა შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვები. პოეტი სიამოვნებით იგონებს ზამთრობით ბუხრის წინ მათ შესრულებას მოსამსახურე ბიჭებთან ერთად ბატონის სასახლეში, გრძელი ღამეების შესამოკლებლად, ან ტოლ ბიჭებთან ერთად ზაფხულობით თევზის ქერისას. აქვე ვხვდებით მდიდარ მასალას „ქონას“, „ალილოს“ და სხვათა შესრულების შესახებ.



ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით, აღსანიშნავია აკ. წერეთლის აგიტაცია ახალგაზრდა მწერლებისადმი. ის მათგან მოათხოვდა ხალხური შემოქმედების ათვისებას, რათა უფრო ნაყოფიერი და ძარღვიანი გაეხადათ თავიანთი მხატვრული შემოქმედება. მეტად საინტერესო ცნობას გვაძლევს პოეტი ალ. აბაშელი თავის მოგონებაში. აკაკის „თემის“ რედაქციაში დაუხასიათებია ახალგაზრდა მწერლები. აღუნიშნავს მათი ღირსება და ნაკლი. მიუცია მითითება, ღრმად შეესწავლათ და აეთვისებინათ ხალხური პოეზია, რომელიც თვალისმომკრელი ფერადებით ასახავს ხალხის გულის მოძრაობას².

ხალხური შემოქმედებისადმი უსაზღვრო სიყვარული აკაკის ბავშვობიდანვე ახასიათებდა. საინტერესოა ერთი ეპიზოდი პოეტის ბავშვობიდან მოთხრობილი მის მამრვე: „საგმი-

¹ აკაკი, „განცხადებასავით“, „კვალი“, 1895 წ., № 6.
² ალ. აბაშელი, „აკაკის შარავანდელი“, „მნათობი“, 1935 წ., № 2.

რო ზღაპრებმა, სავაჟაკო შაირებმა და ამბებმა იმდენად გამიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირად დავისახე. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხედ წარმოვიდგინე და იქით-აქეთ ყურება დავიწყე, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეების სარაიები დამენახა, მაგრამ გადმოვვარდი, გამხდა ბრეგვა მიწაზე და ზურგის ტკივილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული „ღვთისავარ გმირი“ ვიყავი!

უსაზღვრო გატაცება და სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი ბავშვობიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაჰყვა პოეტს. ამის დამადასტურებელია მწერლის მიერ დატოვებული ანდერძი. თავის დროზე ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა აკაკი წერეთლის დაუღალავი მოღვაწეობა ამ დარგში; მას, გარდაცვალების შემდეგ, 1918 წელს, მიუძღვნა ცალკე გამოცემული ორტომეული „ხალხური სიტყვიერებისა“ ამოკრეფილი „ძველი საქართველოს“ ტომებიდან სათანადო წარწერით: „ხალხური სიტყვიერების დიდი მოამაგის აკაკის ხსოვნას უძღვნის მადლიერი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. გამოცემას დართული აქვს სახელოვანი მწერლის პორტრეტი.

* *

ა. წერეთლის მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება ორგანულად არის დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. ა. წერეთლას დიდი გატაცება ხალხური შემოქმედებით არ შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინეს ბავშვობის შთაბეჭდილებებმა: ბატონის ოჯახში ზამთრობით ბუხრას წინ, ან კიდევ ზაფხულობით სათევზაოდ წასულ სოფლის ბიჭებთან ერთად მოსმენილმა ზღაპრებმა, შაირებმა, გამოცანებმა და სხვ. რა თქმა უნდა, ერთგვარი როლი ბავშვობის შთაბეჭდილებებსაც ჰქონდა, მაგრამ მისი ხალხურობის მთავარი მიზეზი მაინც იმ ეპო-

¹ აკ. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, რჩეული ნაწერები, სახელგამი, 1935 წ., გვ. 381.

ქის მოთხოვნები იყო, რომელშიაც ყალიბდებოდა საამაყო მგოსნის აზრი და მსოფლმხედველობა.

ხალხური შემოქმედება აკაკი წერეთლისათვის, ისევე როგორც სხვა გამოჩენილ მწერლებისათვის, პროგრესულ-დემოკრატიული იდეების დანერგვისა და ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის წაწმენდვად ბრძოლის ერთი საუკეთესო საშუალება იყო. ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენებით ა. წერეთელმა გაამახვილა საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებთა ეროვნული და სოციალური მოტივები.

აკ. წერეთელა პირველთაგანია, რომელიც მეტად ახლოს მივიდა ხალხურ შემოქმედებასთან. ღრმად ჩასწვდა ხალხის სულიერი კულტურის საგანძურს და ამოკრიფა ის მარგალიტები, რომელიც ასე ამშვენებს ყოველი დიდი მწერლის შემოქმედებას. მრავალმხრავი და მრავალფეროვანია აკაკის შემოქმედების კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან. პოეტს ხშირად მთელი სიუჟეტი აქვს აღებული ხალხური შემოქმედების სამყაროდან, თემატიკურად ენათესავება მას; მეტწილად კი საკუთარი, დამოუკიდებელი სიუჟეტებისათვის იყენებს ხალხურ შემოქმედებითს ხერხებს ან კიდევ შეაქვს ნაწარმოებში ხალხური რეპერტუარი. აკ. წერეთლის მდიდარ შემოქმედებითს პროდუქციაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზღაპრებს, იგავ-არაკებს, შაირებს, გამოცანებს და სხვებს; მის ნაწერებში საკმაო რაოდენობით გვხვდება უცვლელად შეტანილი ხალხური რწმენისა და ცრუმორწმუნეობის აღწერა; მწერლის შემოქმედება მდიდარ მასალას იძლევა ხალხურ ნაწარმოებთა ტრადიციაზე ჩვენში. დასასრულ, ხალხური პოეზიის გათვალისწინების გარეშე ვერ აიხსნება პოეტის ლექსის მომხიბვლელი სიმარტივე და სიმსუბუქე. ხალხური შემოქმედება აკ. წერეთლის შემოქმედების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

აკ. წერეთლის შემოქმედების მრავალმხრივ კავშირს ხალხურ შემოქმედებასთან თანმიმდევრობით განვიხილავთ: ვაჩვენებთ ფოლკლორიდან აღებულ სიუჟეტებს. და თემებს, გზადაგზა მოვიყვანთ პარალელს ფოლკლორიდან, აღვნიშნავთ ხალხური ხერხებით მოცემულ დამოუკიდებელ სიუჟეტებს

და სხვადასხვა ხალხურ რეპერტუარს თემატიკურად დამოუკიდებულ ნაწარმოებებში.

ხალხური ეპოსიდან აკ. წერეთელს გამოყენებული აქვს თქმულება ამირანის შესახებ, გავრცელებულა ქართული ზღაპარი „ნაცარქექია“ და ზღაპრები ცხოველთა შესახებ. თქმულება ამირანის შესახებ აკაკის გამოყენებული აქვს თემად შესანიშნავი ლექსისა, რომელიც შეტანილია ისტორიულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“. ამ ისტორიულ პოემაში საბერძნეთიდან დაბრუნებული გამარჯვებული ქართველი ჯარი ასრულებს სიმღერას „კავკასიის ქედზე იყო ამირანი მიჯაჭვული“. ეს სიმღერა აგებულია ხალხურ თქმულებაზე, იგი აძლიერებს პოემის პატრიოტულ მოტივს. საუკუნეებგამოვლილი ეპიკური გმირი ამირანი სახეა თვითმპყრობელური-ბიუროკრატიული რეჟიმით სულშეხუთული სამშობლოსი. ურყევია პოეტის რწმენა მომავალში ხალხის გამარჯვებისა. პროგრესული იდეების მქადაგებელმა პოეტმა ხალხურ თქმულებაზე აგებული სიმღერით ასე იწინასწარმეტყველა ხალხის გამარჯვება და თავისუფლება:

ჰოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაქვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჰირი.

ეს სიმღერა ერთი ტაეპის დამატებით შეტანილია აგრეთვე მეორე პოემაში „საქართველოს დღევანდელი სახე“. დრამატულ ნაწარმოებში „მედია“, რომელიც მთლიანად აგებულია მედია-იაზონის შესახებ მითიურ თქმულებაზე, მკვდელა იაზონს უამბობს ხალხური გმირის ამირანის შესახებ¹. ამის მრავალ პარალელს ვხვდებით ქართულ ხალხურ შემოქმედებაში.

„მედიაში“ გამოყენებულია აგრეთვე კავკასიელთა უძველესი რწმენა მიწისძვრის შესახებ, რის მიზეზიც გამწარებუ-

¹ „მედია“, აკ. წერეთლის რჩ. ნაწერები, ტ. III, სახ. გამ., 1927 წ. ტფ. გვ. 205 — 206.

ლი ამირანია, რომელაც ლამობს ჯაჭვის გაწყვეტას. ეს მოცემულია ძიძის მონოლოგში:

„ამირან-გმირო, მთა და ბარს არყევ...
ეს ყველაფერი შენი ბრალია,
მაგრამ ძნელია ჯაჭვის გაწყვეტა,
სანამ ღმერთები შენზე მწყურალია.
და თუ ახლაც კი არ მოგიტხრა
ის უცნაური საჯაქვო პალო,
ამიერიდან მაგ შენს სატანჯველს
ალარ ექნება კეთილი ბოლო¹.“

პოემაში „ნათელა“ მონოლოგების მიერ შევიწროებული ქალაქი ანი შედარებულია ამირანთან:

მაგრამ ქალაქი ტანჯული
განსაცდელს უმაგრეზბოდა,
და ვით ამირანს, გულმკერდი
წყლული-წყლულ უმთელდებოდა².

აკ. წერეთლის ნაწარმოებში უძველესი საგმირო-მითოლოგიური თქმულების გამოყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოხატულება არის. ამირანი სახეა საქართველოსი. მწერალს ღრმად სწამდა ნაციონალური ჩაგვრისაგან სამშობლოს განთავისუფლების აუცილებლობა.

ამავე მიზნით არის გამოყენებული აკ. წერეთლის შემოქმედებაში ქართული ზღაპრის ტიპიური პერსონაჟის — ნაცარქექიას სახე. უშუალოდ მწერლის მიერ ჩაწერილი ხალხური „ნაცარქექია“ დაიბეჭდა „ნობათში“ 1884 წელს. იგივე ზღაპარი სტილიზირებული სახით მან დაბეჭდა საყმაწვილო წიგნში „გაღია“³. ამავე ზღაპრის გამოყენების თვალსაზრისით აღსანიშნავია ლექსი „ადექი ნაცარქექია, ნუ მიხჯდომიხარ კერასა⁴...“ და ზღაპრული მოთხრობა „კულდაბზიკეთი“. ამ მო-

¹ „მედია“, აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. III, სახელგამი, 1927 წ., გვ. 192.

² „ნათელა“, აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, სახელგამი, 1926 წ., გვ. 264.

³ „გაღია“, თხზ. აკაკისა, 1885 წ., ტფილისი.

⁴ იქვე.

თხრობაში ალეგორიულად ასახულია თვითმპყრობელური პოლიტიკით დაცემული საქართველო, სადაც ნაცარქექიებს დაუსრულებელი ჩხუბი აქვთ ერთიმეორეში, თუ რომელ საცოდავ მწერს ეთაყვანონ. მოხდენილად ამათრახებს ავტორი ნაცარქექიებს „თვალნაკრავის“ შელოცვის შესრულების წესით. ბებერი სამჯერ გამოისახავს პირჯვარს, სამჯერ მიაღჟორთხებს ნაცარქექიებს თვალში და შეულოცავს. შელოცვის რექსტი პოეტს ეკუთვნის.

ნაცარქექია, ქექია,
ფუპო, ტუილაგ-ბექია,
ჩას მიგდებულხარ კერასა,
თავი რად გაგიქექია?..¹

სათაურით „ნაცარქექია“ აკ. წერეთელს დაწერილი აქვს პოემა, სადაც ხალხური „ნაცარქექიდან“ ნასესხებია მხოლოდ პერსონაჟი მისი თვისებებით: სიზარმაცითა და კერასთან წოლით. სხვა მხრივ სიუჟეტი ამ პოემისა აღებულია მეორე ხალხურა ზღაპრიდან, რომლის რამდენიმე ვარიანტიც მოგვეპოვება².

ხალხური შემოქმედების სამყაროდანაა აღებული სიუჟეტი პოემისა „ავადმყოფი“³. პოემაში აწერილია ზღაპრის თქმის ტრადიცია. სწეული იძლევა განკარგულებას:

...გააქვრეთ ლამპარი!
ბნელაში ძილის მომყვანი
მითხარით ვინმემ ზღაპარი.

პოემაში ზღაპარა იწყება ტრადიციული შესავალ-საწყისით:

იქო და არა იყო რა...
სცხოვრობდა ერთი მელია...

¹ აკაკი, „კულაბზიკეთი“, „კრებული“, 1899 წ., № 5.

² საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის მასალები, ხელნაწერები. №№: 571; 20356 და სხვ.

³ ყურნ. „განათლება“, 1922 წ., ტ. II.

შემდეგ მოყოლილა ზღაპარი, რომლის მრავალი ვარიანტი მოგვეპოვება ხალხურ სიტყვიერებაში¹. ყველაზე ახლოს აკაკის პოემასთან არის „მელიის ზღაპარი, იერუსალიმს რო წავიდა“. ამ ხალხურ ვარიანტში ადგილი არა აქვს მელას სამღებროში ჩავარდნას. სამაგიეროდ ეს ეპიზოდი გვხვდება მეორე ხალხურ ზღაპარში „მელა“, რომელსაც, გარდა მელას სამღებროში ჩავარდნისა, არაფერი არა აქვს საერთო აკაკის პოემასთან. სამღებროში ჩავარდნის ამბავი გვხვდება აგრეთვე ზღაპარში „მგლის სამღებროში ჩავარდნა“, სადაც მელას ნაცვლად მგელია გამოყვანილი.

უახლოეს ხალხურ ვარიანტში არ არის აგრეთვე მელას მიერ ფრინველებისათვის აღსარების მოთხოვნა. სამაგიეროდ, ეს მოტივიც მეორე ზღაპარში გვხვდება². აკაკის პოემაში მოთხრობილი ზღაპარი სტოვებს ხალხური ვარიანტების მონტაჟის შთაბეჭდილებას, ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუიდან“ არაკი „ბერად შემდგარი მელა“³. შესაძლებელია და უფრო საფიქრებელიცაა. აკაკის პოემის წყაროდ უშუალოდ სულხან-საბა ორბელიანის წიგნში მოთავსებული არაკიც იყოს⁴. აკაკის პოემაში ზღაპრის დასასრულიც ტრადიციულია:

აჰა ელასა, მელასა,
ძილი გაამოსთ ყველასა...
სხვა რაღა მოუთხოვება,
გინდ ბერად შესდგეს, მელასა?⁵

¹ „მელიის ზღაპარი, იერუსალიმს რო წავიდა“, თ. რაზიკაშვილი, „ხალხ. ზღაპრ.“ ტ. I, გვ. 147; „მგლის ბერად შედგომა“, იქვე, გვ. 75; „მგლის სამღებროში ჩავარდნა“, „ქართ. ხალხ. ზღაპრ.“, მ. ჩიქოვანას რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 31; „მელია“, იქვე, გვ. 25.

² „მგლის სამღებროში ჩავარდნა“, იქვე.

³ სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“ გვ. 24.

⁴ ამას გვაფიქრებინებს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ აკაკის პოემაში მოყოლილი ზღაპარი კვალდაკვალ მისდევს სულხან-საბა ორბელიანს არაკს, და, მეორე მხრივ, ისიც, რომ იგავ-არაკთა ამ ცნობილ კრებულისა და არაკი ხშირად იღებდა მასალას თავისი შემოქმედების წყაროდ. ასეთებია: „აქა და ლოპა“. „ბაყაყი და მორიელი“ და სხვები.

⁵ ავადმყოფი, „განათლება“, 1911 წ., № 2.

ზღაპრულ სამყაროდანაა აღებული ფაბულა არაკისა „ვირი და მგელი“. ამის პარალელს იძლევა ხალხური ზღაპარი „მგლის ბერად შედგომა“¹. ამ ზღაპრიდან აკაკი მხოლოდ ერთ ეპიზოდს იღებს. პარალელისათვის ჩვენც მხოლოდ ეს ეპიზოდი მოგვყავს:

აკაკი:

..ერთხელ ვირი საძოვარზე
დაიშართხელა მგელმა,
მიეჭრა და მისი შექმა
მოინდომა საძაგელმა.
არ ელოდა ყურ-პანტურა,
შეკრთა უცებ, ელდა ეცა;
გაქცევა რომ დააპირა,
მუხლებიც კი მოეყეცა.
დაიჩქა... შეპყროყინა...
— „რომ არ მზოგავ, კი ვხედავო,
მაგრამ მაინც სიკვდილის წინ
ერთ სათხოვარს გიბედავო:
ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი
ჩამრჩა და ის მტანჯავს მეო,
და იმის ჯავრს ნუ გამატან,
ამომიღე როგორმეო;
მე ანდერძის ასრულება
სიკვდილს გამიადვილებსო...
შენც ლურსმანი აგცილდება,
ალარ გატკენს მაგ კბილებსო“.
დაუჯერა მგელმა... ლურსმნის
ამოღებას დაეჩქარა,
მაგრამ ვირმა ტყუპად წიხლი
შიგ კბილებში მიიყარა,
ჩაუღეწუ... ჩაამტვრია,
ერთიე ალარ შეარჩინა...
დარჩა მგელი რეტდასხმული,
მხოლოდ პირი დააფჩინა
და სთქვა: — „რატომ არ ვიცოდი,
ბედი ასე დამსჯიდაო?
მამა მყავდა ხარაზი და
წილბანდობას რა მრჯიდაო?..“²

¹ თ. რაზიკაშვილი, „ხალხ. ზღაპ.“, ტ. I, გვ. 75.

² ა. წერეთელი, თხზ., ტ. II, ტფ. 1893 წ., გვ. 116 — 117.

„... მგელი გზაზე მართლა ისევ შეპხვდა ვირს. ესლა კი აღარ მოპგონებია „გამარჯვება“ და პირდაპირ მიუხდა ვირს შესაკმელად. ვირმა გაიკვირვა: აქი იერუსალიმს მიხვილოდი სულის საცხონებლად, რაღა მკამო?

— როდესაც მუცელი ცარიელია, იქ იერუსალიმს რა ხელი აქვს? უთხრა მგელმა: მოემზადე, ესლავე უნდა შეგქამოვო. ვირმა უთხრა: კარგი, მგელო, შემქამე, მაგრამ საწყაღმა ჩემმა პატრონმა ჩემზედ გუშინ ფული დახარჯა, ნალები დამაკრა, და ამაყარე ისინი მაინც, რომ ორნაირი ზარალი არ მიეცესო: მგელი დააფრინდა კბილებით ფეხზე ვირს და დაუწყო ნალებს ყრა. ვირმა უტყუჟა, გააგორა ჩვენი ბერი კბილებჩამტყრეული და გაოთხდა. ცოტა ხნის შემდეგ მგელი გონს მოვიდა, წამოდგა და სთქვა: აბა რა ჩემი საქმეა ნალბანდობა, ახია ჩემზედ, რომ ასე მომივიდაო“¹.

როგორც აღვნიშნეთ, მთლიანად მითიურ თქმულებაზეა აგებული დრამატული ნაწარმოები „მედია“. ამ ნაწარმოებში აკაკის უცვლელად შეუტანია გავრცელებული ზღაპრული მოტივები და ფორმულები. მაგალითად, როდესაც იაზონა დაინახავს მალა მის პირდაპირ მფრინავ ორბს, ამბობს: „თავზე დაჯდომას ხომ არ მიპირებს? სამეფო გვირგვანს ხომ არ მიქადის?“. გავრცელებული ხალხურა მოტივია აგრეთვე ძუძუზე კბენა². ეს ძველი ჩვეულება ჩვენში შვილობილად აყვანის წესს უკავშირდებოდა.

ტრადიციული ზღაპრული ფორმულაა იაზონის მიმართვა ძიძისადმი: „შენ დედა იყავ, მე კი შვილი“⁴.

მომსვლელი სხვებიც ბევრი მინახავს,
მაგრამ წამსვლელი კი აღარავინ...⁵

აკ. წერეთელს ზოგჯერ უცვლელად აქვს აღებული ლეგენდების სიუჟეტები, და მის პოემებსა თუ ლექსებში ფაბულა ისეთივე თანმიმდევრობით არის გაშლალი, როგორც ხალხურ ვარიანტებში. ერთ-ერთ ასეთ ლექსს, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ხალხურ ვარიანტს, მწერალი „ლეგენ-

¹ „მგლის ბერად შედგომა“, თ. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღაპრ., ტ. I, გვ. 75.

² აკ. წერეთელი, „მედია“, რჩ. ნაწ., ტ. III, 1927 წ., გვ. 202.

³ იქვე, გვ. 207.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

დურს“ უწოდებს¹. აკაკი წერეთელს გალექსილი აქვს ორ ვარიანტად ლეგენდა „წმ. გიორგი და წმ. ილია“². აკაკის ორივეს პოემა თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ხალხურ ვარიანტებს³. განსხვავება გვხვდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: ქართლური ვარიანტის მიხედვით დაწერილ პოემაში აკაკის ყანის მყიდველი ქერივი დედაკაცის მაგივრად გამოყვანილი ჰყავს ვაჭარი.

შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის შესახებ არსებული ლეგენდების სიუჟეტთა მიხედვითაა დაწერილი პოემა „რამ გამოიწვია ვეფხისტყაოსანი?“⁴. პოემას ავტორი ლეგენდას უწოდებს.

აკ. წერეთელს შემოქმედების წყაროდ ხშირად გადმოცემები, თქმულებები და ამბებია. გადმოცემას ემყარება პოემა: „ორი ქართველი — ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“⁵. ასევე გადმოცემაზეა აგებული „გორგასლანი“⁶. ავტორი ამ ნაწარმოებს უწოდებს ისტორიულ ზღაპარს და მასში უცვლელად შეაქვს ხალხური ლექსი:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიღმა მთებმა იწყეს ღრეკა⁷.

ძველებური ამბავისა და თქმულების მიხედვითაა აგებული პოემა „ნათელა“. პოემაში მონღოლების შემოსევით

¹ აკაკი, ლეგენდური, „ჯეჯილი“, 1890 წ., № 5; შდრ. ხალხურ ლეგენდას თამარზედ, თ. რაზიკაშვილი. ხალხ. ზღაპრ., ტ. II, გვ. 84.

² წმ. გიორგი და წმ. ილია (იმერეთში გაგონილი აპოკრიფული არაკი), თხზ. აკ. წერეთლისა, II, ტფ. 1893 წ., 272; წმ. გიორგი და წმ. ილია (ქართლში დარჩენილი აპოკრიფული არაკი).

³ იქვე, გვ. 287.

⁴ ეურნ. „განათლება“, 1911, № 1. ა. წერეთლის პოემის ვარიანტები შრავლად მოგვეპოვება ქართულ ფოლკლორში. იხ. რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის მასალები, ხელნაწერები № 1: 12997, 13001, 13046 და სხვ.

⁵ ა. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 179.

⁶ იქვე, გვ. 307.

⁷ ა. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 309.

აოხრებულ საქართველოს დასახასიათებლად მშვენიერად არის გამოყენებული ხალხური რწმენა მზის დაბნელების შესახებ:

ერთხელ თურმე მზე და მთვარეს ო
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:
გაშორდენ და შემაერთო
ჩაინგრიეს გზა და ხიდი.
შუა ჩადგა გველეშაპი,
დრო იხელთა, ჩაეპარა...
აღარც მზე სჩანს, აღარც მთვარე...
ორივ ერთად მიეფარა¹.

მთლიანად ხალხურ შედარებაზე და მეტაფორაზეა აგებული ნათელას სილამაზის აღწერა².

ხალხურ გამოთქმას ენათესავება აგრეთვე:

მალლიდან გადმომდგარიყო
მზეთუნახავი ნათელა³.
ხალხური:
„მალლიდან გადმომდგარიყო
თვალეუქუნ თეთრი ქალიო...“

ზღაპრულ მოტივს უახლოვდება პოემაში ნათელას მოთხროვნა სასიძოვებისადმი: სამშობლოს მტრების თავების მოტანა (რიცხვით 120) და წამოგება სასახლის მესრებზე⁴.

ხალხურ თქმულებასა და ლეგენდარულ მოტივებს ემყარება მოთხრობა „გოგია მეჩონგურე“⁵. ძველი გადმოცემის მიხედვითაა დაწერილი პოემა „კიკოლას ნაამბობი“⁶ და სხვ.

აქ. წერეთელს მოთხრობილი აქვს მრავალი ძველებური ამბავი: დათუნა გოცირიძეზე, გივი ამილახვარზე და სხვებზე⁷.

¹ „ნათელა“, აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 254.

² იქვე, გვ. 256 — 257.

³ იქვე, გვ. 259.

⁴ იქვე, გვ. 258.

⁵ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. I, 1925 წ., ტფ. გვ. 145.

⁶ იქვე, ტ. II, 1926 წ., ტფ. გვ. 137.

⁷ „ღრობა“, 1875 წ., №№ 57, 58, 60, 64, 65.

ა. წერეთლის შემოქმედების საგნობრივი ნათესაობა ფოლკლორთან მხოლოდ საზღაპრო ეპოსიდან ან ძველი გადმოცემებიდან და თქმულებებიდან აღებული თემებით არ ამოიწურება. თემატიკურად მეტად ახლოს დგას ხალხურ ლექსთან ხალხურივე სტილით დაწერილი ლექსი „კურდღელმა სთქვა“:

ა კ ა კ ი :

კურდღელმა სთქვა: „ღმერთს შეესცოდე,
უქმე გავსტეხე კვირესო;
საწყალ-გლეხისა ყანაში
სამკალათ დამიპირესო.
იქ თურმე სუნი სცემოდა
ვილაც წუწკ მონადირესო;
მომძებნეს, დამიცაცხანეს,
მიკივლეს, მომაყვირესო.
მეძებრებს გამოვექეცი,
მწევრებმა დამიჭირესო;
ტყავი გამაძვრეს, გამწელეს,
უწყალოდ დამამცირესო;
ჟვებით დამკიდეს თავ-დაღმა,
კერაზე მიმაშვირესო;
შემწვეს და ჩამახრამუნეს,
და დედა ამიტირესო“¹.

ხ ა ლ ხ უ რ ი :

კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გავიხედე სერზედაო,
ბატონი ზის ცხენზედაო,
წინ მეძებრები მოუღის,
დაგეშილი ჩემზედაო.
დამისიეს, გამომიღგენ,
გავექეცი განზედაო,
აღმართშია მე ვბუჯობე,
იმათ თავდაღმართზედაო.

¹ „გაღია“, საყმაწვილო წიგნი, თხზ. აკაკისა, 1885 წ., ტფილისი.

ერთმა წუწკმა მეძებარმა
 კბილი გამკრა გვერდზედაო;
 გამწიეს და გამომწიეს,
 ჩამოკიდე სხენზედაო.
 მზარეულებს მიმაბარეს,
 კარგად შესწვით ცეცხლზედაო;
 ცალი გვერდი ცეცხლზედ იწვის,
 ცალი ერბოს იღზედაო.
 უყურეთ ამ მსუნაგებსა,
 რა ყოფა აქვთ ჩემზედაო.
 ამარიგეს, ჩამარიგეს,
 წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,
 ხორცი ხორცად შემიკამეს,
 ძვლებს იმტვრევდნენ ცერზედაო¹.

გარდა იმისა, რომ აკ. წერეთლის ნაწარმოებებში უხვად არის გამოყენებული ანდაზები, ხალხური სიბრძნის ეს მოხდენილი ფორმულები მას თავისა ლექსების წყაროდაც აუღია. ასეთია, მაგალითად, პატარა დიდაქტიკური ლექსი „ქუარი“. გავრცელებული ანდაზა „ქვევრს რასაც ჩასძახებ, ამას ამოგძახებს“ პოეტს ასე გამოუყენებია:

ორმოცოციანი კური
 ცარიელი კაცმა ნახა;
 რაც ჩასძახა, მოკვარ ყური,
 რომ კურმაც ის ამოსძახა.
 მე მაშინვე მომაგონდენ
 ზოგიერთი ყმაწვილები:
 რასაც კი გაიგონებენ,
 ჰყვირიან დალოცვილები...²

აკაკი წერეთლის პოეზიის ხალხურობა არ განისაზღვრება ფოლკლორთან მარტოოდენ თემატიკური ან საგნობრივი ნათესაობით. ხალხურა შემოქმედებისაგან საგნობრივად დამოუკიდებელი ბევრი ნაწარმოებისათვის აკაკი წერეთელს

¹ ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, გვ. 61.

² ა. წერეთელი, რჩეული, ტ. IV, თბ. 1928 წ., გვ. 189.

გამოყენებული აქვს ფოლკლორული ქანრები. პოეტის კალამს ეკუთვნის მრავალი დამოუკიდებელ სიუჟეტზე აგებული ზღაპარი, იგავ-არაკი, შაირი, გამოცანა და სხვ. ხალხური სტილით დაწერილ ლექსში „მესტირულა“, სადაც დახასიათებულია პოეტის თანამედროვე მოღვაწენი და მწერლები, ავტორი საზღვრავს საკუთარ ნაწარმოებთა ქანრს:

ოცი წელი შეუსრულდა,
რაც რომ მწერლობს აკაკიო,
ბევრი გვითხრა შაირები,
ზღაპრები და არაკიო¹.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკიმ მშობლიურ საჩხერეში ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე გააცნო ხალხური ზღაპრები, გამოცანები და სხვ. ბავშვობიდანვე გამოიჩინა უნარი ხალხური ქანრის გამოყენებისა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა პოეტის და ანა წერეთელი: „მაშინ, ბატონყმობის დროს, მოსამსახურეებმა ერთმანეთში გაშაირება იცოდენ ხოლმე; აკაკიც ჩაერეოდა და თითქმის ყველასა სჯობნიდა. შაირების გამოთქმით საქმეს უჭირვებდა ყველას. არავინ დაუტოვებია ოჯახშია, არც კაცი და არც პირუტყვი, რომ არ გამოეთქვა რა“. ანა წერეთლის მოგონებაში მოყვანილია პატარა აკაკის საკუთარი რეპერტუარიდან შვიდი შაირი².

მოხდენილად იყენებდა ხალხურ ქანრს მომავალა სიამაყე ქართული პოეზიისა — ჯერ კიდევ ექვსი-შვიდი წლის აკაკი წერეთელი.

აკ. წერეთლის მდიდარა შემოქმედებითი პროდუქცია ხალხური პოეზიითაა შთაგონებული. ის მთლიანად ეუფლებოდა ხალხურ შემოქმედებითს ხერხებს: ენას, სტილს, მეტრს, რიტმს, რითმებს, შედარებებსა და მეტაფორებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი საუკეთესო ნიმუში მისი ლირიკული ლექსებისა ხალხმა აიტაცა სასიმღეროდ, გაახალხურა და მღერის ისე, როგორც საკუთარ გულისთქმას. მღეროდა მას მშრომე-

¹ „მესტირული“, თხზ. აკ. წერეთლისა, ტ. II, ტფ. 1893 წ., გვ. 51.

² „ივერია“, 1904 წ., № 181, ფელეტონი.

ლი მასის ის ნაწილიც, რომელმაც წერა-კითხვა არც კი აცოდა. აკაკის სიმღერები გავრცელებულია მშრომელ ხალხში. ეს იმიტომ, რომ მასმა შემოქმედებამ უხვად შეიწოვა მშრომელი ხალხის ნაყოფიერი პოეზია, გამომხატველი მისი ლხინისა და ჭირის. არამც თუ საქართველოში, საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაისმის მისი „სულიკოს“ ტკბილი ჰანგი და ის ცნობილია, როგორც ქართული ხალხური სიმღერა. იშვიათი იყო ისეთი გლეხის ოჯახი, სადაც დარწმუნლ აკვანთან პატარა არსებისათვის არ ემღერათ აკაკის „იავნანა“. ამ პატრიოტულ აკვნას სიმღერაში, გარდა ხალხური შედარებებისა, სტილისა და რიტმისა, შეტანილია ცნობილი მისამღერი ქართული საწესო და აკვნის სიმღერებასა: „იავ-ნანა, ვარდონანა, იავ-ნანინაო“. ასევე გავრცელებული იყო ხალხურად დაწერილი „იმერული ნანინა“, რომელიც საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისას ავტორმა უძღვნა „საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს“. მშრომელი ხალხის საყვარელი სიმღერა იყო რევოლუციური დემოკრატიის იდეოლოგიის გამომხატველი „გურული ნანინა“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეტად პოპულარული სიმღერა — „მუშური“, როგორც ხალხური შრომის სიმღერის ნიმუში, შეტანილია კ. ბაჟუქერის ცნობილ წიგნში „შრომა და რიტმი“. სასიმღეროა აკაკის ლექსები: „ჩემო ციციანათელა“, „ნათელას სიმღერა“, „ღმერთო, წვიმა მოიყვანე“, „დაიგვიანეს, ჭვერ არსად სჩანან“, და მწყემისის სიმღერა სალამურზე „პატარა კახიდან“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „გაზაფხული“, „სალამური“ და მრავალი სხვა.

აკ. წერეთელი ხალხურ ჟანრსა და ხალხურ ხერხებს იყენებს თავისი პოლიტიკური მრწამსის გამოსახატავად. ამ ჟანრით დაწერილი თხზულებანი მეტწილად მიმართულია თვითმპყრობელური უხეში პოლიტიკის დასაბრუნად. ამ მიზანს ემსახურება ბევრი მისი საკუთარი ზღაპარი, აგავ-არაკი, გამოცანა, ლირიკული ლექსები და სხვები. აკაკის მდიდარი შემოქმედებითი პროდუქცია მეტწილად ხალხურობით ხასიათდება. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით. აღვნიშნავთ, თუ რა არის აღებული ხალხური შემოქმედებას სამყაროდან ამ თემატიკურად დამოუკიდებელ ნაწარმოებებში.

ზღაპრისმიერია ეროვნული მოტივის შემცველი „ღამურა“. ამ ნაწარმოების ორი ვარიანტი არსებობს. პირველად ის დაიბეჭდა პროზად საყმაწვილო ზღაპრებში¹. მეორე ვარიანტი კი წარმოდგენილია ლექსად. დიდაქტიკური ხასიათის ზღაპარში „ოქროს წყარო“², სადაც დაგმობილია ახალთაობის მიერ ზრუნვა მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე, ფაბულის გარდა ყველაფერი ხალხურია. ეს ნაწარმოები იძლევა მასალას ზღაპრის ფუნქციის შესახებაც. გაღია ყველა ზღაპრებს ზამთრის გრძელი დამეების შესამოკლებლად. აქ ხალხურია ზღაპრის მთავარი პერსონაჟი, ის მზეთუნახავია, რომელიც საქმროდ ეძებს ოქროსთმიან ვაჟს. ნაწარმოების დამოუკიდებელი ფაბულა იშლება მთლიანად ზღაპრული ხერხებით, ზღაპრული მოტივებით, როგორცაა: 1) ოქროს წყაროში თავის დაბანით ოქროსთმიანად გახდომა; 2) სასიძოვების გამგზავრება ოქროს წყაროს საძებრად და უამრავი დაბრკოლება; 3) დამხმარე პერსონაჟი, დედაბერი (აფრთხილებს სასიძოვებს არ შევიდნენ ოქროს ზღვაში ან ოქროს კოშკში); 4) ზღაპრის გმირების გამოსაცდელად დედაბრის მიერ კვირისტავის გადაგდება; 5) სულმოკლე სასიძოვების შეტყუება ოქროს ბაღში ან ოქროს კოშკში და მათი დაღუპვა. აქვე ვხვდებით ზღაპრის ტრადიციულ ფორმულას. დედაბერი აფრთხილებს ოქროს წყაროსკენ მიმავალ სასიძოვებს: „ამგლელი ბევრი მინახავს და ჩამომგლელი კი აღარა“.

ხალხური კილოთია დაწერილი პოლიტიკური შინაარსის ლექსი „პასუხი“. მას წამძღვარებული აქვს ხალხური ლექსა:

აკი გითხრეს დედაპილო,
 აუ გამგზავნი წისქვილშია:
 აქ ბიჭები დამხვდებიან,
 ჩამაგდებენ სირცხვილშია.

ხალხურის მიბაძვით იწყება აკაკის ლექსი:

აკი გითხრეს ბატონებო,
 ამ თავითვე ფრთხილადაო..

¹ „დროება“, 1875 წ., № 66.

² „დროება“, 1875 წ., № 72.

ლექსი მთავრდება გავრცელებული ანდაზით:

...და ჩვენც ასე მოგახსენებთ:
რაც მოგივა დავითო,
ნურავის ნუ დააბრალებ —
ყველა შენის თავითაო...¹

ხალხური ჟანრითაა შექმნილი თვითმპყრობელური მმართველობის წინააღმდეგ მიმართული არაკია „სამართალი, კატა და ძაღლი“. არაკში შეტანილია ხალხური ლექსი:

ჩემო კატუნი, რა არი?
რას შემომპყვივი გარსაო?
გვერდს მიწევს მე ჩემი ქმარი,
შენ ვინ გაგიღებს კარსაო?²

ასეთივე მიზნითაა დაწერილი „არაკი“ — იყო ერთი შაი-მუნი³. ხალხური მეტრი, რიტმი და რითმებია გამოყენებული ღრმად პატრიოტულ ლექსში „ხანჯალს“, სადაც ზოგჯერ გამოთქმებაც კი ნასესხებია ხალხური პოეზიიდან.

ა კ ა კ ი :

შენი ჭირიმე ხანჯალო,
რკინაო ზვარასნისაო...⁴

გლესავ და გლესავ მახვილო,
ფოლადო, ჩემო რკინაო⁵.

ხ ა ლ ხ უ რ ი :

შენი ჭირიმე გუთანო,
გათლილო წმინდა ხისაო.

გლესავ და გლესავ ნამგალო,
ნამგალო ჩემო რკინაო.

უცვლელად ხალხური ტაეპებით იწყება ლექსი, რომელსაც ავტორი „ხალხურს“ უწოდებს.

მინდვრად ეგდო თეთრი ქვა,
დავკარ ხელი, თან ამყვა...

¹ თხზ. აკ. წერეთლისა, ტ. II, ტფ., 1923 წ., გვ. 221.

² „დროება“, 1872 წ., № 13. აკაკი, „სამართალი, კატა და ძაღლი“.

³ თხზ. აკ. წერეთლისა, ტ. II, ტფ., 1893, გვ. 200.

⁴ ა. წერეთელი, თხზ., IV, 1928 წ., გვ. 123..

⁵ იქვე.

ქალო, შენი სიყვარული,
სადაც წაველ, თან წამყვან...¹

ხალხურ მოტივზეა აგებული ლექსი „დათვი და მელა“². ხალხურ ზღაპრებში ღონიერი, მაგრამ უგუნური დათვი ხშირად მელას მოხერხებისა და ცბიერების მსხვერპლი ხდება. ამ სიუჟეტურად დამოუკიდებელ ლექსში ერთი ეპაზოდი ნა-სესხებია ხალხურიდან. მელა დათვთან მიიყვანს მონადირეს, მონადირე დათვს კლავს³. ამ ლექსის დასასრული ენათესავება ხალხურ ანდაზას:

ა კ ა კ ი :

თურმე ტყუილი ყოფილა
უხერხულად დიდი ძალა.

ხ ა ლ ხ უ რ ი :

ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა.

ხალხური მეტრათ და რითმებით არის დაწერილი „ქეო, მეო! კაცო სამიწეო“⁴, „ჯარის კაცი“⁵ და მრავალი სხვა. „ჯარის კაცში“ გვხვდება უცვლელად შეტანილი ადგილები ხალხური ლექსიდან:

ა კ ა კ ი :

პატარა ბიჭი ვიყავი,
პატარა ბიჭუნკელაო...
პატარა გოგო მიყვარდა,
პატარი გოგოცუნაო...

ხ ა ლ ხ უ რ ი :

პატარა ბიჭი ვიყავი,
პატარა ბიჭიკელაო,
პატარა ქალი მიყვარდა,
პატარა თინიკელაო

ზღაპრულ შინაარსს მოგვაგონებს ლექსი „დათვი და კაცი“, სადაც, სხვათა შორის, ზღაპრის ფორმულაც გვხვდება:

ბევრი იარა, ცოტა იარა,
დათვს შეეყარა და ემშობილა⁶.

¹ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. IV, 1928 წ., გვ. 123.

² თხზ. აკ. წერეთლისა, ტ. II, ტფ., 1893 წ., გვ. 125.

³ შდრ. ხალხურ ზღაპარს „დათვი და მელა“, თ. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღაპრ“. ტ., I, გვ. 72.

⁴ თხზ. აკ. წერეთლისა, ტ. II, 1893 წ., გვ. 214.

⁵ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., თბ., 1935 წ., გვ. 89.

⁶ თხზ. აკ. წერეთლისა, ტ. II, 1893 წ., გვ. 238.

ხალხური ელემენტებითაა სავსე საბავშვო ზღაპარი-პოემა „ალექსი“. ეს ზღაპარი პროტესტია თვითმპყრობელობის უხეში პოლიტიკის წინააღმდეგ. ზღაპარი ტრადიციული ფორმულით იწყება:

იყო და იყო:
ღვთის უკეთესი არა იყო რა.

მოქმედების ადგილიც ზღაპრულად არის განსაზღვრული:

აქედამ წალმა,
უხრა მთას გადაღმა
იღვა პატარა, ლამაზი გორა.

პოემაში ერთი ეპიზოდი ნასესხებია ზღაპრული სიუჟეტიდან. ეს არის ცხვრისა და ბატყების თავგადასავალი¹.

საყმაწვილო ზღაპრებს ეკუთვნის „მერცხლისა და ჭიჭიკვის ომი“². ამ ნაწარმოებში უცვლელად არის შეტანილი ხალხური ლექსი:

გაზაფხული დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო;
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი გასკვნაო.

ხალხურ მოტივებს ეხვდებით აკაკის პატარა საბავშვო ამბავში „კურდღელი“.³ შესადარებლად მოგვყავს კურდღლის სიმხდალის აღწერა.

აკაკი:

„უცბათ ყური ყურს მიართკა და
ტყევა გაუხდა. კურდღელს ეგონა,
თუ დედა-მიწა ინგრევიაო და
შიშით კინაღამ გული გაუსქდა...
ხან ჩიტისაგან შერხეული შტა
აშინებდა და ხან კოჭის
კვილი... უცბათ რალაცამ წყალში

ტყაპანი შეადინა; თურმე წყალს
პირველ კიდევ ბაყაყი შეცუც-
ქულიყო და იმან ჩაიყურყუმალა
წყალში. აქაც კიდევ კურდღელს
გული გადაუტრიალდა და გახტა
განზე“.

¹ მისი ხალხური ვარიანტებია ზღაპრები: „დათვი და მელა“ (თ. რა-ხიაშვილი, „ხალხ. ზღაპრ.“ ტ. I, გვ. 70), „თხები და მგელი“ (ქართ. ხალხ. ზღაპრები მ. ჩიქოვანის რედ. და წინასიტყვაობით).

² „დროება“, 1875 წ., № 67.

³ „გაღია“, თხზ. აკაკისა, 1885 წ., გვ. 3.

ხ ა ლ ხ უ რ ი :

„იყო ერთი კურდღელი. ერთხელ
წავიდა კურდღელი და მუხის
ქვეშ
დაწვა. მუხაზე ყვავი შემოჯდა

და რკო ჩამოავდო. რკო კურდღელს
თავზე დაეცა; კურდღელს ვგონა,
ქვეყანა იქცევაო, წამოხტა და
გაიქცა...¹

ამბავის ფინალად ხალხური ანდაზაა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივანო“. ხალხური ხერხებითაა გაშლილი სიუჟეტი საბავშვო ამბავში „მოსწავლე და მასწავლებელი“². ზღაპრისმიერი მოძღვარის დარაგებანი უფლისწულის მიმართ: „დაუჯერებელს ნუ დაიჯერებ“; „სადაც არ მისწვდე, იქით ხელს ნუ გაიშვერ“ და სხვ. ამ დიდაქტიკური ამბავის ფინალადაც ხალხური ანდაზაა:

რა გიყო ძმაო თარხანო,
თუ კი ჭკუაზე თხლათ ხარო.

ანეგდოტასებურ ზღაპარს უახლოვდება საბავშვო ამბავი „ბრიყვი და ჭკვიანი“³.

აკაკის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოცანა. ზოგი მათგანი ისეა გავრცელებული ხალხში, რომ ავტორი დაკარგულა. მაგალითად, გამოცანა კურდღელზე:

მინდვრად რწყილივით დახტოდა
ერთი უკულო კატაო...⁴

ეს იმიტომ, რომ აკაკის გამოცანები მთლიანად ხალხური სტილითაა დაწერილი. პოეტი ხშირად მიმართავს და თითქმის უცვლელად იყენებს ხალხური გამოცანების ტრადიციული დასასრულის ფორმულებს.

ა კ ა კ ი :

...და ვინცა ვერ გამოიცინობს
სჩანს ჭკუამ უღალატაო.
(„კურდღლ“, „გადია“).
„ვინც ამას ვერ გამოიცინობს
თვალში ერთი გულდა მტვერი“
(გამოცანა ქორზე, „გადია“).

ხ ა ლ ხ უ რ ი :

ვინც ამას გამოიცინობს, ჭკუით
არის სრული.
„ვინც ამას ვერ გამოიცინობს,
თხაც არის და ბენტერაცა“ და
მრ. სხვ.

¹ ქართ. ხალხური ზღაპრები, ტ. I, მ. ჩიქოვანის რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 22.

² „გადია“ თხზ. აკაკისა, 1885 წ., გვ. 3.

³ იქვე.

⁴ იქვე.

ხალხურის მიბაძვით აკაკის დაწერილი აქვს აგრეთვე ზმე-
ბი და ჩქარა გამოხატემლები. მაგალითად: „კურდღელო,
რას გამოგიციცუნკატუნ-ყურებ-ყავარჯენებიანებია ეგ თავი?
მოვალ, ყავარჯენს დაგარტყამ, უფრო გამოგიციცუნკატუნ-
ყურებ-ყავარჯენიანებ მაგ თავს“¹.

ჩვენ აქ არ შევხებივართ აკ. წერეთლის ყველა იმ ნაწარ-
მოებს, სადაც ხალხურ ჩარჩოში მოცემულია დამოუკიდებელი
თემები. ვფიქრობთ, მოყვანილი მასალაც ნათლად ადასტუ-
რებს, თუ რა საძლიერით ფლობდა და მოხდენილად იყენებ-
და ხალხურ შემოქმედებითს ხერხებს თავის შინაარსით და
ფორმით მრავალფეროვან შემოქმედებაში ეროვნულ-განმა-
თავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი
აკაკი წერეთელი.

* *

უხვად გვხვდება ხალხური რეპერტუარა აკ. წერეთლის
ისეთ ნაწერებში, რომლებიც როგორც შინაარსის, ისე
ფორმის მხრივაც დამოუკიდებელი არიან. ასეთი ხასიათის
ნაწერებიც მრავლად შეიცავენ: ხალხურ ანდაზებს, ზღაპ-
რის ტრადიციულ ფორმულებს და ხშირად მოტივებსაც,
სხვადასხვა სიმღერას, საწესო მოქმედებას და მასთან და-
კავშირებულ ტექსტებს, საქორწილო და სამგლოვიარო წე-
სებს, ხალხური დრამის ელემენტებს და სხვებს. განსაკუთრე-
ბული სიუხვით იყენებს პოეტი ანდაზებსა და ანდაზისებურ
გამოთქმებს.

აღსანიშნავია, რომ შესანიშნავი ისტორიული მოთხრო-
ბის „ბაში-აჩუკის“ ქარგად გამოყენებული მოძღვრის სიზ-
მარი ზღაპრას მაგვარია. ზღაპრულ მოტივს მოგვაგონებს
მონასტერზე სამმაგად შემოხვეული გველეშაპი, რომელსაც
საკუთარი კუდი პირში უჭირავს. მას არ ეკარება გატყორცნი-
ლი ისარი.

მოთხრობაში მოხდენილად არის ჩართული ხალხური
ზღაპრის ეპიზოდი თეიმურაზ პირველის ჩახრუხაძესთან, შავ-

¹ „გაღია“.

ოელთან და რუსთაველთან შეჯიბრების დასახასიათებლად: „ერთი მზეთუნახავი თურმე ყოველ დილ-დილობით მოდიოდა წყაროსთან და, პირს რომ დაიბანდა, ეკითხებოდა ხოლმე წყაროს: „წყაროვ, მე ვჯობივარ, მზე თუ მთვარეო? — „შენც კარგი ხარ, მზეცა და მთვარეცაო, მაგრამ ეთერი კი — ყველას გჯობიათო“, ესმოდა პასუხად და ეყრებოდა გულს. ბატონ მეფესაც სწორედ ასე ემართებოდა: რომ რამეს დასწერს, ეკითხება თავის გულს: მე ვჯობივარ, ჩახრუხა, თუ შავთელიო? „შენც კარგი ხარ, ჩახრუხაც და შავთელიცო, მაგრამ რუსთაველი კი ყველას გჯობიათო“, — უჩურჩულებს გონება და რუსთაველის მოქიშპეს შურით ევსება გული“¹.

მოთხრობაში ხალხურია მეხრეს სიმღერა ურემზე:

ნუ ეძალები წყალდიდსა,
უნდა ეძებდე ფონებსო..
ხერხი სჯობია ღონესო,
თუ კაცი მოიგონებსო².

ამ მოთხრობაში მოცემულია პირმთვარისას დაუვიწყარი სახე. იგი მსოფლიო პარალელების მქონე ქართული პატრიოტული თქმულების მოხდენილად გადამუშავების ნიმუშია³.

ისტორიულ დრამაში „პატარა კახი“ გადმოცემულია ლეგენდა „ქომის გორის შესახებ“⁴. აკაკის მიერ გადმოცემული ლეგენდის დასასრულად გამოყენებულია ხალხური ლექსი:

ჩოდესაც თურმე პირველად სწირეს,
მალალმა მთებმა იწყეს დრეკაო
ღა თამარ მეფეს, ნათლით შებურვილს,
ზეციით მოესმა ზარის რეკაო⁵.

ამ ნაწარმოებში უცვლელად არის შეტანილი ხალხური სიმღერა „მუმლა მუხასა“. ეს ორპირული გუნდობრივი სიმ-

¹ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. I, 1925 წ., ტფ., გვ. 238.

² იქვე, გვ. 245.

³ კ. კეკელიძე, „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის. „აკაკი წერეთელი“, საიუბილეო კრებული, 1940, გვ. 196 — 202.

⁴ იქვე, ტ. III, 1927 წ., გვ. 262 — 263.

⁵ იქვე, გვ. 263.

ღერა შესანიშნავად არის გამოყენებული პატრიოტული გრძნობის გამოსახატავად, სადაც გამძლე მუხა საქართველოს სიმბოლოა და მუშლი კი — მისი მტრების.

ხალხურ რეპერტუარს უახლოვდება „თამარ ცბიერში“ მასხარას სიმღერა ჩონგურზე¹. ამ სიმღერაში, გარდა ჰანგისა, ხალხურია სტალიც. ხალხური ჰანგითაა მოცემული ქართული ლირიკის შესანიშნავი ნიმუში ცირას ნანინა². სიმღერაში თითქმის ყველაფერი ხალხური შემოქმედების სამყაროდანაა აღებული; ხალხურია: მეტაფორები, რიტმი, რითმები, მისამღერი და სხვა.

ხალხური ლექსები გვხვდება დრამატულ ნაწარმოებში „რედაქცია“.

კამხიარული ბუხარო,
გულჩახვეული ნუ ხარო,
ზამთრისთვის შეშა ბევრი გვაქვს,
ნუ, ნულარაფერს სწუხარო³.

ან კიდევ:

ბუხარი და ერთი კაცი,
თუ გაჰირდეს — ორი კაცი;
თუ მესამეც მიემატოს,
ადეჟი და გაღი კარში⁴.

მოხდენილად არის გამოყენებული ზღაპრის ხერხი კომედიაში „ძველსა და ახალს შუა“. ბატონის დივანზე ნებივრად წამოწოლილ იმერელ მსახურს ივანიკას საშინლად სწყურია, იქვე დოქი დგას, მაგრამ ეზარება დივანიდან წამოდგომა და ოცნებობს: „ნეტაი ნატვრის თვალი მომცა, ვინატრებდი ახლა: „დოქო-თქვა, — ვეტყოდი ამ დოქს, — ახტი, დახტი, აქ მომახტე, პირს გაგიღებ, ზედ დამახტი-თქვა“ და ზე მომახტებოდა ის დოქი, მეც წყურვილს მოვიკლავდი. მაშინ ვეტყოდი ისევ დოქს: „ჩაფარ, ჩაფარ დოქ“ და გაჩერდებოდა დოქიც. მერე ვეტყოდი კიდომ: „ახტი, დახტი, ისევ შენს ადგილას გადახტი-თქვა და მომშორდებოდა“⁵.

¹ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ. 1935 წ., გვ. 283.

² იქვე, გვ. 316, 317, 318.

³ „რედაქცია“ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. III, 1927 წ., გვ. 375.

⁴ იქვე, გვ. 376.

⁵ აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, ტფ. 1926 წ., გვ. 12.

აქ. წერეთლის შემოქმედებაში გვხვდება მაგიური პოეზიის ნიმუშებიც. მოთხრობაში „ქართული ფულის თავგადასავალი“ საინტერესოა საახალწლო მოლოცვა, რომელსაც იმპროვიზაციის ხასიათი აქვს: „ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისო. ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწოროთ მხიარულად და ბედნერად თქვენი დიდებული ოჯახით... მტრები აგაშოროთ და პოყერები ნუ გამოგილიოთ, შენიპყრია და წარმომიდგენა თქვენ წინაშე შემცოდე ქურდები, რომელთაც თქვენთვის ფერ-ხორცი მოუპარავთ და სიტკბო წარუტაცნიათ“. ამ სიტყვებთან ერთად მთქმელი გახსნის შეკრულ ბაღდათის ხელსახოცს და ტახტზე გადმოაგორებს წითელ შაქარვაშლებს¹.

აქ. წერეთლის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ხალხური სიმღერის, ფერხულის და სხვა ცეკვის შესრულების წესებს. არაჩვეულებრივი სიზუსტითაა აღწერილი მომხიბვლელი ცეკვა „ქართული“ მოთხრობაში „სამგვარი სიყვარული“. მკითხველი ჰეშმარიტად გრძნობს პლასტიკაში განსახიერებულ ქალ-ვაჟის ტრფობას.

ხალხურ დრამას ემყარება „ბაში-აჩუკში“ ყუენობისა და მასთან დაკავშირებული ჯირითისა და ყაბახობის დაწვრილებითი აღწერა². ხალხური დრამის ელემენტები მოცემულია აგრეთვე ლექსში „ყუენობა“³.

აქ. წერეთელი იძლევა მასალას სხვადასხვა ცრუმორწმუნეობის შესახებ. საინტერესოა გადმოცემა სამღვთო ხეების — ცაცხვის და ბზის შესახებ და მასთან დაკავშირებული რწმენა „წმინდანინისა“ და ტყუილის თქმის შესახებ⁴. აღსანიშნავია ცრუმორწმუნეობა კუდიანების შესახებ და მასთან დაკავშირებული მავნე ჩვეულებანი.

ქართული ხალხური შემოქმედებისა და ეთნოგრაფიის სა-

¹ აქ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. I, 1925 წ., გვ. 291.

² იქვე, გვ. 247, 248, 249, 250.

³ აქ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, 1928 წ., გვ. 207.

⁴ „ქართ. ფულის თავგ.“ აქ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. I, 1925 წ., გვ. 254.

მაგალითო მცოდნე აკ. წერეთელი მდიდარ მასალას იძლევა ძველი წეს-ჩვევების შესახებ ჩვენში¹.

ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების სისტემატური შეკრება-შესწავლის ისტორიის გვიან დაწყების გამო ბევრი რამ ისე გაქრა ძველ წეს-ჩვევებთან ერთად, რომ არ არის ფიქსირებული. თითქმის ყველა ერში საქორწილო ცერემონიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო საპატარძლო სიმღერა. სიმღერის შინაარსი იყო გასათხოვარი ქალის გამოთხოვება მშობლებსა და მშობლიურ მხარესთან. ხშირად, როცა საპატარძლოს არ ჰქონდა უნარი თვითონ გამოეთქვა თავისი განცდები, მოყავდათ საპატარძლოს სიმღერის პროფესიული შემსრულებლები. ამ მხრივ საქმარისი რაოდენობით არის ფიქსირებული რუსული საპატარძლო სიმღერები. როდესაც მშობლები მიულოცავდნენ ახლად დაქორწინებულთ, პატარძალი ეთხოვებოდა მშობლებს:

Вы прощайте, мои милые,
Не забудьте меня, бедную,
На чужой, дальней стороне!

ეჭვს გარეშეა, უამისოდაც არ იქნებოდა არც ქართული საქორწილო ცერემონიალი. ჩვენ არა გვაქვს ფიქსირებული პატარძლის გამოსათხოვარი სიმღერა-მოთქმა, მაგრამ რუსულ საპატარძლო სიმღერა-მოთქმასთან ახლოს დგას მედიას მონოლოგი, როდესაც მას გადაწყვეტილი აქვს გათხოვება იაზონზე და მასთან ერთად გამგზავრება უცხო მხარეს:

მშვიდობით, ჩემო ტკბილო ქვეყანა...
მშვიდობით, ჩემო სამშობლო მხარე,
მშვიდობით, ჩემო სალოცავებო:
მზევ, ვარსკვლავებო და ნაზო მთვარე,
მშვიდობით ჩემო კარგო დედ-მამავ...
ჩემო მამიდა და ჩემო ძიძა...
მშვიდობით... თვალთ რასაც-კი ვეჭვრეტდი:
ცაო ფირუზო და ზურმუხტ მიწა...³

„მედიასი“ გვხვდება აგრეთვე კავკასიაში არსებული უძვე-

¹ „სენა საპატიმროში“, აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. II, 1926 წ., გვ. 69 — 70.

² Н. П. Андреев, Русский фольклор, М. Л. 1938 г., стр. 97.

³ „მედიასი“, აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. III, 1927 წ., გვ. 141.

ლესი წესი მიცვალებულის გასვენებისა და გლოვის. როდესაც მოკლულ იასირს მოასვენებენ, თირთა მიმართავს კარისკაცებს:

...წაიღეთ მკვდარი...

გადაუხადეთ რიგი და წესი,
ოქრო და ვერცხლით შეკვდეთ მუხა,
მრავალშტოვანი და უდიდესი,
ზედ ჩამოჰკიდეთ უსულო გვაში,
რომ ყოველის მხრით სცემდეს ნათელი...
და გლოვის ნიშნად, ჩვეულებრივად,
ტანთ შეიმოსეთ მხოლოდ წითელი...
წინ წაუძღლოეთ კაბდელთა დასი
ზორვით, კაბდურით, საყვირ-განგაშით,
რომ მით მალლა ცა დაკმაყოფილდეს
და დედაძინა აქ ძრწოდეს შიშით...
ჩამოიწყვიტეთ ყველამ საკინძი...
„პოი შავდილაე“ დასძახეთ ზარად
და მეც მოვიგლეჯ ჩემ თავსაბურავს
ნიშნად გლოვისა მარად და მარად...¹

აკაკის შემოქმედება იძლევა მდიდარ მასალას სხვადასხვა ხალხური წესის შესახებ, როგორცაა დამოზილები², ქალაქის სიყვარულის შეფიცვა³ და სხვა მრავალი.

ასე მრავალმხრივი და მრავალფეროვანია აკაკი წერეთლის კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან. რევოლუციამდელმა ქართული ლიტერატურის ისტორიამ უყურადღებოდ დასტოვა ამ უდიდესი შემოქმედის ფოლკლორიზმი. არ იყო შესწავლილი მისი დიდი სიახლოვე ხალხური შემოქმედებას სამყაროსთან, რომელთანაც ის სტიქიურად კი არ მისულა, არანედ — სრულდ შეგნებით. მან ეს სამყარო, მრავალსაუკუნოვანი პროდუქტი მშრომელი მასის გულისთქმათა, მოხდენილად გამოიყენა იმ იდეების გაჩოსახატავად, რომელსაც მისი ეპოქა მოითხოვდა. ის სისადავე, სიმსუბუქე და სიმარტივე, რომელიც ასე ამშვენებს მის მრავალფეროვან შემოქმედებას, ამოღებულია სწორედ იმ სამყაროდან, რომელთანაც მას სიყრმიდან სიკვდილამდე უდიდესი სიყვარული და მზრუნველობა აკავშირებდა.

¹ „მედია“, აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ., ტ. III, 1927 წ., გვ. 249 — 250.

² იქვე, გვ. 208.

³ „პატარა კახი“, იქვე, გვ. 245, 246.

რადიულ მრისთავი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მშობლიური ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რაფიელ ერასთავს. რ. ერისთავმა შეკრიბა და სათანადო ცნობების დართვით გამოაქვეყნა ხალხურ ნაწარმოებთა მრავალი ნიმუში. ამავე დროს მისი მსუბუქი, დახვეწილი ხალხური ენით დაწერილი ლექსები, მოთხრობები და სცენები, ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესები და მშვენიერი რუსული ენით დაწერილი ნარკვევები ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესახებ შეიცავენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ან კიდევ მდადარსა და უტყუარ ცნობებს. ამგვარად, გამოჩენილი ქართველი მწერალი გვევლინება, ერთის მხრივ, შემკრებად და შემსწავლელად ხალხური შემოქმედების ნიმუშებისა, მეორეს მხრივ — გამოყენებლად. ამ ნაშრომში არსებითად მხოლოდ მეორე საკითხია განხილული, საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს მწერლის ნაწარმოებებში ხალხურ შემოქმედებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის შესწავლითაც ვეცნობით მწერლის მეცნიერულ თვალსაზრისს ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის შესახებ. საკითხის მხოლოდ ამ მხრივ შესწავლის დროსაც გვერდს ვერ ავუხვევთ „კრებულში“ გამოქვეყნებულ მის პატარა წერილს მიძღვნილს ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი ხალხური პოეზიის ნიმუშებისადმი, რომლებიც ამავე ურნალში დაიბეჭდა. ამ წერილში რაფიელ ერასთავმა მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად დაასაბუთა ხალხური შემოქმედების აღმზრდელობითი ფუნქცია, მისი დიდი მნიშვნელობა ქართული ენის გამდიდრებისათვის და მშრომელი ხალხის ისტორიის შესასწავლად. ილია ჭავჭავაძის მიერ შე-

რებილი ხალხური ლექსებით აღფრთოვანებული მწერალი წერს: „უროგო არ იქნება, რომ სიმღერების შემკრებელი ითავონ შეგროვება: ზღაპრებისა, მესტიური ლექსებისა, ანდაზებისა, გამოცანებისა და სხვათა ამ გვართა, რადგან მათში ხშირათ გამოსკვივის ბევრი მოსწრებული სიტყვა და აზრი, კეთილშობილური გრძნობა და ჩვეულება ხალხისა; ისმის მათში ნამდვილი ქართული ენის ბრუნვა და მიმოხვრა და დასასრულ, ზოგიერთი მათგანი დაგვეხმარებიან ისტორიული მასალებითაც“¹. ეს პატარა წერილი იძლევა ახსნას ხალხური შემოქმედებისადმი მწერლის დიდი ინტერესისა.

ძნელია დავასახელოთ ქართველი მწერალი, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში რ. ერისთავზე უფრო უხვად აყენებდეს ეთნოგრაფიული ყოფის მასალებსა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ხალხური ჩვეულებებისა და ნაწარმოებების გამოყენებისას მწერალი იძლევა საინტერესო ცნობებს მათი ტრადიციისა და შესრულების წესების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთარ ნაწარმოებებში შეტანილ მწერალმა დავიწყებას გადაარჩინა ბევრი ნიმუში ხალხური შემოქმედებისა.

ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა საშუალებით რ. ერისთავმა ცოცხლად დახატა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება წარსულში. ხალხურ შემოქმედებაშია ფესვები ზევრონისი ეროვნულ-პატრიოტული ნაწარმოებისა.

ეს ნაწარმოებები დიდი ქართველი კლასიკოსების — ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედებასთან ერთად ქართველ ახალგაზრდებში ზრდიდა და ანვითარებდა სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობას. ხალხურ შემოქმედებას ენათესავება რ. ერისთავის ბევრი ნაწარმოები, რომელიც გვახედებს გასულ საუკუნეში ძნელბედობაში მყოფ გლეხთა სულსა და გულში. ხალხური სიტყვიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია მწერლის შემოქმედებისა. ხალხური შემოქმედების ნიმუშებია ამჟამად მის ნაწარმოებთა ეროვნულსა და სოციალურ ნოტივებს.

¹ ქართული სახალხო პოეზია, „კრებული“, 1873 წ., № 7.

რ. ერისთავის შემოქმედება ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოში სხვადასხვა სოციალურ ფენაში ლექსებისა და სიმღერების ძლიერ ტრადიციაზე, მათ მრავალგვარ ფუნქციასა და შესრულების წესებზე. მწერლის ნაწარმოებებში შესულია ბევრი საინტერესო ნიმუში ხალხური ლექსისა ჩაწერილი უშუალოდ მის მიერ.

სიმღერა ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. იგი იყო შთამაგონებელი გასულ საუკუნეში ყმის მდგომარეობაში დარჩენილი გლეხისა. დღის მანძილზე მძიმე ჯაფისაგან მოქანცული გლეხას განწყობილებას ასე გვაცნობს პოეტი:

სალამო ხანზედ ცოლ-შვილით
რომ მოუჯდები კერასა,
მჰადს და ლობიოს მოვიდგამთ,
ღვინოზე ვიწყებ მღერასა¹.

„ღიღინი“, „გალობა“ აუცილებელი ატრიბუტი იყო სამეფო სუფრისაც. მწერალი აწერს ლაშა გიორგის ნადიმს ბაღში და აღნიშნავს:

„შეიქნა სმა და ღიღინი“ ან კიდევ: „ხან მსახიობნი უკრადენ, ხან მოისმოდა გალობა“².

გალობა და სიმღერა ადამიანის სევდის გამქარვებელია. „თამარიანის“ მიხედვით მკვეუნვარე თამარი უამბობს შალვას თავის ვინაობას და აღნიშნავს:

სულ მიგალობენ, მღერიან, მყოფენ სევდისგან ხსნილსაო³.

მშობლიური ხალხური სიტყვიერებას შესანიშნავი მცოდნე მწერალი მდიდარ ცნობებს იძლევა საქართველოში საგმირო სიმღერების სალაშქრო-პატრიოტული ფუნქციის შესახებ. პოემაში „ასპინძის ომი“ რ. ერისთავი ცოცხლად წარმოგვიდგენს ოსმალ-ლექების წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველ

¹ საბრუას სახლკარობა და შეძლება, რ. ერისთავი, ლექსები, ტ. I, შ. რაღიანის რედაქციით. გვ. 183 — 184.

² „თამარიანი“, რ. ერისთავი, პოემები, ტ. II, შ. რაღიანის რედაქციით, გვ. 109.

³ რ. ერისთავი, პოემები, ტ. II, გვ. 42.

ვაეკაცებს. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამშობლოს დამცველ გმირთა მხნეობა ისმოდა სალაშქრო სიმღერებში:

ოსმალ-ლეგებზედ იწვევენ არჩეულს ხალხს ლაშქარშია,
ისინიც აგრე შემოკრბენ, თითქო მოვიდნინ მკაშია,
მოიმღერაან ბიკები, მხნეობა ისმის ხმაშია¹.

სიმღერა იყო აუცილებელი ატრიბუტი ომში. გამარჯვებულთა ზეიმისა. ერეკლე მეორის მეთაურობით ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვების ზეიმი ასეა აწერილი იმავე პოემაში:

შეიქნა ლხინი, მეჯლიში, ყანწის და ჯამის ტრიალი,
ქიქების ტყორცნა, ღლინი, გალობა თასთა წყრიალი,
შეზარხოშებულ ვაეკაცთა სიმღერა, კულის კრიალი,
გარეთ ზურნა, ბუე-ნაღარა, დაფ-დაფი, ხალხის გრიალი².

სიმღერის სალაშქრო ფუნქციის თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „ხირჩლას გალაშქრება ქისტებზედ“. ლექსი ასაბავს წარსულში ტომთა შორის არსებულ ქიშპოზას. ქისტეთში განთქმულ ჯოყოლას გაუტაცნია ხევსური ხირჩლას ქალი. ხევსურეთის მთელი თემი ამდგარა ჯოყოლას წინააღმდეგ. ლექსის დასასრულში აწერილია ბრძოლაში გამარჯვებულ ხევსურთა საზეიმო ნადიმი, რომელსაც თან ახლავს სიმღერა:

ხევსურნი სხედან ხირჩლასას,
ამის სუფრაზე მღერიან,
ქალთამზე კათხით ლუდს აწვდის,
ვაენი მას შემოსცქერიან.
ხირჩლა კი წეკოს ეწევა,
მისდა მიმჯღარა ბერია,
ქისტნი ჯოყოლას იგლოვენ, —
ხირჩლას მოუკლავს მტერია!³

საგმირო-სალაშქრო სიმღერებს კავკასიაში ქალებიც ასრულებდნენ. ისინი ამგვარი სიმღერებით აქეზებდნენ მტრის

¹ რ. ერისთავი, პოემები, ტ. II, გვ. 11.

² იქვე, გვ. 21.

³ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 201 — 202.

წინააღმდეგ ამხედრებულ მეომრებს. საგმირო სიმღერების ასეთი ფუნქციის შესახებ ცნობებს ვხვდებით ალ. ყაზბეგის შემოქმედებაშიც. საგმირო სიმღერების ამგვარი ტრადიცია გამოყენებული აქვს რ. ერისთავსაც — ხალხურ კილოზე დაწერილ პატრიოტულ ლექსში „ნაამბობი მოხუცისა“. ამ ლექსს მწერალი უწოდებს „მიბაძვა ძველ მელექსეთა“. ეს ლექსიც ტომთა შორის ბრძოლას ასახავს. მოხუცის პირით ასეა გადმოცემული ქართველების ბრძოლა მტერთან:

შეგვექმნა ომი ფიცხელი,
 თოფის ცლა, ხმალთა ტრიალი,
 ისმოდა ვაეკაცთ ძახილი,
 ჩვენზედ მოიღეს გრიალი;
 ქალთა დაიწყეს სიმღერა,
 ბალებმა შექმნეს ღრიალი,
 ბევრს აეუტირეთ დედ-მამა,
 დარჩენ ვით ოხერ-ტიალი.

ლექსში მოხსენებულ ქალთა სიმღერის შესახებ მწერალი შენიშნავს, რომ კავკასიელი ქალები „ომის დროს სიმღერით ამხნევენ კაცებს“¹. რ. ერისთავის ნაწარმოებებში შეტანილია საგმირო ლექსების შინაარსი, ან ხალხურ ლექსებში მოხსენებული გმირები. ხშირად მწერალი თვითონ მიუთითებს ნაწარმოების ხალხურ წყაროზე. პოემა „ასპინძის ომში“, სადაც აწერილია დასასრული ომისა, რომელშიაც ქართველებს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ წილად, შეტანილია ხალხური ლექსი ომის მონაწილე სახალხო გმირების შესახებ:

კოხიო ბობლიაშვილი, — აქებენ: — რაებს შერებო?
 — გამგელებულა ეს თუში, წინ ვერვინ დაუდგებო;
 ნაკუდა ქუიძესვილი, რა კანჯარივით ხტებო, —
 შვიდი დაკაფა ხმალ-და-ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგებო!

რ. ერისთავი იძლევა ცნობას ლექსში მოხსენებული სახალხო გმირების შესახებ და იქვე მიუთითებს ლექსის წყაროს: „მესტიურულ ლექსში არიან მოხსენებულნი ეს თუშება: კოხიო და ნაკუდა („კრებული“, 1873 წ. წიგნი VII, გვ. 27)².

¹ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 29.

² რ. ერისთავი, პოემები, II, გვ. 19.

პოემის ეს ადგილი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ გვაცნობს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა მწერალი საგმირო-საისტორიო ლექსის ისტორიულ ღირებულებას.

მშრომელ ხალხში სიმღერების ძლიერი ტრადიციის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ღრმა შინაარსის ლექსი „რას აზუზუნებ მაგ ფანდურს“. ეს ლექსი, რომელიც ნამდვილი გოდებაა მგლოვიარე მამისა სამშობლოს სადარაჯოზე დაღუპულ პირშოს გამო, იძლევა მდიდარ ცნობებს საქართველოში საგმირო და სატრფიალო სიმღერების შემსრულებლებზე, ტრადიციასა და შინაარსზე. ლექსი მოგვყავს მთლიანად:

რას აზუზუნებ მაგ ფანდურს?
დადე ეგ ოხერ-ტიალი..
რაკი შოუყვდა პატრონი,
სიმებმც შესწყვიტეს წკრიალი..
მოკვდა ვაჟურად ლაშქარში,
მომიკვდა ვაჟა-შვილია.
ოჯახს დედა-ბოძ წაეჭკა,
პერანგს შამიწყდა რღილია..
ვილა დასძახებს ფანდურზე?..
ოხრად ჰკიღია ფანდური..
ვერსად წაუხვალ ყისმთსა,
ბედსა ემაიდ ვემდურის
რომ დაუკერიდის, დაჰმღერდის,
გულსაც კი ეფონებოდის,
დაჰმღერდის მთასა და ბარსა,
ანგელოზ გეგონებოდის..
აქებდის ვაჟთა სიმარჯვეს,
ამაით ხრმლისა პრიალსა,
ლურჯა მერანის სიმარდეს,
მუხლსა და ოთხზე ტრიალს!
უმღერდის გულის წაწალას,
ქალას ცა-თვალეზიანსა,
ფსიტივით მფრთხალსა, თეთრ-წითურს,
ღიაცს კოჭამდის თმიანსა..
ნულარ აკენესებ მაგ ფანდურს,
გული რამ მიღონდებისა,
ვერ ამაცრემლებ, გავსალდი,
შვილი რომ მაგონდებისა¹.

¹ ს. ჭრისთავი, ლექსები, I, გვ. 225.

ხალხური ლექსებისა და სიმღერების ფიქსაციისა და ხატობა-დღეობებში მათი შესრულების თვალაზრისით საინტერესოა სცენა „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. ამ სცენაში ქართული ეთნოგრაფიული ყოფის დიდი ცოდნითაა აწერილი ფშავის ერთი თემის ხატობა. ხუცესის დალოცვის შემდეგ ლუდისა და არაყის სმით „შეზარხოშებული სხვადასხვა მხარეს დაჯგუფებული ფშავლები ასრულებენ სიმღერებს:

ე რ თ ს მ ხ ა რ ე ს:

ფშაველი კარ და ფშავს წავალ,
იქა მყავს ღელის ძმანია!..
თათაიო!“.

მ ე ო რ ე მ ხ ა რ ე ს:

„წყალნი წავლენ და წამოვლენ. ქვიშანი დარჩებიანო,
პატარა ქალსა ლამაზსა სისხლისა ცრემლნი სდიანო!“

მ ე ს ა მ ე მ ხ ა რ ე ს:

„თესლი თქვენი სჯობს არწივნო, ფრინველს თქვენ უნდა ფერება,
დაგიჭერიათ ხოხობი, ბატონთან მოგყავს ჩვენებათ.
რღლი გიბოძათ ბატონმა, ყელზე ჩაგიდვან ქლერებად.
მამასა შენსა ჰყვანდიან ვეფხენი და ლომნი ნადირად,
იმისი შეილი შენა ხარ, ირმებს მოიყვან ნადიმად,
მოეწეოდი, მოჰკლავდი, რა მალე უზამ ადვილად...
შენ, ჩვენო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,
ისარო ოსეთს ნახვეწო, ქალაქს ნაღებო ინითა,
კაბაო ხავერდისაო, ცხრაკან საყრელო რღილითა,
უკვდავებისა წყარო ხარ, აღმოსდი ოქროს მიღითა!..“¹

მწერლის თანამედროვე ლიტერატორებისადმი მიძღვნილ რუსული სათაურის მქონე მოთხრობაში „Литературный вечер“ დატულია საინტერესო ცნობა ძველი თბილისის სახალხო მომღერლებსა და დამკვრელებზე. ლიტერატურული სადამოს დამთავრების შემდეგ სოლომონი მეგობრებს ურჩევს ორთაჭალაში საქეიფოდ წასვლას, თანაც პირდება: „... მე წამოვიყვან იქ ქოპეპასა მეღუდუკეს თავისის დამქაშით, ივანე

¹ რ. ერისთავი, მოთხრობები და სცენები, III, გვ. 78.

მეკიანურეს, ქლესა მედლოეს და ხლეპუზა მედაირეს... მომ-
ლერალსაც, თუ გინდათ სათარას, თუ გინდათ ევანგულას და
ჩავსხედეთ“¹. მოთხრობაში მოხსენებული დამკვრელები და
მომლერლები რომ რეალური პირები იყვნენ, ეს ჩანს ი. კე-
რესელიძის წერილიდან რ. ერისთავისადმი, სადაც მოხსენე-
ბულია სათარა².

ფართოდ არის გამოყენებული ხალხური სიმღერები და
ცეკვები დრამატულ ნაწერებში, რომელნიც თავის დროზე
წარმატებით იდგმებოდნენ ქართულ სცენაზე³. რ. ერისთავის
ცნობით თავისი ხმა ჰქონია სიმღერას „თეთრი ბაღის კუნწუ-
ლო“⁴. მწერლის ბევრი ნაწარმოები ადასტურებს, რომ ცეკვა
„ქართული“ ქართული ლხინის აუცილებელი ატრიბუტი იყო.
ყველა სოციალურ ფენიდან გამოსულ კარგად აღზრდილ ქარ-
თველ ქალს უნდა სცოდნოდა „ქართულის“ ცეკვა. მოთხრობა
„ნინოს“ მიხედვით ნინოს კარგი აღზრდა ასე არის დახასიათე-
ბული: „კარგად იცოდა ხელსაქმე, ნარდი, ჭადრაკი და ლეკუ-
რის თამაშობა“⁵.



სიმღერა მაშვერალის განუყრელია ლხინსა და ჭირში. დღის
მანძილზე ჯაფისაგან დაღლილს, ოფლში გაჩურჩულს, შინი-
საკენ მიმავალ მუშას ახალუხიც კი არ შერჩა მშრალი, მაგრამ
ის მაინც „მიდის, ღიღინებს დაბალს ხმაზედა“⁶. რ. ერისთავი
შესანიშნავად იცნობს და კარგად აგვიწერს შრომისა და სა-
მეურნეო სიმღერების სახეებს... მშრომელთა ყოფის დახატ-
ვის მიზნით მწერალი მოხდენილად იყენებს შრომის სიმღე-
რების ტექსტებს, მათ ტრადიციასა და შესრულების წესებს.

1 რ. ერისთავი, მოთხრობები და სცენები, III, გვ. 70.

2 შ. რადიანი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 538.

3 „პარიკმახერისას“, დრამატული ნაწერები, ტ. IV, გვ. 56. „ნათლია
და ნათლულები სცენაზე“, იქვე, გვ. 231, 232; „ბრუნავი სტოლები“,
იქვე, გვ. 317; „ბიძიასთან გამოხუმრება“, იქვე, გვ. 386-388, 394-396
და სხვ.

4 „ქაჩუა“, იქვე, გვ. 135.

5 მოთხრობები და სცენები, II, გვ. 8.

6 „სურათი“, რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 143.

ხალხური შემოქმედების ამ თავისებური უბნის ტრადიცია განსაკუთრებით ცოცხლად არის მოცემული სოფლის სურათების აწერისას. ლექსში „აღზევანს წასვლა“ ნათლადაა მოცემული ურმულის შესრულების გარემო. კითხულობ ამ ლექსს და წარმოგიდგება წარსული ყოფის სურათი, მთვარიან ღამეში ურმებით აღზევანს გამგზავრებული ბიჭები. თითქოს ხედავ კიდევაც ჩამწკრივებულ ურმებს და ისმენ ურმულის სევდიანსა და ამავე დროს ნუგეშის მომგვრელ ტკბილ ჰანგს. ლექსის დასაწყისი სრულ წარმოდგენას იძლევა როგორც შრომის პროცესზე, ისე მასთან დაკავშირებულ მშრომელის საარსებო მოთხოვნილებით განსაზღვრულ სიმღერაზე:

მარილზედ მიუღენ ბიჭები,
დარდი არა აქვთ გულშია,
ურემი მისდევს ურემსა,
შოლტების ტყლაშა-ტყლუშია!..
ნაცადი ბიჭი მიუძღვის,
ტკბილად დამღერის ხარებსა,
ჰფიქრობს, მოივლის აღზევანს
და ცოლ-შვილს გაახარებსა¹.

ამას მოსდევს ხალხურ კილოზე დაწერილი ურმულის ტექსტი. იგი იწყება ცნობილი ხალხური სტრიქონებით:

აღზევანს წავალ მარილზედ,
მარილს. მოვიტან ბროლსაო.

შემდგომ დახასიათებულაა მუშა საქონელი, ურემი და მისი შემადგენელი ნაწილები. ყველაფერი ეს ტრადიციული შრომის სიმღერების მიხედვითაა გაკეთებული. სცენაში „რკინის გზაზე“ ძველი ადამ-ჩვევების მოტრფიალე ქართველი გლეხის დასახასიათებლად გამოყენებულია ურმული „აღზევანს მივალ მარილზე“².

შრომის სიმღერის სხვადასხვა სახის ნიმუშები სატრფიალო მოტივებს შეიცავს. ასეთი მოტივი ურმულისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი, რაც ჩანს რ. ერისთავის ლექსიდან

¹ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 162.

² რ. ერისთავი, მოთხრობები და სცენები, III, გვ. 117.

„გოგოს ქირიშე“. მწერალი ამ ლექსს მეურმის სიმღერას ეძახის¹.

ლექსი „გუთანი“ შრომის პროცესთან ერთად მშვენივრად ახასიათებს შრომის სიმღერების თავისებურ სახეს—გუთნურს. რ. ერისთავის ლექსი იწყება და მთავრდება გავრცელებული ხალხური ტექსტით:

გადი-გამოდი გუთანო,
ლირლიტავ, ბანი უთხარო.

ამავე ლექსში ხალხურია მიმართვა სამუშაო იარაღისადმი: „შენი ქირიშე გუთანო“. ლექსი საინტერესოა აგრეთვე „ოროველას“ ტრადიციის გასათვალისწინებლად. ხაზგასმულია, რომ აგი აჩიას სიმღერა მეხრესი, რომელმაც ხალხური ლექსის მიზეზით გუთანზე „მალიმალ უნდა დასძახოს სიმღერა ლაზათიანი“. რ. ერისთავი ასე მიმართავს მეხრეს:

მეხრევე, გაუკარ შეინდასი,
სოტა ზარმაცი ხარია.
გააკიმიწეთ ჯამბარა,
დამმღერეთ „ოროველა“,
გადააშავეთ მინდორი,
რომ დაგვნატროდეს ყველაო².

„ოროველა“ რომ მეხრის სიმღერაა, ეს აღნიშნულია აგრეთვე კრილოვის არაკის „მაიმუნის“ თავისუფალ თარგმანშიც³. ეს თავისუფალი თარგმანი იმითაც არის საინტერესო, რომ შეიცავს ცნობას გუთნულთან დაკავშირებულ ჩვეულებაზე — გამვლელების მიერ ხარ-გუთნის დალოცვაზე: „შემატე-ბა მეხრეებსა, მკლავის ძალა გუთნის დედას“⁴.

გუთნურია მუხლობრივი სიმღერების გასათვალისწინებლად საინტერესოა ლექსი „ბუზი“. ამ ლექსში გამოყენებულია გუთნულის დამთავრების სიმღერა. მუშა საქონლის შემაწუხებელი ბუზი ასე მიმართავს მეორე ბუზს:

¹ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 193.

² იქვე, გვ. 152.

³ იქვე, გვ. 336.

⁴ იქვე.

ჟუთანი გეება მინდორში,
გამოვიყვანეთ ალოო,
ახლა პური გვაქვს სალენი,
უნდა გავმართოთ კალოო¹.

ეს არის ოდნავ შეცვლილი სახე თავის დროზე გავრცელებული გუთნური სიმღერისა:

ხარმა სთქვა პირმა ნათელმა,
გამოვათავე ალოო,
ეხლა შინისკენ მივდივარ.
უნდა გავმართო კალოო².

შრომის სიმღერების ტრადიციით მწერალმა გაგვაცნო მშრომელთა ძნელბედობა წარსულში. დღის მანძილზე ანუ ულის ხვნით დაღლილი ღამის მეხრე, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტლუ ბიჭი“, ღამით აძოვებს საქონელს და ღიღინით იფრთხობს ძილს:

ვმაგრობ და ვფრთხილობ, თავს ვიქერ,
თან დავღიღინებ წყნარათა³.

მძიმე ხვედრის მქონე ღამის მეხრის სიმღერის სევდიან კილოს გვაცნობს ლექსი „ღამის მეხრის სიმღერა“⁴.

ორმოქმედებიან ვოდევილში „ქაჩუა“ რ. ერისთავი იძლევა ნადურისა და სამკალის მშვენიერ დახასიათებას. უქნარა თავადს ლუარსაბ იბალაშვილს — ქაჩუას არ აინტერესებს მამითადის მუშაობა. მამითადს თავს დასტრიალებს თავადის მეუღლე მათა. მან იცის, რომ სიმღერა საქმეს შველის, იგი შრომის აუცილებელი ატრიბუტია. მათამ დაინახა თუ არა ჩრდილში დასვენებული მუშები, დოინჯი წემოიყარა და შესძახა: „არიქა თქვენს გამარჯვებას!.. სიმღერა, სიმღერა!“..

ამავე პიესაში მუშების მოქმედების ასახვის მიზნით გამოყენებულია ნადური. მწერალი ასე ახასიათებს შრომის სიმღერის ამ საინტერესო სახეს. „სთოხნიან და თან იმღერიან ნადურს, რომელიც რიანის პირათ იციან ხოლმე საკუონდლოში: ერ-

¹ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 191.

² ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934 წ., გვ. 172.

³ „ღამის მეხრე“, რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 160.

⁴ იქვე, გვ. 197.

თის მოძახილი და სხვების ბანი. მაია ხამუში და ხამუში დააკიეინებს“¹. ამავე ვოდევილის მიხედვით მუშები მღერიან დასვენებისას, პურის ქამისას და სათოხნელად გამგზავრებისას². ჩანს, თოხნასაც თავისი მუხლობრივი სიმღერები ჰქონია. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მწერალს არ მოყავს ტექსტები თოხნასთან დაკავშირებული მუხლობრივი სიმღერებისა.

მუხლობრივი სიმღერები თან ახლდა მკასაც. ამავე ნაწარმოებში მოიპოვება ცნობები მუხლობრივი სამკალი სიმღერების შესახებ. მუშები მასპინძლისას „მუშური სიმღერით“ მიდიან. მასპინძლისას მისულები კი „დასხდებიან და დაიწყებენ ნამგლების ლესვას და თან იმღერიან“. ცხადია, მწერალი აქ გულისხმობს გავრცელებულ სიმღერას „გლესავ და გლესავ ნამგალო“³. ყანის მკის პროცესი და მასთან დაკავშირებული სიმღერა, რასაც მისამღერის გამო „ჰოოპუმას“ ეძახიან, შესანიშნავად არის აწერილი ხალხური ენით დაწერილ ლექსში „ზაფხული“. ამ ლექსის სტრიქონები უშუალოდ განგვაცდევინებს მომკალთა გარჯას, ნამგლების გამალეულ ტრიალსა და დინამიკურ სიმღერას:

აგერ, აგერ ყანებშია
„ჰოოპუმას“ იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა,
ქერს მორჩნენ და პურსა მკიან.
მტრედი, გვრიტი და ქედანი
იქ ირევა ნამჯაშია,
მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს
მღერასა და გარჯაშია!
შახე იმ ერთს, გულ-გაღელილს,
თაზე ქუდი არა ჰხურავს,
ხელცახოცი შუბლს წაუკრავს,
დასძახის და ოფლში სცურავს!
შახე ერთი მეთაურსა,
შახე იმის ნამგლის ტრიალს,
ყური უგდე მუშის გუგუნს,
ყური უგდე იმათ გრიალს!..

¹ რ. ერისთავი, დრამატული ნაწერები, IV, გვ. 144.

² იქვე, გვ. 144 — 145.

³ იქვე, გვ. 161.

აბა შახე, რა ერთგულად
ყველა ყანას ეტანება...
მღერიან და კივინებენ,
„ჰოოჰუმას“ იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა,
ქერს მორჩნენ და პურსა მკიან !.

მამითადი და „ჰოოჰუმას“ ტრადიცია არის აგრეთვე დახასიათებული ლექსში „თინიას სამთადი“², რომელიც წარსულში მშრომელთა ძნელბედობას ასახავს. ძველი, ტრადიციული მწყემსური სიმღერის კილოთია დაწერილი ლექსი „მეცხვარე თრიალეთზედა“³.

ხალხური კილო აქვს აგრეთვე პოპულარულ ლექსს „მევენახის სიმღერა“ („ვაზის კირიზე, ვაზისა“⁴). რ. ერისთავი გვაცნობს სიმღერების ტრადიციას სხვადასხვა სოციალურ ფენაში. მიმინოთი მწყერზე ნადირობასთან დაკავშირებული სიმღერა „მიმინო მყავდა, მიყვარდა“ გამოყენებულია თავდაზნაურობის ფუქსავატობისა და უქნარობის დასახატავად. მაშინ როდესაც ლუარსაბ ილბალაშვილის ყანაში მამითადია, მასპინძელი „ჩამომჯდარა კუნძზე და მიმინოს ხელს უსვაჰს და უყვავებს შტვენით“. თანაც უღარდელად ღიღინებს:

მიმინო მყავდა, მიყვარდა,
აარალო, ჰაარალო,
აარანო, არუნანანოო!..
მიმინო გამეპარაა და...
აარალო, ჰაარალოო,
არანო, არუნანანოო!
ქუთაისს ქედსა შემოჭდა,
აარალო, ჰაარალოო,
არანო, არუნანანოო!..
ეყვანი შეაქრიალაა,
აარალო, ჰაარალოო,
არანო, არუნანანოო!..⁵

¹ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 119.

² იქვე, გვ. 141 — 142.

³ იქვე, გვ. 199 — 200.

⁴ იქვე, გვ. 196.

⁵ „ქაჩუა“, დრამატ. ნაწერ. IV, გვ. 131.

დადასტურებულა, რომ მიმინოთი და ქორ-შავარდნით ნადირობა არ არის მშრომელთა წრის ნადირობის ტიპური ფორმა. იგი არისტოკრატიული წრის ნადირობის ფორმას წარმოადგენდა¹. ქართველი ხალხის ზნეჩვეულებათა შესანიშნავ მცოდნე მწერალს არც ნადირობის ეს ფორმა დაუტოვებია ყურადღების გარეშე. მან ამ საკითხს საგანგებო წერილიც კი მიუძღვნა². რ. ერისთავმა თავის პიესაშიც მოხდენილად გამოიყენა იგი უქნარა თავადის სახის სრულყოფის მიზნით.

მწყერებზე მიმინოთი ნადირობით გატაცებულ თავადს ასე მიმართავს ცოლი: „ეგ არის შენი საქმე!... აარანო, თაარანო! სულ აგრე უნდა მწყერებსა სდიო?!. კაცო, სულ მე სად ვეთრიო... აი, დღეს, სიმინდის მოხნავი გყავს, მაშითაღი კიდევ სხვაა... რომელ ერთს გაუვიდე?! ადე, მიჰხედე!..“ ცოლის საყვედურებს უქნარა თავადი ისევე ზემოდმოყვანილი ტექსტის უდარდელი ღიღინით აძლევს პასუხს³.

ამავე სიმღერას ღიღინებს თავადი მაშინაც, როდესაც მის ოჯახში ალიაქოთია ატეხილი ქალიშვილის სახლიდან გაპარვის გამო⁴. ამგვარად მწერალი ხაზს უსვამს ამ სიმღერის კლასიურობას.



პროზაული უანრის ნაწარმოებებიდან რ. ერისთავს დაუცავს შესანიშნავი საისტორიო გადმოცემა. მწერლის ცნობით იგი მისთვის უამბნია თელავის მცხოვრებს ზაად ჭინჭარაულს. ეს ღრმა შინაარსის შემცველი გადმოცემა ჩვენთვის სხვა წყაროთი არ არის ცნობილი. ტექსტი მოგვყავს იმ სახით, როგორც თქმსარებულა მწერლის მიერ: „წარსულ საუკუნეს თელავში ყოფილა ერთი მოხუცებული მექიანურე. ეს თურმე არასდროს არ ერეოდა საზანდრებში. თავისიანების ჭირსა და

¹ აღ. რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, „მიმომხილველი“, I, გვ. 178 — 179.

² P. Эрнстов, Охота за фазанами в Кахетии, „кавказ“, 1847г., № 20.

³ „ქაჩუა“, დრამატ. ნაწ., IV. გვ. 132, 133.

⁴ იქვე, გვ. 151.

ლხინში კი მიუპატრუებლად მივიდოდა, საგლოველს იგლოვ-
და მოთქმით და თან ჭიანჭურის დეკვრით, და სალხენს ილხენ-
და და სხვებსაც ალხენდა.

მეფე ერეკლე რომ გარდაიცვალა, მივიდა თურმე ეს უც-
ნაური მეჭიანურე, კუბოს შორი-ახლო წამოჯდა, დაიწყო
მწარის სიტყვებით გლოვა და ზედ ჭიანჭური ააყოლა ხამუშ-
ხამუშ, და იქ მყოფნი აატირა“. გადმოცემას უანგარო ხალ-
ხური მომღერლის მიერ დიდი ეროვნული გმირის გულწრფე-
ლად დატირებაზე. შთაუგონებია პოეტი. ამის შედეგია მისი
ლექსი „უცნაური მეჭიანურე“, რასაც შენიშვნის სახით თან
ერთვით მოყვანილი გადმოცემა. ლექსში რ. ერისთავი გვაც-
ნობს თავის შეხედულებას ხელოვანის მოვალეობაზე — პოე-
ტი კიცხავს პროფესიულ მომღერლებსა და მელექსეებს, რო-
მელნიც მონაწილეობენ ყოველგვარ სახალხო მეჯლისში. მათ
უპირისპირებს მეჭიანურეს, რომელსაც, გადმოცემის თანახ-
მად, მხოლოდ ჭეშმარიტი ლხინი ამღერებდა და ნამდვილი
დარდი ატირებდა. პოეტი ხალხურ გადმოცემას ამგვარად ეხ-
მაურება:

მე ჩემს ჭიანჭურს არ ვათრევ
სახალხო მეჯლისებშია,
მე იმ დასტისა არა ვარ,
ვიარო საზანდრებშია.
ჭიანჭურს დაკვრავ ძუასა,
როცა მეწვევა დარდია,
ან როცა ვლხინობ მოყვრისას,
და გულში ჰყვავის ვარდია¹.

საისტორიო ნაწარმოებთა გენეზისის თვალსაზრისით საინ-
ტერესოა პოემა „თამარიანიდან“ ადგილი, რომელიც საქართ-
ველოში შემოსეული ჯალალ-ედინის მრავალრიცხოვანი ჯა-
რის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველ ვაჟკაცთა გმირობას
ეხება. ქართველები ძლიერ აგრესორს უკვლავდებოდნენ. მა-
შინდელი სისხლისმღვრელი ომისა, ქართველთა უდიდესი მა-
მაცობისა და მათი მწარე ზვედრის ამსახველია „შალვა-შავ-
ლეგოს“ სახელწოდებით ცნობილი საფერხულო სიმღერე-

¹ ლექსები, 1, გვ. 218.

ბი¹. რ. ერისთავიც თავის პოემაში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველთა გმირობა გახდა საგანი თქმულებებისა და ლეგენდებისა:

„ქართველების მამაცობა გაცაითქვა, გაარაკდა“².

ხალხური გადმოცემა არის წყარო რუსულ ენაზე დაწერილი მოთხრობისა „Оборванец“. მწერალიც მას ფშავურ თქმულებას (пшавская быль) უწოდებს. მოთხრობის მოქმელად ფშაველი დედაკაცი ვულთამზეა გამოყვანილი. შეიძლება ეს ფშაური ტრადიციის საფუძველზე შექმნილი მწერლის შემოქმედებითი ხერხიც იყოს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ვულთამზე რეალური პიროვნება იყოს და მოთხრობაში მოქმელის სახელი იყოს შემონახული. მთის ხალხთა ყოფის ზედმიწევნით მცოდნე მწერალი ამ მოთხრობაში იძლევა მკაცრ კრიტიკას სისხლის ალების მავნე ჩვეულებებისა, რის მსხვერპლნიც გახდნენ მერცხალა, ლაშქარა, გამიხარდი და სხვები³.

ხალხური თქმულება არის წყარო რ. ერისთავის ლექსისა „ქოროლლი“. მწერალი ამ ლექსს „ხალხურ ლეგენდას უწოდებს“⁴. ქოროლლის შესახებ თქმულების ვარიანტები დღემდე საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი ქართულ სინამდვილეში⁵. ეს ფაქტი მაჩვენებელია ქართველი და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობისა. აზერბაიჯანელ სახალხო გმირის შესახებ არსებული ლეგენდის გადამუშავება მწერლის მიერ ხალხთა მეგობრობის დიადი იდეით იყო ნაკარნახევი.

ხალხური თქმულების საფუძველზეა აგრეთვე შექმნილი მშვენიერი რომანტიული ლექსი „ქალი-აყვანა“. მწყემსი ვაჟი

¹ გ. ლეონიძე, შალვა-შაველეგო, „კომუნისტი“, 1941, № 260; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949 წ., გვ. 81 — 86.

² პოემები, II, გვ. 126.

³ მოთხრობები და სცენები, III, გვ. 189 — 217.

⁴ ლექსები, I, გვ. 140.

⁵ საქ. სსრ შეცნ. აკად. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტ. ფოლ. არქ., №№ 689, 30193 და სხვ. ერთი მისი ვრცელი ვარიანტი ჩაწერილია ჩვენს მიერ 1944 წ., ს. შილდაში დათა გარსევანიშვილისაგან.

ასრულებს სატრფოს თხოვნას: ზურგზე აკიდებული, სა-
ლამურის დაკვრით აყავს ქალი გორაზე და კვდება. ასეთია ფა-
ბულა ხალხური თქმულებისა და რ. ერისთავის ლექსისა.
თქმულება გავრცელებულია კახეთში. იგი იძლევა ხალხურ
ეტიმოლოგიას ს. შილდასა და ს. ყვარელს შუა ნეკრესისა-
კენ მდებარე პატარა გორაკის „ქალი-აყვანას“ სახელწოდე-
ბისა.

თქმულების რამდენიმე ვარიანტი ბოლო წლებშია მოპო-
ვებული¹. იშვიათია ამ გორაკთან გაიაროს უცხო მგზავრმა,
რომ იქაურმა მცხოვრებლებმა არ უამბონ ეს თქმულება. ნეკ-
რესისაკენ მგზავრობისას ამგვარად მოვისმინეთ მისი ერთი
ვარიანტი 1944 წელს ს. შილდის მცხოვრებ მოხუცი ქალის
ელძის ირემაშვილისაგან. იქაური მცხოვრებნი ახლაც ადას-
ტურებენ რ. ერისთავის ლექსის ბოლო სტრიქონების ში-
ნაარს:

იქვე დგას დღესაც ის გორა,
თათქოს მინდვრების მკველია,
„ქალი-აყვანა“ დაარქვეს,
რადგან იმ მწყემსის მკვლელია;
იქ, ახლო-მახლო სოფლებში
სუყველა ამის მთქმელია,
ასე გავიგე ყველასგან
ამბავი ძველის-ძველია².

პოემა „თამარიანში“ დაცულია საინტერესო ლეგენდა. იგი
იძლევა მცხეთასთან ახლოს მდებარე ადგილის „დევის ნამუხ-
ლის“ სახელწოდების ხალხურ ეტიმოლოგიას. ბატონიშვილი
ილიას ბინის საძებრად გამგზავრების აწერასთან დაკავში-
რებით პოემაში ვკითხულობთ:

გასცდენ იმ ადგილს, სადაც მდევს ჩაუდრეკია ქვანია,
დასწაფებია მტკვარს, საღში³ მუხლები ჩაუყვანია⁴.

მთლიანად ხალხურ თქმულებაზეა აგებული ოთხსტრიქო-

¹ ფ. არქ., №№ 30571, 30596.

² ლექსები, I, გვ. 137.

³ ტინი — კლდე. განმარტება ეკუთვნის რ. ერისთავს.

⁴ რ. ერისთავი, პოემები, II, გვ. 30.

ნიანი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. პოეტი უშუალოდ მიუთითებს ლექსის ხალხურ წყაროზე:

აერქმლდა ხალხი, მთა-გორი,
შეგროვდა ბაზალეთის ტბა,
ჩაუშვეს ოქროს აკვანი,
ასეა ძველად ხალხის თქმა¹.

ანეგდოტების ფიქსაციის თვალსაზრისით საინტერესოა სცენა „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. სცენა მთლიანად საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შესახებ არსებული ანეგდოტებითაა შედგენილი. საყურადღებოა ანეგდოტების ვარიაცია იმის მიხედვით, საქართველოს რომელ კუთხეს ახასიათებს იგი. პირველად ქართლელის გამოსაჯავრებლად კახელი ყვება ანეგდოტს: „ის როგორ იყო, ქართლელები რომ წამოსულან, უნახავთ, რომ მტკვარი ხილთან თითქო ამოდულსო... ჩაუყრიათ წყალში კომბოსტო, მოიხარშებო, და მერე ერთისთვის უთქომთ: „აბა ჩადი, ნახე, თუ მოიხარშაო“... რო ჩასულა, თურმე იხრჩობა და ხელებს აბარტყუნებს, სხვებს კი ჰგონებიათ, გვეძახისო: კომბოსტო მოხარშულა და ავიტანოთ... ჩასულან ისინიც და შიგ კი დამხჩვალან!...“ თავისი კუთხის მცხოვრებთა გამოსარჩლების მიზნით ქართლელი პასუხობს: „ეგეც შენი სიმტყუნე!.. კომბოსტო კი არ ყოფილა, ქარხალი ყოფილა და ქართლელები კი არა ყოფილან, იმერლები ყოფილან“. იქვე მოყვანილია ანეგდოტები: ქართლელების მიერ საძნე ურემზე არზის დაკვრაზე და ქიზიყელების მიერ დუქანში თუნგი კანფეტის მოთხოვნის შესახებ².

სოციალური ბოროტება წარსულში — ქვრივ-ობოლთა სიღატაკე და ბატონისა და მეფის მოხელეთა მიერ მშრომლების შევიწროება ასეა დახასიათებული ხალხური ამბვის საშუალებით სცენაში „მიკიბულ-მოკიბული:“ „ძველს დროში (ერთს სამთავროში) ერთმა ქვრივმა დედაკაცმა კრუხი დასო საბუღარზედ, ოცდაათი კვერცხი დაუწყო გამოსაჩეკად და

¹ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 246.

² რ. ერისთავი, მოთხრობები და სცენები, III, გვ. 74.

მოპყვა ასე: „ათი ბატონსაო, ხუთი მდივანბეგსაო, ხუთი ქორ-
მეძინოსაო და ძერასაო, სამი ბოჭაულსაო, ორი იასაულსაო,
ორი სანაშენოთაო, ორი გალაცდებაო და ერთიც ჩემს ობოლ-
საო“¹.

სხვადასხვა ქანრის ნაწარმოებებში გარკვეული სიტუაცი-
ების შექმნის ან ცალკეულ პირთა დახასიათების მიზნით მწერა-
ლი იყენებდა ზღაპრის ტრადიციულ მოტივებს. ასე, მაგალი-
თად, მეტად მოხდენილად არის გამოყენებული ჯადოსნური
ზღაპრის დამახასიათებელი მაქციერობა ცრუმორწმუნეობის
წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად დრამატულ ნაწარმოებ-
ში „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავ-
რესია“. ვაჭარი არტემ მინაიჩი წააწყდება ღამით პაემანზე
მყოფ მის ქალს კეკეს. მსახური დათიკა არწმუნებს, რომ ის
ჭინკა-ეშმაკი იყო და არა — კეკე. შიშით შეპყრობილი ცრუ-
მორწმუნე ვაჭარი იგონებს სიზმარს:

ოჰ, დღეს რა ცუდი სიზმარი ვნახე!.. ერთი ეშმაკმა
მოვიდა, ყელში კლანკები მტაცა, ცხვირზე გაზი მომიჭირა, მერე
ჩემი ცხვირიდან ერთი გრძელი, გრძელი თევზი გამოძვრა,
მერე ქალათ იქცა, მერე ჩიტათ და გაფრინდა!..“ ვაჭარი დაას-
კვნის, რომ ეს სიკვდილის ნიშანია. დავთრების მიხედვით სი-
ნანულოთ ანგარიშობს დოვლათს, რომელიც მას რჩება².

კომედიაში „ნათლია და ნათლულები სცენაზე“ ზღაპრული
მოტივი გამოყენებულია გადატაკებულ თავად-აზნაურთა ყო-
ფის დახატვის მიზნით. საქმროების არჩევანში გართულ დას-
ქმა დაცინვით მიმართავენ: „დასაველეთის ხელმწიფის შეილს
წაჰყე, როგორც ზღაპრებში იტყვიან ხოლმე“³.

ზღაპრულ მოტივთან გვაქვს საქმე „თამარიანში“ დავით
ბატონიშვილის შესახებ მრისხანე სულთანისადმი მიმართულ
სელიმის სიტყვებში:

ხმაა ხალხში, ვითომ დავით გადერჩინოს სასწაულსა,
და უშვილო დიდ ვაჭარი, ვითომ ზრდიდეს, როგორც წულსა⁴.

¹ მოთხრ. და სცენ., III, გვ. 122.

² დრამატული ნაწერები, IV, გვ. 22 — 23.

³ იქვე, გვ. 224.

⁴ პოემები, II, გვ. 122.

რ. ერისთავის მხატვრულ შემოქმედებაში გამოყენებულია მდიდარი საწესჩვეულებო პოეზია. მოცემულია საინტერესო ცნობები ხალხური შემოქმედების ამ არქაული დარგის შესახებ. ცოცხლად და დამაჯერებლად არის აწერილი საქორწილო ლხინი დრამატულ ნაწარმოებში „ქაჩუა“. თაფლოსა და ლევანის ნაუცბადევი შეუღლება, სახელდახლოდ შემდგარი მეფიონი, გავრცელებული მაყრულის „მოვდივართ, მოგვიხარია“ სიმღერა და ქალის ოჯახში მთელი საქორწილო რიტუალის შესრულება ქმნის პიესის მეტად ეფექტურ ფინალს. მშვენივრად არის აწერილი ქართულის ცეკვა პატარძლისა და სხვა პირთა მიერ, „მრავალყამიერის“, მაყრულისა და სხვა „შესაფერი“ სიმღერების შესრულება და საზანდრებისა და მეზურნეების მონაწილეობა საქორწილო ლხინში. ხალხური შემოქმედების ტრადიციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია პიესაში მოქმედებისათვის გამიზნული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. ასეთია, მაგალითად, პატარძლის ოჯახში ლხინის აწერა: „ჩამოარიგებენ ხილს, შემდეგ დაუკრენ ლეკურს, ათამაშებენ პატარძალს და ამ დროს ყმაწვილკაცობა თითო თითო იძახის „შაბაშ“ და აძლევენ წვრილ ფულს, რომელსაც დედოფალი საზანდრებს აძლევს შემდეგ ბევრგვარი ლეკურისა, რომელსაც ცეკვავენ სხვადასხვა ქალი და კაცი, გაჰშლიან ვახშამს, შაიქნება ლხინი, შექცევა, ღვინის სმა და თასების შეგდება და ჰაერში დაჭერა, ყანწების და ჯიხვების ცლა და თან კიდევ ლეკური“¹. სხვა საგულისხმო ცნობებთან ერთად ამ ეთნოგრაფიულ მასალაში საყურადღებოა დედოფლის მიერ საზანდრების დასაჩუქრების წესი. მწერალს საქორწილო წესები და მასთან დაკავშირებული შემოქმედება ზოგჯერ გამოყენებული აქვს ნაწარმოებთა მოქმედი პირების სულისკვეთებისა და განცდების გამოსახატავად. მკითხველს (თავის დროზე მაყურებელსაც) კომიკურ შთაბეჭდილებას უქმნის ახალგაზრდა ქალის შერთვის მოსურნე ხანდაზმუ-

¹ დრამატ. ნაწ. IV, გვ. 164.

ლი სასიძოს ფრიდონ ხანგრძელაძის მტკივნეული განცდა იმის გამო, რომ ის ქორწილში კვლარ შესძლებს გალობა-სიმღერას და ქართულის თამაშს¹.

წარსულში მშრომელთა სავალალო ყოფის დასახასიათებლად მწერალს გამოყენებული აქვს აგრეთვე სამგლოვიარო წესები და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედება. სცენაში „რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ იშვენივრად არის აწერილი ხევსურული გლოვა. მწერალი იძლევა ცნობას „ჭირის წყენის“, ე. ი. მიცვალებულის ჭირისუფალთან მისატირებლად მეზობლის მისვლის ჩვეულებაზე. საინტერესოა აქვე მოყვანილი ტექსტები „ჭირის წყენისა“ და ჭირისუფლის მოთქმისა².

მოთქმის ტრადიციის საშუალებით დაპირისპირებულია ორი წოდება ლექსში „დედაბრის მოთქმა“. გამრჯე გლეხის, კარგი მეურმისა და მომკალის, დედისერთა სესიას უდროოდ დამკარგავი დედის გულამოსკენილი მოთქმა გაუგებარია სხვისი ნაოფლარით უზრუნველყოფილ ბატონისათვის³.

პატრიოტულ ლექსში „მოკითხვა“ წარსულში მშრომელთა ყოფის სურათის სრულქმნის მიზნით გამოყენებულია მიცვალებულის სულის ახსნის ჩვეულება. სამშობლოს სადარაჯოზე მყოფი შვილი მოკითხვას უთვლის დედას, აუწყებს მის წარმატებას აგრესორ თათართა წინააღმდეგ ბრძოლაში და არიგებს, ხელი არ აიღოს ოჯახისა და მიცვალებულის მოვლა-პატრონობაზე:

მურას ინაღლი, დედილო,
სახლ-კარსაც ნურსად წაუხვალ,
მამაჩემს სული აუხსენ,
თავ-შავი ცხვარი დაუკალ⁴.

ლექსში „მეკვლევი“ ძველი და ახალი დროს დაპირისპირების მიზნით რ. ერისთავს ოსტატურად აქვს გამოყენებული საახალწლო რიტუალი და მასთან დაკავშირებული მეკვლეს

¹ „მბრუნავი სტოლები“, დრამ. ნაწერები, IV, გვ. 317.

² მოთხრ. და სცენები, III, გვ. 79 — 80.

³ ლექსები, I, გვ. 150.

⁴ იქვე, გვ. 173.

მილოცვის ტექსტი. ხალხურ კილოზე დაწერილი მეკვლეს ტექსტით მწერალი გვაცნობს საკუთარ მისწრაფებებს თავისი ქვეყნის წინსვლისა და მშობელი ერის გამრავლებლისა. ლექსს ეპიგრაფად უძღვის წარსულში საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული, ახლა უკვე ფუნქციამოცილებული საახალწლო მილოცვა:

შემოვდგი ფეხი,
გწყალობდეს ღმერთი,
ფეხი ჩემი,
კვალი ანგელოზისა.

მოყვანილ ტექსტს ერთვის ცნობა: „ჩვეულებრივი სიტყვები მეკვლევებისა ხალხში ახალწლის დამდევს“. საახალწლო რიტუალის ცოდნით ლექსში აწერილია ოჯახში შემოსვლა მეკვლისა. მას უჭირავს თელის ტაბაკი გაჩაღებული სანთლებით, უხვი სანოვაგით, ტკბილეულობითა და პატარა ტყვიით. უკანასკნელის შესახებ მწერალი შენიშნავს: „უწინდელ დროს საქართველოში, მეფის წინ ტყვიას დაანარცხებდნენ ახალწლის მილოცვის დღეს და იტყოდნენ „შენს მტერს გულშიო“. სამეფო კარზე ამგვარი საახალწლო წესის შესახებ ცნობა ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს მოცემული. ვახუშტი აწერს, თუ როგორ უკვლევდნენ მეფეს ახალწელს ჰყონდიდელი, ერისთავნი, ხელისუფალნი, ბაზიერნი და სხვები და აღნიშნავს: „და კვალად ესენიცა და სხვანი სრულად ისარსა, და შეაჩვენიან კრულვით ორგულსა მეფისასა მეტყველნი: „მრავალ ქამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს, და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა“¹. რ. ერისთავი თავისი ლექსით აკრიტიკებს გასულ წელს და რიტუალურ ტაბაკზე დადებულ ტყვიასთან დაკავშირებით ხალხური ენართა დ კილოთი წყევლის მტერსა და ლოცავს სამშობლოს:

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941 წ., გვ. 21.

ეს მოხვდეს თქვენსა მოშურნეს
და დაგიმარცხდეთ მტერია...
განათლდეს ჩვენი ქვეყანა,
გამრავლდეს ჩვენი ვრია!..
მომაქვს „ნობათი“, „დროება“,
„ივერია“ და „მწევესია“, —
არიან ჩვენი მოძღვრები
და ჩვენი ენის ფესვია...
გილოცავთ ახალს წელიწადს,
ქველისთვის არა მცალიან,—
სიკეთეს ვერას შეგვყარა
და კოტრიც იყო ძალიანი..¹

ლექსში „მილოცვა ახალწლისა“ სხვადასხვა სოციალური ფენის — გლეხების, მემამულეებისა და ვაჭრების დახასიათება მოცემულია საახალწლო მილოცვის ტრადიციით ².

სცენაში „ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალწელიწადის დღეს“ მწერალი სხარტად ახასიათებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ. საყურადღებოა ხევსურული და ფშაური საახალწლო დალოცვის ტექსტები. ცნობილია ფშავ-ხევსურული პოეზიის ძირითადად საგმირო ხასიათი. ამგვარი ხასიათი აქვს დალოცვის ტექსტებსაც. „ჩემი ხმალი მტერზე მძლე იყოს, არ გატეხილიყოს, ჩემი დროშა-ალამი გაშლილი მტერს თვალს უბამდეს, ჩემს ტყვიას ლიშანი ჰკოცნიდეს, მტერი დამიმარცხოს“, ნატრობს საახალწლოდ ფშაველი. ხევსური კი ასე ევედრება კალანდის „წმინდანს“ ბასილს: „თუ ველთ გავიდოდე, აბჯარს ავიღებდე — შენი დოვლათი დამახმარიდი, მტერს მოვდევედე — მიმწივიდი, მტერი მომდევედეს — გამომახზევდი; ავის დღისაგან ლალის მტრისაგან, მწარის სიკვდილისაგან მიხზაიშნიდი“. ცოცხლად არის აწერილი გურულის შეხვედრა ახალ წელთან — საწნახელზე ძვლის რაკუნის, „აგუნანს“ ძახილი, ჩიჩილაკის გაკეთება და სხვა. მწერალი იქვე მიუთითებს ლეგენდაზე წმინდა ბასილის შესახებ, რომლის წვერების განსახიერებასაც წარმოადგენდა ჩიჩილაკი. ეს სცენა საინტერესოა საყოფაცხოვრებო ხალხური ლექსების ფიქსა-

¹ ლექსები, I, გვ. 175.

² იქვე, გვ. 212.

ციის თვალსაზრისითაც. ქართულის საახალწლო ნატვრა გად-
მოცემულია ლექსით:

ნეტავი რამე მანატრა,
ის ნატვრა ამისრულაო,
ჩვენი მტკვარი ღოთ მიქცია,
გორის ციხე ჯამათაო;
იალბუზი შიგ ჩაყარა,
გადმიქცია ქადათაო;
მცხეთის ხიდი ამიყუდა,
ხელში მომცა კოვზათაო;
ისეთი მუცელიც მქონდეს,
რომ მეყოს მე სამხრათაო.

კახელის ნატვრაც ხალხური ლექსითაა გადმოცემული:

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ის ნატვრა ამიხდინაო;
მუხრან ბატონი ყმათ მომცა,
კახის ბატონის ბინაო;
მომცა ყაინის უღური,
ხონთქართან გამიღინაო,
ქვეკვამის კარგი ლეინო
მილით შინ მაშიღინაო.

საინტერესოა აგრეთვე საახალწლო ნატვრის მიხედვით მო-
ცემული იმერელის, მეგრელისა და რაჭველის დახასიათება¹.

რ. ერისთავის შემოქმედებაში საწესჩვეულებო პოეზია გა-
მოყენებულია თავად-აზნაურთა ფუქსავატობის დახასიათების
მიზნითაც. კომედიაში „ბიძიასთან გამოხუმრება“, „მზე შინას“
ხმა და „სამაიას“ ცეკვა ერთგვარი ხერხია თავადი იორამ უძ-
ლომელაძის კომიკური სახის შესაქმნელად. სოფლის დედაკა-
ცივით მორთული ნატო საძეობო სიმღერის ხმისა და „სამაიას“
ცეკვის საშუალებით მისი საქმროს ალექსანდრე ფუქსავატი-
ანის ბიძას იორამ უძლომელაძეს ითანხმებს დისწულის დაქორ-
წინებაზე².

მოთხრობა „ნინოს“ მიხედვითაც საძეობო ჩვეულება ერთ-
გვარი ხერხია უქნარა, ზნედაცემული თავადის ლევან გორდა-

¹ მოთხრ. და სცენ. III, გვ. 156 — 158.

² დრამატ. ნაწ., IV, გვ. 403.

ძის სახის შესაქმნელად. ფუქსავატმა თავადმა მთელი ღამე ყომარბაზებთან გაატარა, მაშინ, როდესაც მისი მშვენიერი, სათნო მეუღლე პირველად მშობიარობდა. გაკოტრებული და გაღეშილი იგი მხოლოდ დილით დაბრუნდა შინ. ზნედაცემული თავადის ხასიათს მწერალი ასე გვაცნობს: „აგერ წირვები დარეკეს, როდესაც ლევან ძლივს შინ მოვიდა. აქ, წინ მსახური მიეგება, ბატონს ყური დაუჭირა და მოახსენა: „ვაჟის მამა ღმერთმა ადღეგრძელოსო!“... ამ სიტყვაზედ ლევანმა ასეთი სილა ჰკრა ბიჭსა, რომ საბრალო, სამჯერ წაბარბაცდა... მაშინ ბატონმა შეუძახა: „არა, შე არამზადავ, კინალამ ყურები დამახიე, განა მე არ ვიცოდი, რომ ვაჟი მეყოლებოდავო“¹.

კალენდარული პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით საყურადღებოა ეროვნულ-პატრიოტული ლექსი „ფერხულის ხმაზედ“. ეს ლექსი თავისი ხასიათით მეტად ახლოსაა ხალხური პოეზიის ნიმუშებთან. საქართველოში მოთარეშე ლექთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ლექსს სასიმღერო ხასიათი აქვს. ეპიგრაფად წამძღვარებულია გავრცელებული საგმირო-საისტორიო საფერხულო სიმღერის „შალვა-შავლეგოს“ ფრაგმენტი:

შავლეგ შენი შავი ჩოხა, შავლეგო!
შავად შეგიხამებია, შავლეგო!
შავლეგ შენი ყაწიმები, შავლეგო!
ჩაბალახი გიხდებოდა, შავლეგო!

იქვე დართულია ცნობა „მდაბიური ფერხულის სიმღერიდან“. ეს ლექსი იმით არის საინტერესო, რომ გვაცნობს რ. ერისთავის მოსაზრებას სიმღერის „შალვა-შავლეგოს“ ადრესატის ვინაობის შესახებ. ლექსის შინაარსის მიხედვით შავლეგო ლექების წინააღმდეგ მებრძოლი თუში გმირი ყოფილა. პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ ხალხური სიმღერების „ქართლის ცხოვრების“ ადგილებთან შედარების საფუძველზე დაამტკიცა, რომ სიმღერის ადრესატები შალვა და ივანე ახალ-

¹ დრამატ ნაწ., IV, გვ. 26.

ციხელებია¹. ჩვენ თავის ადგილას მსგავსი ვარიანტების შესახებ აღნიშნული გვაქვს, რომ გმირის ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ არქაული ლექსის დანართია იმ დროიდან, როდესაც საქართველოში ადგილი ჰქონდა ლეკთა გამუდმებულ თარეშს².

ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური მოტივების შემცველ ლექსებში მწერალი ხშირად იყენებს საწესო სიმღერის კილოს, მისამღერსა და ხასიათს. აკენის სიმღერის ტრადიციის საფუძველზეა შექმნილი პატრიოტული ლექსი „ივენანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“. ეს ლექსი აკ. წერეთლის „ნანინას“ მსგავსად უაღრესად ხალხურია³. სააკვნო სიმღერის ტრადიციის თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „შიმშილი“, ამსახველი წარსულში მშრომელთა ძნელბედობისა⁴. ასევე საინტერესოა ბერძნულიდან გადაკეთებული „ნანა“⁵.

ზოგი ნაწარმოები გვაცნობს მწერლის კრიტიკულ დამოკიდებულებას რელიგიურ ხატობა-დღეობებისადმი. ასეთია, მაგალითად, სცენა „ზარხოში“⁶. ამ ნაწარმოებებში მწერალს მოცემული აქვს მკაცრი კრიტიკა ცრუმორწმუნეობისა და ყოველგვარი უვიცობისა და სიბნელისა. საინტერესოა ამ მხრივ ეპიზოდი მოთხრობა „ნინოდან“, რომელიც ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ მსგავსად ნათლად გვაჩვენებს, თუ რა ზიანი მოჰქონდა ხალხისათვის მკითხაობასა და ყოველგვარ ცრურწმენას. ქმრის ცუდი ქცევის შედეგად დაავადებული ნინოს განსაკურნავად მისმა ცრუმორწმუნე დედამ მკითხავი თათრის ბოლა მოიყვანა. გაქნილმა თათარმა თვალთმაქცობით დაარწმუნა მოსული ქალი და ყველა იქ მყოფი „თქვენ ჯადო გაქთ ნაქნარიო“. თვალთმაქცობითა და იქ მყოფთა უვიცობით იპოვნა მან მსახურის მიერ მოპარული კოვზები⁷.

¹ გ. ლეონიძე, „შალვა-შავლეგო“, „კომუნისტი“, 1941 წ., № 260; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., გვ. 81 — 86.

² ქს. სიხარულიძე, ქართ. ხალხ. საგმ. საისტ. სიტყვ. გვ. 85.

³ რ. ერისთავი, ლექსები, I, გვ. 9.

⁴ იქვე, გვ. 166.

⁵ იქვე, გვ. 344.

⁶ მოთხრ. და სცენ. III, გვ. 146.

⁷ მოთხრ. და სცენ. III, გვ. 35 — 36.

უხვად აქვს გამოყენებული მწერალს ანდაზები. ამ მცირე ენარის ხალხური ნაწარმოებებით, მოხდენილი ხალხური გამოთქმებით მწერალი კალმის ერთი მოსმით გვაცნობს მისი გმირების ხასიათს, მისწრაფებასა და სულისკვეთებას. ზოგჯერ ანდაზა სათაურია ნაწარმოებისა და გამოხატავს მის იდეას. ასეთია, მაგალითად, საქართველოში თათართა აგრესიის ამსახველი ღრმად პატრიოტული ლექსი „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“. ლექსის მიხედვით პატრიოტი მოხუცი გლეხი კიცხავს ნადირ-შაჰის მეენეს — საგარეჯოს მოურავს. მოხუცის სიტყვები მოურავს ჩააფიქრებს, და გააღვიძებს მასში სამშობლოს სიყვარულის მიმქრალ გრძნობას. მთელი იდეა ამ პატრიოტული ლექსისა სათაურშია მოცემული ანდაზის სახით.

ანდაზით არის გამოხატული მთავარი იდეა ორმოქმედებიანი კომედიისა „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“. სათაურს გარდა ეს ანდაზა მეორდება კომედიაში. თავადი გრიგოლ სირაძე ამ ანდაზით მიმართავს ხალხს მაშინ, როდესაც მისი საცოლე კეკე ეუბნება, თუ მამამ უარი გითხრა, „მაშინ მეც ხელს გადაგხვევ და თან წამოგყვები“¹. ამავე ანდაზას ამბობს მსახური დათიკა, როდესაც კეკემ მიატოვა მამა და გრიგოლს გაყვა². განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ანდაზების გამოყენება კომედიაში „ბიძიასთან გამოხუმრება“. ამ კომედიაში ანდაზების მთელი კრებულია შესული. სოფლის დედაკაცივით მორთული ხატო საქმროს ბიძას სხაპა-სხუპით ეუბნება 85 ანდაზას და თავბრუს ახვევს³.

ანდაზების სახით არის მოცემული ქართველი ხალხის შეხედულება ოჯახზე, ქალზე, სიცოცხლეზე და სხვა.

1878 წელს რ. ერისთავმა გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუიდან“ გამოკრებილი და გალექ-

¹ დრამატ. ნაწ., IV, გვ. 13.
² იქვე, 35.
³ იქვე, გვ. 399 — 400.

სილი იგავ-არაკები, რომელშიაც მოხდენილად ჩაურთო ანდა-
ზები. იგავ-არაკების გალექსვისა და მასში ჩართული ანდა-
ზების მიზანდასახულების შესახებ მწერალი წიგნის წინასი-
ტყვაობაში აღნიშნავს: „მე გამოვკრიბე თხუთმეტი რჩეული
იგავ-არაკი საბა ორბელიანისაგან შედგენილის „სიბრძნე სიც-
რუისაგან“ და გავლექსე იმ განძრახვით, რომ ყრმათა დაინერ-
გონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიმოდრეკილე-
ბასა და შეისწავლონ ძველებური ქართული მდაბიო ენა, რომ-
ლითაც საბა ორბელიანი გვიხატავს არაკებში მომქმედთა
პირთა. დასასრულ, იგავის ასახსნელს მუხლებში, მაგალითად
ჩაურთე ქართული ანდაზებიც“¹. ამგვარივე მიზნით ანდაზების
უხვად გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე
1878 წელს მწერლის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული იგავ-
არაკნი კრილოვისა, გადმოთარგმნილნი და გადაკეთებული
რუსულიდგან ქართულად და გალექსილნი“. წიგნის წინასი-
ტყვაობაში ვეცნობით მწერლის თვალსაზრისს იგავ-არაკის,
როგორც თავისებური ჟანრის ნაწარმოების მნიშვნელობაზე:
„მნიშვნელობა იგავ-არაკისა არის — დევნა ბოროტმოქმე-
დებისა და გასწორება ადამიანის მრუდის და უსაქციელო
ზნეობისა“.

მწერლის მაღალი ჰუმანიურობით უნდა აიხსნას, როგორც
აღნიშნულ იგავ-არაკთა გადაკეთება და თარგმნა, ისევე, ანდა-
ზების უხვად გამოყენება მის საკუთარ შემოქმედებაში.



რ. ერისთავი თავისი სტილით, ენითა და კილოთი უაღრე-
სად ხალხური პოეტია. ბუნებრივია, რომ ბევრი მისი ლექსი
გავრცელდა ხალხში, დაკარგა ავტორი და ვარიაცია განიცა-
და. როგორც სამკალი სიმღერები, ჩაწერილია ლექსის „პურის
მოსავლის“ პირველი ნაწილის ვარიანტები. ერთი ვარიანტის
მთქმელია ს. წინამძღვარიანთკარის მცხოვრები, ყოფილი
გუთნისდედა, 78 წლის თედო გულბათაშვილი. შესადაარებ-

¹ „იგავ-არაკნი“ — გამოკრებილნი „სიბრძნე სიცრუიდგან“ და გალექ-
სილნი თ. რაფ. ერისთავის მიერ, თფილისი, 1878 წ.

ლად მოგვყავს რ. ერისთავის ლექსის პირველი ნაწილი და თ. გულბათაშვილის ვარიანტი.

რ. ერისთავი:

ბიჭო, პური შემოსულა,
ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად.
უფლის თვალი შიგ ტრიალებს,
მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!..
შიგ ნუ ჩაწვამთ, ცოდვა არის,
ნუ გავხდებით ჩვენ ღვთის
მტრად.
ნამგლებს პირი გავუღესოთ,
გადავიქცეთ მთლად სიმღერად¹.

ხალხური:

ბიჭო, პური შემოსულა,
ღელავს, ბზინავს ოქროსფერად,
ნამგლებით გარს შემოვერტყათ,
გადავიქცეთ მთლად სიმღერად
ჩუ, მტრედმა დაილულენა,
მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწუნა!
ჰერი ბიჭო, ჰერი, ბიჭო,
ჰოპოპომა, ჰოპოპომა!².

საინტერესოა აგრეთვე ყოფილი მეხრისაგან — 71 წლის გიგო სინაძისაგან ს. არაშენდაში ჩაწერილი ვარიანტი:

ბიჭო, პურა შემოსულა,
ბრკყვინავს, ბზინავს ოქროს ფერად,
მუშის თვალი შიგ ტრიალებს,
მოდით ნახეთ, თუ არ გჯერათ.
ნამგლებს პირი ავუღესოთ,
გადავიქცეთ მთლად სიმღერად³.

საინტერესოა, რომ ახალ ჩაწერილ ხალხურ ვარიანტებში უფლის თვალი ან სულ არ იხსენიება (თ. გულბათაშვილის ვარიანტი). ან კიდევ იგი შეცვლილა მუშის თვალით, რაც გამოხატავს თანამედროვე მშრომელის სწორ თვალსაზრისს შრომის ბარაქიანობაზე.

ხალხური წყაროს მიხედვით შექმნილი ლექსი „ქალი-აყვანა“ გადავიდა ხალხში. ერთი მისი ვარიანტი, როგორც ავტორდაკარგული ნაწარმოები, ელ. ვირსალაძისა და ჩვენს მიერ ჩაწერილია ს. ყვარელში განთქმული მოლექსის, აწ განსვენებულის სანდრო ახალკაცისაგან.

¹ ლექსები, ტ. I, გვ. 125.

² ფოლკლ. არქ., № 32517.

³ იქვე, № 32508.

მოგვყავს რ. ერისთავის ლექსი და მისი ხალხური ვარი-
ანტი.

რ. ერისთავი:

შილდის და ყვარლის საშუალ
პაწა გორა დგას ქუფრადი.
გაზაფხულია, მინდვრები
ამწვანებულა ტურფადა,
ცხვარი გრილში იცოხნის,
დაყრილა ჩის ძირს ჯგუფადა,
აპათი მწკემსიცი იქვე წვეს,
მოლი აქვს ნოხად, სუფრადა.
აგერ მახლობლად გოგონაც
მწყემსავს ოცამდინ კრაეებსა.
დანავარდობენ ბატკნები,
შავთვალა იგრებს კაეებსა.
თავსა აწონებს იმ მწყემსსა,
შიგ თვალში უყრის თვალუბსა,
მგელმა რომ კრავი მოსტაცოა,
ნეტავ ვის დააბრალებსა?..
ბიჭი აენთო შმაგივით,
თვალეები დააბრიალა,
წამოჯდა მარჯვედ, სალამურს
ჩაპბერა, ჩააწკრიალა.
ჩააკაკანა ხმა-ტყებილად,
სევდის ხმით შეაზრიალა,
შავთვალას გული მოუკლა,
გონება გაუტიალა...
მერე უძახა დიაცსა:
„მოდი აქ დავსხდეთ სწორადა,
გულის ქირიმე, აქ მოდხ,
ცხორსაც ცხორი ჰყავს ტოლადა,
მეყო ამდენი ობლობა,
ნულარ დამადებ ობლადა,
თავს ვანაცვალე შენს მზესა,
ოღონდ წამამყე ცოლადა!..
თავი ჩაღუნა გოგონამ,
ჩაიღიმილა დარცხენით,
თავი არიდა ლომ-გულსა,
იქტირებოდა მარცხენით.
მერე მიუგო შავთვალამ,
სიამოვნებით, არ წყენით:
„მეც შენს ცეცხლში ვარ ბეჩავო.

ხალხური:

შილდის კონცხს ქვემოთ, ძმობილო,
პატრა გორა დგა მყუდროთა.
გაზაფხულია, მინდვრები
ამწვანებულა ლურჯათა.
ცხვარი დამძღარა, იცოხნის,
გრილოს ქვეშ ყრთი ვჯგუფათა,
იქვე წვეს იმათა მწყემსი,
ნოლი ხალი აქ სუფთათა.
იქ ახლო-მახლო გოგონაც
მწყემსის ოცამდე კრაეებსა,
დანავარდობენ ბატკნები,
შავთვალა იგრებს კაეებსა.
თავსა აწონებს იმ მწყემსსა,
შიგ თვალში უყრის თვალუბსა.
კრავი რომ მგელმა მოსტაცოს,
ნეტა ვის დააბრალებსა?
წამოხტა ზეზე შმაგივით.
თვალეები დააბრიალა,
ხელი მავლო სალამურს,
ჩაპბერა, ჩააწკრიალა.
შავთვალას გული მაუკლა,
ბუნებაც აუზრიალა,
მერე უძახა ლამაზმა,
აქ მოდი გულის ქირიმე,
ცხვარი ხომ გვყავის სწორადა.
მეყო ამდენი ობლობა,
ნულარ მატარებ ობლათო,
თავს ვანაცვალე შენს სიყმეა,
ოღონ წამამყე ცოლადო.
თავი ჩაღუნა გოგონამ,
ემზირებოდა დამზერით,
მარჯვენით ხელი იფარა
და ეცქიროდა მარცხენით.
მერე უძახა ლამაზმა
არც მოხატრებით, არც ცხვენით,
მეც შენ დღეში ვარ ბეჩავო.

თუ შესძლებ, ამ კორს დამხსენი.
 თუ ამიკადებ ზურგზედა,
 თანაც დაუკრავ სალამურს,
 ჭოღანდღელებრივ ტკბილს ხმასა,
 გულის სალადოს, საამურს,
 ისე ამიყვან ამ გორზედ, —
 მაშინ მე თავი არა მშურს
 შენდა გულისა წამლადა,
 შენი ცოლობა მაშინ მწყურა¹
 ბიჭმა მოაგდო ზურგზედა
 გოგონა, როგორც კრავია,
 თან სალამურზედ დაუკრა,
 რაც ტკბილი დასაკრავია,
 დაუკრა გოგონს საამო
 ხმა, გულის მოსაკრავია,
 შეუდგა პაწა გორასა,
 არ მოჰღალვია მკლავია...
 მიდის და მიდის ნელ-ნელა,
 უძგერს და უძგერს გულია,
 ძალზედ ჰიიწევს ზევითა,
 მუხლებში მოქანცულია;
 გაცურდა ზეითქში, გადმოსდის
 ოფლისა ნაკადულია,
 შემძიმდა ტვირთი ძვირფასი
 უწუხს ობოლი სულია...
 ავიდა წვერზედ, გადმოსვა
 გოგონა, პირმზე ნათელი,
 მაგრამ თვითონ კი ვერ იძვრის
 როგორც ნაცემი, ნათელი,
 როგორც უღონო, უძღურო,
 ველარა ჰსუნთქავს ჯანმრთელი,
 გაჰვარდა სული ბეჩავსა,
 გაჰქრა როგორც რომ სანთელი!
 იქვე დგას დღესაც ის გორა,
 თითქოს ჰინდვრების მცველია,
 „ქალი-აყვანა“ დაარქვეს,
 რადგან იმ მწყემსის მკვლელები;
 იქ ახლო-მახლო სოფლებში,
 სუყველა ამის მთქმელია,
 ასე გავიგე ყველასგან,
 ამბავი ძველის-ძველია¹.

თუ შესძლებ, ამ კირს დამხსენი.
 თუ ამიკიდებ ზურგზედა,
 თანაც დაუკრამ სალამურს.
 წედანდელივით ტკბილის ხმით,
 გულის სალადოს, საამურს,
 ისე ამიყვან ამ გორზე,
 რომ არ შასწყვეტავ სალამურს.
 მაშინ ხომ შენი ვიქნები,
 გულზე დაგადებ მალამოს.
 მწყემსმა მოიგდო გოგონა
 ზურგზე, როგორც რომ კრავია;
 თანაც ჩაჰბერა სალამურს,
 რა ტკბილად დასაკრავია.
 მიდის და მიხყავ ნელნელა,
 უძგერს და უძგერს გულია.
 მიდის ჰეი, მაგრამ რა მიდის,
 უძგერს ობოლი სულია,
 გაცურდა ზეითქში, გადმოსდის
 ოფლისა ნაკადულია.
 შემძიმდა ტვირთი ძვირფასა,
 უძგერს ობოლი სულია.
 ავიდა სერზე, გადმოსვა
 გოგონა, პირმზე ნათელი,
 მაგრამ თავად კი ვერ შასძლო.
 გაქრა, როგორც რომ სანთელი.
 იქ ახლო-მასლო სოფლებში
 სუყველა ამის მთქმელია,
 „ქალი-აყვანა“ დაარქვეს,
 რადგანც იმ მწყემსის მკვლელია².

¹ ლექსები, ტ. I, გვ. 135 — 137.

² ფოლკლ. არქივი, № 30196.

რ. ერისთავის ლექსის ოთხმოცი სტრიქონიდან ხალხში გადასულია სამოცდაათი სტრიქონი, აქედან ბევრი მათგანი საკმაოდ სახეშეცვლილია.

ასე, მაგალითად, რ. ერისთავის ლექსის დასაწყისი სტრიქონები „შილდის და ყვარლის საშუალ პაწა გორა დგას ქუფრადა“, ასეა გადასული ხალხში:

„შილდის კონცხქვემოთ, ძმობილო,
პატრა გორა დგა მყუდროდა“.

სტრიქონი „მოლი აქვს ნოხად, სუფრადა“, ასეა შეცვლილი: „ნოლი ხალი¹ აქ სუფთათა“.

რ. ერისთავის სიტყვები „გონება გაუტიალა“, ასეა შეცვლილი: „ბუნებაც აუზრიალა“.

მოვიყვანთ კიდევ პოეტის შემდეგ სტროფს:

თავი ჩაღუნა გოგონამ,
ჩაიღიმილა დარცხენით,
თავი არიდა ლომგულსა,
იციქრებოდა მარცხენით.
მერე მიუგო შავთვალამ
სიამოვნებით, არ წყენით:
„მეც შენს ცეცხლში ვარ, ბეჩავო,
თუ შესძლებ, ამ ჭირს დამხსენი“.

მოყვანილი სტროფი ხალხში ასეა გადასული:

თავი ჩაღუნა გოგონამ,
ემზირებოდა დამზერით,
მარჯვენით ხელი იფარა
და ეციქროდა მარცხენით.
მერე უძრახა ლამაზმა,
არც მოხათრებით, არც ცხენით,
მე შენ დღეში ვარ, ბეჩავო,
თუ შესძელ, ამ ჭირს დამხსენი.

ხალხში გადასული სამოცდაათი სტრიქონიდან შეცვლილია ორმოცი სტრიქონი. უცვლელადაა გადასული ოცდაათი სტრიქონი.

ყვარელში, იმავე მთქმელისაგან არის აგრეთვე ჩაწერილი

¹ ახალი ქუმელი.

ხალხური თქმულების საფუძველზე შექმნილი რ. ერისთავის ლექსის „ქოროლის“ ვარიანტი¹. ამ ლექსს ხალხში შედარებით ნაკლები ცვლილება განუცდია. ხალხში გადასულია რ. ერისთავის ლექსის ყველა ოცდარვა სტრიქონი. აქედან შეცვლილია და ისიც არა არსებითად მხოლოდ ოთხი სტრიქონი. ასე, მაგალითად, რ. ერისთავის სტრიქონები:

ან რა რკინაა, რომ იმას
ზედ მხარზე გადუქილია,

მთქმელისაგან ასეა ჩაწერილი:

ეგ რა რკინაა, ძმობილო,
მხარზე რომ დაგიკილია.

ხალხურ პოეზიაზე რ. ერისთავის შემოქმედების გავლენის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ჩვენს მიერ 1946 წელს ჩაწერილი თანამედროვე ხევსურული ლექსი. იგი ერთგვარი პასუხია პოეტის მგზნებარე პატრიოტული ლექსისა „სამშობლო ხევსურისა“. სწავლა-განათლებით შეიარაღებულ თანამედროვე ხევსურს აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ „სალი კლდე თოვლიან-ყინულიანი“. იგი მიიღტვის ბარისაქენ, სადაც უფრო თვალსაჩინოა შრომის ბარაქა. მოლექსეს ამგვარი განწყობილება ლექსის დასაწყის სტრიქონებშივეა გამოხატული:

უნდა წავიდე თბილისში,
ხელი ავიღო მთაზედა,
უნდა გავსცვალო კლდეები
ვრცლად გადაჭიმულ ბარზედა².

მრავალმხრივია რ. ერისთავის შემოქმედების კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან. ამ საკითხის შესწავლას თავისი წვლილი შეაქვს მრავალგვარად ღვაწლმოსილი მწერლის შემოქმედებითი პროცესის დადგენაში. ამავე დროს მას მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხური შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერების განვითარებისათვის.

¹ ფ. არქ., № 30193; ლექსები, I, გვ. 140 — 142.

² ავტორი-მთქმელი ს. ბარისაძის მცხოვრებე 19 წლის თომა არაპული. ჩენი კოლექციიდან.

ალექსანდრე ყაზბეგი

ერთმა მოხვევემ გამოჩენილი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი ასე დაიტერა:

ძეგლად გულს გადგას სალი კლდე,
დარაჯად ბერი მყინვარი,
და ნანას თერგი მოგიტხრობს
შენს გვერდზე ჩამომდინარი,
უდროოდ გაქალრებულმა
დრო ვერა ნახე მცინარი.

ალ. ყაზბეგი მართლაც „უდროოდ გააქალარავა“ ბნელი პოლიტიკური რეაქციით შექმნილმა მშობლიური ხალხის ტრაგიკულმა ბედმა; მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ამ უსაძარტლობის დაუზოგავი მხილება იყო. ალ. ყაზბეგის ხანმოკლე მოღვაწეობა, კეთილშობილური ჰუმანაზმით შთაგონებული მისი შემოქმედება შეუპოვარი ბრძოლა იყო ბარბაროსული რეაქციის — თვითმპყრობელური რეჟიმის, სოციალური ბოროტების, ადამიანთა უფლებების გაქელვის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მისი ერთ-ერთი ბასრი იარაღი ხალხური შემოქმედება იყო.

ალ. ყაზბეგი გაყვა იმ თაობის მიერ გაკვლულ გზას, რომლის წარმომადგენელნიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ ხალხს მოევლინენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ქემშარიტ მხატვრებად. ის ავითარებდა იმ ახალ ლიტერატურულ სკოლას, რომლის მედროშეც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ. ხალხური შემოქმედები-

სადმი დამოკიდებულების საკითხშიც ყაზბეგი ამ თაობის ლეი-
ლი შვილი იყო ¹.

აღ. ყაზბეგისათვის, ისე როგორც ილია ჭავჭავაძის, აკ. წე-
რეთლისა და სხვებისათვის, ხალხური შემოქმედება პროგრე-
სულ-დემოკრატიული იდეების დანერგვის ერთ-ერთი საშუა-
ლება იყო. აღ. ყაზბეგი კარგად იცნობდა ხალხს, უყვარდა იგი,
ღრმად განიცდიდა მის გაჭირვებას. მან წლების მაძილზე მომ-
თაბარე მწყემსად იცხოვრა თავის ხალხთან. ეს არ იყო უბრა-
ლო ახირება ხევისა და მთიულეთის მმართველის ნებიერად
აღზრდილი შვილისა. ამას ადასტურებს მისი გულიდან ამოს-
როლილი სიტყვები: „... მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვი-
ლი და ეს სურვილი იქამდის ძლიერი იყო, რომ არაავითარს
რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა
გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ
თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომე-
ლიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ. მი-
ვალწიე ჩემს მიზანს, დაუახლოვდი, გავიცანი ისინი, ვისიც
გაცნობა და დაახლოვება ისე გულით მსურდა“ ². ასეთივე
წინსწრაფებითაა ნაკარნახევი მისი სტრიქონები, მიძღვნილი
მეგობარ მეცხვარისადმი: „... მე ნებიერად აღზრდილმა, მება-
ტონემ, კაცს, რომელსაც შეეძლო მოსვენებით ცხოვრება, ში-
ნაურს კერას ვირჩიე მოუსვენარი მინდორში და მთაში ხეტე-
ბა. ხეტება სავსე განსაცდელით და შემთხვევებით. მაშინ ბევრს
არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა, ბევრნი მზრა-
ხავდნენ ამისათვის და მიგონებდნენ ათასგვარ ცილისწამებას,

1 აღ. ყაზბეგის დამოკიდებულება ზეპირსიტყვიერებასთან გაკვრით
აღნიშნული აქვს ს. მაკალათიას 1937 წ. გამოქვეყნებულ ნარკვევში „ხე-
ვი“; მწერლის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა და ზეპირსიტყ-
ვიერების გამოყენება საკუთარ შემოქმედებაში აღნიშნა დ. ბენაშვილმაც
1939 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ალექსანდრე ყაზბეგი“. ამავე
საკითხს მოკლედ შეეხო მის. ჩიქოვანი (იხ. მისი „ქართული ფოლკლორი“,
1938 წ.; „ქართული ფოლკლორი“, 1946 წ.); აპ. მახარაძემ 1941 წ. გამო-
ქვეყნებულ მონოგრაფიაში „ალექსანდრე ყაზბეგი“ ამ საკითხს სავანგებო
ოავი უძღვნა.

² ალექსანდრე ყაზბეგი, ნამწყემსარის მოგონებანი. რჩეული თხზულებ-
ანი, ტ. II, თბილისი, 1947 წ., გვ. 429 — 430.

მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, მაშინაც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ეხლაც კიდევ მოიგონებ. თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არა სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი და იგივე გვაგრძობინა, ერთი და იგივე კენესით ააკენესა ჩვენი გული, ერთი და იგივე მიზანი დაგვანახა...¹. ამგვარად გაიცნო ალ. ყაზბეგმა ხალხი, რომლის სამსახურის უკეთილშობილესი გრძნობა გამოამელავნა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შექმნილ ლექსში². გამოჩენილმა ხელოვანმა ბრწყინვალედ მიაღწია მიზანს. თავის შემოქმედებით ბნელი სამყაროს მოციქულების — თვითმპყრობელური რეჟიმის ბრმა მოხელეების გვერდით გვაჩვენა მგზნებარე გულის, სპეტაკი სულის, რკინისებური ნებისყოფის გმირი ქართველი მთიელი. ამ გმირის განსახიერების საშუალებად მოხდენილად გამოიყენა სიყრმადანვე ათვისებული ხალხური შემოქმედება. ალ. ყაზბეგმა ნათლად დაგვანახა, რომ ეს შემოქმედება ხალხის ცხოვრების უტყუარი საკცია.

გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ლერმონტოვმა დიდი გულბტკივილით აღნიშნა, რომ ბავშვობაში მას ასცდა მშობლიური ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელი გავლენა. იგი სინანულით წერდა: „Как жаль, что у меня была мамушкой немка, а не русская — я не слышал сказок народных; в них, верно, больше поэзии, чем во всей французской словесности“³. ალ. ყაზბეგმა ბავშვობიდან განიცადა მშობლიური ხალხური შემოქმედების გავლენა. იგი უდიდესი მადლობით იგონებდა იმ გლეხის ქალს, რომელმაც ბავშვობაში უაზო ხალხური ზღაპრები. მას უძღვნა მწერალმა გულთბილად დაწერილი გრძნობიერი სტრიქონები: „ჩემო გამზდელო

¹ საქ. მუზ. ხელნაწერი № 5 — 3993. დაბეჭდა დ. ბენაშვილმა, იხ. პისი „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 202.

² საქ. მუზ. ხელნაწ. № 5 — 3981. გამოაქვეყნა აბ. მახარაძემ, იხ. მისი „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 39 — 40.

³ М. Ю. Лермонтов, Сочинения (Акад. биб.) IV, стр. 350.

ნინო! ჩემისთანა ღარიბს კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს
 ან სახსოვრად და ან მოგიძღვნას? ამაზედ უძვირფასესი მე არა
 მქონდა რა და ამის გამოისობით შენ გიძღვნი ამ რაზდენიმე
 ჩემი გრძნობის და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიაც
 შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა მოიგონე ის დროები,
 როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის
 შვილს; მანებივრებდნენ უკანასკნელ განრყენილებამდინ, მას-
 წავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს! ხელისხელ
 ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალ-
 ხის ნუგეში“, „მეკობრეები“ და სხვა და სხვა... რომლებსაც
 უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდე-
 ბოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს, რა
 თანაგრძნობით მიაშობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ
ბატონების ხელში? გახსოვს, შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამაღვრევინა მღუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ტანჯული ხალხის უსამართლოებისაგან, პირებისათვის? შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთათ და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა ამთვენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლია სიამაყით გითხრა, შენს გაზდილში თუ იპოვება რამე რიგიანი ბავშვობიდანვე ჩანერგილი, იმის მიზეზი შენა ხარ, რომელითაც გმადლობს წარმოუთქმელად შენი აკაკია მოჩხუბარიძე“¹. ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ალ. ყაზბეგი ისევე გატაცებით ისმენდა ვაჟკაცობის პერიოდშიც, როგორც სიყრმისას. მწყემსების გართობა-დროსტარებასთან დაკავშირებით მას აღნიშნული აქვს: „კიდევ ერთი დროს გატარება დამავიწყდა, რომელიც მე ისე გამართობდა ხოლმე და დროს შატარებინებდა. ეს გახლდათ ზღაპრები, ამბები, რომელიმე სახელგანთქმულ მწყემსის ან ყაჩაღის ცხოვრებიდგან და სხვადასხვა ლეგენდური მოთხრობანი“².

¹ საქ. მუზ. ხელნაწ. № 5 — 3982. დაბეჭდა დ. კარიკაშვილმა (იხ. ალ. ყაზბეგი, თხზ. სრული კრებული, გვ. III — IV) და აბ. მახარაძემ, ალექსანდრე ყაზბეგი, გვ. 15.

² „ნამწყვეთის მოგონებანი“, რჩ. თხზ., II, გვ. 463.

აღ. ყაზბეგს უყვარდა ქვემარტი ხელოვნება, ნამდვილი ხალხური შემოქმედება, შთაგონებული ამალღებული პატრიოტული გრძნობით, გამომხატველი ხალხის ნება-სურვილისა, დამცველი მათი ღირსებისა და პატიოსნებისა. ბნელი რეაქციის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი მწერალი უარყოფდა ყოველივეს, რაც ამცირებდა ადამიანის ღირსებას, ქელავდა მის პიროვნებას. ხალხური შემოქმედების მოტრფიალე ზიზღით იხსენიებს ისეთ სიმღერა-ცეკვასაც კი, რასაც მეფის რუსეთის ქუჩებსა და ბალებში მდიდართა გასართობად ერთი ჭიქა არაყის ფასის შოვნის მიზნით ასრულებდნენ მოხეტიალე პროფესიული შემსრულებლები. იგი ასეთ სიმღერასა და ცეკვაში არავითარ ხელოვნებას არ ხედავდა; ამ იძულებით ცეკვა-სიმღერას მწერალმა დაუპირისპირა ქვემარტი ხალხური შემოქმედება. გავიხსენოთ „ცხოვრების ჩარხიდან“ სოკოლნიკის ტყეში გამართული დღეობის აღწერა:

„... რაღაც ბედნიერი დღე იყო და ტყეში სეირნობა გაემართათ, მაგრამ ეს სეირნობა სრულიად ჩვენებურს დღეობას არ მოგაგონებდათ. აქა-იქ სტოლები, ისეთისავე დიდმუცელა, გასიებული სამოვრებით, როგორც გარშემოსხდომილი, ქონით სავსე მოსკოვის ვაჭრები და ვაჭრის ცოლები, რომლებიც მეოც-მეოცე ჭიქა ჩაით იჟლინებოდნენ. წურწურით ჩამონადენს ოფლს გაქონილს ხელსახოცით იწმენდავდნენ. სხვადასხვა მოდისტკები, სხვადასხვაგვარად დაჭრელებული ტანისამოსებით — დაძვრებოდნენ სტოლებს შუა და დროს გასატარებლად მეგობრებს ეძებდნენ; ორიოდ ადგილას „მომღერლები“, მოთამაშე ბიჭით, რომელსაც შავი პლისეს პადიოკა ეცვა და თავზედ ეხურა ქუდი ფარშავანგის ფრთით შემკული, სახალხო ხმებს ხან ერთს ადგილას იმღერებდნენ და ათამაშებდნენ ბიჭს, ხან მეორე ადგილას და ქუდმოხდილები მდიდარ ვაჭრებს მოწყალეებასა სთხოვდნენ. ისინიც მცირეოდენ ბუზლუნის შემდეგ ან რამდენიმე გროშს გადაუგდებდნენ, ან იმასაც არა, და ერთი ჭიქა არაყის ფასის საშოვნელად დაღალულ-დაწყვეტილნი მომღერალ-მოთამაშენი, დაღონებულნი გაბრუნდებოდნენ. ხანდისხან მომღერალთა შორის ჩაიჭრებოდა არაყისაგან სახეგაწითლებული და შეშუპებული რომელიმე

დედაკაცი, მუხლებამდის კაბის აწევით გამოიჩინდა ტიტველა ჭუჭყიანს წვივებს და დაბრეცილ, დაგლეჯილს, გაბრუნდებულს და დაგრეხილს წაღებს და მოჰყვებოდა ულაზათოდ ფეხების ტყაპა-ტყუპს, ვითომ ვთამაშობო. ხანგამოშვებით დაალებდა მაფრამის პირივით მოხეულს ლაშსა და დაღლილის, ჩახრინწიანებულის ხმით შემოსძახებდა: „ჩიკი, ჩიკი, ჩიკოლიკი“ და მოაბამდა ზედ უწმაწურს ლექსებს.

„მართალია, მღეროდნენ, თამაშობდნენ, უკრამდნენ მუსიკას, მაგრამ მომხიარულენი ცალ-ცალკე დასნი იყვნენ, რომელნიც ფულის საშოვრად გამოსულიყვნენ; ხალხი მაჭუჩდებოდა იქ, სადაც გაიმართებოდა რაიმე დროს გატარება და პირდაღებული შეჰყურებდა. ხალხი მხიარულებას უყურებდა და თითონ კი არავითარს მონაწილეობას არ იღებდა. არა, ჩვენებურს დღეობას, ღამის თევას არა გვანდა, როცა დაირა და დიმპლიპიტო მხოლოდ იმისათვისა სცემს, რომ ერთად მოგროვილმა ქალმა და რძალმა თამაშობაში მონაწილეობა მიიღოს, ნარნარის მიხვრა-მოხვრის სიამოვნება აჩვენოს მაყურებელს; მათი სიმღერა არ იყო ჩვენებური სუფრულა, რომელიც ცალ-ცალკე გამართულს სუფრაზედ მოისმის წკრიალით და რაკრაკით წითურას, ჯანსაღის ყმაწვილის ბიჭისაგან:

ბიჭო ალალი, ალალი,
მე როდის ვითხარ არაპი,
იესო ქრისტემ დალოცოს,
შენი სახლი და მარანი!..

„არც ის ფერხული იყო, სადაც დიდი თუ პატარა, ბატონი თუ ყმა, ერთმანეთს ძმურად ხელს გადახვევენ, ერთს წრეს შეადგენენ, თითქო მით მამა-პაპის ანდერძა უნდა მოიგონონო, რომ ერთობა შეუწყვეელი ძალაა, ხოლო განცალკევება დაღუპვაო. აქ, დღეობაში ხალხი თვით ქეიფობდა; თითონ შედიოდა ლხინისა და თამაშობას ეშხსა და სიტკბოებაში, თითონ იღებდა მონაწილეობას ბურთაობაში, ჯირითში, ქადაობაში, კრივში, ჩალიჩში და კიდევ ათასგვარს ცოცხალს ხალხისაგან დაბადებულ დროს გატარებაში; ხოლო იქ, თვით მხიარულებაში მონაწილეობის მიღებისაგან ხალხი გამოწირუ-

ლი იყო. მათს ცივსა და გაყინულს სისხლს არა ჰქონდა ამ-
გვარის დროს გატარების სურვილი“¹.

ალ. ყაზბეგს ადაფრთოვანებდა იდეურად ღრმა, მხატვ-
რულად სრულქმნილი ხალხური შემოქმედება. ამის შესახებ
საინტერესო ცნობას იძლევა მოხუცა დიმიტრი ლუღუშაუ-
რი. ალ. ყაზბეგს მისთვის უამბია ფშაველი მთქმელისაგან
მოსმენილი ლეგენდა, დაკავშირებულია ხევსურ ვოჟა-ჯურ-
ხაის სახელთან. ლეგენდის მიხედვით, ვოჟა-ჯურხაის უყვარ-
და ჩერქეზის ქალი. ქალმა ვაჟს სიყვარულის საწინდრად
დედის გული მოთხოვა. ვაჟმა შეუსრულა სატრფოს თხოვ-
ნა, გაუბო დედას მკერდი და ამოაცალა გული. კარების ხვრე-
ლიდან დაინახა, რომ მის სატრფოს სხვა ეხვეოდა. თავზარ-
დაცემული ვაჟი იქვე წაიქცა და დედის გული ხელიდან გა-
უვარდა. დედის გულმა შეიღს ლმობიერი ხმით მიმართა:
„ხომ არაფერი იტყინე შეილოო“. ვოჟა-ჯურხაის ელდა ეცა
და იქვე მოკვდა. ალ. ყაზბეგზე დიდი შთაბეჭდილება მოუხ-
დენია ამ ლეგენდას. დამ. ლუღუშაურის გადმოცემით, ლე-
გენდის დამთავრებისას მას შთაგონებით აღუნიშნავს: „ძა-
ლუმ სიბრძნე არაა შიგ ღვთის მადლმა!“

ალ. ყაზბეგის თხზულებებშიც იგრძნობა მწერლის აღტა-
ცება ხალხური შემოქმედებით. ქართული ხალხური ზღაპრე-
ბისა და ლექსების ღრმა იდეურობაა აღნიშნული „ელგუჯაში“
ეროვნული თავისუფლების დასაცავად ამხედრებულ ვაჟკაც-
თა ძმად გაფიცვასთან დაკავშირებით. მთაულეთის აჯანყე-
ბაში მონაწილეობის მისაღებად ელგუჯამ და მათიამ შეკრი-
ბეს სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცები. „ისინა პირ-
ველსავე შეყრაზედ ძმად გაიფიცნენ, დასდვეს პირობა, რომ
ყველანი ერთად გადაიქცნენ და ერთის სახელით იმოქმედონ.
ერთმა ყველასათვის გადასდოს თავი და ყველამ ერთისათვის.
მაგრამ ეს ფიცი საჭიროც არ იყო, ისინი თავიანთი აღზრდით,
თავიანთი შეხედულებით და ჩვეულებით თავიანთ მოვალეობად
ხელდავდნენ ერთმანეთის შველას, ერთმანეთისათვის თავდადე-

¹ ალ. ყაზბეგი, თხზ. სრული კრებული, თბ. 1905, გვ. 1145 — 1147.

ბას. ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, რომელიც დედის ძუ-ძუსთან ერთად შესწოვდა და ჩაინერგავდა ამხანაგის მოღალატის ზიზღსა და სიძულვილს. იმ ხალხში, რომლის ზღაპარი, თუ ლექსი ამ საგანზე ტრიალებდა და უნერგავდა გულში ამ ამაღლებულს შეხედულებას“¹. მშობლიური ხალხური შემოქმედებისადმი სიყვარულია გამოხატული „კონსტანტინე ბატონიშვილში“ ქეთევან დედოფლის სიტყვებითაც: „მე მიყვარს ჩემი ხალხის თამაში, რომელშიაც სიმარდე, ღონე და ვაჟკაცობა გამოითქმის“².

ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, პ. უმიკაშვილისა და სხვათა მსგავსად ალ. ყაზბეგიც მოუწოდებდა თანამემამულეთ ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესასწავლი მასალების შესაკრებად: „ჩვენს ხალხში ბევრი ასეთი ჩვეულებები არის, რომლებსაც ეჭივრებათ გამოცვლა, შეახლება, მაგრამ ყველა ჩვეულებას თავის დროზე, დასაწყისში, ექნებოდა ბევრი, ძალიან ბევრი საფუძვლიანი მიმზიდველობა. ამ ჩვეულებების გამორკვევა, გასინჯვა, აღწერა ჩვენა გვგონია არც უინტერესო იყოს და არც უსარგებლო. ამისათვის იმედი გვაქვს, რომ ბევრნი მიიღებენ ამ მოძრაობაში მონაწილეობას და გაგვაცნობენ თავიანთ ხალხის ცხოვრებასთან“³. ასეთ მოძრაობაში მონაწილეობის შედეგია ალ. ყაზბეგის ნარკვევი „მოხვევები და იმათი ცხოვრება“⁴.

ამ წერილში საკითხის ღრმა ცოდნით არის დახასიათებული მოხვეური სიმღერები — საფერხულო („დიდება“, „გერგეტულა“, „ბარბარე“ და სხვები), შრომის (სამკალი) და სხვ. მოხვეური სიმღერები შედარებულია საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ სიმღერებთან („მუმლი მუხასა“ და სხვ.). მწერალს ხაზგასმული აქვს ფანდურზე დამღერების ტრადიცია ხევში. იქვე დასახელებულია საფანდურო რეპერ-

1 ალ. ყაზბეგი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 138.

2 მისივე, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 947.

3 დ. ჭანელიძე. ალ. ყაზბეგის უბის წიგნაკები; „ჩვენი თაობა“, 1938 წ., 3, გვ. 51 — 52.

4 „ღრობა“, 1880 წ.

ტუარი. ამავე წერილში საინტერესო ცნობებია მოცემული გა-
ლექების, საქორწილო სიმღერებსა და სამგლოვიარო პოე-
ზიაზე. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის საინტე-
რესოა ალ. ყაზბეგის ურთიერთობა ალ. ხახანაშვილთან. მოს-
კოვში მყოფ სტუდენტ ალ. ხახანაშვილისათვის პროფ. მილერს
დაუვალებია მოხვევთა შესახებ რეფერატის დაწერა. ახალგაზრ-
და ალ. ხახანაშვილს ალ. ყაზბეგისათვის, როგორც მოხვევთა
ყოფაცხოვრების შესანიშნავი მცოდნისათვის, წერილით უთხო-
ვია რეფერატისათვის საჭირო მასალები. მაშინ უკვე ცნობილი
მწერალი გულისხმიერად მოეკიდა ახალგაზრდა სტუდენტს
და ვრცელი წერილით პასუხი გასცა შეკითხვებზე ¹.

ალ. ყაზბეგი დიდი სიყვარულით იწერდა ხალხური შემო-
ქმედების ნიმუშებს. მის მიერ შეკრებილი ზეპირსიტყვიერე-
ბის შესანიშნავი ნიმუშების ნაწილი გამოქვეყნებულია ², ნა-
წილი დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების გან-
ყოფილების წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
ფონდში. თუ რა დიდი გატაცებით კრეფდა ალ. ყაზბეგი ხალ-
ხური შემოქმედების ნიმუშებს, ამის შესახებ საინტერესო
ცნობას გვაწვდის ასოცი წლის მოხუცი დიმიტრი ლუღუშაური.
იგი იგონებს მწერალთან ერთად ჯიხვებზე ნადირობას, როცა
მათ შეხვდათ ხევსური მონადირე: „სანდრომ ხევსურს რაღაც
ამბავი გამოჰკითხა. ხევსურმა რაც იცოდა, ყველაფერი გვიამ-
ბო და ბოლოს დაუმატა: ერთი მეცხვარე ფშაველი ამოვიდა
ბალიაურთან და ისეთ ლექსებს დამღერის ფანდურზე, რომ
ღვთის მადლმა, ტირილი მოგივაო. სანდრომ სთქვა: „თუ ის არ
ვნახე, ვერ მოვისვენებო“ ³. ალ. ყაზბეგს მართლაც უნახავს
ფშაველი მთქმელი და მოუსმენია მისი რეპერტუარი. ლუღუ-
შაურის გადმოცემით, „სანდრო ძალიან ლოცავდა იმ ფშა-
ველს, „თვალეზი ამიხილაო“, — ამბობდა. ლუღუშაური ასა-
ხელებს ხალხურ ნაწარმოებებს, რომლებიც ალ. ყაზბეგს

¹ საქ. მუზ. ხელნაწ. № s — 3078.

„უვერია“, 1885; „თეატრი“, 1886, №№ 24, 25 და სხვ.

³ ჩაწერილი დ. ბენაშვილის მიერ.

ფშაველისაგან მოუხმენია. ასეთებია ლეგენდა ვოჟა-ჯურხაის შესახებ, ლექსები: „ბეთლემის კარზე ჰკილია,“ „სამი არ გაიწურთნება“ და ბალადა „ჯარჯი“. უკანასკნელს ლუდუშაური ზღაპარს უწოდებს. ეტყობა, ალ. ყაზბეგს მისთვის უამბია ბალადის შინაარსი ისევე, როგორც ეს „მოძღვარში“ არის გადმოცემული. ლუდუშაურის მოგონებიდან ჩანს, თუ როგორ ეძებდა და გულისხმიერად ეკიდებოდა გამოჩენილი ხელოვანი სახალხო მთქმელებს.



პროგრესულ-დემოკრატიული იდეების დანერგვის საშუალებად ალ. ყაზბეგმა გამოიყენა მრავალი ფაქიზად შერჩეული, ღრმა შინაარსისა და მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ხალხური ნაწარმოები. მისი შემოქმედება გვაგრძობინებს ამ ნაწარმოებთა ღრმა ხალხურ ფესვებს. მწერალმა უდიდესი ოსტატობით გვაჩვენა, რომ ხალხური შემოქმედება ადამიანის სულის საზრდოა ლხინსა და ჳირში. ალ. ყაზბეგმა ზოგი თავისი ნაწარმოები, შედეგრი მხატვრული პროზისა, ხალხურ ფაბულაზე ააგო; ზოგ ნაწარმოებში კი ცალკეულა ეპიზოდები დაუკავშირა ხალხურ შემოქმედებას. გარდა ამისა, მის ნაწარმოებებში მოცემულია მეტად საინტერესო თეორიული ხასიათის მოსაზრებები ქართული ხალხური სიტყვიერების მრავალფეროვან ჟანრის ნაწარმოებთა ტრადიციაზე, ხასიათსა და შესრულების წესებზე. მისი დახასიათება „ჯვარულასა“, მოთქმისა, გალექსებისა, ბალადისა, ზღაპრისა და სხვათა, მისი ცნობები თქმულებების, საგმირო და საისტორიო ლექსების და სხვა ხასიათის ნაწარმოებთა ტრადიციაზე ნათელ წარმოდგენას აძლევინ მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ხალხური შემოქმედების ბუნებასა და სოციალურ ფუნქციაზე.

ალ. ყაზბეგის რჩეული ნაწერებიდან ხალხურ შემოქმედებასთან სიუჟეტურად დაკავშირებულია „ხევისბერი გოჩა“. ამ ღრმად პატრიოტული, მახვილი სოციალური მოტივების შემცველი ნაწარმოების ისტორიული ფონი მეჩვიდმეტე სა-

უკუნის ამბებია, კერძოდ — ნუგზარ ერისთავის სისხლანანი ლაშქრობანი თავისუფლებისმოყვარე ქართველი მთიელების წინააღმდეგ. ამ შესანიშნავა მოთხრობისათვის მწერალმა გამოიყენა მოხევური პატრიოტული თქმულება. იგი იძლევა სოფ. სიონის ერთი ადგილის „ჩაძინებულის“ ხალხურ ეტიმოლოგიას. ჩაძინებულის შესახებ არსებული თქმულების გარდა მოთხრობის ცალკეული ეპიზოდებისათვის გამოყენებულია ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. შესანიშნავად აღწერილი საქორწილო ცერემონიალი და მასთან დაკავშირებული სიტყვიერება, საგმირო პოეზია თავისი მრავალფეროვანი ფუნქცია და სხვა, მოთხრობის ძლიერი ეპიზოდებია. ისინი მაჩვენებელია მწერლის დიდი მიზანდასახულობისა.

საინტერესოა მოხევური თქმულებისა და „ხევისბერი გოჩას“ ურთიერთობა. მოხევური თქმულების ახალჩაწერილი ვარიანტი სათაურათ „ჩაძინებული“ ასეთია: „ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სტეფანწმინდით ძაუგამდე საცალფეხო გზა მიდიოდა, დარიალის ხეობაში სცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერთადერთი ნუგეში გააჩნდა, რომელსაც სახელად რქმევია ვანისიაი. დიდი ხანი ყოფილა, რაც ეს კაცი, სახელად გუგუნაი, დაქვრივებულა. მას აღარავინ არ დარჩენია, გარდა ვანისიასი. ამ ერთადერთ ნუგეშზე ამაზდიოდა მზეცა და მთორეცა. ისე არ დაწვებოდა თურმე, რომ ღმერთი არ ეხსენებინა და არ დაელოცა თავასი ვანისიაი. გუგუნას ჰქონია ხევის ოთხ სოფელში ძალიან დიდი მამული. როცა გუგუნა გამყინვარებულა (გათეთრებულს ნიშნავს), მოუხმია სოფლის რჩეული ვაჟკაცები და უთქვამს: სანამ ცოცხლება ხართ, თქვენს საბრძანებელს სხვას ნუ აბძანებინებთო. ორ-ორი ვაჟკაცი მიუმაგრებია თვითეულ სოფელში თავის კუთვნილ მიწაზე და შეუფიცავს გუგუნასათვის: „სწორებჩიმც გამაერჩევა, მზემც დაუბნელდება, ხატებიმც შალრისხავენ, ვინც შენს მცნებას უღალატოსო“. არ გაუვლია დიდ ხანს, როცა იმ სოფელში, რომელიც ვანისიას მიაკუთვნა მამამ, ჯვარს აწერდა მისივე ამხანაგი გაგაი. ქალი უნდა მოეყვანათ მეორე სოფლიდან, რომელსაც რქმევია თოთი. გაგამ ეჯიფედ ამო-

ირჩია ვანისიაი. ნეფიონიც წასულან. ქალის სახლში დიდი ქორწილი გადაუხდიათ. იქედან რომ წამოსულან, საუბედუროდ, ვანასიას თვალი შეუვლია დედუფლისათვის. ვანისიას მოსწონებია და სახლში მოსვლის დროს უარი უთქვამს მყარებისათვის ეჯიფის მოვალეობის შესრულებაზე, რადგან „ქალის ყურებით სულ ბნდებოდაო“. ვანისიას ქორწილი მიუტოვებია და წასულა სახლში. გუგუნას ვანისიას ეს საქციელი არ მოსწონებია, რადგან უფიქრია: „სარცხვილი მეც შემეხებო“. ქორწილის შემდეგ დატრიალებულა ცუდი ამბავი. ხალხში ხმებმა იგრიალა, რომ „მტერი შემოგვესააო“. გუგუნამ თავისი შვილი ვანისიაი დასჯის მიზნით გაგზავნა ისეთ ადგილას, სადაც უფრო საშიში იყო მტრასაგან. ვანისიაი მარტო წასულა ნაროვანს და წაუღია ერთი ვირით ტყვია-წამალი და პური. ეს გაუგია დაქორწილებულ ქალს, რომელსაც რქმევია მათიკო და გამოდევნებია უკან. მათიკო წასულა ყირვანწყაროს გზით და გადასულა შუბთას ფერდობზე და იქ ჩამომჯდარა, ვითომ არც კი იცოდა ვანისიას ნაროვანს წასვლა. ვანისიაი მიდიოდა გზაზე ღიღინით და პირდაპირ მჯდომარე ქალს კი წასდგომია თავს. ქალი ვითომ შეკრთა მოულოდნელობისაგან. ისინი მიეცნენ განცხრომას და დროს ტარებას. ვანისიას გადაავიწყდა, რომ ამხანაგები ამას ელოდნენ, რადგან ტყვია-წამალი და პური უნდა მიეტანა. ამასობაში ჩამობნელებულა კიდევც. ვანისიას გადაუწყვეტია, რომ დილით წავალო, ოღონდ ამაღამ შენთან გამათენებინეო. ქალიც დათანხმებულა. ნაროვანს რომ აღარ მივიდა ვანისიაი დანიშნულ დროზე, შუაღამისას გამოუგზავნია კაცი, თუ რატომ დაიგვიანა ვანისიამ. სოფელში გაიგეს, რომ მათიკოც წასულა სადმე. მათიკოს ქმარი გაგაი გამოჰკიდებია საქებრად. პირდაპირ წასულა იმ გზით, რა გზითაც წავიდა ვანისიაი. მზე უკვე ამოსული ყოფილა, როცა ის მიაღდა მძინარეთ ვანისიასა და მათიკოს. ორივენი ერთი ხანჯლით მძინარენა გაუწყვეტია. ვანისიას თავი წამოუღია და მიუტანია გუგუნაისთვის. გაგას გუგუნაის წინ იმავე ხანჯლით თავი მოუკლავს. გუგუნაი შეშინებულა და ჭკუიდან შემცდარა. წასულა და მკვლელობის ადგილზე ქოხი აუგია. ასეთ ყოფაში გარდაიცვალა

ისიც. იმ ადგილისათვის, სადაც მკვლელობა მოხდა, ხალხს შეურქმევია „ჩაძინებული“, ნიშნად ვანისიას მოგონებისათვის“¹.

ამ თქმულების საინტერესო ვარიანტი გამოაქვეყნა დ. ბენაშვილმა. ბენაშვილის ვარიანტი ცოტაოდენ განსხვავდება ახალჩაწერილ მოყვანილ ტექსტისაგან. აღვნიშნავთ ახალი ვარიანტისაგან განმასხვავებელ ზოგ მომენტს, რომელიც საინტერესოა ლიტერატურულ ნაწარმოებთან შედარების თვალსაზრისით. დ. ბენაშვილის ვარიანტით ხილის საკრეფად წასული პატარძალი შეხვდა საგუშაგოზე მიმავალ ვანისეს; დანაშაულის გასწორების მიზნით ვანისე თავგანწირვით ეკვეთა მტერს და მუსრი გაავლო; ქალის ქმარმა მამის დავალებით მოკლა ვანისე, — მძინარე კი არა, — გაღვიძებული.

თქმულების ვარიანტებს ბევრი საერთო მომენტი აქვთ ყაზბეგის მოთხრობასთან. საერთოა ლიტერატურული და ხალხური ნაწარმოებების ერთი მთავარი გმირის სახელი. ხალხური ვ ა ნ ი ს ი ა ი ა ნ ვ ა ნ ი ს ე ყაზბეგის ონისეა (დანარჩენ პირთა სახელწოდებანი არ ემთხვევა: ხალხური გ უ გ უ ნ ა ა ნ გ უ გ უ ა ყაზბეგის გოჩაა; მ ა თ ი კ ო ა ნ მ ა რ თ ა — ძიძია; გ ა გ ა — გუგუა). ლიტერატურული და ხალხური ნაწარმოებების საერთო ადგილებიდან აღსანიშნავია: ეჯიფისა და პატარძლის გამიჯნურება საქორწილო ცერემონიალის დროს; ეჯიფის შეცვლა; პატარძლის შეხვედრა საგუშაგოზე მიმავალ სატრფოსთან; დაღუპულ მოძმეთა სისხლის აღების მიზნით ონისე-ვანისიას შექრა მტრის რაზმში; უადგილო თავდავიწყების გამო მოხუცი მამის მკაცრი განაჩენი შვილისადმი; გუგუა-გაგას თვითმკვლელობა; გოჩა-გუგუნას გაგიყება.

¹ ჩვენი დავალებით ჩაწერა სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კ. სტუდენტმა მოხვეე ირაკლი ჩქარულმა 17. V — 1948 წ. ირაკლი ჩქარულის ჩაწერილ ტექსტს დართული აქვს შემდეგი ცნობა: „დღესაც ხალხი ამავე სახელით იხსენიებს მკვლელობის ადგილს. ეს ადგილი მდებარეობს საცალფეხო გზის ნაპირას. პატარა ვაკეა, ცოტა ჩაღრმავებული. რამდენჯერაც კი იქ აგვირეკია ცხვარი საძოვარზე, იმდენჯერ მოუგონებიათ ვანისია და მათიკო ამ სიტყვებით: „ბიკაუ, არ გინდოდა ეხლა ვანისია ამამძვრალიყო, როგორ გულები დაგვისქდებოდაო“.

ბევრი მოტივი ხალხური თქმულებისა არ გვხვდება ყაზბეგის მოთხრობაში. ასეთებია: მამის მიერ ხმლის გადაცემა ქალის ქმრისთვის შვილის მოკვლის მიზნით; ქალის ქმრის შეხვედრა მეტოქესთან და დიალოგი მათ შორის; მოკლული შვილის თავის მიტანა მამასთან; მამის განკარგულება შვილის თავის მხეცებისათვის გადაგდების შესახებ; „ჩაჩინებულის“ ეტიმოლოგია.

ხალხური და ლიტერატურული ნაწარმოებები მხოლოდ ამ მომენტებით არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ბევრი საკვანძო ადგილი ალ. ყაზბეგის მოთხრობისა საეხებით დამოუკიდებელია ხალხური თქმულებისაგან. ასეთია მრავალი უძლიერესი ეპიზოდი მოთხრობისა. ხალხური თქმულების ვარიანტებში ზოგადად არის ნათქვამი: „დატრიალებულა ცუდი ამბავი. ხალხში ხმებმა იგრიალა, რომ „მტერი შემოგვესიაო“ ან „იმ დამეს რაღაც ხმაური ატყდა. მტერი შემოსეოდა მოხევეთა სოფლებს“. სლ. ყაზბეგს ამისაგან შეუქმნია მოთხრობის ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს გაძლიერებული ფეოდალის ნუგზარ ერისთავის სისხლიან ლაშქრობას მთიელების წინააღმდეგ მათი დამორჩილების მიზნით. ამ ჩარჩოშია მოცემული უძლიერესი ეპიზოდები მოთხრობისა. ასეთია, მაგალითად, მოხევე დათიას მიტანილი ამბით აღელვებული, არხოტის მთის ძირას შეკრებილ მწყემსთა ერთსულოვნად ამხედრება ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ. ქალ. ყაზბეგს მკაფიოდ აქვს ნაჩვენები მთიელი მწყემსების საბრძოლო განწყობილების სოციალური ფესვები¹; ხალხური თქმულებისაგან დამოუკიდებელია სამების ტაძართან შეყრილი თემობის დახასიათება მახვილი სოციალური მოტივით. ყაზბეგს შესანიშნავად აქვს გადმოცემული თავისუფლების დასაცავად ამდგარ მოხევეთა წყრომა მოსისხლე ფეოდალისადმი²; ალ. ყაზბეგს ეკუთვნის მძვინვარე ფეოდალის ნუგზარის სახე; ხალხური ნაწარმოებისაგან დამოუკიდებელია ნუგზარის მზადება მოხევეთა დასამორჩილებლად; ლეკების და ოსების გამოყენება მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ცდა მთიულების, გუდამაყრელებისა და ხან-

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 338 — 339 და 343 — 346.

² იქვე, გვ. 371 — 372.

დოსხვევლთა გამოყენებისა მოძმეთა წინააღმდეგ საბრძოლველად; თქმულებისაგან დამოუკიდებელია მთიულთა განდგომა ნუგზარისაგან, მაჩვენებელი მათი ამაღლებული პატრიოტული გრძნობისა და კლასობრივი თვითშეგნებისა¹; ყაზბეგის ნიჭიერ კალამს ეკუთვნის ნუგზარის მიერ ლეკების შემოყვანის გამო ხევისბერის მგზნებარე მოწოდება მოსხვევებისადმი²; ხალხურისაგან დამოუკიდებელია მოთხრობის ისეთი ძლიერი ადგილები, როგორცაა თავდავიწყებიდან გამოსული ონისეს გაგიჟებამდე მისვლა მისი სანგრის მებრძოლთა მოულოდნელი დაღუპვით; გუგუას შეპყრობის გამო ონისეს მძაფრი განცდები; სამშობლოს მოღალატედ აღიარებული გუგუას დიდი ტრაგედია; მოღალატე ოსების ჩაქოლვა მოხვევთაგან; ონისეს განგმირვა გოჩასაგან; ძიძიას გადაკარგვა. 7

ასე გადაადნო ალ. ყაზბეგმა ხალხური ამბავი, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკუთარ სულიერ ქურაში“. ლიტერატურული და ხალხური ნაწარმოებების აღნიშნული საერთო და განსხვავებული ადგილები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: მოხუცი მოხვევისაგან გაგონილი თქმულება, რომელიც ახლაც გავრცელებულია ხევში, ალ. ყაზბეგისთვის იყო მხოლოდ მასალა მებრძოლი სულით გაქდენთილი ნაწარმოების შესაქმნელად.



ხალხურ სიტყვიერებასთან საგნობრივ კავშირშია მოთხრობა „ციცკა“³. ამ პატარა მოთხრობაში მკვეთრად ასახულია ის სოციალურ-ეკონომიური ვითარება, რომელიც სულს უხუთავდა XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართველ მთიელებს და ამხედრებდა მათ მეფის მოხელეთა და ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ. მოთხრობის მთავარი გმირი ციცკა, ერთადერთი შვილია ქვრივი დედისა. იგი ნათელი სახეა მშრომელი, პატიოსანი ვაჟაკისა. უზადო სიყვარულმა მშვენიერი ნუნუსადმი შეაჯახა ციცკა სავანშო კაპიტალის შემწეობით ხევში შემო-

¹ რჩული თხზულებანი, I, თ. თ. XVII, XVIII.

² იქვე, გვ. 364.

³ თხზულებათა სრული კრებული, გვ. 911 — 916.

სულ, თვითმპყრობელური რეჟიმით ზურგგამაგრებულ ჩარჩს. ციკკას შესახებ ხევში ბოლო დრომდე გავრცელებულია ლექსი. მისი ერთი ვარიანტი ასეთია:

გავარდა ბიჭი ციკკაი,
ვერვინ მოჰკიდებს ხელსაო,
გადავა საქართველოჩი,
ალარ გადმოა ხევსაო.
ფასია ძაუგს წავალის,
ფულებს ჩაიყრის ბევრსაო,
ცდოს ძირს დახედება ციკკაი:
— საით მიიქნევ ხელსაო.
კობს რომ შემართა ვალები,
გაგისწორდები დღესაო.
— ნუ მომკლავ, ჩემო ციკკაო,
შენის დედ-მამის მზესაო,
ჩემსა წილ დუქანს მაგიკრი,
ეხლავ მაგიწერ ხელსაო.
თუ კიდევ გეცოტებეა,
გაჩუქებ წითელ ცხენსაო.
„აი შე ძაღლო ვაჭარო.
ხმაღს ვერ გაივლებ ხელსაო,
მეც ეგრე გეხეწებოდი,
აღმა რომ მგლეჯდი წვერსაო.
დამაჯე ხელ-ფეხ შაკრულსა,
ციმბირს მიმავალ ტყვესაო.
ერთი შამაჰკრა ციკკამა,
სისხლმა შაახა კლდესაო.
ნუ გეშინია, ფასიაგ,
მე არ შავარცხვენ ხევსაო,
არ გადაგადებ ტიალად,
მკვდარს არ შეგაკმევ მგლებსაო.
ყარაულებს დაგიყენებ
ორივე გველეთლებსაო.
ქმებსაც მე შეგიტყობინებ,
ფასია გზის ძირ წევსაო,
ძალიან ხშირა ზძინია,
არას გაიგებს თქვენსაო¹.

¹ ჩაწერილი ხევში ალ. გომიაშვილის მიერ, ვარიანტი იხ. ს. მაკალათია, ხევი, გვ. 60.

ჩვენამდე მოღწეული ვარიანტები ხალხური ლექსისა ფრაგმენტულია. ლექსში ასახულია ის შეურიგებელი სოციალური ბრძოლა, რომელიც დამახასიათებელი იყო XIX საუკ. საქართველოსათვის, ამით იგი სავსებით ემთხვევა ყაზბეგის მოთხრობის მთავარ ღერძს. ხალხური ლექსი შეიცავს ყაზბეგის მოთხრობის შემდეგ ძირითად მომენტებს: ხელშეკრულ ციციასთვის წვერ-ულვაშის დაგლეჯას; ციციას ყაჩაღად გავარდნას; კავკაისაქენ მიმავალი ჩარჩისა და შურისძიებით ანთებულ ციციას შეხვედრას; ვაჭრის ლაჩრულ მუდარას ციციასადმი და მთელი მისი ქონების შეძლევის; ციციას მიერ ჩარჩის გამოწვევას ბრძოლაში; ციციას სამართლიან შურისძიებას; მოკლულ ვაჭართან ყარაულების დაყენებას.

მოთხრობის მთელი რიგი მომენტები არ არის ხალხურ ლექსში. ასეთებია: ციციასა და ნუნუს მიჯნურობა; თვითმპყრობელური რეჟიმით შერყვნილი პეტრიას სახე; ნუნუსაგან უარყოფილი ვაჭრის შურისძიება; მთვრალი სალდათების მიყვანა გამიჯნურებულ ქალ-ვაჟთან; ქალის გატაცება მთვრალი სალდათების მიერ; ციციას შეუპოვარი ბრძოლა მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან. ხალხურ ლექსში არ არის აგრეთვე მოთხრობის გულსაკლავი ფინალი — მდულარე ცრემლების საფრქვევად მზეზე გამოყვანილი, ოთხად მოხრალი, უსინათლო ციციას დედა, რომელსაც სიკვდილიც კი არ ეღირსა.

ხალხური ლექსისათვის უცნობი ზოგიერთი აღნიშნული ეპიზოდი მოთხრობისა უდაოდ ყაზბეგს ეკუთვნის, ზოგი კი სავსებით დამოუკიდებელი არ უნდა იყოს ხალხური შემოქმედებისაგან.

ხალხური ლექსი ციციას შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ფრაგმენტულია. დასაწყისი ლექსისა არ არის ბუნებრივი მასში გადმოცემული ამბისათვის. ლექსს უნდა ჰქონოდა ისეთი დასაწყისი, სადაც აღნიშნული იქნებოდა ციციას ყაჩაღად გავარდნის მიზეზი. ლექსის მიხედვით ციციკა ანგარიშს უსწორებს ვაჭარს: „კობს რომ შემართა ვალები, გაგისწორდები დღესაო“. ციციას სიტყვებიდან ჩანს, რომ ისინი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს: „მეც ეგრე გეხვეწებოდი, აღმა რომ მგლეჯდი წვერსაო“ და სხვა. ამგვარად, ლექსისათვის უცნო-

ბი ყაზბეგის მოთხრობის აღნიშნული ყველა მომენტი არ უნდა იყოს საკვებით დამოუკიდებელი ხალხური შემოქმედებისაგან. ხალხის მეხსიერებამ უთუოდ დაკარგა ლექსის დასაწყისი, სადაც აღნიშნული იქნებოდა მიზეზი ციკლას ყაჩაღად გავარდნისა. იგი, ალბათ, შესატყვისი იქნებოდა მოთხრობის ზოგიერთი აღნიშნული მომენტისა.

ჩვენი აზრით, ალ. ყაზბეგის მოთხრობისა და ხალხური ლექსის დამოკიდებულებაში პრიორიტეტი მეორეს ეკუთვნის. სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი მწერალი შთაგონებული უნდა იყოს სახალხო გმირზე შექმნილი ლექსით. იგი, ალბათ, იცნობდა ამ ლექსის უფრო სრულ ვარიანტს, ან კიდევ ამბავს სახალხო გმირის შესახებ, რომელიც გამოიყენა თავისი პატარა, მაგრამ მახვილი სოციალური მოტივების შემცველი მოთხრობისათვის.



საგმირო-საისტორიო ეპოსის შესანიშნავი ნიმუში დაედო საფუძვლად ალ. ყაზბეგის დრამას „არსენა“. თვითმპყრობელური რეჟიმისა და სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში მწერალმა მოხდენილად გამოიყენა ქართული ხალხური სიტყვიერების ბრწყინვალე ძეგლი. სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი, ხალხის საყვარელი გმირი ალ. ყაზბეგის დრამის ძირითადი პერსონაჟია. სახალხო გმირის შეუპოვრობა ბოროტებასთან, მისი მემამბოხე სული, რაც შესანიშნავადაა ნაჩვენები მესტვირულ ლექსში, დამახასიათებელია ყაზბეგის დრამის გმირისთვისაც. მესტვირული ლექსის ცნობები სახალხო გმირის შესახებ დრამაში უშუალო მოქმედებაშია გადატანილი. მესტვირული ლექსის ცნობით არსენა „— მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“. სახალხო მთქმელის სიტყვები ყაზბეგის მიერ კარგად არის დასაბუთებული არსენასა და სირაჯის შეხვედრის საინტერესო სცენაში. არსენა და მისი თანამებრძოლი თედო გზას უღობავენ სირაჯს. არსენა იარაღს ჰყრის მას, დაუხვევს თამასუქებს „შა-

რითა და შარამათით დატყუენილს“, წაართმევს ფულს და აძლევს სირაჯის გამყოლ გლენს. გლენი აღლევებით მიმართავს არსენას: „ღმერთმა გადღეგრძელოს... იმითვინა, რომა... საწყალი კაცი გებრალემა...“¹.

ხალხურ საფუძველზე ყაზბეგმა შექმნა ინდივიდუალური ნაწარმოები. მთავარი ის კი არ არის, რომ შემოქმედმა მესტვირული ლექსის ზოგ პერსონაჟს სახელი შეუცვალა (მესტვირული ლექსის ზაალ ბარათაშვილი დრამის გარსევან ამაყაძეა, გიორგი კუჭატნელი — პეტრე და სხვ.), არამედ ის, რომ ლექსის ბევრი ზოგადი ცნობა დრამაში ხორცშესხმულია. ყაზბეგის ეს ნაწარმოები თავისი მიზანდასახულობით მთლიანობაშია მის შესანიშნავ მოთხრობებთან. გარსევან ამაყაძისა და მისი ცოლის სიდონიას სახით მწერალმა გვაჩვენა მებატონეთა უზომო თვითნებობა, უსულგულობა, ჟინიანობა. დრამაში, ბედუკუღმართ პატიოსან მშრომელებთან ერთად, გამოყვანილია ბატონყმური ინსტიტუტის მიერ გარყვნილ გლენთა ტიპები (ზაქარა, პეტრე). ალ. ყაზბეგმა გვაჩვენა ისიც, რომ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში არსენა მართო არ იყო, მას ზურგს უმაგრებდნენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა თედო და სხვები.

ამავე ნაწარმოებში მესტვირული ლექსისაგან დამოუკიდებლად გამოყენებული აქვს მწერალს ანდაზები, შრომის სიმღერები და სხვები. ისინი ამახვილებენ დრამის სოციალურ მოტივებს.



ხალხური შემოქმედებით არის შთაგონებული ალ. ყაზბეგის ორი დაუმთავრებელი მოთხრობა „შიოლა ღუღუშაური“ და „ნი ნო“. ავტორს რომ დასცლოდა, ისინი უთუოდ ერთ მოთხრობად ჩამოიძქრებოდა. ამ მოთხრობათა საფუძველია საქართველოს მთაში გავრცელებული, კლასთა ბრძოლის ნათ-

¹ რჩეული თხზულებანი, II. გვ. 548 — 549.

ლად ამსახველი ლექსები და გადმოცემები შიოლა ღუღუშაურსა და მთრეხელზე¹.

ამ ლექსებსა და გადმოცემებში ასახულია XVII საუკუნის ისტორიული ვითარება. ხევის დამორჩილების მიზნით, გაძლიერებულმა არაგვის ერისთავებმა დაიხლოვეს თემის მოთავენი. მათ დააწინაურეს ერთ-ერთი გავლენიანი გვარის წარმომადგენელი შიოლა ღუღუშაური. გადმოცემით მას აზნაურობაც კი უბოძეს. იგი ერისთავების მითითებით ავიწროვებდა ხევს. მოღალატე ღუღუშაური მოხევეებმა ხევსურს — მთრეხელს მოაკვლევინეს². ლექსებისა და გადმოცემების მიხედვით მთრეხელი ყოფილა შიოლას დის ძმადნაფიცვი. შიოლას მოკვლის შემდეგ მას თავი შეუფარებია დობილთან. იქ იგი ღუღუშაურებს მოუკლავთ. დობილს ქმრისთვის დაუვალებია ძმობილის სისხლის აღება. ხალხური ლექსის ერთი შედარებით ვრცელი ვარიანტი სათაურით „შიოლა და მთრეხელი“ ასეთია:

აქნამდე, ღუღუშაური, სკამს იჯე ერისთვისასა,
აეხლა გამისხორიგდი, მსახურს გაფერებ სხვისასა.

არ გაუტეე მთრეხელი, ჰევეს მიმავალი დისასა.

ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რაღად სთხოვდი რქისასა?

„მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა, ნაპირის ადგილისასა;

გზა ყველაისად სწორი ას, რად არ გამიშობ, ღთის მადლსა?

მგონიხარ ნახალიზარი. ყამს თუ არ იყავ მტრისასა“.

არ დაიშალა, გადასწედა, მკართ ნადებს მშვილდსა რქისასა.

„გახლავარ ღუღუშაური, არ დაგიფერებ სხვისასა“.

გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა, ფალავანს არჩხვატისასა.

„კარგა ხანს სკამე აჩხვატი, ესლა მე გაქმეე მიწასა“.

გამაზრუნდების მთრეხელი, დაელნებას ღგავ ცისასა,

მოზღვეენ ღუღუშაურნი, განრისხებას ღგონ ხთვისასა.

მიღმართა ყოვლა წმინდასა, დედას მშობელსა ხთვისასა;

კარნ არ დაუხვდეს ღიანი ნაგებსა დედუფლისასა.

მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი დისასა:

„დაო, ვერ შემინახევი? ცხონებას შენის ძმისასა!“

¹ შიოლა ღუღუშაურსა და მთრეხელზე არსებული ლექსებისა და გადმოცემების ვარიანტები იხ. აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 14 — 15 და 336 — 342.

² ს. მაკალათია, ხევი, გვ. 42 — 43 და 95.

—..წამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ შეკვრისასა.
ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო, ნაკაპსნ ნუ მაპკრით თმისასა!
კარისას არ გაუტივნა, საკვებით დაუკვრენ ისარსა.
ამბობენ ჩამაქციევასა ახალციხურის კლდისასა.
თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბელელაის ძისასა,—
ვერ შეინახა სტუმარი, ვაი ვა დედას მტრისასა!!

ალ. ყაზბეგის ორივე დაუმთავრებელი მოთხრობა ხევის მშრომელთა სულთაძხუთავის, არაგვის ერისთავთა მიერ მოციდული ღუღუშაურის დახასიათებითა და მასზე შექმნილი ლექსებისა და გადმოცემების აღნიშვნით იწყება. ერთ ვარიანტს („შიოლა ღუღუშაური“) ხალხური ლექსის ნაწყვეტი აქვს წამძღვარებული ეპიგრაფად:

შიოლავ ღუღუშაურო,
სკამს ზიხარ ერისთვისასა;
ალარც ქალს ინდობ, ალარც კაცს,
არცა ბალს ერთისთვისასა;
პირიდან ცეცხლსა მენად ჰყრი,
კლდეს აღნობ ბასრის ქვისასა².

მეორე ვარიანტის („ნინო“) შესავალში შიოლას დახასიათებასთან დაკავშირებით არის მოყვანილი ხალხური ლექსის ფრაგმენტი:

შიოლა ღუღუშაურო,
სკამს ზიხარ ერისთვისასა;
ალარც ქალს ინდობ, ალარც კაცს,
ალარც ბალს ერთისთვისასა...
გულიც სულ გაგქვავებია,
გიგავს ნაგლეჯსა კლდისასა...
ძმაც კი აღარ გაგიშვია,
ძმა მიმავალი დისასა;
ცხენი სთხოვე და მოგართვა,
შვილდს რაღას სთხოვდი რქისასა...
შვილდი არ გაედებოდა
მთრახელსა ნაპირისასა³.

¹ აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 14—15. ეს ვარიანტი ბეს. გაბუურს 1925 წელს გაუგონია 94 წლის მოხვევე ბიჭა ღუღუშაურისაგან.

² თხზულებათა სრული კრებული, გვ. 1089.

³ იქვე, გვ. 1096—1097.

მოთხრობის დასაწყისის ორივე ვარიანტში მკვეთრადაა ნაჩვენები ქართველ მთიელთა დიდი სიძულვილი თემის მოღალატე შიოლასადმი. ერთი ვარიანტით („შიოლა ღუდუშაურა“) შიოლას დის მალიას მოტრფიალე ირემა ქალის ძმობილს ჯახანას უარს ეუბნება ღუდუშაურთა ბინაში წასვლაზე, თანაც აფრთხილებს, „შიოლამ არ მოგვასწროს“. ჯახანას გოცების გამო ირემა გულისტკივილით ამბობს: — „ოჰ, ჯახანასი, შენ არ იცი, რაი ამბავია ჩვენში, რაი ღთის წყრომაა და აგრე იმად უბნობ“¹.

მშრომელთა დიდი სიძულვილი ერისთავიანთ მომხრე ღუდუშაურისადმი კიდევ უფრო მკაფიოდ არის ნაჩვენები მეორე ვარიანტში („ნინო“). საინტერესოა ამ მხრივ ფადიაურის სიტყვები: „...სისხლი წვიმს და ცეცხლი სთოვს!.. სადღა თემობა! ეხლა თემი ღუდუშაურიანთ დარჩათ... შიოლასაგან ხო მოსვენება აღარაა, აბა ძუძუმწოვარა ბალდი რაია... ისიც კი აღარა რჩება შეუწუხებელი...“ მებატონეთაგან შევიწროებული, თავისუფლებისმოყვარე მთიელების სულისკვეთება კარგად არის ნაჩვენები მთრეხელის მუქარაში შიოლასადმი: „...გონჯა ატეხილა!— წყლის ჭურჭელი ერთხელა წყალზედ გატყდების“; „გონჯი უნდა მოკედეს!.. ხევს კაცი აღარ დარჩენილა, თორემ, ღთის მადლმა, რო შიოლას აქამდინ შავ ქვიშას შეაქმევდნენ“; „თემის მოღალატე... არ დაინდობის... თემის მოღალატე ხალხსაც არცხვენს და ჯალაბობასაც... ეგეთი კაცი ყველასათვის ჭირია“². ჩანს, ალ. ყაზბეგს საინტერესოდ ჰქონდა მოფიქრებული მოთხრობა. დასაწყისის ვარიანტებში კარგად არის მოცემული მებატონეთაგან შევიწროებულ ქართველ მთიელთა მებრძოლი სულისკვეთება. სამწუხაროდ, მწერალს არ დასცალდა უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა ის გამწვავებული კლასთა ბრძოლა, რაც შესანიშნავად არის ასახული ხალხურ ლექსებსა და გადმოცემებში. ამ ნაწარმოებზე დაფუძნებული დაუმთავრებელი მოთხრობის ვარიან-

¹ თხზულებათა სრული კრებული, გვ. 1094.

² იქვე, გვ. 1093 — 1100.

ტები სხვა ნაწერებთან ერთად მაჩვენებელია ღრმა შინა-
არსისა და იდეის მქონე ხალხური შემოქმედებისადმი მწერლის
დიდი ინტერესისა და სიყვარულის.



ბევრი ბრწყინვალე ნიმუში ხალხური სიტყვიერებისა
აღ. ყაზბეგმა თავის თხზულებათა ცალკეულ ეპიზოდებს და-
უკავშირა. ზეპირსიტყვიერების ძეგლებით გაგვაცნო მწერალ-
მა მშრომელი ხალხის მრწამსი, მორალი და ეთიკა. მათი საშუ-
ალებით წაგვაკითხა მგზნებარე გული ქართველი ხალხისა,
ჩაგვახედა წარსული დუხჭირი ცხოვრებათ აფორააქებულ ადა-
მიანის სულში. გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი „მამის მკვლელი-
დან“. უსამართლოდ დევნილი, სხვა ტომის ხალხთან თავშე-
ფარებული იაგო მწვავედ განიცდის მშობლიური ხალხის
ბედს. მისი მსჯელობა საკუთარ თავთან მწერალს ასე აქვს გად-
მოცემული:

„რისი ან ვისი ბრალია ჩვენი ასე დამხობა? — გაურბინა
იმას გულში და მწარედ, მაგრამ გარკვევით ჩაიცინა და წარ-
მოსთქვა:

ვამ რა დიდი ბრალია:
შავარდენი ჰყავს ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა —
შორით-ღა უწყებს მწერასა.

„მაგრამ გაუფრინდებალა?“ გაიფიქრა იმან და მერე
მწარედ წამოიძახა: „ვამი შენს მტერს“¹.

ხალხური ნაწარმოების ასეთივე დანიშნულების თვალსა-
ზრისით საინტერესოა ის ადგილი „ელგუჯადან“, სადაც გად-
მოცემულია აღვირახსნილ ნაჩაღნიკის კარზე შეყრილ მთი-
ულთა განწყობილება მოულოდნელი ბეგარის გამო. უსამარ-
თლო ბეგართ ალშფოთებული მთიულები ყაზახებმა მათ-
რახებით დაიმორჩილეს. ძალით დამორჩილებულთა განწყო-

¹ რჩეული თხზულებანი, II, გვ. 191 — 192.

ბილება ასეა გადმოცემული მოთხრობაში: — „ჩაცვივდით საგონებელში, როგორც კამბეჩი მორევში“ — პასუხის მაგიერ მწუხარებით შემდგრა ერთმა მთიულმა, გაუკრა აპეური ხარს და გადაჰკრა სახრე, თითქო იმაზედ უნდოდა ყველა ჯავრის ამოყრა“¹. ამავე ნაწარმოებში ეროვნული თავისუფლებისადმი უდიდესი ნატვრაა გამოხატული მთიულთა აჯანყების გამო მოხუცი აბდიას მიერ წარმოთქმული ხალხური ლექსით:

აქამდის გულო ხალასო,
ეხლა რა სევდა დაგეცა?
არ სჯობდა სარჩო-საბადი
წინაღვე სხვისთვის მიგეცა?²...

ეროვნული თავისუფლების დიად გრძნობასთან არის დაკავშირებული ის ლექსებიც, რომლებიც მოხუცმა ღინჯამ ფანდურის აკომპანიმენტზე დასძახა ავადმყოფ სვიმონ ჩოფიკაშვილის სარეცელთან: ხალხის ერთიანობის დარღვევა და მტრის მომრავლება მოაგონა მომაკვდავ სვიმონს „კენესა ჩართულის, მწუხარე, გულის ჩამთუთქავის ხმით“ ღინჯას მიერ შესრულებულმა ლექსმა:

ღარიბობა და ობლობა,
ორივე გამომივლია,
სჯობს ღარიბობა ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია³.

იქვე მწერალი ხალხის ერთიანობას ქადაგებს მოხუცის პირით ნათქვამი ლექსებით. მომაკვდავ ჩოფიკაშვილს ელგუჯასთან შერიგებას ღინჯა შემდეგი ლექსით თხოვს:

უფროსთა ხვეწნად მოსულთა
ხათრის შენახვა თქმულაო,
ხალხის პირისა გამტეხი
ღამწვარამც, დადაგულაო⁴.

¹ რჩ. თხზ., I, გვ. 66.

² იქვე, გვ. 178.

³ იქვე, გვ. 180.

⁴ იქვე, გვ. 187.

ღრმად არის გააზრებული „მოდღვარის“ მიხედვით ფილოსოფიური ლექსი, რომელსაც თემისაგან მოკვეთილი მაყვალა ამბობს:

წუთის სოფელი უფალმა
შეგამკო ათასგვარადა,
ერთი რომ კარგად მოაწყე,
ცხოს რად არ აგდებ ფარადა..¹

ეს პატარა, ოთხსტრიქონიანი ლექსი ღრმად გაგვაცდევინებს იმ დიდ ტრაგედიას, რომელსაც მაყვალასა და სხვა მის მსგავსს, სიცოცხლისა და თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს უქმნიდა წარსული, შეებნელი ღრო.

ყაზბეგის ნაწერებში ჰუმანური იდეების დანერგვის საშუალებად გამოყენებულია მრავალი მოხდენილი ანდაზა. ხალხური შემოქმედების ამ სპეციფიკური ეხანრის ნაწარმოებთა სოციალური ბუნება ნათლად ჩანს ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების სიტყვებში. თვითმპყრობელური ძალმომრეობა მწერალმა არა ერთხელ აღნიშნა ანდაზით „ძალა აღმართსა ხნავს“. „მამის მკვლელის“ მიხედვით ანანურის ციხეში ჩამწყვდეულმა, „შებორკილმა მოხუცმა ამ ანდაზით აღნიშნა მეფის მოხელეთა მხეცობა². ამავე ანდაზით დაახასიათა თვითმპყრობელობის უხეში ძალა იაგომ³; „არსენაში“ უნებისყოფო პეტრემ ამ მოხდენილი ნათქვამით აღნიშნა სოციალური ბოროტება⁴. მეფის მოხელეთა არაადამიანური ძალმომრეობა მკვეთრად გამოხატა ალ. ყაზბეგმა „მამის მკვლელში“ ანდაზით „ძალდი კოჭლობით არ მოკვდება“. ასე მიმართა ანანურის ციხის უფროსმა ძალაგამოლეულ, ნაცემ მოხუც ტუსალს, როდესაც ის ფეხების სიმსივნის გამო ვერ წამოღდა⁵. ხალხის მოხდენილი ნათქვამით მწერალმა არა ერთხელ გვაჩვენა თავის თხზულებათა გმირების კეთილშობილება. „მოდღვარის“ მიხედვით მთიდან ბარში მიმავალმა ჯაჯი-

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 397.

² რჩეული თხზ., II, გვ. 110.

³ იქვე, გვ. 224.

⁴ იქვე, გვ. 535.

⁵ იქვე, გვ. 109.

ამ, როდესაც უკანასკნელად მიაწოდა სარჩო თემისაგან მოკვეთილ მაცვალას, წარმოსთქვა: „საკმელ-სანთელი თავის გზას რა დაჰკარგავსო“¹. ხალხთა ერთიანობის იდეას გამოხატავს ყაზბეგის ნაწერებში ანდაზა: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“².



ხალხური ლექსი ზოგჯერ ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების მოქმედების სტიმულია. ხალხურმა ბალადამ უდიდესი ზემოქმედება იქონია ონისეზე. იგი ცდილობდა შეეკავებინა მოზღვავებული გრძნობა მაცვალასადმი. ამ ცდის ამოება ცხადყო მეფანდურის მიერ შესრულებულმა ბალადამ. მოთხრობაში გადმოცემულია ბალადის შინაარსი:

„ერთი მონადირე მთაში ჯიხვებზედ სანადიროდ წასულიყო, ერთს ფიწალოზედ გადმოვარდნილიყო და კლდეზედ ბანდულას საბანდით ჩამოჰკიდებოდა. მონადირე თავის ძაღლსა სთხოვს, რომ სოფელში წავიდეს და საკუთრივ, მარტოდ-მარტო იმის საყვარელს შეატყობინოს მონადირის გაჭირვება. ძაღლი საყვარელს არ ენდობა, თუმცა პატრონის სიტყვას მაინც ატყობინებს და იმ ქალის გარედ მონადირის დედასთანაც მიიღბენს.

„საყვარელი ქალი თავის სატრფოზედ ამბობს: „თვალმც დაუდგება, თუ მთაში სიარული არ იცოდა, რაისთვი მიდიოდა?“ დედა კი ხმამოუღებლივ ლოგინს წამოიკიდებს და გაფითრებული, მფეთქავის გულით შვილისკენ გაჰანდება.

„შეიტყობს სოფელიც და მღვეარს მიდის; მათ შორის გაჭირვებაში მყოფის საყორელიც მოსჩანს. მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრინება და იპრანჭება. ქალი ხშირად გაჰხედავს ხოლმე და თვალს ჩაუკრენტს. ბოლოს ყველა მიაღწევს იმ ალაგს, სადაც კაცის გულის შემზარებელის სანახავი იყო. ფრიალო კლდეზედ კაცი თავქვე გადმოკიდებული იყო. გადმოშვერილს ჭაჭზე საბანდი მოსდებოდა

¹ რჩეული თხზ., I, გვ. 405.

² „მოძღვარი“, რჩ. თხზ. I, გვ. 587. „ელგუჯა“, იქვე, გვ. 183, და სხვები.

და ის-ლა იმაგრებდა; წუთით წუთს ყველა მოელოდა, რომ საბანდი გაწყდებოდა და კაცი სულით ხორცამდის დაიკარგებოდა. დედას მდულარება გადმოსდის, მკედარს დამსგავსებია, სული ამოსვლას ლამობს. რბილად უშლის საგებელს და იმედობს, რომ თავის ერთადერთს ნუგეშს ამითი მაინც გადაარჩენს. მოვარდება ყმაწვილი ქალი, რომელიც გაჭირვებაში მყოფს უყვარს, გაუშლის მერდინს და შესძახებს:

— „დიაცო, არ გრცხვენის შიშისა?! გაინძერ, საბანდი გაწყდება და მერდინით დაგიჭერ“. მონადირეს საყვარელი რწმუნებას აძლევს. ენდობა ქალის სიტყვასა, შეინძრევა და გადმოვარდნილი, ტვინგანთხეული, მიწას გაეცხოება. გამოსალმებასთან ერთად დედას სული ამოხდება და ყმაწვილს ქალს კი ქედზედ კოხტა ბიჭთან ხელიხელს გადახვეულს დაინახვენ¹.

ეს ბალადა ამჟამადაც გავრცელებულია საქართველოს მთაში. მისი ყველაზე ვრცელი ხევესურული ვარიანტი სათაურით „ჯარჯო“, ასეთია:

ჯიხვების განავალი კლდე
რო ნახო, გაგიკვირდება,
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
თოლი არ შეკიდება.
ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზე რქით დაეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაეკაცსა
რა კარგი წაეკიდება.
ჯარჯო ჩაჰხედავს ჯიხვებსა,
რა მშვენიერნი წვანანო,
რქა რქაზე გადაუხვევა,
ინგელოზებსა გვანანო
ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
მოგინელებენ ტიალნი,
არ დაიჯერა ჯარჯიმა,
— სხვაე ბევრ მამცდარა ჰკვიანი.
ჩამოუქაღლა ვაეკაცმა
ხირიმი სპილოს ძელიანი,

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 449—455.

წინ ჯიბვთა, უკან ჯარჯიმა
კლდეზე გადიღეს გრიალი.
არხალოს ქალას ჩაცვიდნენ,
არხალოს პერანგიანი,
ჩაბანოს ქალას გავარდა
მოყმე ფეხ წრიაპიანი.
ამაიტანეს მამკვდარი,
ტირის ქალი და ზალია,
შამააწვინეს კარზედა
კლდის დაფლეთილი ტანია,
გადაგლეჯილი თავ-პირი,
ყორნის დათხრილნი თვალნია.
სახსოვრად ჯარჯის საფლავეზე
დააკრნეს ჯიხვის რქანია.
ერთ გვერდზე თოფი სიათა,
მეორე გვერდზე ხმალია,
ზედ დააწერეს წერილი:
ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია¹.

კლდეზე მონადირის ჩამოკიდება საბანდით, ძალღის გაგ-
ზავნა შინ და გაფრთხილება, რომ არ შეატყობინოს დედას
ეს ამბავი, შემონახულია ბალადის მოხევეურ ვარიანტებში. ერთ
ვარიანტში ასეა მოცემული ეს მოტივი:

— ნუ ეტყვი ჯარჯის დედასა,
ჯარჯი წევს პირსისხლიანი.
ქოქობათ კაცი ჰკიღია
დაბმული საბანდითაო,
გაწყდო, თუ სწყდები, საბანდო,
შე შავის ფურბერწისაო;
ახლა შინ წადი, შავფურავ,
შენ შავის პატრონისაო.
ნუ ეტყვი ჩემსა დედასა
ქოქობით გადმოვარდნასა,
თეთრი ლეჩაქი უყორდა,
შავად შალებავს ჩემზეო,
ტირილს დაიწყებს ბეჩავი,
შეატყობინებს თემსაო...²

¹ ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934 წ., გვ. 73.

² მოხევეური ლექსები, გვ. 88.

ცოლის ღალატის მოტივი დაცულია ახალჩაწერილ ვარიანტში:

იმავ დღეს მერდინიანამ
ცხო კაცს გამაჰკრა კბილიო,
არად ჩააგდა ვაჟაკიო,
სულ არ დაიფრთხო ძილიო¹.

ადამიანის გულში ღრმა ჩაწვდომით გადმოგვეცემს მწერალი მეფანდურის მიერ შესრულებული ბალადის დიდ გავლენას მწყემსებსა და განსაკუთრებით ონისეზე:

„ჩაჰკრა უკანასკნელად მეფანდურემ სიმები, ამოიოხრა და დაიძახა: — თქვენი გამარჯვებისა იყოს!

ყველას სული გაეკმინდა, განაბულიყო და მხოლოდ ფანდურის შეწყვეტასთან ერთად თავისუფლად ამოსუნთქვა ძლივს მოახერხეს.

— დედისთანა ტყუილია, ღვთის მადლმა! — დაიძახა ვილამაც, სხვებმაც კვერი დაუკრეს და ლაპარაკი გახურდა.

მხოლოდ ონისე იჯდა ისევ ისე გაუნძრევლად და სახე მწუხარედ შეკმუხნოდა. ეტყობოდა, მის გულში ამ ლექსებს საკმაო ნალღველი მოეგროვებინა და სავაგლახო ღუმილით მოეცვა.

„არგა ხანი იჯდა ისე გაჩუმებული, ხმამაოულებლად. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ონისე არ გაინძრა.

— მამ უღალატა? — ბოლოს მწარის ოხვრით წამოსთქვა და დაუმატა: — იქნება მეცა მღალატობს და სხვა შეუყვარდა? რაისთვის, რად? განა ჩემსავით სიყვარული შეუძლიან ვისმე?! არა, არა, ღვთის მადლმა! — გულის გასაგვირად წარმოსთქვა და აღგზნებულმა ცეცხლმა ორი, მაგრამ მეტად ცხარე ცრემლი თვალთაგან გადმოსწურა.

ონისემ გააპარა ხელი, გაავლო თოფსა, წყნარად წამოდგა და იმ წუთიდან ბინაში აღარ მოსულა.

¹ ხელნაწერი მოგვაწოდა სტალინის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ. IV კ. სტ. ირაკლი ჩქარეულმა. ჩაწერილია ეკონომიური ფაკ. III კ. სტუდენტის ს. ცდოს მკხოვრებ ზ. წიკლაურის მიერ 1948 წ.

ათასში ერთხელ ველად გავარდნილს ნადირსავეით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ველარავინ დაუახლოვდებოდა“¹.

აფორიაქებული ონისე შემდეგ ისევ სიმღერებმა შთააგონეს და მოაძებნინეს საყვარელი. მიჯნურის ზმანებით შეშფოთებულს, ველად გაქრილ ონისეზე სიმღერების გავლენა ასეა გადმოცემული მოთხრობაში:

„რამდენსამე ხანს, მოწყენილი, რაღაცა ფიქრებს: ეძლეოდა და თავისთვის ჩუმად ლაპარაკობდა; ბოლოს წყნარად, სევდიანად შემღერა:

მთაო! გადმიშვი, მალალო,
რას ნისლი მოგიხვევია?
შენს იქით ჩემი საგულო
ცხოს ვისმე ჩაუხვევია!..

წარმოსტევა ეს და უკანასკნელს სიტყვებთან ერთად თვალები ცეცხლად აენტო.

— ცხოს ვისმე?! — ერთბაშად წამოიძახა იმან და წამოვარდა, სახეს ალმური ავარდა, შუბლი. შეაქმეხნა და წუთს წინედ სასიამოვნო, დამშვიდებული სახე გამეხებულს ელვას დაემსგავსა.

— არა, ღვთის მადლმა, მაყვალაუ! თუ მე არა, ცხოსაც ვერ ერგები!.. მე ცხოზედ მეტად მიყვარხარ და საუკუნოდ ჩემი ხარ.

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დაღონებასა!

— სჯობიან, სჯობიან, ღვთის მადლმა! — წამოიძახა ამან და თავქვე დაეშვა“².

სიმღერის დიდი ძალა გვაგრძობინა მწერალმა ონისესა და მაყვალას წისქვილში შეხვედრის სცენაშიც. ონისემ სირ-

¹ ჩრეული თხზულებანი, I, გვ. 450—451.

² იქვე, გვ. 454—455.

ბილით გადაიარა მთა, მიაღწია წისქვილს, სადაც სატრფო
ეგულეობდა. იგი შემკრთალი, აღელვებული, სარკმლიდან
უცქეროდა ტომარაზე მისვენებულ საყვარელს. „გაიარა წუთ-
მაც და ქალმა ნაზის ხმით დაჰმღერა:

მოფრინდი ჩემო მერცხალო,
დაძიქიქიქე ბანზედა,
თითქოს ჰფიცავდი: მიყვარხარ!
მაშ რაღად დახვალ განზედა?

ქალმა ველარ გაათავა ეს სიტყვები, რომ კარებში ბრა-
ხუნი მოისმა“¹.

ალ. ყაზბეგის გმირების განწყობილება ზოგჯერ ხალხუ-
რი ნაწარმოებით არის განსაზღვრული. საინტერესოა ამ მხრივ
ერთი მომენტი „ხევის ბერი გოჩადან“. ეჯიფად არჩეული
ონისე საქორწილო მგზავრობისას თავდავიწყებიდან გამოიყ-
ვანა მაყრის მოულოდნელმა მათრახის გადაკვრამ. გონზე
მოსული ეჯიფის გული „მწარედ გაკენწლა“ მაყრების მიერ
სიმღერით შესრულებულმა ლექსმა:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჰიანურიო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ,
ასიც შინაურიო².

ასეთივე დანიშნულებისაა მეორე საყოფიერო ლექსი
„მოდღარში“. თავდავიწყებული ონისე და მაყვალა მოქეიფე-
თა სიმღერამ გაყარა. მიჯნურები შეაშფოთა ლექსმა:

ვაეკაცსა ცოლის სიავე
შუაგზას მოაგონდება;
წვალის საგონებელში,
გზას იქით გადავარდება³.

ასე მოხდენილად არის დაკავშირებული ხალხური შემოქ-
მედების ნიმუშები ყაზბეგის თხზულებათა ცალკეულ ეპიზო-
დებთან. სათუთი გემოვნებით შერჩეული ზეპირსიტყვიერა

¹ რჩეული, თხზულებანი, I, გვ. 467.

² იქვე, გვ. 322.

³ იქვე გვ. 429.

ძეგლების საშუალებით მწერალმა მოგვცა ქართველ მთიელ-
თა წარსული ცხოვრების ნათელი სურათები.

• •

პროგრესული იდეების დანერგვის საშუალებად ალ. ყაზ-
ბეგმა მოხდენილად გამოიყენა ქართული ხალხური შემოქმე-
დების მდიდარი ტრადიცია, მისი მრავალფეროვანი სოცი-
ალური ფუნქცია. მის ნაწერებში განსაკუთრებულ ყურად-
ღებას იპყრობს ამ მხრივ საგმირო ხასიათის ნაწარმოებები:
და მათ: ტრადიცია. ალ. ყაზბეგის შემოქმედებიდან ვეცნო-
ბით საგმირო ნაწარმოებთა სალაშქრო-პატრიოტულ ფუნქციას.
საგმირო სიმღერის ასეთი ფუნქციის მაჩვენებელია „ელგუჯას“
ერთი ეპიზოდი. ეროვნული თავისუფლების დასაცავად ამ-
დგარმა მთიულებმა კრება გამართეს აზღია ჯალაბაურის კა-
ლოზე. კრებაზე საბრძოლო დროშების დამწყალობნებას წინ
უძღვის შთამაგონებელი საგმირო სიმღერა. იშვიათი ოსტატო-
ბითაა ნაჩვენები საგმირო სიმღერათა სალაშქრო ფუნქცია. ნა-
კარნახევი მთიელთა ამდღებულ პატრიოტული გრძნობით:
„...მოისმა სიმღერის ხმა და გამოჩნდნენ დეკანოზები დროშებით,
რომელთაც სამასამდინ შეიარაღებული, ქუდმოხდილი კაცი
სიმღერით მოსდევდნენ. ეს ხმა იყო რაღაც დიდებული, ვაჟ-
კაცური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც მომღერლებს შიგ
გულის საძირკველიდგან სწყდებოდა და მაღალის ბანით მედ-
გრად გადაქცეული ჰაერში გრგვინვასავით გაივლიდა. კალო-
ზედ მყოფი ხალხი წამოცვივდა ფეხზედ, მოიხადა ქუდები და
პირჯვრისწერით წინ მიეგება. ყველანი მოწიწებით მიდიოდ-
ნენ, ყველანი გულმხურვალედ უყრიდნენ მუხლს იმ წმინდა
დროშებსა, რომელნიც არაერთხელ წინ გასძლოოდნენ ბრძო-
ლის ველზედ და არაერთხელ იქიდგან გამარჯვებულნი და სა-
ხელოვანი დაებრუნებინათ“¹.

სიმღერის სალაშქრო ფუნქცია არის ნაჩვენები „მამის
შკელელშიც“². ამავე ნაწარმოებში მოცემულია მეტად საინ-
ტერესო ცნობა საგმირო-სალაშქრო სიმღერებსა და მათ შემს-

¹ ჩხელი თხზულებანი, I, გვ. 128.

² ჩხელი თხზულებანი, II, გვ. 198.

რულებლებზე. საბრძოლო სიმღერებს მეომრებს გარდა ასრულებდნენ ქალებიც. მათ მიერ შესრულებული სიმღერები დიდ შთაგონებას ახდენდა ვაჟაკებზე. ვაჟა-ფშაველამ თავის საინტერესო წერილში „ფშაველი დედაკაცის მღვთმარობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით“ თემური წყობის ნიადაგზე ახსნა როგორც საკუთრივ საგმირო ლექსების, ისე სატრფიალო ლექსების საგმირო მოტივების შექმნა. მან ხაზგასმით აღნიშნა ქალების როლი ასეთი ლექსების შექმნაში. ვაჟას ცნობით, ვაჟაკების „გამამხნეველები ბრძოლაში დედაკაცი იყო. დიაცის ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია. ვაჟაკი მუდამ ცდილობდა ქალების საქებარი ყოფილიყო, იმათი დიფირამბების ღირსი“¹.

პროზაული ჟანრის საგმირო და საისტორიო ნაწარმოებები ძირითადად მამაკაცების რეპერტუარია და, უთუოდ, მათი შემოქმედებაც. საქართველოს მთაში ბოლო დრომდე იყო ჩვეულება ვაჟების გაწვრთნისა გადმოცემების, თქმულებებისა და ლეგენდების მოყოლაში. ხეცსურები „ანდრეზებს“ (ასე უწოდებენ ისინი პროზაულ საისტორიო ნაწარმოებებს) ვაჟებს პატარობიდანვე ასწავლიდნენ. ასე ყოფილა მოხვევთა შორისაც. „ციკოში“ დაცული ცნობის მიხედვით გუგუას „უქმი დღეები მამა-ბიძანი უამბობდნენ მთის ხალხის წარსულს ცხოვრებას“². ამგვარად, თუ პროზაული ჟანრის საგმირო და საისტორიო ნაწარმოებთა შემოქმედნი ძირითადად მამაკაცები იყვნენ, ამას ვერ ვიტყვით საგმირო ლექსებისა და სიმღერების შესახებ. ასეთ ლექსებს ჰქმნიდნენ და ასრულებდნენ ქალებიც.

ვაჟა-ფშაველას მიერ თეორიულად მოცემული დებულება შესანიშნავად არის დადასტურებული ალ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედებით. საყურადღებოა ამ მხრივ „მამის მკვლელიდან“ მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ძმადნაფიცთა (იანგოს, კობას, ეფხიას და სხვების) ძაუგისაკენ გამგზავრების აწერა. მებრძოლ გმირებს „თვალუყუნა ბელჰანამ და იქისმა დედამ დაუმზადეს საგზალი, მოხუცმა კაცებმა დაულოცეს

¹ „ივერია“, 1889, № 201.

² ჩრეული თხზულებანი, I, გვ. 226.

გზა, უსურვეს ყოველი კეთილი და ყოველგან გამარჯვება, ყმაწვილმა ქალებმა უმღერეს თავბრუდამხვევი საომარი სიმღერები და გაისტუმრეს“¹.

ქალთა შემოქმედების შთამაგონებელი როლია აღნიშნული მოხუცის მიმართვაში: „— წამოდით, გამოიჩინეთ ვაჟაკობა... მაგისტვის თქვენ მოგელისთ ძვირფასი ნადავლი, ლაძაზი ქალების ქება და ალერსი! თქვენი სახელი კიდით-კიდემდე გაითქმის და თვალმოუუყუნე ქალები თქვენს ქებას წარმოსთქვამენ ნაზის ტუჩებით“².

საგმირო სიმღერების ხასიათის, მათი სალაშქრო ფუნქციონისა და ქალების მიერ შესრულების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ამავე ნაწარმოებიდან მთიელთა ხატობის აწერა. ხატობა ერთგვარი სამზადისი იყო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხატობაში შესრულებული სიმღერა დიდ შთაგონებას ახდენდა მებრძოლ მთიელებზე. მწერალმა ნათლად გვაჩვენა საკულტო რიტუალების მკიდრო კავშირი სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობასთან: „ხატობა და დროს გატარება მთაში არის საომარი ვარჯიშობა და მომზადება ბრძოლისათვის. აქ ეჩვევიან სროლას, სირბილს, ცხენით და იარაღით, აქა სცდიან ერთმანეთის ვაჟაკობას და იარაღის ხმარებას, ამის შემდეგ გადიან მტერზედ“. ხატობაში „ყმაწვილი ქალები, მორთულნი სხვადასხვა ფერის მხიარულის ტანისამოსით, გავიდნენ წინ და მაღალის ხმით დაიწყეს გმირული საომარი სიმღერა. ყმაწვილი კაცები, რომელნიც გვერდს მისდევდნენ ყიჟინით, ჭყვილით და თოფისა და დამბაჩის სროლით, ინთებოდნენ თვალუყუნა მომღერალთ სიტყვებით და ესენი კი აქეზებდნენ ამათ მტრებზედ; ცამდინ აპყავდათ გულადნი, თავდადებულნი ვაჟაკნი, მაშინ, როდესაც მასხარად ივდებდნენ მშიშარებს და ლაჩრებს. ძნელად დარჩებოდა ისეთი ყმაწვილი ბიჭი, თუ გინდ ის ბუნებით მშიშარაც ყოფილიყო, რომ არ აენტო ბრძოლის სურვილი მასში ამ ქალების სიტყვებს, წამლის სუნს და თოფის გრი-

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 226.

² რჩეული თხზულებანი, II, გვ. 212.

აღს, რომელსაც ბანსავით ყოყინა და ქყივილი უერთდებოდა“. იაგო, კობა და ეფხია „ყურს უგდებდნენ გულშემტაცებელ ხმას. ვერ მოასწრებდა ერთი ჯგუფი სიმღერის გათავებას, რა წამს მეორე ჯგუფი დაიწყებდა, მემრე მოჰყვებოდა მესამე, მეოთხე“¹.

სიმღერის სალაშქრო ფუნქციასთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ერთი ეპიზოდი „ხევისბერი გოჩადან“. ამ ნაწარმოებში სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად შესანიშნავად არის გამოყენებული სახალხო რიტუალი და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედება. აქ ნათლად ჩანს საგმირო შინაარსის ხალხური ტექსტის საწყისი. ასეთი ტექსტები მშრომელთა კლასობრივ თვითშეგნების ამსახველია. მოთხრობაში მოცემულია შესანიშნავი სურათი მოხვევთა ერთსულოვნად ამხედრებისა სისხლისმსმელი ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ. მოხვევები ემზადებიან შტრის დასახვედრად. ხევის ერთ მთავარ საბჭოში შეიკრიბა თემობა. ასრულებენ გარკვეულ რიტუალს, რასაც წინ უძღვის სავაჟეკაცო სიმღერა „გერგეტულა“. „ყოველს სოფელთან ხალხის შუა მოჩანდა სასოფლო დროშა, რომელიც ნიავისაგან წყნარად ფრიალებდა. ამ ხანში წმიდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მიმცემმა ხალხმა ქულები მოიხადა. მედროშენი დროშებით გაუძღვენენ წინა, უკან წამოჰყვა მოწიწებით ხალხი, რომელიც თავის პატივის და სახელის ნიშანს, სახალხო წმიდანს, ცეცხლშიაც წარბ-შეუხრელად გადაჰყვებოდა“².

„გერგეტულას“ სიმღერა, რაც აუცილებელი ელემენტი იყო სახალხო რიტუალისა, ბოლო დრომდე გავრცელებული იყო ხევში. ტექსტი ამ სიმღერისა საგმირო ხასიათისაა.

აღ. ყაზბეგმა გვიჩვენა, რომ ასეთი სიმღერები შთაგონებას ახდენდნენ თავისუფლების შემბლალავთა წინააღმდეგ ამხედრებულ მთიელებზე.

¹ რჩეული თხზულებანი, II, გვ. 188—189.

² რჩეული თხზულებანი, I, გვ. 341.

აღ. ყაზბეგის ნაწერებიდან ჩანს, რომ მთაში გავრცელებული სახალხო რიტუალის დანიშნულება ხალხის თავისუფლების დაცვა იყო. არა მარტო სიმღერები და ლექსები ახდენდნენ შთაგონებას მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხზე, არამედ დამწყალობებაც კი. დამწყალობების საგანი ხდებოდა ის, ვინც თავისი შრომითა და ვაჟკაცობით ხალხის მსახური იყო. „ხევისბერ გოჩაში“ ასეა დახასიათებული ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ ამხედრებულ მოხევეთა წინაშე ხევისბერის მიერ შესრულებული დამწყალობება: „გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა, კიდევ გააწკრიალა ზარები და პირჯვრის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯად ხალხის დალოცვას. საერთოდ ხალხის დალოცვის შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურებინა თავის ხალხის კეთილდღეობისათვის. დაამწყალობა ისინი, ვინც მტრის განსადევნად მდევარში პირველი გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ“...¹

ხევისბერის მიერ ასეთი დამწყალობება სალაშქრო ფუნქციის მატარებელია. საბრძოლო სიმღერებთან ერთად ისინიც შთაგონებას ახდენდნენ თავისუფლების დასაცავად ამდგარ მთიელებზე. შეიძლება ითქვას, მათ ისეთივე დანიშნულება ჰქონდათ, როგორც ტრადიციულ საგმირო ნაწარმოებებს გამოჩენილ ისტორიულ პირებზე. ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფის, ერეკლე მეორისა და სხვათა შესახებ შექმნილი ლექსებით ამხნევებდნენ ომში მიმავალ ქართველებს.

სიმღერები და ლექსები თან ახლავს ბრძოლის სამზადისსა და გამარჯვების დასასრულსაც. ორივე შემთხვევაში ისინი ხალხის პატრიოტული გრძნობებისა და კლასობრივი თვითშეგნების გამოვლინებას წარმოადგენენ. ბრძოლის დამთავრებისას სიმღერა გამარჯვების ზეიმიია. აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში არა ერთხელ არის აღნიშნული სიმღერის ასეთი დანიშნულება. „მამის მკვლელის“ მიხედვით გამარჯვებულ კავკა-

¹ რჩეულა თხზულებანი, I, გვ. 343.

სიელთა განუწყვეტელი სიმღერა ესმოდა იჩქერის ტყეში და-
მარცხებულ მეფის ჯარს¹. „კონსტანტინე ბატონიშვილის“
მიხედვით სიმღერით იზეიმეს ქართველებმა სამშობლოს მო-
ლაღატის, მამისა და ძმის მკვლელის კონსტანტინეს დამარ-
ცება². სიმღერის ასეთი ფუნქციის თვალსაზრისით საინტერე-
სოა აგრეთვე ეპიზოდი „ელეონორადან“. გამარჯვებულმა
ქართველებმა სიმღერით შეიყვანეს ციხე-დარბაზში კრეჭია-
შვილი, რომელმაც სძლია ლეკთა განთქმული ბელადი ასლან
გირეი³.

გამარჯვების საზეიმო სიმღერებსა და ლექსებსაც მამაკა-
ცებს გარდა ქალებიც ქმნიდნენ და ასრულებდნენ. „მამის
მკვლელის“ მიხედვით იაგო და მისი ძმადნაფიცები მოწინააღმ-
დეგეთა ოფიცრების დატყვევების გამო ახალგაზრდა ქალების
სიმღერებისა და ქების საგნები გახდნენ⁴. საგმირო საქმეების
გამო უმღეროდნენ ახალგაზრდა ქალები გმირ თათარხანს
მოთხრობა „გალაშკას“ მიხედვით⁵.

აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში მდიდარი მასალა მოიპოვება
საგმირო-საისტორიო ლექსებისა და სიმღერების გენეზი-
სისა და პატრიოტული ფუნქციის გასათვალისწინებლად.
მწერლის მიერ არა ერთხელ არის აღნიშნული ის გარემოება,
რომ საგმირო ლექსის საგნად ხალხისთვის თავდადებული,
ღირსეული პირი ხდება. საინტერესოა ამ ზნობივ „ხვეისბერ
გოჩაში“ ის ადგილი, სადაც გულისტკივილით არის აღნიშნუ-
ლი ონისეს სანგრის მებრძოლ მოხვევეთა დაღუპვა მტრის მოუ-
ლოდნელი თავდასხმით: „...ვინ იცის რამდენი სალექსე ქება-
შესასხმელი ბიჭი, მეზობელთ იმედი, ამხანაგებისთვის თავმო-
საწონი, უცდელად გაფუჭებულიყო“⁶.

საგმირო-საისტორიო ლექსების გენეზისის გასათვალის-
წინებლად მნიშვნელოვანია „ელისოდან“ მოხუცი ანზორის

¹ რჩეული თხზულებანი, II, გვ. 425.

² თხზ. სრ. კრებ., გვ. 984—985.

³ რჩეული თხზ. II, გვ. 425.

⁴ იქვე, გვ. 209.

⁵ თხზ. სრ. კრებ. I, გვ. 104.

⁶ რჩეული თხზ., I, გვ. 373—374.

მოგონება წარსულ ყმაწვილკაცობისა. მოხუცი იგონებს მტერთან ვაჟკაცურად შებნას, რისთვისაც მშობლიურ კუთხეში „ლექსს ლექსზედ გამოსთქვამდნენ, ქებას ქებაზე შეასხამდნენ იმას“¹.

მისწრაფებებს ეროვნული თავისუფლებისაკენ, ადამიანური უფლებებისაკენ ქართველი ხალხი ხშირად გამოხატავდა ლექსებითა და სიმღერებით. ამ ლექსებისა და სიმღერების საგნები იყვნენ როგორც შორს სახელგანთქმული დიდი ეროვნული გმირები, ისე მხოლოდ თავის თემში ცნობილი პირები. საგულისხმოა ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას „თიანური ფელეტონი“. მასში გადმოცემულია თვითმპყრობელური რეჟიმით შევიწროვებული უკმაყოფილო ხევსური ჩაღხიას სტუმრობა ვაჟასთან. ხევსურს ვაჟასთვის გაუცვნია თავისი გულისტკივილი და ბოლოს სევდის გასაქარვებლად ფანდურზე დაუძღვრებია ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ლექსი. ვაჟას ცნობით სიმღერის დროს ხევსურს „სრულიად გადაავიწყდა გულის დარდები, რაც აქამდე აწუხებდა“².

აღ. ყაზბეგმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოსახატავად მოხდენილად გამოიყენა ამგვარი საგმირო-საისტორიო ლექსების საწყისები და პატრიოტული ფუნქცია. ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ ერთი ადგილი „მამის მკვლელიდან“. მეფის მოხელეთაგან დევნილი, მშობლიური კუთხიდან გადახვეწილი მძიმედ დაჭრილი იაგო და მისი ძმადნაფიცი კობა საღამოობით ხშირად იგონებდნენ საკუთარ კერას. „ამგვარი ღამეები გათავდებოდა გულის ამღუღებელის ფანდურის ხმით, რომელსაც ისე მშვენივრად უკრავდა კობა და გმირის ლექსს ნახევარხმად დასძახოდა“³.

აღ. ყაზბეგის შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ საგმირო ლექსი თუ ამბავი ქართველი ხალხის იმედის, ნუგეშისა და მოლოდინის გამომხატველია; საგმირო ნაწარმოები ხალხის

¹ რჩული თხზ., I, გვ. 273.

² „ივერია“, 1901 წ., № 262.

³ რჩული თხზულებანი, II, გვ. 163.

ლხინისა და ჭირის აუცილებელი ელემენტია. საგმირო ნაწარმოებები შედის როგორც საქორწილო, ისე სამგლოვიარო ცერემონიალში. საქორწილო „ჯვარული“ საგმირო ხასიათის გამო დიდ მსთაგონებას ახდენდა თავისუფლებისმოყვარე მთიელებზე. ეს ტრადიციული სიმღერა „ხევისბერ გოჩაში“ აბაშასა და გუგუას საქორწილო ცერემონიალის აწერასთან დაკავშირებით ასეა დახასიათებული: „გაისმა წვრილი, წვრილა ხაა „ჯვარულისა“. მას მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედიდურს, ძლიერის და ამ ერთადერთის სავეყაყო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს, ძლიერებით ძვალსა და რბილს აუთრთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!.. ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში“¹.

აქვე ნაწარმოებიდან ჩანს, რომ საქორწილო ცერემონიალთან დაკავშირებული არა მხოლოდ გუნდურად ძესრულებული „ჯვარულია“ საგმირო ხასიათისა, არამედ ფანდურის აკომპანიმენტზე ინდივიდუალურად შესრულებული სიმღერებიც. საინტერესოა საქორწილო ლხინის აწერის შემდეგი ადგილი: „ხანგამოშვებით რომელიმე მოხუცი გადაოიღებდა ფანდურს და თითების ჩაკვრით სევდიანს სიმებს ააქლერებდა და ზედვე სევდიანად, მაგრამ საგრძნობლად დასძახებდა რომელსამე გმირის ლექსად მოთხრობილს მოქმედებას“².

პროგრესული იდეების დანერგვის საშუალებად აღ. ყაზბეგმა ოსტატურად გამოიყენა სამგლოვიარო პოეზიაც. საქართველოს ზოგ კუთხეში მოთქმას ბოლო დრომდე პროფესიული „ხმით მატირალები“ ასრულებდნენ. საგმირო ამბების პატრიოტული ფუნქციის თვალსაზრისით საგულისხმოა მოთქმა, შესრულებული ახალგაზრდა ვაჟაკის ცხედართან. „ხმით მატირალი“ ქალი გარკვეული რიტუალით ასრულებს მოთ-

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 308 — 309.

² იქვე, გვ. 328.

ქმას. მოსთქვამს გარდაცვლილის საგმირო საქმეებს და ადარებს მას სხვა გარდაცვლილებს, რომელთაც სიცოცხლეში თავი გამოიჩინეს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით. მოთქმაში ხაზგასმულია კარგი ადამიანური თვისებები — სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა, კეთილშობილება, გამრჯელობა. ასეთი ხასიათის მოთქმის ტრადიცია ბოლო დრომდე ცნობილი აღ. ყაზბეგის მშობლიურ ხევში. სოფ. ხურთისში ცნობილი იყო 80 წლის თამიკო წიკლაური (გარდაიცვალა 1953 წ.), რომელიც სოფლიდან სოფელში დაყავდათ, როგორც საუკეთესო „ხმით მატირალი“. ვაჟკაცის ცხედართან შესრულებული ზარით ტირილის, კერძოდ, „ხმით მატირალის“ საგმირო მოთქმის დიდი შთამაგონებელი როლი აღნიშნულია „ელგუჯაში“ სვიმონ ჩოფიკაშვილის საქგლოვიარო ცერემონიალის შესანიშნავ აწერაში:

„...რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედრის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დროგამოშვებით, მისცემდნენ ბანსა და მოჰყვებოდნენ შემაწუხებელის ხმით, ზარით ტირილსა.

„ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი საქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ეხლა საქვეყნოდ მოიხსენებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა.

„მიცვალებულის სახელთან ერთად იმ დაკლებულთ სახელებსაც არ ივიწყებდნენ, რომელთაც ხალხისთვის ოდესმე შესამჩნევი სამსახური გაეწიათ და ვაჟკაცობის სახელი დაემსახურათ. ყველას, ვინც კი იყო, და მომთქმელის სიტყვები სწვდებოდა, ამგვარი გამოსაღმება უმაღლეს ჯილდოდ მიიჩნდა და მოძმეთაგან ამ პატივით მოხსენებას ნატრობდა.

„როდესაც მოტირალი ლექსს გაათავებდა, წყნარად მივიდოდა მიცვალებულთან, თოფს ისევ გულზე დაადებდა და მოწიწებით წარმოსთქვამდა: „შენ ცხოვნება და დამრჩენადღეგრძელობა“. ხალხი მიყუჩდებოდა და სანამ ახალი მომთქმელი წამოდგებოდა, და ხელახლა დაიძახებდა: „ახა ვაითა,

ავი მე“, ყველანი ერთმანეთში კითხულობდნენ: ვინ იყო მო-
ხსენებული, ან რა სამსახური გაეწია? ამგვარად, მთელი ხალ-
ხი ტყობილობდა თავიანთ გმირების სახელებს, და მათი მოქ-
მელების ამბავი საშვილიშვილოდ გადადიოდა“¹.

აღ. ყაზბეგის მიერ დახასიათებული საგმირო შინაარსის
ზარით ტირალის ნათელი ილუსტრაციაა 1948 წელს ჩაწერი-
ლი მოთქმა, „ხმით მატირალის“ მიერ შესრულებული ახალ-
გაზრდა ვაჟის ცხედართან:

ზეითე წახოლ. ქორი გინდა, ქოითე წახოლ -- შავარდენი.

თეთრისა ქორისა ნაშობო, შავარდნისაგა ნაქნარო,
თავლა² გინდა შაკმაზული.

აც-ლე თავლაჲ, პატრონი ომჩი ემზადება.

თავლა³ გინდა მოქედელი ნალრუსმითა,

ოთხსავ ფეხზე მოქედელი ნალრუსმითა,

ოთხსავ ფეხზე მოქედელი;

თავლას უნაგირი უნდა ოქრო-ვერცხლით ჩაარტული;

სამკლავ გინდა საფუქარა,

ჯაქვი პერანგად დაგმშვენდება.

არაგვს სიმაგრე გასტეხილო, ზარბაზნები დამტკეველო

დიდის არგანის ბატონო,

ჯარჩი ლეკების მკოცაჲო,

შინ სახელის მიმტანო.

ეხლა მიბრძანდი ყანობსა,

კურდღელს³ აქებენ ჭიალაშვილსა,

შენცო სადარო იმისაო;

ეხლა მიბრძანდი გორისციხესა.

ბასა და და ლილის აქებენ იმ ჩვენის ხევს მკურნალებსაო,

შენცო სადარო იმისაო,

ეხლა მიბრძანდი სივანჩი,

სურხანს აქებენ ყარაჯისშვილსაო,

წითლის კარავის დამდგმელიაო,

შენცო სადარო იმისაო;

ეხლა მიბრძანდი სტეფანწმინდასა,

ყაზბეგიანთ მიხეილს აქებენ

იმ ჩვენის ხევის ქვრივ-ობოლთ გამკითხავსაო.

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 191 — 192.

² ცხენის სახელია.

³ კაცის სახელია.

შენცო სადარო იმისაო.
ეხლა მიბრძანდი ახალციხესა,
ფადიაურს აქებენ მთაჩი ლეკების მკოცალიაო,
შენცო სადარო იმისაო... და სხვ¹.

ქალების მიერ შესრულებული ზარით ტირილის საგმირო ხასიათი და მისი შთამაგონებელი როლი შესანიშნავად გამოიყენა ყაზბეგმა „მამის მკვლელშიც“ იაგოს გმირული სულისკვეთების გამოსახატავად. ანან-ურის ციხეში უმართებულოდ ჩამწყვდელი მოხევე ნატრობს სიკვდილს, მაგრამ მას სურს „სიკვდილი ვაჟკაცურად, სახელით, ისეთი სახელით, რომ მთის ყმაწვილი ქალების ზარით ტირილში სამაგალითოდ მოხსენებულიყო იმის სახელი და სივაჟკაცე“².

მოთქმა ფანდურის აკომპანიმენტზე სრულდებოდა მამაკაცთა მიერაც. ასეთ ცნობას შეიცავს თამარ მეფის გლოვის ამსახველი ლექსი:

მოსთქმიან ხმასა მთიულნი,
ფანდურით საწყლად ტირიან³.

სამგლოვიარო პოეზიის ასეთი ტრადიციის მაჩვენებელია „ელგუჯას“ ერთი უძლიერესი ეპიზოდი. მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს სვიმონ ჩოფიკაშვილის ცხედართან ელგუჯას გოდება, გოდება უსამართლო წყობილებით აფორიაქებულ ვაჟკაცისა.

ერთბაშად მოისმა ფანდურის მკენესავი, მგლოვიარე ხმა და ზედ ქვითინით დაძახილი. ძლიერი და მწვავე იყო ეს ხმა, რომელმაც ხალხი შეატოკა, აამლელვარა და მოძრაობაში მოიყვანა.

¹ მოთქმა შესრულებულია თამიკო წიკლაურის მიერ. ჩაწერა სტალინის სახელობის თ. ს. უ. ფილოლოგიის ფაკ. IV კ. სტუდენტმა ირაკლი ჩქარულმა 5. VII. 1948 წ. შდრ. ს. მაკალათია, ხევი, გვ. 175 — 176.

² რჩეული თხზულებანი, II, გვ. 96.

³ „კვალი“, 1895, № 22.

„ — ელგუჯაი მოდის, ელგუჯაი! — ნიავსავით წყნარად მოისმა სულშეტაცებულ და ხმაგაკმენდილთა შორის.

„ხალხი ორად გაიყო და მათ შუა გამოჩნდა ლომებრივ ვაჟკაცი, რომელსაც თმა გასწეწოდა, საკინძი ჩამოსწყვეტოდა და გული გაღებოდა; შესაზარი იყო მისი მხნე და გმირული, კმუნვით მოცული და მღუღარე ცრემლებით დალორთხილი სახე.

„ელგუჯას ხელში ეპყრა ფანდური და მთრთოლვარე თითებით სიმებს დასთამაშებდა. ის გამოვიდა შუა ადგილას და შესდგა; რამდენჯერაჲ გადაავლო იქ მყოფს ხალხს თვალი და ყველამ იგრძნო ნამდვილად შეწუხებულის კაცის გული, ყველა დაემორჩილა, გაჩუმდა. იმ წამში ბუზი რომ აფრენილიყო, იმის მოძრაობის ხმასაც კი გაიგონებდით.

„მოხევემ ჩაჰკრა და ჩაჰკრა ფანდურის ძალებს, დაათამაშა თითები და ჰაერი მკენესავის ხმით შეირყა. ბოლოს გაივლო ტუჩებს კბილები და ისე ძალზე მოუჭირა, თითქოს მოკენეტას უპირებსო, მოჰყვა უსიტყვოდ ზუზუნს და ამ ხმაზე ყველას გული ამოუჯდა, ცახცახი დააწყებინა. თითქოს თვით ჰაერსაც კი ეგრძნო ხევის მწუხარება და მისი გულის თრთოლას აჰყოლოდა.

„მოხევემ ფანდურს კიდევ ჩაჰკრა, ჩაჰკრა და ერთბაშად დაიძახა:

შენ რომ გვშორდები, გმირთ-გმირო,
რალას გვიპირებ ჩვენაო?
გიყურებთ, გული ღუღღების,
ძლიეს-ლა გვიბრუნავს ენაო
წავიდა ჩვენი კაცობა,
ვეღარ ვიხილეთ ლხენაო,
ბლავის ცხორი და ბატკანი,
სადღაა იმათ სმენაო?!

„როდესაც ეს სიტყვები გაათავა, ფანდური უკუაგდო, მიცვალებულს დააცქერდა, დააცქერდა და ჩაწითლებულის თვალებიდან ცრემლები ხელახლად, ღაჰა-ღუპით გადმოსცვივდა. კიდევ რამდენიმე გულის ჩამთუთქავი სიტყვა უთხრა და ხელის ჩაქნევით წარმოსთქვა:

— ფუი! ცრუ და მუხთალო სოფელო“¹.

ეს ამონაწერიც ნათელი მაგალითია იმისა, რომ ალ. ყაზბეგი მშობლიური ხალხური შემოქმედების თავის ღრმა ცოდნას ვირტუოზულად იყენებდა მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის. ამავე ნაწარმოებში სხვა ადგილასაც საშობლოს სიყვარულის დიად² გრძნობა მოხდენილადაა ასახული საგმირო ხასიათის სამგლოვიარო სიტყვიერი შემოქმედებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ელგუჯას ძმადნაფიცების — მარტიასა და გიორგის მთიულების მიერ დასაფლავების აწერა. ადამიანური უფლებების დასაცავად ამხედრებული, ცარიზმის ბნელ ძალასთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული, უპატრონოდ დაყრილი მოხვევები მთიულებმა სამარეში ჩაასვენეს. მთიულთა შორის უფროსმა ბერდიამ ვაჟკაცების საფლავზე გამოსასალმებელი საგმირო-პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა.

„ის აქებდა მიცვალებულთა გულადობას და ვაჟკაცურად სიკვდილს; პირდებოდა, რომ ამგვარად სიკვდილისათვის გახარებულნი დაუხვდებოდნენ საიქიოს იმათი წინაპარნი და სიამოვნებით მიიღებდნენ მათ უკუნითი უკუნისამდე დაუვიწყარს მოქმედებას. ბოლო სიტყვები შემდეგით გაათავა:

„ — ლომისის მადლმა, თითონ თამარ-პირიმზე მიგიძღვებათ მეფესთან!.. თავად უამბობს თქვენს ვაჟკაცობას და თავის გვერდს შკამს დაგიდგამთ. ვაი ამითი, რომ აღრე დაიხოცენით და თქვენი მარჯვენა ვეღარ გააცივებს მტრის გულს!.. გამარხავთ იმისთვის, რომ ნადირს არ გაეფუჭებინა თქვენი პირისახე, მაგრამ, ღვთის მადლმა, უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსა — თქვენისთანა ვაჟკაცებს აბა ყორნის მეტი რაი მიუდგებოდა? თქვენ ცხონება, დამრჩოთ დანახვა და გაგონება! სისხლს სისხლი გასწმენდს, ვაჟკაცს — გულადობა, მტრისაგან უშიშრობა! სცხონდით, სცხონდით, სცხონდით!“².

¹ რჩეული თხზულებანი, I. გვ. 192 — 193.

² რჩეული თხზულებანი, I, გვ. 58. ბერდიას სიტყვასთან დაკავშირებით ალ. ყაზბეგი იქვე შენიშნავს: „მთის ხალხის რწმუნებით გულადოდ მოკლულ ვაჟკაცის თვალს ყორნის მეტი ვერა შეეხება-რა“.

საგმირო ლექსებისა და სიმღერების დანიშნულებაა გათვალისწინებული „მამის მკვლელის“ დასაწყისში. თვითმპყრობელობის უხეშმა ძალამ ვაეკაცს ოჯახი გაუნადგურა, სიცოცხლე მოუწაძლა, თავზე ხელი ააღებინა და მთხოვრად აქცია. შვილის სანახავად მშობლიურ კერასთან ჩუმად მოსულმა გლახამ დაღონებული, შეწუხებული ხმით ფანდურზე დასძახა სიმღერები, რომელიც ქართველმა ხალხმა ეპიკურ გმირს როსტომს ათქმევინა:

როსტომ თქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა;
ვაეკაცს რომ გაუჭირდების,
მაშინის უნდა ცდილობა — და სხვ.¹

ალ. ყაზბეგის ნაწერებში მდიდარი ცნობებია დაცული სხვა ხასიათის სიმღერებისა და ლექსების ტრადიციანად. მისი მოთხრობების მიხედვით ლექსები და სიმღერები დაკავშირებულია მშრომელი ხალხის საქმიანობასთან, — მათ ღვინა და მწუხარებასთან. მწყემსები სიმღერით ეგებებიან განთიადს²; ლექსები და შაირები მათი სულიერი საზრდოა³; პოეზიას მათ შორის ხშირად იმპროვიზაციის ხასიათი აქვს. ლექსებისა და შაირების ტრადიცია მწყემსთა შორის შესანიშნავადაა მოცემული „მოძღვარში“:

„საქონელი, რომელიც მწყემსებს მთაში მიჰყვანდათ, უცხოდ შეფენილიყო ზურმუხტოვანს ფერდობზედ და მზის შუქზედ თეთრად ბიბინებდა. ცხვარი მიეზიდა ნოყიერს, სურნელოვან ბალახს და გაწამებულებო. აქა-იქ ფერდობის თავზედ მოსჩანდნენ ნაბადწამოსხმული და ქუდგვერდზედ მოგდებული მოდარაჯე მწყემსნი, რომელნიც ხანგამოშევებით ქვას დასწვდებოდნენ და ეშმაკად გადაქცეულს თხას, მუდამ კლდეებისაკენ მიმბრძოლავს, მოსაბრუნებლად ესროდნენ, დასკყივლებდნენ და ჭყვივით შემდეგ მალლად, ზარსავით უზადო წკრიალის ხმით შემღერდნენ:

¹ რჩეული თხზულებანი, II, გვ. 7 — 8.

² „მოძღვარი“, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 395.

³ „ნამწყესარის მოგონებანი“, რჩეული თხზულებანი, II, გვ. 462.

მარტო ვარ, მარტო ვიმღერო,
არავინა მყავს მობანე,
მაისის წვიმავ, წამოდი —
გული სევდისგან გაბანე,
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკრევიზე,
სწორის არ გამტანს, უფალო,
ცხვირი საღმ წააკრევიზე.

„მას ხმას მისცემდა მეორე, მეორეს მესამე და ერთმანეთს შელალებულნი, შაირით ბაასს გამართავდნენ, ლექსთა გამოთქმით გაჯიბრებულნი აღარ ისვენებდნენ“¹.

მწერალს ხაზგასმული აქვს ლექსებისა და სიმღერების ძლიერი ტრადიცია ახალგაზრდა ქალებშიც. ისინი სიმღერით გამოხატავენ სიცოცხლით აღტაცებას. „მოდღვარის“ მიხედვით წყალზე წასული ქალიშვილები ახლოს მყოფი მწყემსების ეშხით მხიარულად გაჰკიოდნენ: „სიცოცხლეა გაზაფხული“². ხილის საკრეფად წასული ქალები სიმღერით ეფინებიან მთის კალთებს³. ლექსებითა და შაირებით შეჯიბრება აუცილებელია ხატობა-დღეობებში⁴.

მწერალს უყურადღებოდ არ აქვს დატოვებული სატრფიალო ლექსების გენეზისიც, ლამაზ ციკოს ლექსებით ამკობდნენ ხევის ყმაწვილკაცები⁵.

მთის მშრომელთა შორის პოეზიის ძლიერი ტრადიცია არის აღნიშნული „მოდღვარში“ ბურსაჭირის ტაფობზე სამი თემის ყრილობის აღწერაშიც. ყრილობის მონაწილე მოხუცები ლექსებით ესაუბრებიან ერთიმეორეს⁶. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ციციას მამის ქორლოყოს სიმღერა ფანდურზე.

¹ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 521.

² იქვე, გვ. 395.

³ იქვე, გვ. 395; „ელგუჯა“, იქვე, 113.

⁴ „მოდღვარი“, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 578; „მამის მკვლელი“ რჩ. თხზ., II, 191; „ციცკა“, იქვე, 355.

⁵ „ციკო“, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 231.

⁶ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 586.

ოჯახური იდილიის დროს მოხუცი თანდურზე დამღერის „ხარისა და კაცის“ ლექსს¹.

სიმღერა ბედუკულმართობით გამოწვეულა მშრომელთა გულისტკივილის გამოვლენის საშუალებაც იყო. ამის მრავალი ნათელი მაგალითი გვაჩვენა მწერალმა. „მამის მკვლელის“ მიხედვით, გაუბედურებულმა ნუნუს მამამ თანდურზე „შეწუხებულის ხმით“ დასძახა²; ტოლებისაგან განმარტოებულმა ძიძიამ, „ხვეისბერი გოჩას“ მიხედვით, „წყნარის ზუზუნით მღერა დაიწყო“³.

ყაზბეგის ნაწერებში საინტერესო ცნობებია საქორწილო წესებსა და მასთან დაკავშირებულ სიტყვიერ შემოქმედებაზე. თითქმის ყველა ერში საქორწილო ცერემონიალის აუცილებელ ელემენტი იყო პატარძლის გამოსათხოვარი სიმღერა-გოდება. სიმღერა-გოდებას ასრულებდნენ პატარძალი და მისი ტოლ-ამხანაგები. ასეთი ტექსტები ქართულ სინამდვილეში ფიქსირებული არ არის. აკ. წერეთლის დრამაში მედიას მონოლოგის მიხედვით ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება საპატარძლო სიმღერების ჩვენში არსებობის შესახებ. ასეთი სიმღერა-გოდების დახასიათება არის მოცემული „ხვეისბერი გოჩაში“ საქორწილო ცერემონიალის შესანიშნავ აღწერასთან დაკავშირებით. ძიძიას მეგობარმა ქალებმა „დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელის სიტყვებით ყმაწვილს ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილითა და კოცნით თითონაც ესალმებოდნენ“⁴. საქორწილო სიმღერებთან დაკავშირებით აღსანიშნავია „ელგუჯაში“ მოყვანილი მაყრულის ტრადიციული ტექსტი:

მოვღევაო, მოგვიხარიან,
მოგყავს დედალი ხობობი⁵.

საქართველოს მთაში ცნობილია „წყალზე გაყვანის“ წესი, რომელიც მოსდევდა საქორწილო ცერემონიალს, ამ წესს თა-

¹ „ციცია“, რჩეული თხზულებანი, II, გვ. 382.

² „მამის მკვლელი“, რჩეული თხზულებანი, II, გვ. 7.

³ რჩეული თხზულებანი, I, გვ. 349.

⁴ იქვე, გვ. 313.

⁵ იქვე, გვ. 123.

ვისი სიმღერაც ახლდა¹. „წყალზე გაყვანის“ ტრადიცია და მასთან დაკავშირებული სიმღერა გამოყენებულია „ხევისბერი გოჩაში“. ქორწილის შემდეგ ძიძია სწორებმა წყლის მოსატანად წაიყვანეს, ხაბოზგინები გაუჭრეს და უმღერეს:

ჩემო ხელის მომკიდო,
ტაგანაი ამკიდო².

ყაზბეგს ხშირად აქვს გამოყენებული „სმურის“ (სადღეგრძელოს) ტრადიცია. „ნამწყემსარის მოგონებაში“ მწყემსების რიგის მიმცემად მის დანიშვნასთან დაკავშირებით მწერალმა ასე განმარტა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ეს თავისებური სახე: „სმური — პურის ჭამის დროს თასს მიუტანენ და შესხმას ეტყვიან“. იქვე აღნიშნულია „სმურის“ შინაარსიც: „ლექსად გამოჰყავდათ ის იმედი, რომელსაც ჩემგან მოელოდნენ“³. ლექსად სადღეგრძელოს თქმა ბოლოდრომდე გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში⁴. „მოძღვარში“ გუდამაყრელებისადმი ონოფრეს გამასპინძლებასთან დაკავშირებით აღნიშნულია „სმურის“ დანიშნულებაც: „პირველს ჭურჭელს მოჰყვა მეორე, მეორეს — მესამე და გაიმართა „სმურები“, ე. ი. ლექსებად სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ასე ალაზნოიანებს მთიელთ სუფრას და სიცოცხლეს აძლევს“⁵. „სმურის“ ტრადიცია ქორწილში, ხატობაში და სხვაგან აღნიშნულია ყაზბეგის ნაწერებში⁶.

ყაზბეგის ნაწერებში ფართოდაა გამოყენებული გალექსების ტრადიცია. მწერალი იძლევა საინტერესო ცნობებს ფოლკლორის ამ თავისებური დარგის ხასიათსა და თემატიკაზე. გალექსება ქართული ხალხური სიტყვიერების ჯერ კიდევ შეუსწავ-

¹ ს. მაკალათია, ხევი, გვ. 164.

² რჩ. თხზ., I, გვ. 332.

³ რჩ. თხზ., II გვ. 442.

⁴ საინტერესო მასალები შეკრება ამ მხრივ საქართ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტიტუტის მიერ 1947 წ. მოწყობილმა სამეცნიერო-ფოლკლორულმა ექსპედიციამ ყვარლის რაიონში.

⁵ რჩ. თხზ., I, გვ. 513.

⁶ „ხევისბერი გოჩა“, რჩ. თხზ., I, გვ. 328. „მოძღვარი“, იქვე, გვ. 579 და სხვ.

ლედი უბანია. გალექსების ნიმუშები მშრომელი ხალხის ჯანსაღი იუმორის მაჩვენებელია. ბევრი ნიმუში გალექსებისა მკაცრი სატირაა გარკვეული მორალისა და ეთიკის დამრღვევთა წინააღმდეგ მიმართული. გალექსების საშუალებით ხალხი კიცხავდა მათი ეროვნული თავისუფლების შემლახველთ, სოციალური ბოროტების დამნერგავთ და მათაც, ვინც არღვევდა დაკანონებულ ადათ-წესებს. გალექსება ბოლო დრომდე გავრცელებული საქართველოში. მისი თემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვეობასთან. გალექსების ტრადიცია და ხასიათი ალ. ყაზბეგმა გამოიყენა თავისი გმირების კლასობრივი და ეროვნული თვითშეგნებისა და მორალის საჩვენებლად. ყაზბეგის გმირებისათვის დიდი უბედურებაა სალექსოდ საქმის გახდომა. „ელგუჯაში“ გალექსების ტრადიცია ეროვნული თავისუფლების დაცვის იდეასთანაა დაკავშირებული. როდესაც ეროვნულ სახედაკარგულმა, მეფის მოხელედ ქცეულმა გაგი ჩოფიკაშვილმა გადაწყვიტა ჯარის მოწვევა გაქცეულ ელგუჯასა და მზალოს საწვალეებლად, მთიული მარტია მას სათემოდ ლექსის გამოთქმით დაემუქრა¹.

გალექსების სოციალური ბუნების გასათვალისწინებლად საინტერესოა „ციციადან“ ერთი ეპიზოდი. ძიძია გალექსებით დაემუქრა ციციას მამას ქორლოყოს, რადგანაც უკანასკნელი სასიძოში არ ექებდა მაღალ ზნეობას, თუ კი ის დიამბეგებისა და ნაჩაღნიკების გამასპინძლებას შესძლებდა. მოხუცმა მთიელმა ანგარებიანი ქორლოყო შემდეგი სიტყვებით შეარცხინა:

„ — ქალს იმად ათხოვებ, რომ დიამბეგებს დაუხვდნენ?.. იყუჩე, ქორლოყო, ღვთის მადლსა! სალექსოდ თავს ნუ გაიხდი“². ამავე მოთხრობის სხვა ეპიზოდებიდანაც ჩანს, თუ როგორ ერიდებიან მთიელები გალექსების საგნად გახდომას. ქორლოყო შეაშფოთა ბეჟიასთან მთაში წასული ციციას დაგვიანებამ. აღელვებული ისე გაეშურა ციციას საქებრად, რომ

¹ ჩიხული თხზულებანი, I, გვ. 490.

² ჩიხული თხზულებანი, II, გვ. 279.

არავის არ შეატყობინა. ქალის საძებრად მიმავალი მამა ასე ფიქრობდა და სჯიდა: „ხვალ გაიგებს ყველა, რას არ მოიგონებენ, ლექსსაც კი გამოგვითქმენ!.. ნეტა ასე მოკვდეს, კლდეზედ სადმე გადავარდეს, სანამ სახელს გამიწბილებდეს, სალექსედ საქმეს გამიხდიდეს“¹. სალექსედ საქმის გახდომა დააყვედრა ციციამაც მის გამტაცებელ სულთის². „მოდღვარის“ მიხედვით გალექსება მკაცრი სასჯელია თემის ადათ-წესების დამრღვევთათვის. მაყვალამ ვერ მოახერხა ქმრის ოჯახიდან გაქცევა. გელამ მძიმედ დასჭრა მისი მეტოქე ონისე. ბედუქულმართი ქალი კი ხელიდან გამოსტაცეს ხანჯალშემართულ ქმარს. თემმა სამივენი დამნაშავედ სცნო. ისინი გახდნენ მკაცრი, სატირული გალექსების საგნები: „ერობაში, ხატობაში, მთაში, თუ ბარში, ყველგან ისმოდა სიმღერა, ლექსები ამ შემთხვევის შესახებ: ყველა ამაში ხალხის შეუწყალებლობა გამოიჩქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც თემოსნობის დიდებას დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა“³.

გალექსების შესახებ საინტერესო ცნობებია აგრეთვე „ციკოში“ და სხვა ნაწერებში⁴. მწყემსთა შორის პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით მოცემულია გალექსების საინტერესო დახასიათება: „უნდა ვსთქვათ, საზოგადოდ მთის ხალხის სასახელოდ, რომ მათ შორის უწმაწური ლაპარაკი და ლექსი ძალიან იშვიათია. ათასში ერთხელ და ისიც დამთვრალს თუ წამოსცდება უმართებულო სიტყვა. თვით ჩხუბშიაც კი არ იციან უშვერი გინება და ერთმანეთს მხოლოდ ლაჩრობას, ტოლ-სწორის გაუტანლობას და მთხრობლობას აყვედრიან. რომელსამე მარცხს მასხარად აუგდებელს არ გაუშვებენ, მაგრამ სამასხაროდ გამოთქმულს ლექსში საგინებელი სიტყვები ძნელად არის ჩართული“⁵.

ზღაპრის ტრადიციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ეპიზოდური პატარა მოთხრობიდან „ნინო“. აქ მწერალს აღნიშნული

¹ ჩხელი თხზულებანი, II, გვ. 285.

² იქვე, 310.

³ ჩხელი თხზულებანი, I, გვ. 490.

⁴ იქვე, გვ. 521.

⁵ იქვე.

აქვს ბავშვების დიდი სიყვარული და ინტერესი ზღაპრისადმი. შიმშილითა და სიცივით შეწუხებული ბავშვები ვერ დააჩუქეს „კვერის“ შეპირებით, ვერც მგლებით დააშინეს. შემდეგ უფროსმა დამ ნინომ აღუთქვა ზღაპრების თხრობა. პატარები მან შინვე დაჩუმდნენ და ნინოს გარს შემოეხვივნენ¹.

ყაზბეგს უხვად აქვს გამოყენებული საწესო პოეზიის ტრადიცია. მის ნაწერებში შემონახული დარისხებისა და წყევლის ტექსტები, დახასიათება ვედრებისა და სხვა, შთაგონებულია ხალხთა ერთიანობის იდეით. მათი საშუალებითაც გაგვაცნო მწერალმა მშრომელი ხალხის ეთიკა, ამაღლებული ზნეობა. სანიმუშოა ამ მხრივ „ელგუჯადან“ მზალოს მოტაცებისას ძმადნაფიცების — ელგუჯასა და გიორგის ვედრება ხატ-ანგელოზებისადმი. ეს მომენტი ასე აქვს გადმოცემული მწერალს: „რამდენიმე წუთი ასე ქუდმოხდილები დარჩნენ და ჩუმად ევედრებოდნენ იქაურს ჯვარ-ანგელოზებს; ამ ვედრებაში იყო რაღაცა დიდებული, ძლევამოსილი მუქარა, რომელსაც იმედი და ნუგეში შეერთებოდა“². ამავე ნაწარმოებში ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის საშუალებად არის გამოყენებული „შეკვრის“ (წყევლის) ტრადიცია. მთიულეთის აჯანყებასთან დაკავშირებით შეიყარა თემობა. დეკანოზებმა დაამწყალობნეს დროშები. შემდეგ შეუდგნენ სამშობლოს მოლაღატისა და მოლაღატის მფარველის „შეკვრას“. „შეკვრის“ ყოველ სიტყვაში „სჩანდა ხალხის საერთო სურვილი, საერთო გულის ძგერა, გულის ნალველი, რომელიც შეგუბებულიყო დიდხნის სატანჯველით, და დღეს კი ვეღარათერს დაემარებინა, გადმოეხეთქა გარს შემოზღუდული სიმაგრე და წარმოუდგენის სისწრაფით მთელს ხალხს მიეღო...“³.

მწერალმა მოხდენილად გამოიყენა აგრეთვე ძმადგაფიცვის ძლიერი ტრადიცია მთიელებში და ამ ლამაზ ჩვეულებასთან დაკავშირებული ტექსტები, გამომხატველი მშრომელი ხალხის ფაქიზი ზნეობისა. „მამის მკვლელის“ მიხედვით ძმად გაფიც-

¹ თხზულებათა სრული კრებული, გვ. 758.

² რჩეული თხზულებანი, I, გვ. 35.

³ იქვე, გვ. 129.

ვის თანხმობა თორღამ ასე მისცა იაგოს: „მტერზედ მოქნეული სმალი ტარშიმც გაუტყდეს შენს მოღალატეს“. შემდეგ კი ორთავემ ერთად წარმოსთქვეს: „— ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს, ჩემი თვალი — შენს თვალს, ჩემი მუხლი — შენს მუხლს; მოღალატეს რისხავდეს ლომისა“¹. ადამიანის მაღალი ზნეობის მანიფესტებელია აგრეთვე „ცაციას“ მიხედვით ძმადგაფიცვის ცერემონიალის შესრულებისას სულთის სიტყვები ბეჟიასადმი: — „ვინც მე და შენში ერთმანეთს უღალატოს, იყვეს ამ ხალხში შერაცხვენილი და გაუწყრეს წმიდა გივარგი“².

დიდი ცოდნითა და სიყვარულით არის აწერილი ყაზბეგის თხზულებებში ქართული ხალხური ცეკვები³.

მწერლის ხალხურ სიტყვიერებასთან დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე საანდაზოები და „შესანიშნავი აღმოთქმანი და ჭკუის მახვილობანი“⁴. ისინი გაკეთებულია ხალხური შემოქმედების ხერხებით.

* * *

ასე მრავალმხრივია ალ. ყაზბეგის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილი მწერალი თვითონ გახდა საგანი ხალხური პოეზიისა. მოხვეურ ლექსში ბავშვობისას იგი მოხსენებულ იყო, როგორც მრისხანე ბატონის დასაფიცარი შვილი. აწ ლექსის მიხედვით შებორკილი ტყვე ასე ემუდარება მიხეილ ყაზბეგს:

ბატონო, შენი ჳირიმე,
შენი შვილის სანდროს მზესო,
ფეხებში არას დამიშლის,
ხელებში ჩამიჭირესო⁵.

¹ რჩეული თხზულებანი, II, გვ. 119.

² რჩეული თხზულებანი, I, გვ. 360.

³ „ხევისბერი გოჩა“, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 309 — 310; „ციკო“, იქვე, გვ. 232 და სხვ.

⁴ საქ. მუზეუმის ხელნაწერი, № 5 — 3984, 3988.

⁵ ს. მაკალათია, ხევი, გვ. 62.

შემდეგ კი ღვაწლმოსილ მწერალს დიდება არგუნა მშობ-
ლიური კუთხის პოეზიამ.

ხვეისა და მთიულეთის მმართველის მიხეილ ყაზბეგის სიკ-
ვდილმა მთაში სიხარული გამოიწვია. სტეფანწპინდაში თბილი-
სიდან ჩამოსვენებულ მის ცხედარს ტაშფანდურით შეხვდნენ.
მისი შვილის ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილმა კი დიდი გლო-
ვა გამოიწვია ხალხში. მშობლიურ ხევშია შექმნილი ლექსი,
რომლითაც თანამემამულეებმა მათი სიმართლისა და თავი-
სუფლების, სინდისისა და პატიოსნების დამცველი გამოჩენი-
ლი ხელოვანი ასე დაიტირეს:

დოგვიდგა ცუდი ამინდი,
მზე აღარ გვიჩანს ცისაო,
ადრეუ გაძეგო მამული,
თავთავი დასცა ძირსაო.
შორიდან მოგვდის ამბოვი,
ზარალი ჩვენის მხრისაო.
ყაზბეგში ნახეს სიზმარც,
დასამტკიცები მისაო.
მაშინ ბქეს ბერი კაცებმა,
წყრომა რამ არის ღეთისაო,
ქალაქი კუბო შაუკრეს
სანდრო ღენერლის შვილსაო.
ეს რომ მთის ზალხმა შაიტყო,
ერემლით იბანდეს პირსაო,
შავი ჩაიციეს ყველამა,
ალარეინ ხფქრობს ლხინსაო.
დიდ მთასაც შავი დაეხუროთ,
მზემა არ დაქკრას პირსაო...!

¹ ჩაწერილი ხევში ალ. გომიაშვილის მიერ.

ვაჟა-ფშაველა

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ იცის ბევრი შემოქმედი, რომელიც ზჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ქართული პოეზიის ერთ-ერთ საამაყო მწვერვალს ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. პოეტური მთის ღვიძლი შვილი ვაჟა პატარაობიდანვე ეზიარა მდიდარ ხალხურ პოეზიას. მისი მამა ცნობილი მოლექსე იყო, დედის ბიძა, პარასკევა, ფშავეში განთქმული ავტორ-მთქმელი; წერა-კითხვის უცოდინარი ვაჟას დედა იყო შესანიშნავი მთქმელი, რომელმაც შვილების აკვანი ხალხური სიმღერებით დაარწია და თავისუფალ დროს შვილებს ზღაპრებს, თქმულებებსა და ლექსებს უამბობდა.

არ შეიძლება ხალხურ შემოქმედებასთან ვაჟას ახლო ნათესაობის ერთადერთ მიზეზად მისი აღზრდის პირობები ან თვით პოეტური მთა მივიჩნიოთ. ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანია მხოლოდ. ვაჟას შემოქმედების ხალხურ სიტყვიერებასთან ნათესაობა ეპოქის მიერ იყო ნაკარნახევი. მისი უმდიდრესი შემოქმედება მშობლიური ქვეყნის მაჯისცემას გვაგრძნობინებს.

ვაჟა-ფშაველა ხალხური შემოქმედების დიდი მზრუნველი და მოამაგე იყო; დიდმა პოეტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლის საქმეში და, სხვათა შორის, ის ამითაც მოგვევლინა თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანად. ვაჟა სიყვარულით კრებდა მშობლიური კუთხის მდიდარი პოეზიის ნიმუშებს. თანასოფლელთა ტრადიციული დღეობებისა და ლხინის მონაწილე, იგი რვეულისა და ფანქრით ხელში, მათთვის შეუქმნევლად იმპროვიზაციისა

თუ ტრადიციული პოეზიის ნიმუშების ფიქსირებას ახდენდა¹. ვაჟას მიერ შეკრებილი მთის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები იბეჭდებოდა „ივერიაში“, „ძველი საქართველოს“ ტომებში, „სახალხო გაზეთში“ და სხვ.² საკმაო რაოდენობა მის მიერ შეკრებილი მთის პოეზიის ნიმუშებისა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწიერების განყოფილებაში³, საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის არქივში⁴ და საქართველოს ცენტრალურ არქივში⁵. უშუალოდ ვაჟას მიერ ჩაწერილია ზეპირსიტყვიერების ათასამდე ტექსტი. მისი როლი ზეპირსიტყვიერების შეკრებაში მხოლოდ მასალების ჩაწერით არ განისაზღვრება. ვაჟას ხაზგასმით აღნიშნული აქვს ამ საპატიო საქმის დიდი მნიშვნელობა. პატარა წერილი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ) ფშაური პოეზიის ცნობილი შემკრებისადმი“ მადლობით იწყება: „მადლობის ღირსია ბ-ნი დ. ხიზანიშვილი ფშაური ლექსების შეკრებისათვის. უფრო პატივსაცემია ავტორი იმ მიზნისათვის, რომელსაც ყველა ამგვარი შრომა ემორჩილება“⁶.

ვაჟას აღნიშნული აქვს ხალხური ტექსტის უცვლელად ჩაწერის მნიშვნელობა. დასახელებულ წერილში მან გააკრიტიკა დ. ხიზანიშვილი ლექსების არა ზუსტად ჩაწერის გამო: „ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ბ-ნ ხიზანიშვილისაგან შეკრებილს ლექსებს: ბევრი მისგან შეკრებილი ლექსი დამახინჯებულია და ამის გამო ძალა მოკლებული“⁷.

¹ ფშაველი და მისი წუთისოფელი, „ძველი საქართველო“, ტ. II.

² „ივერია“, 1886 წ., №№ 36, 104, 232, 1889 წ., № 41; „ძველი საქართველო“, ტ. II; „სახალხო გაზეთი“ 1910 წ., № 138.

³ ფონდი 5317, 5318.

⁴ ლუკა რაზიკაშვილის თხზულებათა კრებული, 1886 — 7 წ., რვეული № 30.

⁵ ფონდი 114, საქ. 2339, ფ. 96. გამოაქვეყნა დოც. ს. ყუბანიშვილმა, იხ. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე.

⁶ საქ. სახ. ხელნაწ. განყ. 5317, გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ, „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ., № 15.

⁷ იქვე.

ვაჟა მთის პოეზიის არა მარტო შემკრებზე, არამედ მკვლევარი-თეორეტიკოსიც. ხალხური შემოქმედების საკითხებისადმი მიძღვნილი მისი საყურადღებო წერილები წარმოადგენს ხალხურ ნაწარმოებთა რეალური საფუძვლის დადგენის ცდას. ჰუმანისტი მწერალი ხალხურ შემოქმედებას დემოკრატიული პრინციპებით უდგებოდა. ვაჟას კვლევის მეთოდი შედარებით-ისტორიულია. ვაჟას მოსაზრებით მხატვრული შემოქმედება, საზოგადოებრივი ცხოვრების, „ხალხის აზრის“ აწარეკლია. ამ დებულებაზეა აგებული მისი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნაწერები. წერილში „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“ იგი პირდაპირ ამბობს: „ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი წადილი და იდეალი გამოიხატება მის პოეზიაში, ზღაპრებში და სხვა“¹. ამ წერილში საგმირო ლექსები განხილულია სოციალურ გარემოსთაა ძვიდრო კავშირში. მოძებნილია მათი სოციალური სარჩული, — მიზეზი იმისა, თუ რამ გამოიწვია ფშავეში ამგვარი ლექსების სიმრავლე. ძველი ფშაური ლექსების გმირულ ხასიათს ვაჟა თემური წყობით ხსნის: „ძველისძველი ცხოვრება, — წერს იგი, — როგორც ვიცით, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა, მხოლოდ იპიტომ, რომ ერეოდა. ვაჟაკობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაჟაკაცი. გმირი ხდება საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცემისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში. ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნე-ხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურ თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ“². ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მოჰყავს ვაჟას პოეზიის ნიმუშები, რომლებშიაც ერთგვარი სავაჟაკო კოდექსია მოცემული.

¹ „ივერია“, 1889 წ., № 74.

² იქვე.

ვაჟა აღნიშნავს, რომ ფშაური საგმირო პოეზია „ღიაცის ქუეის მიმყოლს გმობს¹ და ეძებს ამის სოციალურ სარჩულს: „ფშავლის რომანტიული ბუნება ქრისტიანულ ელემენტს დაუძლევია. ვაჟაკი, წმინდანი, თავის სიწმინდისა და ვაჟაკობის დასაგვირგვინებლად ქალებსაც უნდა ერიდოს“². საგმირო პოეზიის ასეთი მოტივის ნეორე მიზეზსაც ასახელებს ვაჟა: „ამ შეხედულების მიზეზი დედაკაცზე მისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც კია: დედაკაცი ფშავში დამონავეებულია მამაკაცისაგან და წინად უფრო უარეს მდგომარეობაში იქნებოდა ჩავარდნილი“³. საზოგადოებრივ ყოფასთან მკიდრო კავშირშია განხილული ფშაური პოეზიის ნიმუშები აგრეთვე წერილში „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამონატულებით“⁴. თემური წყობის ნიდაგზე ახსნა ვაჟამ როგორც საკუთრივ საგმირო ლექსების, ისე სატრფიალო პოეზიის საგმირო მოტივების შექმნა. ამ მოტივებს შექმნაში მან ქალის გარკვეული როლი დაინახა: „თემის არსებობა, — წერს ვაჟა, — დამოკიდებული იყო ძველად ვაჟაკებზე, მამაკაცებზე. მათი გამაძნევებელი ბრძოლაში დედაკაცი იყო. ღიაცის ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია — ვაჟაკი მუდამ სცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათი დიფირამბების ღირსი“⁵. ვაჟას გადმოცემით ფშაველი ქალები ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და წაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისათვის რისხვის მიმცემს ვაჟაკს იკიდებდნენ“. ვაჟა ბევრი ფშაური სატრფიალო ლექსის საფუძველს იმ ჩვეულებაში ეძებს, რომელსაც წაწლობა ეწოდება. მისი დახასიათებით, წაწლობა „მაღალისა და იდეალურის გრძნობით არის მონათლული, თითქოს პლატონურს სიყვარულზედ იყოს აღმოცენებული, და ამ ბოლო დროს კი ლამის სიყვარულად, არშეყოზად გადაიქცეს“. მისი მოსაზრებით, „წაწლობას დიდი ზე-

¹ „ივერია“, 1889 წ., № 74.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ „ივერია“, 1889 წ., № 201.

⁵ იქვე.

გველენა ჰქონია მამაკაცთა ვაჟკაცურს, გმირულს მოქმედებაზე, იგი მდიდარს მასალას აძლევს ფშაურს რომანტიულ პოეზიას და თვით ფშაველსაც — პოეტურ ხასიათს¹. ამ წერილში მოყვანილი სატრფიალო პოეზიის ზოგი ნიმუშის მიმართ ვაჟას მოსაზრება უდავოდ საფუძვლიანია. ასეთებია ლექსები:

„ნუ წახვალ, შენი ქირიმე, არ გათენდება ჯერაო“;
„ღმერთო, არ გამიცხადება წუხელ ნანახსა სიზმარსა“ და სხვ.

ზოგ შემთხვევაში კი ვაჟა, რომელიც საერთოდ მეტად მოფიქრებულად ეძებს ხალხური პოეზიის საფუძველს, აზვიადებს წაწლობის როლს მთის პოეზიის მეტად მდიდარი დარგის შექმნაში; ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკისათვის მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ იგი წერს: „სიყვარულის გრძნობა, რომელიც ასეთ მიუწვდომელ სიმაღლემდე მიღწეული ხალხურ ლექსებში და ათასობით ჰყვავის საერო შემოქმედების მდელზედ, აღმოცენებულია წაწლობის ნიადაგზე“. ამ ნიადაგზე შექმნილ ლექსთა შორის იგი იხსენიებს მრავალ ვარიანტად გავრცელებულ სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშს „ქალ-ვაჟის სიყვარული ვაჟკასი და ხვარამზისა“, „აიმ მთაზედა ყორნები“ და სხვ.²

ვაჟას მოსაზრებით, თემურ წყობაში შეიქმნა ფშაურ პოეზიაში ასახული თავისებური იდეალი როგორც მამაკაცის, ისე ქალის, რომლის მიხედვითაც მამაკაცი ნაქებია ვაჟკაცობისათვის, ფარ-ხმლის კარგი პატრონობისათვის, ქალი — სილამაზისათვის³. ისეთი ფშაური ლექსები, რომელთა მიხედვით ქალის იდეალი არა მის გარეგნობაშია, არამედ საქმიანობაში — „ჩხირ-წინდას ჰერაში“, „ფარტენის ჩასთვაში“, „ქერის მკასა“ და „ფარდაგის ქსოვაში“, ვაჟას, შედარებით, ახალ ლექსებად მიაჩნია.

¹ „ივერია“, 1889 წ., № 201.

² „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 277—349.

³ „ივერია“, 1889 წ., № 201, ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით.

ქალს ნუ ჰკვლევ გორობაში,
ტანთ ნათხოვარი აცვია;
ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ქერის მკაში და სხვ.

ასეთი ლექსების საფუძველს ვაქვთ მთაში კაპიტალიზმის შექრითა და თემური წყობის რღვევით ხსნის: „ფშაველს დრო გმირობისა, ვაჟკაცობისა წაერთო, ხმალი ძირს დასდო, ქალიც გაჩუმდა. მაგარი მკლავი და მაგარი გული თითქმის აღარ არის საჭირო ახალის ცხოვრებისათვის. ცხოვრება გაქირდა, კუჭმა წამოაყენა ახალი საგნები და იმის იდეალს პრაქტიკული დალი დაასო“¹.

მთის პოეზიაზე კაპიტალიზმის გავლენას შეეხო ვაქვთ აგრეთვე ეთნოგრაფიულ წერილში „ფშავლები“, რომლის ერთი თავი „პოეზია“ უშუალოდ ხალხური შემოქმედების საკითხებისადმი მიძღვნილი. ფშაურ პოეზიას ვაქვთ ორ ნაწილად ყოფს — ძველ და ახალ პოეზიად. უფრო მაღალ შეფასებას ვაქვთ პირველს აძლევს: „ძველ ლექსებში, — წერს იგი, — არის გამოხატული ვაჟკაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმალლე. ძველ ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვივის“². ვაქვთ ამ წერილში მოყვანილი აქვს წარსულში ფშაველთა ცხოვრების ამსახველი ხალხური ლექსები. აქვე მოყვანილია სხვადასხვა ხალხთა წარმოდგენები საიჭიოზე, ეროვნულ თავისებურებათა ჩვენებით. ასეთივე ეროვნული, შეიძლება ითქვას, კუთხური თავისებურებების მაჩვენებლად მოყვანილია საიჭიოზე უძველესი შეხედულების ამსახველი ფშაური ლექსი:

ნეტარ რად უნდა კარგ ყმასა
სამკლავე, საფუხარია... და სხვ.

ახალი ლექსების რეალისტური ხასიათი და მათი სატირა, ხშირად უწმაწურობამდე და ცინიზმამდე დაყვანილი, ვაქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლით ახსნა: „მაინც ხალხში სატირა იბადება, როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და

¹ „ივერია“, 1889 წ., № 201. ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით.

² „ივერია“, 1885 წ.

ერთის წყობიდან მეორეში გადადის“... „რა ქნას ახალი დროის ფშველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით“-ო¹. ამ წერილში ვაჟა ფშავლებს ახასიათებს როგორც უაღრესად პოეტურ ხალხს. ფშავური პოეზია, მისი სიტყვებით, „უძირო ზღვაა“, მისი კილო „მშვენიერი და მაღალი“².

საყოფიერო გარემოსთან მკიდრო კავშირშია განხილული ხალხური ლექსები წერილში „ლაშარობა“³. ლექსი „იჩივლა ლაშარის ჯვარმა“ გენეტიკურად დაკავშირებულია ძველ გადმოცემასთან „ბერმუხის“ შესახებ.

საინტერესო კომენტარია მოცემული თილისძეზე გავრცელებული ხალხური ლექსებისა. ლექსები დაკავშირებულია იმ ხანასთან, რომელიც ვაჟამ სხვა წერილში — „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“, ასე დაახასიათა: „იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ფშავლები და თუშები ერთი მეორესა ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა“. ვაჟა ეძებს გავრცელებული ლექსის „ლაშარს მოვიდა თილისძის“ ცალკეული მოტივების რეალურ საფუძველს. თილისძის მიმართვა ფშავლებისადმი: —

მაკალეთ, ლაღო ფშაველნო,
მალოცეთ თქვენი ჯვარიო,
სამხვეწროდ მამიყვანავის
თეთრი ქორაი ხარიო —

პოეტმა ახსნა ლაშარობასთან დაკავშირებული წესით: „მთის ხალხს, — შენიშნავს ვაჟა, — ჩვეულებად აქვს, რომ როდესაც ერთს მეორესთან მძიმე დანაშაული მიუძღვის და დამნაშავე „სახვეწრით“ — საკლავით, სასმელით, მიდის და შეურაცხყოფილს სთხოვს შეწყნარებას, პატიებას, უეჭველად მიიღებს“⁴.

¹ „ივერია“, 1885 წ.

² იქვე.

³ „ივერია“, 1888 წ., № 174.

⁴ ლაშარობა, „ივერია“, 1888 წ., № 174.

წერილში: „ფშავლების ამოდ პოპულენობანი“¹, შესანიშნავი ნიმუში ხალხური პოეზიისა „სოპარი ვსახე დაცილი“ დაკავშირებულია საიქიოზე ხალხის შეხედულებასთან. ფშავური სატრფიალო ლექსი „მოგვიდოდი ცოლად, არ ვაყო კვეთილიანი“ დასაჯერებლადაა დაკავშირებული „კვეთილშა ჩასმის“ ჩვეულებასთან, რომლითაც ქმრის დამწუნებელ ქალს შეუძლია ცალკე იცხოვროს, მაგრამ გათხოვების უფლება არა აქვს.

წერილში „კობალა და იახსარი — დევების მებრძოლნი“² თავმოყრილია კობალასა და იახსარზე გავრცელებული ლექსები და თქმულებები. ყველა ეს დაკავშირებულია ფშაველთა შარშიდგენებთან ბოროტ სულებსა და მათ წინააღმდეგ მებრძოლ ხატებზე.

დასასრულ, დამჯერებლადაა ნაჩვენები რეალური საფუძველი ხევსურული საგმირო ლექსებისა ბლოელ ფირჩლა ბაბურაულსა და ქორმეშელ ბერდიაზე ეთნოგრაფიულ წერილში „ხევსურის თავი“³. ამ ლექსებში, როგორც მართებულად შენიშნავს ვაჟა, ასახულია ამ ვაჟაკების მამაცობა ქისტების წინააღმდეგ ბრძოლებში.



ვაჟას ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ნაწერები მეტად საყურადღებოა მთქმელებისა და საერთოდ ხალხური სიტყვიერების ტრადიციის თვალსაზრისით. ქართველი მთქმელებისა და ავტორ-მთქმელების საკითხი ქართული ფოლკლორისტიკის შეუსწავლელი კუთხეა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვაჟას იმ ნაწერებს, რომლებშიაც მთქმელების შესახებ ცნობებია მოცემული. პატარა წერილი — „ფშავლების ცხოვრებიდამ“⁴ — შეიცავს საინტერესო ცნობებს

¹ „ივერია“, 1900, № 176.

² „ივერია“, 1889 წ., № 181.

³ „სახალხო გაზეთი“, 1910, № 138.

⁴ „ივერია“, 1886 წ. № 104.

ფშაველი ავტორ-მთქმელების — მერცხალას, ჯაბანისა და კაცობის შესახებ. ამავე წერილში ვაჟას მოყვანილი აქვს მათი რეპერტუარის ნაწილიც. შედარებით ვრცელ ცნობებს იძლევა ვაჟა მერცხალას შესახებ. მოყვანილია მისი ოთხი ლექსი და აღნიშნულია ის პირობები, რომელშიაც ისინი შექმნილა. ვაჟა ხაზგასმით აღნიშნავს ნიჭიერი ფშაველი მოლექსის გამბედაობას, გულით სიმდიდრესა და ოპტიმიზმს. იგი ღარიბია, მაგრამ იმედით სავსე. არ მოსთქვამს თავის სიღარიბეზე. ვაჟას მოყავს მისი იმპროვიზაციის, ანუ „წაკაფიაებების“ ერთი ნიმუში. იგი მას ღუქანში უთქვამს, როდესაც მის მიერ მიზანში ამოღებულ მამასახლისს იქ მყოფთათვის უკითხავს: „ვინ არი ი მერცხალა, მე რო ულექსებივარ, ნეტავი თკალით მაინც მაჩვენაო“. მერცხალას საპასუხო იმპროვიზაცია ადასტურებს ვაჟას ცნობებს მის შეუპოვრობასა და გამბედაობაზე. მერცხალას რეპერტუართან ერთად ვაჟას აღნიშნული აქვს მისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი — ის ბოქმენტები, რომლებმაც ათქმევინეს ესა თუ ის ლექსი. ყველაფერი ეს თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია მოლექსეობის ტრადიციის თვალსაზრისით. ამავე წერილში ვაჟას მოყვანილი აქვს ერთი ეპიზოდი ფშაველი მოლექსეების — ჯაბანის და კაცობის ცხოვრებიდან და ნიმუში მათი „წაკაფიაებისა“; მერცხალასა და ჯაბანის შესახებ ვაჟა იძლევა ცნობებს აგრეთვე ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველები“¹, ვაჟა მათ იხსენიებს ახალ მოლექსეთა შორის. აქვე გვაცნობს მერცხალას ნამდვილ სახელს — გამიხარდის. ამავე წერილში მოყვანილია ფოთოლანთ გამიხარდის (მერცხალას) სამი ლექსი. მათ შორის ორი მამასახლისზეა ნათქვამი.

ხალხურ ნაწარმოებთა ავტორობის საკითხის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ფრაგმენტი ვაჟას ავტობიოგრაფიისა — „ჩემი წუთისოფელი“. აქ ვაჟას მოცემული აქვს ცნობა ფშაველი ავტორ-მთქმელის პარასკევა ფხიკელიშვილი-გაბიდოურის შესახებ: „ღვიძლი ბიძა დედა-ჩემისა, პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შექმნა სატირული ლექს-

¹ „ივერია“, 1886 წ.

სები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს“. საუბედუროდ წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია, რომ ქალღმერთის წყალობით შენახულიყო მისი ნაწარმოებები, თუმცა მისი ლექსები დღესაც ცოცხლობს, იმათ დღესაც მღერის ხალხი. ეს ლექსები ღრმა იუმორით არიან სავსენი“¹. სამწუხაროდ, ამ ბეჭად მნიშვნელოვან ცნობასთან ერთად ვაჟა არ ასახელებს პარასკევს შემოქმედების ნიმუშებს, რაც შექს მოფენდა ზოგი ფშაური ლექსის ავტორობის საკითხს.

ვაჟას ცნობები მშობლიური კუთხის ავტორ-მთქმელების შესახებ დადასტურებდა ფოლკლორისტიკაში მის მიერ წამოყენებული, მისი დროისათვის უადრესად პროგრესული დებულებისა. ხალხური სიტყვიერების ავტორობის საკითხი ვაჟასათვის სავსებით ნათელი იყო. მისი მოსაზრება ამ საკითხზე უპირისპირდებოდა ბურჟუაზიული ფოლკლორისტიკის დებულებას, რომლითაც ხალხური შემოქმედების ნიმუშები უავტოროდ იყო მიჩნეული. ვაჟამ დამაჯერებლად განმარტა ხალხურ ნაწარმოებთა ავტორობის საკითხი: „განა ხალხურს ამბავს, ლექსს რომ ვეძახით ამ სახელს, მართლა მთელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ამის შედგენაში, ხომ აქაც ერთი, ცალკე აღებული ერთდამ პირი იტყვის ჯერ და მერე ხალხი გაიმეორებს, მოუმატებს, ან დააკლებს“². ზოგ შემთხვევაში, ამ სწორი დებულებიდან ამოსული, ვაჟა ხალხური ტექსტის ანალიზის საფუძველზე არკვევს მისი შემქმნელის დაახლოებით ვინაობას, ასაკსა და სქესს. ასე, მაგალითად, შესანიშნავი ფშაური ლექსის „დამასტესა ვმკი ყანასა“ ავტორად მან ქალი მიიჩნია. ლექსი, მისი მოსაზრებით, თემური წყობის საფუძველზეა შექმნილი, გენეტიკურად იგი ძველ ამბავთანაა დაკავშირებული, რომლითაც მომკალი ქალისათვის მოუხწრია აღიღებულ იორს. განწირული ქალი მხედარს გიორგი ბახტარაშვილს გადაურჩენია და რაინდული „დანდობით“ საშემვიდობოს გაუყვანია. ლექსის დასასრული: —

¹ ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, ს-ხელგამი, 1937 წ., გვ. 51—52.

² „ვეფხისტყაოსნის შესახებ“, „ივერია“. 1890 წ. № 39.

ა იქაც გაგმარჯება.
საცა ჩჰალ იქენ გელსა.
მოცუქულობდნენ ისარნი,
უზნა იქნოდნენ ენასა —

ვაეას შენიშვნით არაჲ „ძველესური დალოცვა ქალისა, ვაეა-
ცისათვის დიდად მისაჩნვეი“, „ამაზე მეტი დალი ცვა, როგორც
ქალი ჰლოცავს ბახტარაშვილს, შეუძლებელი ლა იყო“¹.

ვაეას ნაწერები მდიდარია ხალხური სიტყვიერების სვე-
დასხვა ენარაჲ, განსაკუთრებით საწესო პოეზიის შესახებ
ცნობებით. განსაკუთრებული სიზუსტით აქვს აწერილი ვაეას
საქორწილო და სამგლოვიარო წესები და მასთან დაკავშირე-
ბული სიტყვიერი შემოქმედება. ამ წესებთან დაკავშირებული
სიტყვიერი შემოქმედებას ნიმუშები პეტწილად მისი ხელი-
თაა ფიქსირებული.

ხალხური შემოქმედების ტრადიციის თვალსაზრისით მე-
ტად მნიშვნელოვანია ვაეას ეთნოგრაფიული მოთხრობა „ფშა-
ველი და მისი წუთილი“². აქ მოყვანილია მრავალფე-
როვანი რეპერტუარი ხალხური შემოქმედებაჲ, დაკავშირე-
ბული ლხინსა და ქორწინებასთან, სიკვდილსა და გლოვასთან,
შრომასთან და საზოგადოდ მოთხ მშრომელთა ყოველ-
დღიურ ცხოვრებასთან. მშვენივრად არის აწერილი სიკვ-
რა — „ლექსობა“ საქორწილო ლხინის დროს. მოყვანილია
სალხინო ტექსტები, ვაეას სიტყვებით „იმ დღის შესაფერი
ლექსები“, სუფრული სიმღერები: „შავს ლუდსა, წითელ
ღვინოსა“, „ღვინო შე ჰაჭანაისძევ“ და სხვები. მათ შესახებ
ვაეა შენიშნაჲ: „განსაკუთრებული ლექსი ჯვარის წერისა
ფშაველებს არა აქვს. რომელი ლექსიც შეჰხვდებათ, იმ ლექსს
იმღერებენ, ხოლო საგმირო ხასიათისა უნდა იყოს და რამდენ-
იმე სტრიქონის შემდეგ ჩაატანებენ: „დასწერეთ ჯვარი,
ღმერთო, ახალ-ყოილთა“. აქვე მოყვანილი ტექსტები, რომ-
ლებიც საქორწილო ლხინში ორი მოშაირის „შამღერების“
ნიმუშებია, აღსატურებენ ვაეას ნათქვამს. ასეთებია საგმირო

¹ ფშაველ დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გა-
მოხატულობით, „ივერია“, 1889, № 201.

² „ძველი საქართველო“, ტ. 11.

პოეზიას ნიმუშები: „როსტომ თქვა: „გმირი მეც ვიყავ“, „ხმალს ნუ ჩახედავ მოყმეო“ და სხვები. აქვე ვაყვანო მოყვანილი აქვს ნეფე-დედოფლის შესახებ არსებული ლექსების ნიმუშები, რომლითაც მომღერლები ერთიმეორეს ეჯიბრებიან. ვაყვან ნაწერებში საინტერესო მასალებია ხატობა-დღეობებთან დაკავშირებული მთის პოეზიის ტრადიციის შესახებ. წერილში „აფხუშობა“¹ აწერილია აფხუშოს ხატობა დღეობა, რომელიც თავისებურად ამტკიცვდებოდა ფშაველთა პოეტურ ფანტაზიას. ამ ხატობა-დღეობის დროს ვაყვან ცნობით, „მივარდნილ კუნძულებიდან მოისმის სიმღერა ძველებური. მკენესარი; სიღერა გულსა სწვდება და ნადველს აღვიძებს“. ვაყვან მოყავს ნიმუშები აფხუშოს ხატობაში შესრულებული „ძველებური, მკენესარი“. საგმირო და სალხინო სიმღერებისა.

ვაყვან განხილული აქვს ლაშარობასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედებაც². მან აღნიშნა ამ დღეობაში ფშაველთა გადაპარბებული ნაბავრობა და დღეობა. საბაბი ხალხური მოშაირის დაცინვისა. „ხალხურ მოშაირეს. — წერს ვაყა, — ლამაზად აქვს დახატული სიკრათი ლაშარობისა: იგი დასტინის კიდევ იმათ, ვინც მუტისმეტად გართულან ამ დღეობა-ხატობებით და თავისს საალსა და საქმეს ეკუთვებიან“³. აქვე მოყვანილია ნიმუშები ისეთი ლექსებისა, როგორცაა „ამ წაფხულს ლაშარს ვიყოდი“, „ფშაველთა ლაშარს ჯვარი“ და სხვები. მთის პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით ვაყვან ნაწერებიდან ყურადღებას იპყრობს აგრეთვე წერილი „ხევსურები“. ვაყვან გადმოცემით, ხევსურის სიკვინლისა და მისი სიმღერის წყარო მთაა. მისი დახასიათებით, „ხევსური მაშინ არის სანახავი, როდესაც ბარიდან მთაში მიდის: იგი გაცოცხლდება, დაიწყებს ყვირილს, სიმღერას. მთელს არაგვის ქალას ქოთებს და ააზრიანებს: ხევსურის სიმღერა ხმამაღლა ტირილს უარს მოგვაგონებს: იგი როდე-

¹ „ივერია“, 1886 წ., №14 141. 142.

² ლაშარობა. „ივერია“. 1958 წ., 11. 171.

იქვე.

საც იმღერის — გმინავს და მთებსაც აგმინებს¹. ამ წერილში ვაჟა აღნიშნავს ხევსურებისა და სხვა მთიელი ქართველების პოეზიაზე ლმობი პოეზიის დიდ გავლენას. ფშაური პოეზიის პრიორიტეტს იგი ასე ასახვთავებს: „ერთი და იგივე ლექსი ფშავში და სხვაგან გავონილი ბევრით განსხვავდება გარეგნობით, შინაარსით, სიტყვების მიხვრა-მოხვრით: ფშავში ის ლექსი მშვენიერია და სხვაგან კი გაუგებურებული, მართალს მოკლებული“. ფშაური პოეზიისაგან დამოუკიდებელ ხევსურულ ლექსებს იგი ასე ახასიათებს: „ამ ლექსებში ესენი ან თავის საკუთარს ხალხურ გმირებს აღიღებენ. ან მტერთან ბრძოლას, ომებს მოგვითხრობენ“. აქვე მოყვანილია ხევსურული პოეზიის ნიმუშები: „ვერ გაიგეთა ხევსურნო“, „არხოტით მზორი წავიდა“ და სხვები. ფშაური კაფიის ტრადიციის თვალსაზრისით საყურადღებოა ფელეტონი „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე, მთაში დარჩენილი“, რომელშიც გადმოცემულია ნადიმის დროს გამართული „მამღერება“².

ვაჟა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა, კრებდა და თავის ნაწერებში უხვად იყენებდა სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებულ ჰიტყვიერი შემოქმედების ნიმუშებს. ეს გარემოება განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგანაც თემური წყობის რღვევასთან დაკავშირებით უძველეს წარმართულ ხანძან მომდინარე წესჩვევებსა და რიტუალთან ერთად ბევრი რამ ამ შემოქმედებიდანაც თანდათან ქრებოდა და დავიწყებას ეძლეოდა. ვაჟას ნაწერებში ძვირფასი ცნობებია ასეთი სიტყვიერი შემოქმედების შესახებ, როგორცაა — მოთქმა³, სამძიმარი⁴, მიცვალებულის მოსახსენებელი⁵, „სახელის შადება“ (გლოვის წესთან დაკავშირებით⁶), საქორწილო ცერემონიალთან დაკავშირებულ მყეფარაჟს ტექსტები, ნიმუშები გო-

¹ „ივერია“, 1886 წ., № 199, 200.

² „ივერია“, 1902 წ., № 196.

³ „ივერია“, 1886 წ., 34, „ხევსურები, ივერია“, 1886, № 200.

⁴ „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, „ძველი საქართველო“, ტ. II.

⁵ ხალარჯობა და რიგები, „ივერია“, 1889 წ., № 129.

⁶ ფშაველები, „ივერია“, 1886 წ., № 34.

ნებამახვილური, იუმორით სავსე იმპროვიზაციისა¹, სანეთ-
სა და სადოქტოროს მხარეების მოლაპარაკებან ტრადიციული
ტექსტები² და სხვები.

საინტერესო ცნობები აქვს ვაჟას ხალხური შემოქმედების
თავისებური ჟანრის — შელოცვის შესახებ. მას მოყავს ფშა-
ველთა შეხედულება შელოცვაზე და მის მიერ ჩაწერილი
ტექსტები — თვალნაენების, ანუ თვალნაკრავის, ბედნიერის,
სურლოს, შაკეკის ანუ საყეკის ქარის, სენცეცხლის და შეში-
ნებელის³.

ვაჟას ნაწერებით ვეცნობით მკითხაობისა და ვედრების⁴,
წყევლისა⁵ და სადღეგრძელოების ტრადიციასა და ტექსტებს
(სახლას ანგელოზისა და სადღეგრძელო-დალოცვის)⁶. მეტად
საყურადღებოა აგრეთვე მის მიერ აწერილი, ხევსურეთში
გავრცელებული კატაზე დაფაცებლასა და წყევის ტრადიცია
და ამასთან დაკავშირებული ტექსტები⁷.



საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ვაჟას ხალ-
ხური ლიტერატურისა და ლიტერატურის ურთიერთობის სა-
კითხებზე. ამ საკითხებს მან ცალკე წერილებიც კი უძღვნა.
წერილი „ვეფხის-ტყაოსნის შესახებ“⁸ დაწერილია პროფ.
ა. ზახანაშვილის საპასუხოდ⁹. ვაჟა მკაცრი კრიტიკით

¹ ფშაველი და მისი წუთისოფელი, „ძველი საქართველო“, ტ. II.

² ხევსურები, „ივერია“, 1889 წ., № 81.

³ ფშაველთა ამოღმორწმუნებანი, „ივერია“, 1888 წ., № 23; ფშა-
ველების აზრი, რა, როგორ გაჩნდა, საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. ბ — 5318.

⁴ ფშაველთა ამოღ მორწმ. „ივერია“, 1888, № 223; ფშ. და მისი წუთი-
სოფელი, „ძვ. საქ.“ ტ. II.

⁵ კოპალა და იახსარი, „ივერია“, 1889, № 41.

⁶ ფშაველები, „სახ. გაზეთი“, 1914, № 1090; ფშაველი და მისი წუთისო-
ფელი, ძვ. საქ., ტ. II.

⁷ ხევსურები, „ივერია“, 1886 წ., № 200; ხევსურული ქორწილი. „ივე-
რია“, 1889, № 81.

⁸ „ივერია“, 1890, № 39.

⁹ ალ. ზახანაშვილი, ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“ და შოთას
„ვეფხის-ტყაოსანი“, „ივერია“, 1890, № 25.

შეხვდა ალ. ხახანაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც რუსთაველმა „ერის გულიდამ ამოიღო შინაარსი თავისი პოემისა“. ალ. ხახანაშვილისა და მის თანამოაზრე მკვლევართა მისამართით შენიშნა ვაჟაშვილმა: „ეს ექვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰკვირვებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედება (творчество) გააჩინონ ხალხურადან“. მისი მტკიცებით „შინაარსი, ფორმა, მომენტები პოემაში ლიტერატურულია და არა ხალხური“. ვაჟას მიერ მოყვანილია რუსთაველისა და ხალხური ნაწარმოების პარალელები და აღნიშნულია მათ შორის როგორც შინაარსეული, ისე ფორმობრივი მსგავსება. რუსთაველი დახასიათებულია როგორც დიდი სახალხო პოეტი, რომელიც „ერს ეკუთვნის და ერის დვიძლი შვილი არას“. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის საფუძველი, ვაჟას მტკიცებით, დიად ისტორიულ ეპოქაშია: „ნუთუ ისტორიულს ეპოქას ნაკლები მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედებისათვის, ვიდრე საერო თქმულებას?“ — გაკვირვებით კითხულობს იგი და აქვე განმარტავს ეპოქის როლს ინდივიდუალურსა და ხალხურ შემოქმედებაში: „ვეგონებ, რომ ერის თქმულებას ვიდრე თვით ეპოქა მოქმედობს და ამიტომ ხდება, რომ ერი შესანიშნავის საუკუნის შესანიშნავს მოვლენას ამბად, ზღაპრად, ან ლექსად გამოიჩყვის ხოლმე“. ხალხური „ტარიელიანას“ გალექსილი ადგილები, ვაჟას აზრით, მაჩვენებელია ამასზე რუსთაველის პოემის უშუალო გავლენისა. მათი ურთიერთობის საკითხს ვაჟა ასე სჭრის: „ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანი“ წინადაყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეჰყვარებია პოემა და რაც დაჰვიწყებია პოემიდან, ის თითონ უკეთებია და უმატებია“. ნათქვამის საბუთად მოყვანილია მაგალითი ხევის ბერის „დიდებისა“ და საღმრთო წერილის ურთიერთობისა.

რუსთაველის პოემის პრიორიტეტის დაცვისას ვაჟაშვილმა წამოაყენა საინტერესო დებულება ქართული ხალხური სიტყვიერების ზოგი ენარის მიმართ: „ჩვენს ხალხს არ უყვარს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ლექსად ზღაპრები და ვერც იპოვნით ქართულ-ეროვნულს ზღაპარს გალექსილს. რაც გალექსილებია, ისინიც უცხო ნათესავნი არიან“. თავისი მოსაზრების

საბუთად ვაჟა იხსენიებს „ბეჟენიასა“ და „ეთერიანს“. ეს ეპიკური ციკლის ნაწარმოებნი მართლაც გალექილ ზღაპრებად რომ მივიჩნათ, სიტყვების ორიგინალობის თვალსაზრისით მისი მოსაზრება არ არის დამარწმუნებელი. ვაჟას არც მოჰყავს საბუთი იმისა, რომ „ეთერიანი“, ეს მეტად გავრცელებული ქართული ხალხური რომანტიული ეპოსის ნიმუში, „უცხო ნათესავისა“ იყოს. ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობის თვალსაზრისით ვაჟას ნაწერებიდან მეტად საინტერესოა აგრეთვე: „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“¹ დაწერალი ივ. ვართაგავას კრიტიკული ეტიუდის „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“² საპასუხოდ, პირველი თავი წერილიდან „ფიქრები ვეფხის-ტყაოსნის შესახებ“³. კომენტარი ლექსისა „მოხვევ და თილის ობოლი“ ეთნოგრაფიულ წერილში „ლაშარობა“⁴. „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (ფშაურა ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ)“⁵ და სხვ.

წერილებში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ და „ფიქრები ვეფხის-ტყაოსნის შესახებ“ მითითებულაა მისი პოემების „სტუმარ-მასპინძლის“, „გველის მკამელის“, „ალუდა ქეთულაურის“, „ბახტრიონის“, „გოგოთურ და ფშინასა“ და „ნახევარ-წიწილსა“ ხალხურ წყაროებზე. აღნიშნულია მთაში გავრცელებული ხალხური ლექსები, ამბები და თქმულებები, რომელთაც შთააგონეს იგი და დააწერინეს დასახელებული ნაწარმოებები. ამგვარად, ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ვაჟას დიადი შემოქმედების შესასწავლად. მეტად საინტერესო ცნობას იძლევა ვაჟა „ბახტრიონის“ გმირი ქალის სანათურის პროტოტიპზე. ამ ქალის სახე, როგორც თვითონ შენიშნავს ვაჟა, აღებულია ხალხური ლექსებიდან. რომელთაც არა აქვთ კავშირი ბახტრიონის ბრძოლასთან. სხვათა შორის, სანათური იხსენიება ლექსში „მოხველა, თილის ობოლი“.

¹ „სახალხო ფურცელი“, 1914 წ., №№ 21, 22, 23. გადაბეჭდილია მის თხზულებათა III ტომში.

² ჟურნ. „განათლება“, 1913 წ., № 12; 1914 წ., №№ 1, 2, 3, 4.

³ გამოაქვეყნა მ. დუღუჩავამ, „მნათობი“, 1934 წ., № 11 -- 12.

⁴ „ივერია“, 1888 წ., № 174.

⁵ „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ., № 15.

მისი ვინაობის შესახებ ვაჟა წერს „დ. ხიზანიშვილს მისგან შეკრებილს „ფშაურ ლექსებში“ აქვს მოხსენებული, რომ სანათური ყოფილა წოვა-თუშის ქალიო, მაგრამ ეს შეცდომაა. სოფ. ხოშარაში ვიკითხე ამაზედ, რადგან ომი იქ მოხდა, და მითხრეს, რომ სანათა ფშაველი ქალი იყოვო: იმას ამ ომში შვიდი ვაჟი და მერვე ქმარი მოუკლეს, მაგრამ მაინც მისძახოდა ფშაველებს: „გასწყდითო“¹.

— ვაჟა ხალხურ შემოქმედებას. როგორც ლიტერატურის წყაროს, სათანადოდ აფასებდა. მან ასე აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა მწერლობისათვის: „დიდად საჭირო განძია მწერლობისათვის საერო ლიტერატურის ცოდნა. ეს ცოდნა მწერალს აძლევს ჯერ ცნებებს, — სიტყვებს, და მეორე — გააცნობს სულის და გულის მოძრაობას, მის აზრს ცხოვრებისას“². ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა ვაჟამ ფშაურ პოეზიას: „ნამეტნავად ფშაური პოეზია თავის სულის გამაღვიძებელი კილოთი, თავისი ძველებური სიტყვების ფორმების და თავისებურ შეხედულებათ მსოფლიო ცხოვრებაზე, საჭიროა იცოდეს არა მარტო მწერლებმა, არამედ ყველა ქართველმაც“³. ასე აფასებდა ვაჟა ხალხურ შემოქმედებას, როგორც ლიტერატურულ წყაროს, მაგრამ მას არ სწამდა ამ შემოქმედების უცვლელად, გადაუმუშავებლად გამოყენება. მას ხალხური შემოქმედების გამოყენების მეტად საინტერესო თვალსაზრისი აქვს⁴.

ხალხური სიუჟეტის გამოყენებისას ვაჟა ინდივიდუალური შემოქმედის ნიქს მეტ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე ხალხურ მასალას: „ლეგენდა, ზღაპარი, თესლია მხოლოდ და მამ მარტო თესლშია ძალა და ის აღარ უნდა ვიკითხოთ, როგორ ნიდაგზე ითესება ეს თესლი? ნიდაგი პოეტია, რომელმაც ერთი მარცვალი უნდა ათასად აქციოს“⁵. ვაჟას მოსაზრებით.

¹ „ლაშარობა“, „ივერია“, 1888 წ., № 174.

² ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ). „ლიტ. საქ-ლო“, 1941 წ., № 15.

³ იქვე.

⁴ კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი, „სახ. ფურც.“, 1914 წ., № 21 ან მისი ოხზ. ტ. III.

ხალხური შემოქმედების გამოყენებისას „თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა“¹.

ვაჟა შუბო ხალხური სიტყვიერების ისტორიასთან დაპოკიდებულების საკითხსაც. მან აღნიშნა ზეპირსიტყვიერების, როგორც სოციალური ცენზურისაგან შეუზღუდავი ნაწარმოების, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა: „მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნების და ნივთების ჩხრეცა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირ კაცს არავითარი მზა-მზარეულად შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისივე მსგავსის უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი მოთხრობა“². ასეთია ამ დიდი შემოქმედის როლი ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლის საქმეში. ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ ნაწერებში მოცემულია თავის დროისათვის მეტად პროგრესული მოსაზრებანი ხალხური სიტყვიერების შესახებ. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია პ. უშიკაშვილის, თ. რაზიკაშვილის, აკ. წერეთლის, ი. ქავქავაძის, ალ. ყაზბეგის, ალ. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილის და სხვების მოღვაწეობასთან ერთად, აღნიშნავს იმ დიდ ამაგს, რომელიც ვაჟამ მთისა და კერძოდ ფშავ-ხევსურეთის ზეპირსიტყვიერებას დასდო.



ვაჟა ღრმად ჩაწვდა ხალხურ შემოქმედებას, შეიკნო ის, იგრძნო და ჩვენც გვაგრძნობინა. მან შესანიშნავად გამოიყენა იგი გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით. ვაჟა მონურად არ ზაძავს ხალხურ შემოქმედებას. ეს უდიდესი შემოქმედი თითონ იძლევა ხალხური ნაწარმოების გამოყენების თეორიას:

¹ კრიტიკა ბ. ივ. ვართავასი, „სახ. ფურც.“, 1914 წ., № 21, ან მისი თხზ., ტ. III.

² ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი, „ივერია“, 1902 წ., № 196.

„უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქ-ულება, რაც უხდა იგი ძდიდარი სინაარსისა იყოს, აზრიანი და სელოვნური. თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქერაში არ გადაადნო, არ ვადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა. ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“.

ვაჟა-ფშაველამ ბევრი ხალხური მარგალიტი „გადაადულა“ უძლიერეს „საკუთარ სულიერ ქერაში“ და მემკვიდრეობას უანდერძა ისეთი უკვდავი ნაწარმოებები, როგორიცაა: „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მქამელი“, „აღლდა ქეთულაური“, „ბახტრიონი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ეთერი“ და სხ.

ვაჟას რთულ და მდიდარ ნაწარმოებთა ისტორიის გარკვევა სერიოზული ამოცანაა. მის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჟას შემოქმედების ხალხურ ნაწარმოებებთან კავშირის შესწავლას. თავის მეტად საგულისხმო წერალებში: „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ და „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“², ვაჟა გვაწვდის ძვირფას ცნობებს მისი ზოგიერთი პოემის ხალხური წყაროების შესახებ. გვაცნობს ამ პოემათა შემადგენელ ელემენტებს. ნაწარმოებთა შემადგენელი ელემენტების დადგენა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შემოქმედის საზოგადოებრივი პოზიციების გასაგებად.

ხალხურ შემოქმედებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ჩვენ ვაჟა-ფშაველას მხოლოდ ორ პოემას — „ბახტრიონსა“ და „ეთერას“ შევხებით. პირველში ეროვნული პრობლემაა წამოყენებული, მეორეში კი — სოციალური.

„ბახტრიონის“ წყარო რომ ხალხურია, ეს საკითხი საძიებელი არ არის. წერილში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“, სადაც მოყვანილია ბახტრიონის ადების ციკლის ხალხური ლექსები და გადმოცემები, ვაჟა-ფშაველა წერს: „ჩემზე ეს ზემორე აღნიშნული ხალხური ლექს-თქმულებანი მოქმედობდა“.

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. III, სახელგამი, ტფ. 1930 წ., გვ. 450

² ეურნალ „მნათობი“ 1934 წ., 11 — 12.

კუთრებით „ბახტრიონის“ წერაში და არა რომელმაც მწიგნობრული ამბები“¹. არც პოეტის იდეა, მისი მონადრისადასახლება საძიებელი. ამავე წერილში პოეტი წერს: „თუ მე ნიჭი მაქვს ქეშმარიტი შემოქმედებისა, უკველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია. ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა. რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყულადგაღებით, თითქოს შეკანძულს ცხენსა დახოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, შეეითხებოდა: „ვაჟო, თუ ღმერთი გწამს, წუ დაშიძალად, სწორედა თქვი. საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ, „ელიზბეთი ლეხენსა ლაშქრის გორზე შადგომსო?“

იქნება ვგულისხმობდე. — ვუპასუხე. „სწორედ საქართველოს თავისუფლებასეა ნათქვამიო“, დაინჯა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მქვერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემს მიმთხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სეუ-ბელი...

ხოლო თავისუფლება ისეთი იცნებაა, იმას ბევრი კომენტარიები არა სჭირდება“².

ვაჟას პოეტური ქმნილების და მისი უშუალო წყაროს — ბახტრიონის აღებაზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა ციკლის შედარებიდან ჩანს, რომ მწერალმა სწორად გადაქრა ქართველი ხალხის მაშინდელი საერთო-ეროვნული ამოცანები.

ღრმად პატრიოტულ — უაღრესად რეალისტურ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში ასახულია ქართველი ხალხის — კახელებისა და თუშ-ფშავ-ხევსურების თავგანწირული ბრძოლა თურქმენ-თათრების წინააღმდეგ. საქართველოს ერთ მშვენიერ კუთხეში კახეთში შაჰ-აბას მეორის მიერ ჩამოსახლებული თურქმენ-თათრები დაუზოგავად არბევდნენ არა მხო-

¹ ვაჟა-ფშაველა. ტ. III. გვ. 405.

² იქვე, გვ. 457.

ლოდ კახელ მოსახლეობას, — თუშ-ფშავ-ხევსურებსაც. ქართველები აჯანყდნენ აგრესორების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა აიღეს მტრის სიმაგრეები — ალავერდისა და ბახტრიონის ციხეები და ამოწყვიტეს თათრები. იატორიულად ცნობილია, რომ საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბას მეორემ აწამა აჯანყების ხელმძღვანელები არაგვის ჟირისთავი ზაალი, ქსნის ერისთავი შალვა და მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლოყაშვილი.

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების ამ ერთ ბრწყინვალე ეპიზოდზე ხალხურ შემოქმედებაში დაცულია ისეთი ცნობები, რაც ისტორიაში არ არის აღნიშნული.

ზეპირსიტყვიერებაში დეტალურად არის გადმოცემული: მტრის გეგმა კახეთის აოხრებასა და შიგ თურქმენ-თათრების ჩასახლებაზე; კახელებისა და თუშ-ფშავ-ხევსურების შეერთებული ძალით გალაშქრება მტრის წინააღმდეგ; ბახტრიონის ციხის აღება და თათრების ამოწყვეტა. შექმნილია ხალხური ლექსები და გადმოცემები ბრძოლის მონაწილე სახალხო გმირების — თუშების — ზეზვა გაფრინდაული-ცუნსაიშვილის, საღირიშვილის, შველა შველაიძის, ხევსურების — ნადირასა და ხოშარეულის და ფშაველი გოგოლაურის შესახებ.

ცნობილია ზოგი ისეთი ლექსი, რომლის მთქმელებსაც ბახტრიონის ბრძოლის აწერისას ერთგვარი კუთხური ტენდენცია ახასიათებთ. ამგვარი ლექსების მთქმელები ცდილობენ თავიანთი კუთხის გმირებს მიაწერონ უპირატესობა, ასეთები: თუშური ლექსი „ბახტრიონის აღება თუშთაგან“¹, ფშაური — „ფშაველნი, უკვენ ხევსურნი“², ხევსურული „ფშაველ ჯღანბალნიანები“³. მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი ბახტრიონის ბრძოლაზე შექმნილი ხალხური ნაწარმოებებისათვის. ძირითადად ამ ციკლის ნაწარმოებნი ასახავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხის ერთსულოვნად ამხედრებას საერთო მტრის წინააღმდეგ.

1 ხალხური სიტყვიერება, ექ. თაყაიშვილის რედ., წ. I, გვ. 60 — 61.

2 დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 53.

3 ავ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 9.

ყველა კუთხეში — ფშავეში, ხევსურეთში, კახეთში და თუ-
შეთში ჩაწერილი ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური
ლექსების ცენტრშია ქალაქამოსილი თუში გმირი ზეზვა
გაფრინდაული.

სალხური ლექსების მიხედვით თუში გმირი ზეზვა გაფ-
რინდაული აჯანყების ორგანიზატორია. ზეზვას ხელმძღვანელ
როლს მტრის წინააღმდეგ კახელებისა და მთის ხალხთა აჯან-
ყებაში გვაცნობს მთა-თუშეთში ჩაწერილი საკმოდ ვრცელი
ლექსი „გაფრინდაულის ამბავი“. ეს ღრმად პატრიოტული
ლექსი რეალისტურად ასახავს თუშ-ფშავე-ხევსურების ერთსუ-
ლოვან მზადებას კახეთის განთავისუფლების მიზნით თათრე-
ბის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლექსი მოგვყავს მთლიანად:

ცხენს გაბანს გაფრინდაული,
გაზრდილსა თივა-ქერზედა,
ძუა-ფაფარსა დაეარცხნის,
ნალებს დააკრავს ფეხზედა.
სალარს შეკაზმავს ზეზვაი,
აბჯარს აისხამს ტანზედა.
— საით მიდიხარ, ზეზვაო,
ცხენი დაგიბამს კარზედა? —
— ფშავე-ხევსურეთში საქმე მაქვს,
ჯავრი ვიყარო მტერზედა.
უნდა შევეყარო ჯარები
თათრების მუქარაზედა.
აბა, ვიაროთ, სალარო,
ფშავე-ხევსურეთის გზაზედა. —
ცხენზედ შეჯდება ზეზვაი,
ჩაჩქანი ხურავს თავზედა.
გულუხიძენიკ გამოყვენენ,
ნატარნი ფშავეის თემზედა.
გადაივლიან ვაეკაცნი
ბორბალოს მაღალ მთაზედა.
ლაშარს მივიდნენ თუშები,
ხალხი დგას ხატის კარზედა.
შემოეხვივნენ ფშაველები
თუშებს, დაკონეს პირზედა.
სუფრაზედ მიიპატიეს
შავი ლუდების სმაზედა.

გუჩგესაჲ კინჴარულმა
 ზეზვას ხელ დაკრა მხარზედა:
 — დაბერებულხარ, თან თეთრი
 გამოგრევი თმაზედა.—
 დასხდნენ და პური შეჭკეს
 ლაშარ გიორგის კარზედა.
 გურგენი კინჴარული
 ხეხუაი გაიხუა განზედა.
 — ძიანი ხართ, უნდა პოგუეხართ
 ჯაკრის საყრელად მტერზედა,
 თათრის ჯარი დგას კახეთში,
 სალხი ვერ გადის ველზედა.
 აქლემის ჴარავნება სძოვის.
 ჩვენა ცხვრის საქორებზედ
 მლოცებაჲც ვაგებინეს,
 მდგომსა დაბაზს კარზედა.
 ვიკი დაუდეს ღშავლები
 ხელი დაიკრეს ხმალზედა.
 — ჩვენაც კაცი ვართ, ზეზვო,
 ქულები გეხურავს თავზედა.
 ჩვენც სისხლი გვმართებს და-ქმების,
 მძალნი ვალეწეთ თავზედა.
 თათრებს კახეთში რა უნდათ,
 ქართველთა შიწა-წყალზედა.
 ზევსურნიც შეიყრებიან
 არღოტის¹ ზევით მთაზედა,
 ჩვენ მაცნე გამოგვიგზავნე.
 თქვენ რომ დადგებით გზაზედა.
 საით მოვიდეთ, ზეზვო,
 რას იტყვი, რომელ გზაზედა.
 — ფშავ-ზევსურნ ერთად წამოდით
 პანკისის ხეობაზედა.
 თუშნი ნაქერალს გადმოვალთ,
 თქვენ გამოგყვებით კვალზედა.
 ჩვენ შევიყრებით ნაქერალს,
 დარაჯი გვედგეს განზედა.
 იქ ლაპარაკი გვექნება
 თათრებთან ომობაზედა.—
 გამოესალმნენ ერთურთსა,
 ზეზვაიც შეჴდა ცხენზედა.

¹ სოფელია ზევსურეთში თუშეთის საზღვარზე.

ლუხუმმა დროშას შემოჰკრა,
მდგომმა დარბაზის კარზედა.
— გწყალობდეთ ლაშარის ჯვარი,
ხელ მოგიმართოს მტერზედა.

ზეზვა გაფრინდაულის—ამ პატრიოტი გმირის ხელმძღვანელი როლი აჯანყებაში შესანიშნავად არის გადმოცემული ფშავში¹, ხევსურეთში² და კახეთში³ ჩაწერილ ლექსებშიც.

აღსანიშნავია, რომ ბახტრიონის ბრძოლაში მტერზე სასახელო გამარჯვება ხალხურ პოეზიაში აჯანყებულთა ბელადის თუში გმირის პირით არის ნათქვამი. ასეთია რამდენიმე ვარიანტად ფშავში ჩაწერილი ლექსი:

ხმალს ზერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოკვალ ამითა,
დიდი ალვანის მინდორი
აევსე თათრის ძვალითა,
მგელსა დავცვითე კბილები,
ტურას ლოყები ქამითა⁴.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზეზვას სახელთან არის დაკავშირებული ის გადმოცემები და თქმულებები, რომელთა მიხედვით მთელი ჰანკისის ხეობა და მატან-მარლისის ადგილების ნახევარი მეფემ ციხეების აღებისათვის თუშებსა და ფშავ-ხევსურებს აჩუქა. ნაჩუქარი ადგილის ფართობი თითქოს აჯანყებულთა ბელადის ზეზვას ცხენმა განსაზღვრა. ზეზვას ცხენი თითქოს დიდი მანძილის შემორბენით მომკვდარა. კახეთში აღვანსა და ალავერდს შორის ბოლო დრომდე აჩვენებენ „ზეზვას ცხენის საფლავს“. ეს ადგილი მთის ხალხმა სალოცავადაც კი გახადა.

ბახტრიონის ბრძოლაში გამარჯვების ამსახველ ლექსებში თუმცა ამგვარად იხსენიება ზეზვა, მაგრამ ჩანს საბოლოოდ

¹ დ. ხიზანიშვილი, ფშავური ლექსები, გვ. 4 და სხვ.

² აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ., გვ. 327 და სხვ.

³ რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლ. არქ., № 18173 და სხვ.

⁴ დ. ხიზანიშვილი, ფშავური ლექსები, ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 454.

იგი მოტყუებით ჩაიგდო მტერმა ხელში და აჯანყების სხვა ორგანიზატორებთან — შალვა და ელიზბარ ერისთავებთან და ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად აწამა სპარსეთის მრისხანე შაჰმა. საგულისხმოა ამ მხრივ მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლექსი, რომლის თუშური ვარიანტი ასეთია:

ზეზვაო გაფრინდაულო,
ცოტა მოკლეო ენითა,
გაქირება რა შეიქნეს,
ამოსარჩევო ხელითა.
კარად არ გამოგიყვანონ,
დაგაბალითონ ენითა.
გამოიყვანეს ზეზვაი,
დააბალითეს ენითა.
ცივ-გომბორ გადააელიან
ძუა-შელებილ ცხენითა,
ქალაქში ჩაიყვანიან
დაფა-ზურნითა, ლხენითა.
ჩამოსმენ ქარვასლაშია,
ბაგეთ იღექავს კბილითა.
მოდინ თათრის აღლარნი:
„ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა“.
„ზეზვა რად გინდათ, ძალღებო?
მკედარია თქვენის ხელითა.
უნდა გენახათ ბახტრიონს,
ბრუნავედა ლურჯის ცხენითა.
უკან მოგდევდათ ზეზვაი,
გჩხვერევედათ შუბის წვერითა“¹.

აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორის ასეთ ისამწუხარო ბედს გვაცნობს შაჰ-აბას მეორის აგრესული პოლიტიკის ამსახველი ბახტრიონის ციკლის ხალხური პატრიოტული ლექსი.

სამშობლოსათვის მეტრძოლი გამირებიქადმი ხალხის დიდ სიყვარულს გვაგრძნობინებს ბახტრიონის ციკლის ყველა ნაწარმოები, რომელზედაც, როგორც თავის პოემის წყაროზე, მიუთითა ვაჟა-ფშაველამ.

დიდი პოეტური გაქანებით დაწერილი, ხალხური შემოქმედებით შთაგონებული ვაჟას პოემის შესავალია ფშავის ლა-

¹ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 328 — 329.

მაზი — რომანტიული ბუნების აღწერა. აქ პოეტი სიძბოლურად გვაცნობს მტრისაგან აკლებული ქართველი ხალხის მომავალი გამარჯვების რწმენას:

დღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუქეს თვალები.
ალარ შფოთობენ საფლავეში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესახარები.
გული ვერ მოუფხანათ,
კრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს. ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ეშუქრება
ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი¹.

პოემა იწყება სანათასა და კვირიას შეხვედრით. ეს არის პოემის ერთი უძლიერესი ადგილი. კვირია თუშეთიდან მოციქულად არის გამოგზავნილი მშობლიურ ფშავში საერთო მტრის წინააღმდეგ ფშავ-ხევსურების ასამხედრებლად. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს სალოცავზე მარტოხელა, მტრისაგან ოჯახმოშლილი ქალის მიერ გმირთა საფლავეზე სანთლების ანთება და საკლავის შეწირვა. დიდი ოსტატობით არის გადმოცემული სანათას ვინაობა, თათართაგან შევიწროებული კახეთისა და თუშეთის მდგომარეობის აწერა. ყველაფერი ეს მკითხველს ღრმად განაცდევინებს აგრესორისადმი დიდ სიძულვილს. დინამიურად არის გადმოცემული ფშაველი ხევსბერის ლუხუმის წინამძღოლობით ფშავ-ხევსურების ამხედრება მტრის წინააღმდეგ; სოყრძის მეგობრების ლუხუმისა და თუში გმირის ზეზვას შეხვედრა.

აჯანყებაში ხევსბერ ლუხუმს გარდა პოეტი დიდ როლს აძლევს ფშაველ კვირიას. ამ ფშაველი გმირის სიზნარით არის მოცემული საქართველოს მტრის შემზარავი სახე — პირეცხლა ვეშაპი.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 105.

აჯანყებულთა შორის ერთი პირველთაგანია აგრეთვე ფშაველი ქალი ლელა. ადათის თანახმად იგი ლაშქარში არ გაირიეს. მიუხედავად ამისა, კვირიასთან ერთად ლელა პირველი შევიდა მტრის ციხეში. კვირიამ და ლელამ გაუღეს აჯანყებულებს ციხის კარები.

პოემის მიხედვით აჯანყებულებმა გაიმარჯვეს მტერზე. ბრძოლაში დაიღუპა ბევრი სახელოვანი გმირი, მათ შორის კვირია, ლელა და ზეზვა.

პოემა მთავრდება ტყეში დარჩენილი დაჭრილი ლუხუმის გველის მიერ განკურნების ამბით. გველმა — ამ ჯადოსანმა ქომაგმა არამც თუ განკურნა სამშობლოსათვის ბრძოლაში დაჭრილი გმირი — ლუხუმი, იგი კვებავდა მას და ლამლამობით უამბობდა ორი ობოლი ძმის ზღაპარს.

პოემის ბევრი ძლიერი ეპიზოდი ხალხურ ნაწარმოებთა საფუძველზეა გაკეთებული.

ბახტრიონის ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა გმირებია პოემაში გამოყვანილი — ლუხუმი, ზეზვა, ხომარეული. ბახტრიონის ციკლისაგან დამოუკიდებელი ხალხური ლექსებიდან არის აღებული სახე სანათასი¹ და ლელასი. ხალხური ლეგენდური შინაარსის ლექსის საფუძველზეა შექმნილი პოემის დასასრული — დაჭრილი ლუხუმის განკურნება გველის მიერ².

ხალხური შემოქმედების საუჯიდან არის აღებული ორი ობოლი ძმის ზღაპარიც. ფილოსოფიური, ღრმა შინაარსის, გმირობისა და მეგობრობის იდეის მქადაგებელი ეს შესანიშნავი ზღაპარი მოხევე დიმიტრი ლუღუშაურს უამბნია ვაჟასათვის³.

ვაჟას პოემის ბევრი ეპიზოდი და ზოგი გმირი სავსებით დამოუკიდებელია ხალხურისაგან. ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენების შემთხვევებშიც ვაჟა მეტად ორიგინალურია. ამ პოემაში, ისე როგორც სხვა ნაწარმოებებშიც, ვაჟას სავსებით

¹ ვაჟა-ფშაველა, ლაშრობა, „ივერია“, 1888 წ., №174.

² აკ. შანიძე, ხევსურული პოეზია, გვ. 35 და 393 — 395.

³ ეს საკითხი გარკვევა დიმიტრი ბენაშვილმა, მასვე აქვს გადმოცემული ამ ზღაპრის შინაარსი, „მნათობი“, 1945 წ., № 9.

დაცული აქვს საკუთარი დებულება ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენების შესახებ.

ახლა ისმის კითხვა, როგორ ურთიერთობაშია ვაჟას პოემა მის ხალხურ წყაროებთან?

ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პოემამ „ერის გულში ბინა იპოვნა, იქ დაისადგურა“. ამას ადასტურებს პოემის საკმაოდ მრავალი ხალხური ვარიანტი. პოემის ხალხური ვარიანტები გასცდა საქართველოს მთის ფარგლებს და გვხვდება ბარშიაც. განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული პოემის ერთი უძლიერესი ეპიზოდის — სანათასა და კვირიას შეხვედრის ხალხური ვარიანტები¹. ცნობილია აგრეთვე ლუხუმისა და ზეზვას შეხვედრის აწერის ხალხური ვარიანტი². საინტერესოა მთიულეთში 1946 წ. ელ. ვირსალაძის მიერ ჩაწერილი 86 წლის წერა-კითხვის უცოდინარ ჯღუნა ნარაიძისაგან ჩაწერილი ვარიანტი. ეს ვარიანტი პოემის ფაბულას გადმოგვცემს შერეული ფორმით³. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟას პოემის გმირებს საბჭოთა მოლექსეებიც აცოცხლებენ. ერთი მოლექსე უმღერის აყვავებულ ახალ ცხოვრებას და ისე იგონებს წარსულს:

გოდერძათ ქალი მტრის ხელში
ახადის მთებზე სცრემლავდა;
და ბაჩლელ ლელაის შუბი
ბახტრიონს მტერსა სჩხვერავდა;
ხოშარის გორზე სანათა
შეილთა საფლავზე სცრემლავდა;
ცხოვრების ორომტრიალში
ხალხი ზღვასავით ღელავდა;
მაშინ ამ ფშავის ქვა კუთხეს
ყველა უცქერდა ბნელად;

¹ ქს. სიხარულიძე. ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, გვ. 349 — 351, ლიტ. ინსტ. ფოლკლ. არქ. მ. № 20549 და სხვ.

² იქვე, გვ. 351—352.

³ ფოლკლ. არქ. № 32131.

ასისინებდენ მთიელებს
ერთოერთის საჯიჯგნელადა.
მაგრამ ღროება წინ მიდის
ცხოვრების შესაცვლელადა¹.

ვაჟას პოემა ჩაწვდა ქართველი ხალხის გულს. იგი პასუხობდა ეპოქის მიერ წამოყენებულ ეროვნულ ამოცანებს.

პოემის შექმნის საკითხთან დაკავშირებით პოეტს აღნიშნული აქვს, რომ მისი შთაგონების წყარო მტრის წინააღმდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ერთსულოვანი ამხედრება იყო. იგი წერს: „ჩემთვის მარტო ის ფაქტიკმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდნენ, არ ინდობდნენ, ამჟამად შეერთდნენ, ერთსულოვანობა გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაკირკების დღეს. განახორციელეს თხოვნა-პუღარა იმავე ხალხური ლექსისა:

თუმნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ერთმანეთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ².

აღსანიშნავია, რომ პანტრიონის ბრძოლის — ქართველი ხალხის გამირული წარსულის ამ ბრწყინვალე ეპიზოდის ამბები ვაჟამ ფშავის ფონზე გაგვაცნო. პოემის ძირითადი მომენტებიც მეტ შემთხვევაში ფშაველ გამირთა მოქმედებითაა განსაზღვრული. პოემის წყაროდ აღებულ ხალხურ ნაწარმოებთა ცენტრში, როგორც ვნახეთ, თუში გამირი ზეზვა გაფრინდაულია. ზეზვა ვაჟამაც გამოიყვანა თავის პოემაში, მაგრამ მას არ აქვს ისეთი წამყვანი როლი, როგორიც — ფშაველ გამირებს — ლუხუშს, კვირიას, ლელას, სანათასა და სხვებს. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟა მისი პოემის გამირების ფშაურ წარმოშობას, ეს ჩანს პოლემიკიდან, რომელიც მან დ. ხიზანიშვილს გაუმართა სანათას პროტოტიპის სადაურობაზე. დ. ხიზანიშვილის შენიშვნით სანათა წოვა თუშის ქალი იყო. ამის გამო ვაჟა წერს: „ეს შეცდომაა. სოფ. ხოშარაში ვიკითხე

¹ ჩაწერილი ფშავში, ს. შუაფხოში 1938 წ.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 455

ანაზედი, რადგან ომი იქ მოხდა, და მითხრეს, რომ სანათა ფშაველი ქალი იყოვო“¹. ფშაველბად გამოიყვანა ვაჟამ ისეთი გმირებიც, რომელთა ხალხური პროტოტიპები ხევსურეთში, თუშეთში და სხვა კუთხეში გვხვდება. ასეთებია მაგალითად ლუხუმი და ლელა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბახტრიონის გაღავანში პირველად შესვლაც, რაც ხალხურ ნაწარმოებთა დიდი რაოდენობის მიხედვით ზეზეა გაფრინდაულს მიეწერება, ვაჟამ ფშაველ გმირებს კვირიასა და ლელას მიაკუთვნა. როგორც აღვნიშნეთ, კვირიას წინასწარმეტყველური სიზმრითაა მოცემული საქართველოს მტრის შემზარავი სახე — პირცეცხლა ვეშაპი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ერთსულოვანი ამხედრების აწერა ვაჟამ მისი კუთხის ბუნების, იქაური ტრადიციისა, იქაურ მცხოვრებთა დახასიათებით დაიწყო. მხატვრულად სრულქმნილი პოემის ფინალიც — ლუხუმისა და გველის ურთიერთობა, ფშავეის ფონზეა მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება ოდნავადაც არ ჩრდილავს პოემის ღრმა პატრიოტიზმს, ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის ამსახველი, ხალხური ნაწარმოებებით შთაგონებული პოემა პატრიოტული მოტივების შემცველ ქართულ კლასიკურ ნაწარმოებთა ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია.

* *

„ეთერიანი“ ქართული ზეპირსიტყვიერი რომანტიკული ეპოსის მეტად ვაგარცელებული ნიმუშია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ფიქსირებული მისი ვრცელი თუ მოკლე ვარიანტები. დამოუკიდებელი ლექსების სახითაც გვხვდება მისი ნაწყვეტები.

ხალხურ ტექსტებს გარდა, არსებობს სხვადასხვა პირის მიერ გალექსილი, ლიტერატურულად დამუშავებული „ეთერიანი“ და სხვადასხვა ვარიანტის მონტაჟი².

ტექსტების შედარებისას ვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

¹ ვაჟა-ფშაველა, ლაშარობა, „ივერია“, 1888 წ., № 174.

² ვაჟას პოემა შევაჯერეთ ლიტერატურულად დამუშავებულ ტექსტებს, მონტაჟებსა და ხალხურ ვარიანტებს.

1. რა ეპიზოდები და მოტივები აიღო ვაჟამ ხალხური ვარიანტებიდან, უცვლელი თუ შეცვლილი სახით?
2. ხალხურში რა მოტივებია გავრცელებული, რომელიც არ გვხვდება. ვაჟას პოემაში?
3. ვაჟას პოემის ხალხურისაგან დამოუკიდებელი მოტივები.
4. ხალხური „ეთერიანის“ რომელ ვარიანტს ეყრდნობა ვაჟა?
5. რა ურთიერთობაშია ვაჟას პოემა სხვა პირების მიერ ლიტერატურულად დამუშავებულ „ეთერიანთან“?
6. როგორია ვაჟას პოემის გმირები ხალხურთან შედარებით?

* * *

1. ვაჟას პოემის გმირები — ეთერი, გოდერძი, შერე—ხალხურია.

2. ობლობით დაჩაგრული მწყემსი ქალი ეთერი მინდვრად თუ ტყეში საქონელს აძრევებს, „ყაპყატოს კალათა გადაუგდია მკლავზედა“ და „თავდახრით მიჰქსოვს წინდასა“¹.

3. ეთერს შეხვდა სანადიროდ გამოსული მეფის ვაჟი, მონიბლა მისი მშვენიერებით და თხოვა ცოლად გაყოლა².

4. ეთერიმ გაითვალისწინა სოციალური უფსკრული მათ შორის და პირველად უარი უთხრა შეუღლებასზე.

ვ ა ჟ ა :

ხ ა ლ ხ უ რ ი :

ღირსი არა ვარ ხელს გბანდე,
განაღამც გყვანდე ცოლადა,
მეფე ხარ, რატომ არ ჰფიქრობ?
საქმეს რად იქერ ყროლადა?
...ვაი თუ მალე მოგწყინდე,
მალე გამცვალო სხვაზედა³.

დამეხსენ ელურსამელო,
არა ვარ შენი საფერი:
შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედა-მამითაც ქებული,
მე გლეხი ვარ, გლეხის შვილა,
გლეხურად თავდადებული.
შენ რომ შენი ჰქნა, წახვიდე,
გამწირო წყალწაღებული⁴.

¹ ფოლკლ. არქ. №№ 20749, 21239 და სხვ.; „საუნჯე“, I, გვ. 158 და სხვ.

² ზოგი ვარიანტის მიხედვით მათი შეხვედრა შემთხვევითი არ არის, მეფის ვაჟმა წინასწარ იცის ეთერის შესახებ და დაეძებს მას.

³ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 108, 111.

⁴ იქვე, გვ. 112.

5. მეფის ვაჟმა ერთგულების ფიცი მისცა ეთერს.

ვ ა ჟ ა :

ღმერთი გამიწერეს, ეთერო,
ცოცხლად დამპარხონ მიწასა,
თუ შენს გარეით საყელოს
მე მოვეხვია სხვისასა;
მიწა გამისქდეს, ჩამყლაპოს,
ტანზე მომედოს გენია;
თუ კი დაკარგოს გოდერძიმ
გულით ტრფიალი შენია;
ღმერთი მრისხავდეს მაღალი,
მეფედ გამჩენი ჩემია,
თუ კი შენ სხვაზე გაგცვალო,
სხვასაც მოვკიდო ხელია!

ხ ა ლ ხ უ რ ი :

ეთერ, შენს მოღალატესა
ზეციით ღმერთიმც გაუწყრება,
მტრისად მოქნეული ხმალი
ვადამიამც გაუტყდება;
იალბუზის მინდორზედა
ქარიშხალიმც აუტყდება,
ძალიან მოწყურებულსა
წყაროს წყალიმც დაუშრება².

6. ეთერი გაყვა მეფის ვაჟს — ცოლად.

7. მეფეს მიუვიდა ცნობა ვაჟის დაქორწინების შესახებ. ეს მოტივი განსხვავებულად არის მოცემული ვაჟის პოემასა და ხალხურ ვარიანტში. ვაჟს მიხედვით, მეფესთან ცნობა ერთგულ სპასპეტს მიაქვს. ხალხურში ეს მოტივი გვხვდება ყვარელურ ვარიანტში, სადაც მეფესთან ამბის მიმტანი მოღალატე ვეზირია. ამიტომ ცნობაც სხვადასხვაგვარია.

¹ „ივერია“, 1888, № 274.

² ეს მოტივები გვხვდება თითქმის ყველა ხალხურ ვარიანტში.

ჭ ა უ ა :

უნდა გახარო მეფეო,
სახარობელი ძვირია,
თქვენმა ძემ ცოლი ითხოვა,
მთვარეს მიუგავ პირია.
თქვენი ძის ბედად მოსულა,
სამოთხე გაუწირია.
თვით ღმერთსა სასძლოდ
თქვენთვისა

ეთერი შაუწირია.

ისეთი არის, მეფეო,
მაღალ ღმერთს ვფიცავ ცისასა,
რომ ცოლობასა გაუწევს
სიმშვენიერეს მზისასა.

არ ვიცი, მსგავსი იმისი
ჰლაზავს-ლა ვინმე ქვიშასა.

ან ჩვენს შემდეგ-ლა იგემებს
გემოსა დედის რძისასა!?
ქვეყანა სხვას ველარ ჰნახავს
სიტურფეს ეთერისასა !.

ხ ა ლ ხ უ რ ი :

შენმა შვილმა ვილაც
ცოგნის შვილი შეირთო
და ეს დამაბარაო ?.

8. მეფე პროტესტით შეხვდა მისი ძის მწყემს ქალთან და-
ქორწინებას, დედა კი ურიგდება შვილის მოქმედებას. ვაჟის
პოემიდან ამ მოტივის პარალელი გვხვდება ყვარლის რაიონში
ჩაწერილ ვარიანტში.

ვ ა უ ა :

წადი, უთხარი ჩემს ძესა,
რომ უხედნელი კვიცა,
უთხარი, მამაშვილობას,
რომ მე აღარა ვიცოა,

ხ ა ლ ხ უ რ ი :

ხელმწიფეს ძალიან ეწეინა და
სთქვა: აქ არ დამენახოს თვალი-
თაო, და კარზე გაიტანა
შავი ბაირალი, აბესალაშვა

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 117.

² საუნჯე, ტ. I, გვ. 161.

უთხარი, აღარ მეჩვენოს,
აღარა ვნახო თვალით,
ან ისარს დავკრავ პირშავსა,
ან შუა გავკვეთ ხმალოა!.

რომ დაინახა ეს ბაიკალი, მა-
შინვე ეთერი სხვა გზით წაი-
ყვანა თავის დედის სხალში².

მშობლების უკმაყოფილება, აბესალომის მიერ სოციალუ-
რი უთანასწორობის საზღვრის გადალახვით გამოწვეული,
გეხვდება ახალციხურ ვარიანტშიც. ეთერის ჯადოსნური სა-
შუალებით დაავადების! შემდეგ დედამ საყვედურით მიმართა
აბესალომს: „აქი გითხარ, შვილო, რომ გლეხის ქალია ეგაო
და არ გეკადრება შენაო“³.

9. მოხიბლულმა ბოროტმა ვეზირმა, ეთერის ხელში ჩაგდე-
ლის მიზნით, გაყიდა სული, გრძნეული ფეტვის საშუალებით
დააავადა ეთერი, რის შედეგადაც დასნეულდა მეფის ვაჟი⁴.

10. საიკვდილის წინ გოდერძის მოთხოვნით ეთერი მოიყ-
ვანეს მასთან, ეთერიმ თავი მოიკლა შეეტარიანი დანით, ისინი
ერთად დაასაფლავეს. *

11. დასასრულ, ხალხურია შეყვარებული ქალ-ვაჟის საფ-
ლაზე ია-ვარდის ამოსვლა და წყაროს დენა. ეს მოტივი ვაჟას
პოემისა მეტად ახლო დგას ხალხურ ტექსტებთან.

ვ ა ჟ ა :

ია უზრდავის წლით-წლამდე
ამ ბეჩავ კუბოს ხისასა,
და ვარდი პირმოღმარო
სამარეს გოდერძისასა.
იას შორს ყოფნა არ უშლია,
ვარდს ეკონება პირითა,
და ამ საფლაგთა ფეწათა
კოლ-ქმრის სამარის ძირითა,
უკვდავებისა წყარო დის

ხ ა ლ ზ უ რ ი :

თავს ვარდი ამოსულიყვეს,
ღილის ნიავე შლიდესო,
ზედ მოდიოდნენ ჩიტები,
ბუღობდნენ, ბარტყებს
ზრდიდესო;
ფეხთითა წყარომც გამოვა,
შიგ ოქროს თასი ვიდესო;
ყველა მუშა და მამგრალი,
ყველა ჩვენ დაგენატრადესო.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 119.

² საუნჯე, ტ. I, 161.

³ ფოლკლ. არქ. № 724.

⁴ ზოგი ვარიანტის მიხედვით აბესალომი ლოგინად ჩაეარდა მას შემ-
დეგ, რაც მურმანისაგან გაიგო ეთერის განკურნების ამბავი, ფოლკ. არქ.
№ № 692, 4855, 13355, 21239.

ქვირფასის ოქროს მილითა.
ამ ადგილს ბულბული უშდერს
სალაქოთი და დილითა;
ვისაც კი ის წყალი უსვამს,
ურჯულოს, რჯულიანითა,
იმას არ უვლავ ქვეყნადა
გულითა წყლულიანითა¹.

დაპლევდეს ამველელ-ჩამველი,
შენდობას შეუთვლიდესო.



თავისებურად „გადადუღებული“ ხალხური ვარიანტები-დან ვაჟას არ აუღია მთელი რიგი გავრცელებული ეპიზოდები და მოტივები.

1. ეთერი, ზოგი ხალხური ვარიანტის მიხედვით, სასწაულებრივი წარმოშობისაა. უშილო ცოლ-ქმარს ის გაუჩნდა უკედავების წყლის სმის ან ვაშლის ჭამის შედეგად³. ზოგი ვარიანტით ის მამაკაცის ნაშობია და, მინდორში გადაგდებული, დათვმა გაზარდა⁴. ან კიდევ: მამაკაცის კანკში ჩასახული ორბმა გამოიყვანა და ხეზე იზრდებოდა⁵.

2. ხალხური ვარიანტების მიხედვით ყოველთვის შემთხვევითი არ არის აბესალომისა და ეთერის შეხვედრა. ამ მოტივისათვის მოცემულია წინასწარი პირობა: ეთერი სიზმარში ხედავს აბესალომს და აღუთქვამს ცოლობას⁶. აბესალომი ეთერს დაეძებს წინასწარ ნაპოვნი ოქროს ქოშის მიხედვით⁷. აბესალომმა იცის ამბავი ეთერის სილამაზისა⁸. უცოლო მეფე დიდხანს დაეძებს გლეხის ისეთ ქალს, რომელიც მას მოეწონება⁹ და სხვა.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 139 — 140.

² თ. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღაპრ., ტ. II.

³ საუნჯე, ტ. I, გვ. 153; თ. რაზიკაშვილი, „ხალხ. ზღაპრები“, ტ. 1, ფოლკ. არქ. № 683 და სხვა.

⁴ ფოლკლ. არქ., № 683.

⁵ თ. რაზიკაშვილი „ხალხ. ზღ.“, ტ. II.

⁶ ფოლკლ. არქ., № 13137.

⁷ ფოლკლ. არქ., № 10979.

⁸ საუნჯე, ტ. I, გვ. 160.

⁹ „ივერია“, 1888 წ., № 274.

3. მეფის ვაჟის ფიცის შემდეგ ეთერიც იძლევა ერთგულების ფიცს:

ამ პურმა და ამ მარილმა,
ამ ლეინომა ვაზისამა,
სახნისმა და საკვეთელმა
გაწეულმა ხარისამა,
შენის მეტ ბიჭი არ მინდა,
ფიცმა რა ქნას ქალისამა!

4. აბესალომმა ერთგულების ნიშნად ეთერის საჩუქრად შეეტარიანი დანა მისცა. აბესალომის ნაჩუქარი დანით ეთერიმ თავი მოიკლა. ვაჟის პოემაში არ ჩანს, თუ საიდან აქვს ეთერის შავი რქისტარიანი დანა, რომელიც გამოყენებულია რომანის ტრაგიკული დასასრულის საშუალებად:

და ჩვენს უცნობლად ეთერმაც
თავი დაიკლა დანითა.
ჯერაც გულშივე ურქვია
დანა შავი რქის ტარითა².

5. ხალხური ვარიანტების დამახასიათებელი მოტივია დამწუხრებული აბესალომის მიერ განუკურნებელი სენით შეპყრობილი ეთერის დათმობა მოღალატე ვეზირისადმი. ამოთქვა ტირილით ელურსამელმა:

ქალი ვის გინდათ ეთერი,
მე ზელს ავალე, წავალო.
— მე მინდა შერელომასა,
შენი ერთგული ყმა ვარო³.

ან კიდევ: შეწუხდა აბესალომი, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათს შეყრილ მიჯნურნი
სამშაბათს გავიყარენით;
ვისაც რო შეყრა გეწყინათ,
გავყრილვართ, გაიხარენით.

¹ „ივერია“, 1888 წ., № 274.

² ვაჟა-ფშაველა, თხზ. III, გვ. 137.

³ „ივერია“, 1888 წ., № 274.

ვის გინდათ ქალი ეთერი?
მე ნადირობას მივალ!

აუსრულდა მურმანს გულის წადილი, გახარებულმა ჩოქით სალამი მისცა აბესალომს და შეჰკლადდა:

უბოძე შენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო¹.

ვაჟას პოემაში ეს მოტივი არ არის. გოდერძიმ განუქურნებელი სენით შეჰპყრობილი ქალი არავის არ დაუთმო.

კოშკს ეჯდა დაფარულადა
და მისნი ერთგულნი ყმანნი
გარს იღვნენ ყარაულადა².

ბუნებრივია, რომ ვაჟას პოემაში აღარ გვხვდება ხალხური ნაწარმოების დამახასიათებელი მხატვრულად ძლიერი ბევრი ეპიზოდი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ვეზირისადმი ქალის დათმობის მოტივთან. ასეთი ეპიზოდებია: ა) აბესალომისა და მურმანის შეხვედრა და მათი დიალოგი ეთერის შესახებ; ბ) აბესალომის დის ან დების (მარეხი, მარეხ-ვარსკვლავი, შუქურ-ვარსკვლავი) გამგზავრება მურმანის კოშკიდან განკურნებული ეთერის მოსაყვანად მოშაკვდავ მწასთან; რძალ-მულები დიალოგი და ეთერის საყვედურები; გ) მოღალატე ვეზირის იძულებით ან მოტყუებით გაგზავნა ჯარში ან უკვდავების წყლის მოსატანად აბესალომისა ან თვით ეთერის მიერ.

6. ვაჟას პოემაში არ გვხვდება ხალხურ ვარიანტებში მოცემული დიალოგი აბესალომისა და ეთერის სიკვდილის წინ.

7. ხალხური ვარიანტების მიხედვით მოღალატე ვეზირი სიკვდილის შემდეგაც აშორებს მოსიყვარულე ცოლ-ქმარს. იკლავს თავს და იმარხება მათ შორის, მის საფლავზე ამოსული ნარ-ეკალი კი აშორებს აბესალომის და ეთერის საფლავზე ამოსულ ია-ვარდს.

¹ თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. II. ეს მოტივი გვხვდება ყველა ხალხურ ვარიანტში.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 133.

ვაჟა ხალხურ ვარიანტებს სცილდება იმითაც, რომ მის პოემაში მთელი რიგი ადგილები, ეპიზოდები თუ მოტივები დამოუკიდებელია.

1. ვაჟას პოემაში ვხვდებით მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ პეიზაჟებს, ბუნების ცოცხალ სურათებს¹.

2. ხალხური ტექსტებისაგან განსხვავებით, ეთერის მშობლები და ძმები „მსხვერპლნი გამხდარან ომისა“².

3. ეთერს უფალთან აღთქმული აქვს ქალწულად დარჩენა. სოციალურ უთანასწორობასთან ერთად ესეც არის ერთ-ერთი ნაზეზი მისი უარისა მეფის ვაჟთან შეუღლებაზე:

ამასაც გეტყვი, ვაჟაკო,
იყოლე, საცოდნელია:
აღთქმა მივეცი უფალსა,
ფიცი გატეხა ძნელია;

აღუთქვი:— ქალწულად
დავრჩე.
არ-როს შევირთო ქმარია;
ვიკმარო ესე ცხოვრება,
ტკბილი არის, თუ მწარია³.

4. ეთერი სინანულის ცრემლებით იგლოვს უპატრონოდ დატოვებულ საქონელს, მაშინ, როდესაც ლხენითა და სიმღერით მიყავთ იგი მეფის ძესა და მის ამაღას⁴.

5. მხეცები და მტაცებელი ფრინველები ანადგურებენ ეთერის საქონელს.

6. გაბრაზებული ავი დედინაცვალი წყევლა-კრულით დაეძებს ეთერის გზა-კვალს.

7. მეფის ვაჟი გოდერძი აკვნიდანვე დანიშნულია ლევან მეფის ქალზე, მაგრამ უარყოფს მშობლების მიერ შერჩეულ საცოლეს და ირთავს ეთერს.

8. გოდერძი მწყემს ქალთან შეუღლებით ჰკარგავს ტახტის მემკვიდრეობას და ცალკე იშენებს სახლს.

9. ვაჟას ეკუთვნის გურგენ მეფის პატივმოყვარე სახის შექმნა, რომელიც თავის მეფურ წოდებას ყველაფერზე მაღლა აყენებს. ის უარყოფს „გვარის დამამცირებელ“ შვილს. მის-

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 101, 115 და სხვ.

² იქვე, გვ. 106.

³ იქვე, გვ. 109.

⁴ იქვე, გვ. 115.

თვის ქვეყნის დაქცევა უფრო ადვილი წარმოსადგენია, ვიდრე სოციალური ზღუდის გადალახვა. შვილის დაქორწინების ანბის გამგონე, აღშფოთებული წარმოსთქვამს:

ის მიკლავს გულსა, რომ შვილმა
ჩემმა დაამცრო გვარია.
ცა რად არ ჩამოიქცევა,
არ სქდება მთა და ბარია,
უფსკრულს არ ჩაიყოლია
ვარსკვლავნი, მზე და მთვარია.
მეფის ძე მონას ქალთანა
ნეტავ რა შესაყარია?

10. ეთერისა და გოდერძის დაშორების ინიციატორი მეფეა. ის შეკრებს თავის ნაზირ ვეზირებს და მიმართავს:

მირჩიეთ გულით წრფელითა,
რომ ჩემს შვილს უჯიშო ცოლი
გამოვაცალოთ ხელითა.

ჯერ შევაძლოთ როგორმე,
გულში მოუქლათ ტრფიალი,
ვის როგორ მოგწონთ ეს აზრი
ჩემს თავში დანატრიალი?¹

11. წოდებრივ უთანასწორობას აღრმავებს მრისხანე და უღმობელი მამა მიცვალებულთა გასვენებისა და დასაფლავების მომენტშიაც:

ორს კუბოს მოასვენებენ,
ერთს ხისას, სხვა-კი ძვირია,
ძვირფასად შეხამებულსა,
თეთრს, ვით თოვლი და კირია.

დამარხეს ერთად, ცოტას-კი
ერთურთზე მოშორებითა,
როგორც უბრძანა მეფემა,
რომ არ ვსთქვათ მოკორებითა².

12. ვაჟას პოემაში მოცემულია გრძნეული ბებრის შემზარავი სახე. წარმართული სოფლგაგების, ფანტასტიკური სამყაროს არაჩვეულებრივი ღრმა ჩაწვდომითაა აწერილი ჯადოქარი ბებრის თვისებები, ადგილსამყოფელი, გარეგნობა. ის:

შავია როგორც ნახშირი,
როგორც ფისი და კუპრია.
...თვალები ცეცხლისა უსხდა,

კბილები ჰქონდა მინისა,
ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა,

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 122.

² იქვე, გვ. 139.

ფეხები ჰქონდა კაცისა,
ხელებად ბჯლები ციცისა,

და თმის მაგივრად სულძალსა
მოკლე ფაფარი კვიცისა“¹.

ვაჟა იშვიათი ოსტატობით ასახიერებს პირველყოფილი წარმოდგენების გადმონაშთებს, ბოროტ სულებს: დევებს, ქაჯებსა და ჰინკებს, რომელნიც წინ ელობებიან ადამიანებს საარსებო ბრძოლაში. იშვიათად თუ ვინმე განასახიერებს ბოროტებას უფრო ძლიერად, როგორც ეს მოცემულია დევების გარეგნობისა და მათი ლხინის აღწერისას:

ცეცხლი დაენტოთ ძლიერი,
გარს უსხდნენ ყოტებივითა,
თავ-ცხვირი წამოეშვირათ
სალას კლდის ლოდებივითა,
დაღრენილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ჭობებივითა,
წითელს იქნეოდნენ ენებსა,
გრძელებსა შოთებივითა,
ქსახურად ედგნენ ჰინკები,
ჰყიოდნენ ჰობებივითა.
დევთა ხელთ ეპყრათ პირ-დიდო

ჰურქლები კოკებივითა.
ღვინის მაგივრად სისხლს
სვამდნენ
დევეები სწორობაზედა.
საიო ვისთვისმე მოესწროთ -
ხევეში ან გორობაზედა,
არჩობდნენ, ეზიდებოდნენ,
დამდგრები ღორობაზედა,
სისხლ ნაწური კაცების,
ჰურქლებში ედგად ღვინოდა,
მეჯლისში სისხლით

ოერებოდენ,
სისხლს სვამდენ მოსალხინოდა².

13. შეურაცხყოფილი ლევან მეფე ომს უცხადებს გურგენ ძეფს. გურგენ მეფის გამარჯვებული ლაშქარი ზეიმით ბრუნდება უკან. „ცხრა ზღვასა, ცხრა მთას იქითა“ ნავალ სულგაყიდულ ვეზირს შემუშრს:

თეთრის დროშების ქრიალი,
გამარჯვებულის ჯარისა
მოუსვენარი გრიალი.

14. გოდერძის დედა ცრემლებით აბრალებს მეფეს მომაკვდავ შვილს. მეფე ავალებს მოღალატე ვეზირს ისევ განკურნოს „წყეული გოგო“, შერეც საკუთარი გამიდან ესმის გაფრთხილება ბოროტი სულისა, რომ არ დაივიწყოს პირობა. ამ დროს მეფეს მოსდის ცნობა გოდერძის გარდაცვალებისა.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 124.

² იქვე, გვ. 129 — 130.

15. ვაჟას აწერილი აქვს ეთერისა და გოდერძის გასვენებისა და დასაფლავების ცერემონიალი.

16. ხალხურისაგან დამოუკიდებელია ფინალი პოემისა, მოღალატე ვეზირის უსაზღვრო ტანჯვა. ავტორი უღმობელად სჯის უანგარო ცოლ-ქმრის მოღალატე ვეზირს:

კაცის დანახვა აშინებს,
მირბის, ემალვის ყველასა;
ხრამებში, მთაში და ღრეში
ჩხავის, აჯავრებს მელასა
და დაიყმუელებს მგელივით,
თითქოს ღმერთს სთხოვდეს
შველასა.

ხან ლეკვივითა წკავეკავენს,
ძალივით ხმარობს ენასა.
ხან ბუისავით გაჰკივლებს
საწყულადა, ბეჩაეურადა;
იმ დროსვე გადაიქცევა
ახლა მჩხავანა ტურადა.

ხან გონზე მოდის, „საბრალო საშინელია“, უდაბნოშიც მიდის „სულის მოსაგებად“, მაგრამ ვერ ისვენებს. ბოლოს „თვალეებს დაითხრის ბედკრული, თვალეებსა დაშინებულსა“.

მოსძაგდა სინათლის სინჯვა,
მოსძაგდა ყველაფერია,
დღეს მხოლოდ სიბნელე უყვარს,
ვერ ნახოს ვერაფერია¹.

* *

რომელი ხალხური ვარიანტი გამოიყენა ვაჟამ თავის პოემის წყაროდ?

ხელუხლებლად, „შეუკეთებელი“, ფიქსირებული ხალხური ტექსტებიდან ყველაზე ადრე გამოქვეყნებულია „ეთერიანის“ ფშაური ვარიანტი, ჩაწერილი დ. ხიზანიშვილის მიერ. ამის შესახებ „ივერიის“ რედაქცია შენიშნავს: „დღევანდლამდე საკუთრად რომლისამე თემის განსაკუთრებითის გამოხატვითა და უხელოვნოდ, ხელშეუხებლად ჩაწერილი ეთერი-

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 141.

ანი არ დაბეჭდილა. ეხლა ეს ფშაური ეთერის ამბავი პირველი ნიმუშია, შეძლებისამებრ ხელ-შეუხლებლად ჩაწერილი“¹.

ვაჟას პოემა დათარიღებულია 1890 წლით. ფშაური ვარიანტი ჩაწერილი და გამოქვეყნებულია 1888 წელს. მოსალოდნელი იყო, რომ ვაჟა პოემის ჩონჩხად თავისი კუთხის ვარიანტს გამოიყენებდა. ფშაური ვარიანტიდან ვაჟას აღებული აქვს მოღალატე ვეზირის სახელი შერე (ხალხურით შერელომა). გარდა ამისა ფშაურ ვარიანტში არ არის მოცემული შერელომას სიკვდილი და მისი დამარხვა შეყვარებულ ცოლქმართა შორის. ხალხურ ვარიანტში არც მოღალატე ვეზირის უდიდესი ტრაგედიაა მოცემული, რომელიც ვაჟას პოემის ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდია. სხვა საერთო მოტივები ვაჟას პოემისა ფშაურ ვარიანტთან გვხვდება. თითქმის ყველა ხალხურ ვარიანტში და ამდენად ისინი ფშაურის სპეციფიკას არ წარმოადგენენ (ეთერის უარი მეფის ვაჟისადმი წოდებრივი უთანასწორობის გამო; ვაჟის ფიცი; ვეზირის ღალატი; ვეზირის მიერ გრძნეული ფეტვის ზემოქმედებით ეთერის ტანჯვა; ვეზირის მიერ სულის გაყიდვა, მეფის ვაჟის დასწეწლება და სიკვდილი; ქალ-ვაჟის ერთად დამარხვა და სხვა).

ვაჟას პოემაში, როგორც ვნახეთ, არ გვხვდება მთელი რიგი მოტივებისა, რომელიც დამახასიათებელია როგორც ფშაური, ისე სხვა კუთხის ვარიანტებისათვის (აბესალომის მიერ ეთერის დათმობა; აბესალომისა და მურმანის შეხვედრა და მათი დიალოგი; აბესალომის ღების გამგზავრება ეთერთან და მათი დიალოგი; ქალ-ვაჟის დიალოგი სიკვდილის წინ და სხვ.).

ვაჟას პოემას სხვა კუთხის ვარიანტებთან აქვს საერთო მოტივები, რომელიც არ არის ფშაურ ვარიანტში. ეთერი, ვაჟას მიხედვით. მწყემსი ქალია, მსგავსად მრავალი ხალხური ვარიანტისა. მას ავი დედინაცვალი ყავს. მეფე პროტესტით ხვდება ვაჟის მწყემს ქალთან დაქორწინებას².

გრძნეულებით დატანჯული ეთერი თავის მწარე ხვედრის

¹ „ივერია“, 1888 წ., № 274.

² საუნჯე, ტ. 1.

მიზეზს მის სოციალურ წარმოშობაში ხედავს. ამ მოტივის პარალელი ყვარელურ ვარიანტში გვხვდება.

ვ ა ჟ ა :

რად ამომავებ ჭირითა?
კოშკს არ მამწყედედვე
პატიმრად,
წყალს მაინც ვზიდავ ვირითა.
ჩემო ნუგეშო, გოდერძი,
ჩემო მზეო და მთვარეო,
ჩემო ლხინო და სიცოცხლე,
სიცოცხლე გაგიმწარეო.
მე ვარ მიზეზი... თავმკვდარი,
საით რა შაგეყარეო.
რატომ არ მოკვდი ადრევე,
მანამ განახავდი ბარეო.
მაშინვე გიტხარ, მე და შენ
ჰალას რო შევიყარენით.
და ეხლაც იმასვე გეტყვი,
ეხლაც, როსც გავიყარენით
არ ვარო შენი საფერი,
გეუბნებოდი ბედ-შავი
არ ვიყავ შენი საფერი...
ღმერთმაც დამწყევლა ამითა,
რომ ფუფუნება ვარჩიე
ცხოვრებას თავის ჯანითა¹.

როგორც ვხიდავთ, ვაჟას პოემის სხვადასხვა მოტივის პარალელები სხვადასხვა კუთხის ვარიანტებშია. ვაჟა არ ეყრდნობა მხოლოდ ერთი რომელიმე კუთხის ვარიანტს, მისი პოემის ჩონჩხად გამოყენებულია ეთერიანის როგორც მთის, ისე ბარის ვარიანტები.

* *

ხალხური „ეთერიანის“ ლიტერატურული დამუშავება, ან კიდევ სხვადასხვა კუთხის ვარიანტების მონტაჟირება უცდით სხვა ავტორებსაც. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იოსებ ელიოზიშვილის „ეთერიანი“, რომლის შესახებაც „ივე-

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 133 — 134.

² საუნჯე, ტ. I, გვ. 183.

რიაში“ ვკითხულობთ: „წინად მწერლობაში აბესალომ და ეთერის ამბავი გალექსილი არ იყო 1869 წლამდე და იმ წელს დაიბეჭდა შეთხზული იოსებ ელიოზიშვილისაგან ამავე სახელით (ეთერიანი). ამ უკანასკნელს თხზულებაში თუმცა სახალხო ნათქვამობის შინაარსია აღებული, მაგრამ სრულებით შეცვლილია და ხელოვნებითი ნაწარმოებია¹. აღნიშნული ნაწარმოები გამოცემულია მაშინ, როცა ხალხური „ეთერიანი“ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. შეიძლება მას ერთგვარი გავლენა მოეხდინოს ვაჟას პოემაზე.

ვაჟას და ელიოზიშვილის პოემებს შორის არის საერთო დეტალები, რომელიც არ გვხვდება ჩვენს ხელთ არსებულ ხალხურ ვარიანტებში:

1. ვაჟას მიხედვით, სანადიროდ გამოსულ მეფის ვაჟს ეთერთან მიიყვანს გაქცეული ირემი². ელიოზიშვილის მიხედვით-კი ქურციკი³.

2. ეთერს, ვაჟას პოემის მიხედვით, აღთქმული აქვს ქალწულობა. ელიოზიშვილის მიხედვით, აბესალომს აქვს აღთქმული უცოლობა. ამ ორ დეტალს გარდა მათ შორის არ არის ისეთი საერთო მოტივები, რომელიც არ იყოს ხალხურ ვარიანტებშიც. გარდა ამისა, თუმც „ივერიის“ შენიშვნით, ელიოზიშვილის თხზულებაში, ხალხური შინაარსი „სრულებით შეცვლილი და ხელოვნებითი ნაწარმოებია“, მაგრამ ის შინაარსეულად თითქმის მონურად ბაძავს ხალხურს. მასში არ არის ის მოტივები, რომელიც ვაჟას პოემას ხალხურისაგან ასხვავებს. მასში არ არის აგრეთვე ზოგი რამ, რაც საერთოა ვაჟასა და ხალხურს შორის (ეთერის მწყემსობა, ავი დედინაცვლის სახე). მხატვრულად ელიოზიშვილის პოემა მეტად სუსტია. დაწერილია გაუმართავი ენითა და მდარე ხარისხის ლექსთწყობით. პოემაში მხატვრულად ძლიერია მხოლოდ ის ადგილები, რომელიც უშუალოდ ხალხურია⁴.

ზემოთ მოყვანილი ორი დეტალის მსგავსება არავითარ შემ-

¹ „ივერია“, 1888 წ., 274.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 105.

³ „ეთერიანი“ ი. ელიოზიშვილისა, გვ. II.

⁴ „ეთერიანი“ ი. ელიოზიშვილისა, გვ. 1, 20, 23.

თხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ვაჟას შინაარსეულად და მხატვრულად სრულქმნილ პოემაზე რაიმე გავლენა მოეხდინოს მხატვრულად ისეთი დაბალი ხარისხის ნაწარმოებს, როგორც ელიოზიშვილის „ეთერიანია“. შეიძლება აღნიშნული საერთო ადგილების პარალელიც ხალხურში მოიძებნოს.

1875 წელს „ეთერიანი“ გამოსცა პ. უმიკაშვილმა. როგორც გამომცემელი აღნიშნავს: ეს „ეთერიანი“ შედგენილია სახალხო ლექსებისა და პირად ნათქვამობისაგან, რომელნი დარჩენილან დღევანდლამდე საქართველოს ყველა ნაწილში. ზემოხსენებული ლექსები და პირად ნათქვამობანი (რიცხვით ცამეტნი) ეკუთვნიან შემდეგ ადგილებს: ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს (ახალციხის მაზრას), ხევსურეთს, ხევს (თერგის ხეობას) და ქალაქ მოზდოკს¹. პ. უმიკაშვილის გამოცემული „ეთერიანი“, როგორც გამომცემელი აღნიშნავს, წარმოადგენს მონტაჟს და მასში შემდგენლის მიერ არაფერია შეტანილი. ამ ტექსტში არაფერია ისეთი, რაც სხვა ხალხური ვარიანტისაგან განსხვავებით ენათესავებოდეს ვაჟას პოემას.

„აბესალომ და ეთერი“ გალექსილია პ. მირიანაშვილის მიერ. შედარებამ გვაჩვენა, რომ გალექსავი ძირითადად ეყრდნობა თ. რაზიკაშვილის კახურსა და დ. ხიზანიშვილის ფშაურ ვარიანტებს. მასში გვხვდება ოდნავ შეცვლილი ადგილი შეტანილი ვაჟას პოემიდანაც:

პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი :

ვ ა ჟ ა :

რა ლამაზი ხარ ეთერო,
რა მომხიბლავი ფერისა,
სალოცველია კაცთაგან
ნაბანი შენი ხელისა².

რა ლამაზი ხარ ეთერო,
რა მომხიბლავი ფერისა,
სალოცველია კაცთაგან
ფერფლიც შენთ ფეხთა
მტვერისა³.

პ. მირიანაშვილის მიერ გალექსილ „აბესალომ და ეთერი-შიც“ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც უცვლელად შეტანილია ხალხური ნაწარმოებიდან ვაჟას პოემიდან.

¹ „ეთერიანი“, შედგ. პ. უმიკაშვილის მიერ, 1875 წ.

² „აბესალომ და ეთერი“, პ. მირიანაშვილის გალექსილი, გვ. 12.

³ ვაჟა-ფშაველა. ტ. III, გვ. 108.

ქართული ზეპირსიტყვიერი ეპოსის შესანიშნავი ნიმუშის გმირების უკვდავი სახეები ვაჟამ კიდევ უფრო მხატვრული და სრულყოფილი გახადა.

ეთერის გარეგნობას ხალხური ვარიანტები ზღაპრის დამახასიათებელი ლაკონურობით იძლევიან. ის „ძალიან ლამაზია“, „მზეთუნახავი“, ან კიდევ შედარებით ვრცელი აღწერით: „ისეთი ლამაზი იყო, რომ იმაზე მშვენიერი ამომავალი მზე აღარ იქნებოდა“¹ და ა. შ. ეთერის გარეგნობის აღწერისას ვაჟა არ იშურებს თავის პოეტურ შესაძლებლობას და იძლევა ეთერის მომხიბვლელ პორტრეტს:

წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა...
თავით ბალიშად ქვა ედვა,
ლეიბად შამბის ძირზედა.
თვალეზში ჩაჰქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანდა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თავის ხატ-ღმერთიანდა.
გვირგვინად ტრფობა
დასდგმოდა,

სხივს გვფენს წაშფემბის
ხილითა,
ცასა და მიწას მადლს ჰვენდა
უზეებით კიდის-კილითა.
ყელი მოუგავს ჯერანსა,
გამარჯვებულსა მინდვრითა.
...ეხლა-ლა ვნახე, გიშრის თმა
მოჰქონდა ეთერს წელითა;
სარტყლად წელს ნაწნავნი
ერთყნენ
ორპირად, როგორც წნელია...².

ხალხური ვარიანტების მიხედვით, ეთერი თავის მწარე ხვედრს მოკლედ, რამდენიმე სიტყვით ახასიათებს აბესალომთან შეხვედრისას, როდესაც აღნიშნავს მათ შორის წოდებრივ უფსკრულს:

მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული³.
დამეხსენ ელურსამელო,
არა ვარ შენი საფერი:

შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედა-მამითაც ქებული;
მე ვლეხი ვარ, გლეხის ქალი,
გლეხურიად თავდადებული⁴.

ვაჟას ეთერი უკმაყოფილებას უფრო მკვეთრად ამჟღავ-

¹ ი. რაზიკაშვილი, ხალხ. ზღაპრები, ტ. II.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 104.

³ თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. II.

⁴ „ივერია“, 1888 წ., № 274.

ნებს. სოციალური ბოროტებით განაწამები ქალის გულის
სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები ობლის მწარე ხვედრის
დაგმობაა:

ვაჰმე რა ძნელი ყოფილა
ყოფნა, სიცოცხლე ობლისა!
სრულ წყევა-კრულვა ჩემს
თავსა,
არსად აღერსი მშობლისა!
ნეტავ ან სახე მახსოვდეს,
ან ხმა მახსოვდეს დედისა!
ნეტავ, ტირილით შემეძლოს
შეცვლა ამ შავის ბედისა!

დღე და ღამ ფეხზედ ყუდილი,
გადაყრა წვიმა-შხეპისა,
სიმშლი, ლაღვა ნადირთა,
თმენა ლანძღვის და ტყეპისა!
რა ლანძღვა მინდა, რა კრულვა
დალაზვრულს შავის დღისაგან,
წილ-ბედ დაღუულს სოფელში,
თავდანებებულს ღეთისაგან¹.

ეთერი ოცნებობს თავისუფალ ცხოვრებაზე. გულის ტკ-
ვილით შენატრის ბედს იმ ბულბულისას, რომელიც მის ქოს-
თან გალობს:

ნეტავ ბულბულად მაქცია,
შენთან ვიფრინო ველადა...
ტიტველი აღარ ვიყლიდი,
დაღონებული ყველადა.
და მოვრჩებოდი ამ ბებერს,
ჩემთვის გაჩენილს გველადა².

დაჩაგრული ყოფის, უფლებობისა და დამცირების სას-
ტიკი გაეციხება მოცემული მისი საკუთარი სახელის განმარ-
ტებაში:

ეთერი მქვიან... რად გინდა
ჩემი სახელი წყული?
რაც-კი რამ სახელებია,
ყველაში გამორჩეული?
ხომ იცი, რაა „წაეთერ“,

ხომა გაქვს გამორკვეული?
მაშ, მე ვინ მეტყვის: აბრძანდი,
მეტყვიან — აეთერია.
ათას-ფრად, ათას კილოზე:
გაეთერ-წაეთერია³.

ძირითადად ეთერის სახე ხალხურია, მაგრამ ვაჟამ კიდევ
ნეტად სრულყო ეს ნათელი გმირი. მსგავსად ხალხური ვარი-
ანტებისა, ვაჟას ეთერი ნაზი და გრძნობიერია, ერთგული საყ-

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 103.

² იქვე, გვ. 102.

³ იქვე, გვ. 107.

ვარელისა, მაგრამ მას მეტი განსჯა აქვს და უფრო მეტი შეგნება თავისი მდგომარეობისა.

ვაქამ სრულყოფილად მოგვცა აგრეთვე უძლიერესი გრძნობით შეპყრობილი მეფის ვაჟის სახე. გოდერძი მწყემსი ქალისადმი უდიდეს გრძნობას სწირავს თავის მეფურ დიდებას. ამ სახის სრულქმნით ვაქამ გაამახვილა ხალხურ ვარიანტებში მოცემული სოციალური მოტივი. გოდერძი იძლევა დახასიათებას მეფეთა შეუზღუდავი უფლებისას, რომელიც ძლიერი გრძნობის წინაშე ქედს იხრის. მოჯადოებული მეფის ვაჟი მწყემს ქალს გულახდილად უცხადებს:

ვხედავ და მივირს, მეფის ძე
მწყემსმა ვით დაიმონია
მივირს, რით დაიმორჩილე

ჩემი გული და გონია?
მეფე შენა ხარ... გაუქმდა
აფთის ძალა და ღონია¹.

ვაქას გოდერძი ებრძვის ძველ წეს-ჩვევებს. მას შეგნებული აქვს თავისი ღირსება. ის უარყოფს მშობლების მიერ შერჩეულს აკენიდანვე დანიშნული მეფის ქალს. არ ერიდება არც მამის მრისხანებასა და არც შეურაცხყოფილი მეფის შურისძიებას. უქმაცოფილო მშობლის საყვედურებს გოდერძი გაბედულად უპასუხებს და მის პასუხში ისმის პროტესტი იმ ტრადიციის წინააღმდეგ, რომლითაც ჩახშული იყო გრძნობა და საკუთარი გულისთქმა:

ნეტავი გამაგებინა,
იმით რა წავაგებინე,
რომ ცოლი ისე შავირთე,
მშობლებს არ გავაგებინე.
გაჩენის ნება თქვენ გკონდათ,
გავჩნდი და მე ვარ მეობით.

წადილი სხვა მაქვს და
გრძნობა.
გეკუთვნით მხოლოდ ძეობით.
რად გიკვიროთ, მე დავიწუნო,
რაც თქვენ გსურთ
ანარჩეობით².

გოდერძი ეთერთან შეუღლებით კარგავს ტახტის მემკვიდრეობას და ცალკე აიგებს სახლს.

ხალხური აბესალომი (ფშაურით — ელურსამელი) იძულებულია მურმანს დაუთმოს დასნეულებული ეთერი. ვაქასთან ეს მოტივი არ არის, პირიქით, ლოგინად ჩავარდნილი

¹ ვაქა-ფშაველა, ტ. III, გვ. 120 — 121.

² იქვე.

გოდერძი სიკვდილამდის ურყევია. ის არ სთმობს საყვარელ ქალს და კოშკში ჰყავს დამალული.

რა თქმა უნდა, გრძნობა ეთერისადმი ძლიერია ხალხურ აბესალომში, მაგრამ ვაჟას გოდერძი გრძნობის ურყევობით, სიმტკიცითა და სიფაქიზით, კიდევ უფრო სრულქმნილია.

განსაკუთრებული სიმკვეთრითაა ვაჟას პოემაში მოცემული მოლაღატე ვეზირის სახე. მართალია, ინიციატორი მოსიყვარულე ცოლ-ქმრის დაშორებისა მრისხანე მეფეა, ვეზირი კი საშუალება, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც არ ამკრთალებს შერეს უარყოფითს სახეს. მას თავიდანვე, ეთერის პირველ დანახვისთანავე —

გოდერძის შემოახედნებდა,
როგორც მოსისხლე მტერია!
და განზრახული ჰქონდა ღალატი:
მეფის ღალატი ჰყოიდა.

გარეთ არ იმჩნევს, გულში-კი
გულში ჩაუჯდა შერესა
ეშმაკი ღალატიანი².

შერე სარგებლობს შემთხვევით და კისრულობს შეასრულოს უღმობელი მეფის დავალება. ცბიერი ვეზირი მეფესთანაც მალავს ბოროტ გულის ნადებს, უმტკიცებს გულჩვილობას და თითქოს კიდევაც ექომაგება დაჩაგრულ ქალს:

მთა-კლდეთ გაზდილი მხეცებრივ
ერთი ბეჩავი ქალია,

თუნდა მე მამე, ნუ მოჰკლავ,
ცოდვია, შეიწყალა³.

თავისი მიზნის მისაღწევად შერე არ ერიდება ისეთი წამლის გამოყენებას, რომლის შემადგენლობა გულშემზარავია. გრძნეული ბებერი ასე უხასიათებს ვეზირს თავის წამალს:

ფეტვს მოგცემ დევთა ნათესა,
მოსულსა დევთა ქალადა;
ის ურწყავს სისხლსა კაცთასა,
დევთაგან ნახმარს წყალადა,
შიგვე დედის რძე ურევავ,
ქაჯთა, მაცილთა კვალადა.
შიგვეა ფერფლი იმ სულთა,

ჩვენ რომელიც გვხვდა წილადა,
ვინც თავის მეუფესთანა
გამოჩნდა განაწბილადა...
შიგვე ლაფია იუღის,
ქრისტეს გამცემის სულისა,
და ანაფხეკი სასყიდლად.
მის მიღებულის ფულისა⁴.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 114.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 123.

⁴ იქვე, გვ. 127.

განსაკუთრებით აძლიერებს შერეს უარყოფით სახეს სუ-
ლის გაყიდვის შემდეგ უკან გამომგზავრების აღწერა:

შერემ წამლები იშოვნა
და გამოსწია ღამითა,
ახმიანებდა კლდეებსა
ცხენის ნალების ჩქამითა.
უკან გამოჰყვა ალ-ქაჯის

წკნავილ-ღნავილი ხრამითა,
წოლროს გზას ზოუნათებდნენ
ქაჯნი კბილების ალითა,
მოსძახდენ: „ძმავო შერეო,
როდის-ღა გნახოთ თვალითა?!“

ვაჟა შეუდარებელია პირველყოფილ წარმოდგენათა გად-
მონაშთების აღწერაში. გრძნეული ბებრის შემზარავი სახე,
ღევების ლხინი „ულრანს უფსკრულში“, ფეტვის შემადგენ-
ლობა, შერეს მოგზაურობის აღწერა და სხვა არ არის მოცე-
მული მარტო იმ მიზნით, რომ შევიცნოთ წარმართული სამყა-
როს ბოროტი მხარეები. ყველაფერი ეს შესანიშნავი ხერხია
ბოროტ სულებთან დანათესავებული ვეზირის სახის სრულ-
ყოფისათვის. ვაჟა უღმობელია ბოროტი ვეზირისადმი. თუ
ხალხური მურმანი სულის გაყიდვით თითქოს აღწევს მიზანს
და მიყავს ეთერი, ვაჟას შერეს ეს არ ღირსებია. ის დაიტანჯა
სულის გაყიდვისთანავე. ვაჟამ ადრევე დასაჯა იგი, გაატარა
ღევთა საშინელ სამყოფელში, სადაც ღევებმა სულგაყიდულ
ვეზირს მისი მწარე ხვედრი მოაგონეს:

...ტვინთხელო
შერევ, სად მიეხეტები?
რატომ არ მოხვალ ვახშადა,

რომ თავში დაგცხოთ კეტება?
მაინც ხომ სული ჩვენ მოგვეც,
ხორცითაც ჩვენვე იარე?.

შერემ თითონაც იგრძნო საკუთარი მწარე ხვედრი, როდეს-
საც მიმართა ღევებს:

სული გეყოფათ, აესულნო,
ლეშს რალას მოეტანებით?
ცოტა ხანს კიდევ დამითმეთ,
მერე დაჰქერით დანებით,

თუნდ კუპრის ცეცხლში
ჩამაგდეთ,
დაძებით ჩემი წვალებით,
რო სულიც ხორციდან იწვოდეს,
გარშემორტყმული ალებით³.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 129.

² იქვე, გვ. 130.

³ იქვე.

„ცხრა მთას იქიდან“ დაბრუნებული სულგაყიდული ვე-
ზირი შურით შესცქეროდა ბრძოლის ველიდან მომავალს თა-
ვისი ქვეყნის ლაშქარს:

მაგრამ თავს ურიცხად ჰხედავს
ლაშქარში ჩასარევადა...

ქურდულად გამოიბარა
ცოლ-ქმრობის ასარევადა!

ბოროტ ვეზირს აწვალებს გაყიდული სული და ეს გარეგ-
ნულადაც ემჩნევა, როდესაც გოდერძის სიკვდილის წინ იბა-
რებს მეფე, ის

მოვიდა ნაცარივითა,
ფერ-გონი გამოჰლეოდა
შავეთში ნატარივითა¹.

ხალხური ვარიანტების მიხედვით, მურმანის ამქვეყნიური
მწვავე განცდა ხანმოკლეა. მან გაიგო თუ არა აბესალომისა და
ეთერის სიკვდილი, მაშინვე მოიკლა თავი და დაიმარხა მათ
შორის. ვაჟამ სიკვდილიც კი არ აღირსა შერეს. სიცოცხლე-
შივე დატანჯა, გააგჟია, დაამსგავსა მხეცსა და ნადირს, ხან
ისევ მოაქციინა და განაცდევინა საკუთარი თავის საშინელი
დაცემა. ბოლოს თვალებიც დაათხრევინა, და დატოვა ასე გა-
წამებული.

ხალხურ ვარიანტებში აბესალომის მამა ან სრულებით არ
არის გამოყვანილი, ან მხოლოდ ერთ მომენტში გვხვდება.
ყვარლის რაიონში ჩაწერილი ვარიანტით, მეფე პროტესტით
ხვდება შვილის მიერ წოდებრივი უფსკრულის გადალახვას.
აბესალომი ქორწილს დედის სახლში ესწრება². ამით კმაყო-
ფილდება ხალხური ვარიანტი. ვაჟას პოემით კი გურგენ მეფე
ლებულობს ზომებს შეყვარებული ცოლ-ქმრის დასაშორე-
ბლად. მათი სიკვდილის შემდეგაც მეფური წოდების თაყვა-
ნისმცემელი მამა ღრმად ავლებს სოციალურ ზღვარს რძალსა
და შვილს შორის, სოციალურ უთანასწორობას კუბოებითაც
ამქლავნებს: ეთერი უბრალო ხის კუბოში ასვენია, გოდერძი

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 133.

² იქვე, გვ. 135.

³ საუნჯე, ტ. I.

კი ძვირფასში. მეფის ბრძანებით, შეყვარებულ ცოლ-ქმარს ასაფლავებენ „ერთურთზე მოშორებითა“.

უფლებამოყვარე გურგენ მეფის სახე უადრესად სრულქმნილია ვაჟას მიერ. ამ ტიპის სრულქმნით ვაჟამ კიდევ უფრო გაამახვილა ხალხურ ვარიანტებში მოცემული სოციალური მოტივი.

ასეთ სურათს იძლევა ვაჟას პოემების შედარება მის ხალხურ წყაროებთან. დიდმა პოეტმა ხალხური სიუჟეტები, მოტივები და სახეები ისე გადაამუშავა, გააახლა და „გადაადნო საკუთარ სულიერ ქურაში“, რომ აიყვანა ახალ ესთეტიკურ საფეხურზე.

ეგნატე ნინოშვილი

ერთი შეხედვით ეგნატე ნინოშვილი ხალხური შემოქმედების არც შემკრები ყოფილა და არც თეორეტიკოსი. არა გვაქვს მწერლის მიერ ჩაწერილი მასალების კრებული, არც თეორიული ხასიათის წერილები ხალხური შემოქმედების შესახებ. როდესაც ეგნატე ნინოშვილის ხალხურ შემოქმედებასთან დაზოკიდებულებას ვეხებით, ძირითადად ხალხური ნაწარმოებების გამოყენების საკითხი ისმის. ეს არ არის ინტერესს მოკლებული ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიოგრაფიისათვისაც. ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში დაცულია ზოგი ისეთი ხალხური ნაწარმოები, რომელიც ამჟამად გამქრალია ზეპირსიტყვიერებაში და არც სხვა წყაროებით არის ცნობილი. საინტერესოა ისიც, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენებისას აშკარად ჩანს მწერლის თვალსაზრისი ამა თუ იმ უანრის რომელიმე ნაწარმოების შესახებაც. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ეგნატე ნინოშვილმა თავისი ხანმოკლე, მღელვარე სიცოცხლის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშობლიური ზეპირსიტყვიერების ფიქსაციის საქმეში. უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მან მშვენივრად იცოდა ხალხური შემოქმედების მნიშვნელობა და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის უფლებას გვაძლევს მის ნაწარმოებებში მოხდენილად გამოყენებული და ღრმად გააზრებული შესანიშნავი ნიმუშები ხალხური სიტყვიერებისა, მათი ტრადიციისა და შესრულების წესებისა. ეგნატე ნინოშვილი კარგად იცნობდა მშრომელ მასას, უშრეტ წყაროს ხალხური შემოქმედებისა. იცნობდა მთქმელებს და იცოდა მათი ადგილი ხალხში. გავიხსენოთ მისი პატარა მოთხრობა „კაცია და გუნებას“ დასაწყისი. სოფლის სამმართველოა წინ თავმოყ-

რილი გლეხები მამასახლისსა და მსაჯულს ელოდებიან. „გლეხებში, შუაგულ ადგილას, დიდ მორგვზე აჯდა მოხუცი ბეჟუკი, ფეხი-ფეხს გადადებული, თოვლსავით თეთრი წვერით, და გრძელ-ტარაიანი ჩიბუხით სწევდა თუთუნს — ხანდიხან ბეჟუკი შეაჩერებდა თუთუნის წევას და ჩაერეოდა ლაპარაკში.

გლეხები ბეჟუკის ლაპარაკის დროს სმენად გადაიქცეოდნენ — ბეჟუკი ან იხუმრებდა, იმახვილებდა რასმე და დიდხანს აცინებდა მსმენელს, ან რონელსამე მოკლე არაკს, ანდაწას, ან სხვა რა:მე ამისთანას იტყოდა.

ბეჟუკი უბრალო გლეხი იყო, მაგრამ ბევრის მნახველი, დიდი გამოცდილი ცხოვრებაში, ჭკვიანი, თავის სოფელში განთქმული ხუმარა-ენამახვილი და კარგი მოსაუბრე. უსწავლელი კაცის პირობაზედ, მშვენიერი ლექსის გამოთქმაც იცოდა. ამიტომაც, როგორც გლეხები, ისე იმ სოფლის თავადაზნაურობაც დიდ პატივსა სცემდა ბეჟუკის¹.

ხალხური შემოქმედებისადმი დამოკიდებულების საკითხში ეგნატე ნინოშვილი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გზას მიყვებოდა. მისთვისაც ხალხური შემოქმედება პროგრესული იდეების ღრმად დანერგვის, უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის, ადამიანთა უფლების დაცვის, მის საყვარელ გმირთა და უარყოფითი ტიპების შინაგანი, სულიერი სამყაროს, ხალხის ყოფა-ცხოვრების სრულქმნილად ასახვის ერთ-ერთი საშუალება იყო. ეგნატე ნინოშვილმა ხალხური შემოქმედების საშუალებით მკვეთრად გამოსატა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობა.

ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაში, პუბლიცისტურსა თუ სხვა ხასიათის წერილებში გამოყენებულია სხვადასხვა ჟანრის ხალხური ნაწარმოებები. მწერალმა ზედმიწევნით იცოდა ხალხური შემოქმედების თავისებურება. დიდად აფასებდა მის ღრმა შინაარსს. ესმოდა მისი სოციალურ-პოლიტიკური, ესთეტიკური და ისტორიული ღირებულება.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში დიდი რაოდენობით

¹ ეგნ. ნინოშვილი, მოთხრობები, სახელგამი, 1947. გვ. 378—379.

არის ჩართული ანდაზები. ფოლკლორის ამ თავისებური უნ-
რის ნაწარმოებებით, მოკლე, მაგრამ მოხდენილი სახეობრივი
მზაფორმულებით მწერალმა გამოხატა მშრომელი ხალხის
ძნელბედობა ბატონყმობის დროს და 90-იან წლებში სამრე-
წველო კაპიტალიზმის ზრდასთან დაკავშირებით; ჩაგვახედა
თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმით განაწამებ გურული
გლეხების გულში; გაგვაცნო უსამართლობასთან შეური-
გებელი მათი მემბოხე სული; ასახა თავადაზნაურობის
სწრაფი დაკნინება; დაახასიათა სინდისზე ხელაღებული კუ-
ლაკების ტიპები. ანდაზების ამგვარი გამოყენებით რევოლუ-
ციონერ-დემოკრატიკმა მწერალმა შეურიგებელი ბრძოლა გა-
მოუცხადა ღარიბი გლეხობის ყვლეფას და არაადამიანურ ჩაგ-
ვრას მემამულეებისა, კულაკებისა და თვითმპყრობელური
ბიუროკრატიის მიერ; ბრძოლა გამოუცხადა სოციალური
ჩაგვრის შედეგად გლეხების ერთი ნაწილის გონების დაჩლუნ-
გებას და შერიგებას თავის ბედთან. ანდაზების საშუალებით
მწერალი მკაცრად აკრიტიკებდა მოძველებულ წესჩვევებსაც.

გავრცელებულ ქართულ ანდაზას „ქურდს რა უნდა ღა
ბნელი ღამეო“ ეგნ. ნინოშვილმა ისტორიულ რომანში „ჯანკი-
გურიაში“ ღრმა სოციალურ-პოლიტიკური გააზრება მისცა.
იგი ნათქვამია ცბიერ ხასან-ბეგ თავდგირიძის მიმართ, რო-
ნელმაც გადასახადით აღელვებული გურული გლეხები ოსმა-
ლეთის ხონთქრის გულის მოსაგებად რუსეთის წინააღმდეგ
ამხედრა¹. ამ მოხდენილი მზა ფორმულით მწერალი პრო-
ტესტს უცხადებს, ერთის მხრივ, თვითმპყრობელურ ბიურო-
კრატიას, მეორეს მხრივ — პოლიტიკას ქობულეთელი და აქა-
რელი ბეგებისას, რომელნიც, მწერლის სიტყვებით, „ბარბარო-
სი ოსმალეთის ხედრად გამხდარნი“ იყვნენ².

თავადაზნაურული წოდების დაკნინებაა ნაჩვენები ამავე
რომანის მიხედვით ახდაზით „ამღვრეულ წყალში თევზი-
უფრო დაიჭირებაო“. ეს ათქმევინა მწერალმა ივანეს მის.

¹ ეგნ. ნინოშვილი, მოთხრობები, გვ. 25.

² იქვე, გვ. 23.

ერთგულ, ბოროტ ყმასთან კოზიასთან მსჯელობისას, როცა უკანასკნელმა აჯანყებისთვის მზადებასთან დაკავშირებით განაცხადა: „გაფიგონია შენ, აბდალავ, ამღვრეულ წყალში თევზი უფრო დეიჭირებაო! ქვეყანა პაწას ვირ-დვირევა და ჩვენც რამეს გამოვლელტ“... „... ქვეყანა თუ დაწყნარდა და დაქკუიანდა, ბატონები შიმშილით მოკტება“¹. იმავე ანდაზას მახვილი პოლიტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული პუბლიცისტურ წერილში „საბაასო“. იგი მიმართულია თვითმპყრობელური ბიუროკრატიის წინააღმდეგ. მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს: „...„ფირალის“ მდევარნი, რომლებიც ისე თავგამოდებული არიან „პრაპორჩიკობის“ და „ორდენების“ მიღებისათვის, არ იმსხვერპლებენ ალაღმართალ ადამიანს თავიანთი მიზნების მისაღწევად? ჯერ არ შეუწყობენ ხელს რომელიმე გოგითის, ან დარჩიას „გაფირალებას“ და... მერე არ დაუწყებენ დევნას — მოვკლავთ და „ჩინს“ მოგვცემენო? დავიჯეროთ, რომ „პრაპორჩიკობის“ და „ორდენების“ გულისთვის „ფირალების“ მდევარი ადამიანები ძალად არ ამღვრევენ წყალს — მღვრიე წყალში თევზს უფრო დავიჭერთო“² ბატონყმობის მკაცრი კრიტიკის საშუალებადაა გამოყენებული ანდაზა „ალი-ხოჯა და ხოჯა-ალი ერთი და იგივეა“ რომანში „ჯანყი გურიაში“. ამ ანდაზით მწერალი აღნიშნავს მშრომელი ხალხის ყვლეფას როგორც ავი, ისე კეთილად მიჩნეული ბატონების მიერ³. ამავე დროს მასში ნათლად ასახულია ქართველი ხალხისა და კერძოდ თვით ეგნატე ნინოშვილის დიდი სიძულვილი აგრესორ ოსმალების მიმართ. ამავე რომანის მიხედვით გიორგის ბინაზე მსჯელობისას გლეხთა არაადამიანური ჩაგვრა როგორც ბატონყმობის, ისე თვითმპყრობელური რეჟიმის დროს მკვეთრად გამოხატულია სიმონას პირით ნათქვამი ანდაზით „ვასი გავეყარე და ვუის შევეყარე“⁴. თავადაზნაურთა გამყვლეფური ბუნება არის მხი-

¹ მოთხრობები, გვ. 36.

² ეგნ. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, სიმ. ხუნ. დამის რედ., 1935, გვ. 43.

³ მოთხრობები, გვ. 18.

⁴ იქვე, გვ. 102.

ლებული ამ რომანის გმირის მათხოვარა პეტრია სალოსის ნათქვამით. „ქურდის ქურდი ცხონებულიაო“, როცა დიდკაცებმა ბას უსაყვედურეს უქმად დროს ტარება და მათი ნახუფრალის ჭამა¹. მშრომელი ხალხის მწარე ხვედრია ნაჩვენები ბესიასა და მანას მშობლების შესახებ გულოს ნათქვამით: „დამწვარზე მდულარე გადაასხესო“. ბესიას სიკვდილი რომ გაიგეს მშობლებმა, მაშინ დაეძებდნენ დაკნინებულ თავად-აზნაურთა ნაშიერების მსხვერპლს — დაკარგულ მანას², ამავე ანდაზით თანაუგრძნო მწერალმა „სიმონას“ მიხედვით ძალადის ქვრივს ქეთევანს, რომლის ვაჟი აიძულეს გაფირალებულიყო და ქალი მაგდანა-კი, მსხვერპლი გლეხთა სიბნელისა, დაიკარგა³.

მშრომელთა მეზრძოლი ნებისყოფა გამოხატულია მარინეს სიტყვებით მისი ქმრის გოგია უიჭილის მიმართ: „ჭირს ქვის კედელსავით უნდა შეხთეო“. „ვეფხისტყაოსნიდან“ გავრცელებულ ამ ანდაზას მარინე „ჭკუიანის ნათქვამს“ უწოდებს⁴.

გლეხთა მეზრძოლი ნებისყოფის გამომხატველია სიტყვის მასალებიც. ანდაზიდან წარმოშობილ სიტყვის მასალით „კაცია და გუნება“ (მიღებულია ანდაზიდან „კაცია და გუნებაო, ჩოხის ატლაკუნებაო“) დაასათაურა მწერალმა პატარა მოთხრობა. ამას ათქმევენიებს მის მიერ ცოცხლად დახატულ მთქმელს ბეჟუკის. ბეჟუკა უამბობს მსმენელებს ბატონყმობის დროის სამარცხვინო ამბებს — კერძოდ გაროზგვის შემთხვევებს. მთქმელი იგონებს გლეხთა სხვადასხვა ტიპებს: დათიკელას, რომელიც გაროზგვის შემდეგ ბატონის ყურმოჭრილია მონა გახდა; ბესიკელას, რომელიც სასტიკი სასჯელის შემდეგ დაჩობანდა; ლევანიკას, რომელმაც ქედი არ მოუხარა უსამართლობას და თავი შეაქლა. მთქმელი ასე ამთავრებს ნაამბობს: „ასეა, ჩემო ბიძია, კაცია და გუნება! ქვეყანაზე დათიკელაისთანაიც — ბევრია, რომ გაროზგეს და მერე შეშინდა, ბესიკელაისთანაიც, რომ დაგლახაკდა და ლევანიკაისა-

¹ მოთხრობები, გვ. 70.

² იქვე, გვ. 168.

³ იქვე, გვ. 256.

⁴ იქვე, გვ. 191.

ნაიცი, გაბათილებას რომ სიკვდილი ურჩევნია...! უსამართლობისადმი მშრომელთა შეურიგებლობაა გამოხატული მოსე მწერლის მოლოდინში მამასახლისის მისამართით გლეხის ნათქვამით: „ხახვი არ დამაჭრას თავზე“²-ო.

თვითმპყრობელური ბიუროკრატიისა და დაკნინებულ თავადაზნაურთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად აქვს გამოყენებული ანდაზები ეგნ. ნინოშვილს პუბლიცისტი წერილებშიც, სადაც მსჯელობს სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ საკითხებზე. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მატარებელთა ბანაკიდან იგი არ ზოგავდა იდეალისტ რომანტიკოსებსა და არქაისტებს, რომელნიც მისტიროდნენ წარსულს და ბატონყმობის აღდგენა „ქართული ოჯახების“ დაბრუნების საშუალებად მიაჩნდათ. მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად ანდაზების გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოა წერილი „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“. ეგნატე ნინოშვილი ეკამათება Plebs-ს, რომელსაც საქართველოს ეკონომიურად გაძლიერების საშუალებად „უფროსთა“ (თავად-აზნაურების) გამდიდრება მიაჩნია. ეგნატე მიუთითებს, რომ მართო „უფროსნი“ არ შეადგენენ ერს. მწერალი ცხარედ ეკამათება Plebs-ს გავრცელებულ ანდაზებში რეაქციული აზრის გამოხატვის გამო: „მართალია ბ. Plebs-ი ადვილად იშორიებს ამ კითხვას თავიდან ერთი გაცვეთილი ანდაზით: „ღვინო არსად იყო, და გუდას ალბობდენო“, ვითომ და, ჯერ რა დროს „უმცროსებზე“ ლაპარაკია, „უფროსნი“ არ განდიდრებულანო, აცათ, ჯერ ეგენი (უფროსნი) დამდიდრდნენ და შემდეგ ნახეთ, თუ „უმცროსნი“ არ გავიხსენოთო, მაგრამ ვერ დავუჯერებთ ბ-Plebs-ს. მისი სიტყვით, ჯერ სიმდიდრე არსად არის, მაგრამ მაინც კი აილო ბ-ნმა Plebs-მა და „უფროსებს“ და მათ ძაღლებს არგუნა. ნუთუ წარმოსადგენია ამას შემდეგ, რომ როცა სიმდიდრე გაჩნდება და „უფროსნი“ და მათი ძაღლები დაისაკუთრებენ, „უმცროსთ“ გაუყონ?! არა, ბ-Plebs, უმჯობესია, ამთავითვე,

¹ მოთხრობები, გვ. 387.

² იქვე, გვ. 395.

ისე მოვამზადლოთ გულები, რომ, როცა ღვინოს შევიძენთ „უფროსებსაც“ და „უმცროსებსაც“ ჰქონდეს ნება მისი სმისა, მით უმეტეს, რომ „უმცროსებს“ ყოველთვის უფრო დიდი შრომა ხვდება წილად ღვინის შეძენის დროს“. მწერლის მეტროპოლი სულისკვეთებაა გამოხატული ამავე წერილში მეორე ანდაზით: „ასე, ჩემო მკითხველო, ცალმხრივი სიმდიდრე ნუ გაგახარებს, სანამ გულები ისე არ იქნება მომზადებული, რომ ყველა გამრჯელს შეეძლოს იმისაგან ღვინის სმა. იქნება გვითხრან: რაც უნდა იყოს, მაინც უნდა გიხაროდეთ, რადგანაც ქართველი კაცი, შენი მოძმე, გამდიდრდებაო. ვერაფერი ნუგეშია, ჩემო კარგო, თუ კი ჩვენ, „უმცროსნი“, შიმშილით დავიხოცებით. ჩვენებური ანდაზაა: „თუ შემჭამს, გინდა შავი ტყის მგელს შეუჭამივარ და გინდა შინაურ ძაღლსაო, მაინც შეჭმა და შეჭმიაო“¹.

თვითმპყრობელური ბიუროკრატის წინააღმდეგ არის მიმართული ანდაზები და სიტყვის მასალა „მიდის, მოდის. იქვე-კი სდგასო“, „საქმეს წაახდენს რეგენი, ფათერაკს დააბრალებსო“, „სოფელი ქრელია“ — კორესპონდენციაში „წერილი გურიიდან“²; ამავე მიზნითაა გამოყენებული ანდაზა: „ერთი ცხვრისკენ თქვი, მეორე მელიისკენაო“ — წერილში „ხმა გურიიდან“³.

უარყოფითი ტიპების — ტარიელ მკლავაძისა და მისი ამხანაგების, ტიტუკო დროიძისა და სხვათა სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით მწერალს გამოყენებული აქვს უხეში კლასიური ბუნების ანდაზებიც. „სანეხვეზე ვარდი ამოვაო“, აზბობს გარყვნილი, ფუქსავატი ტიტუკო დროიძე პატიოსანა, გაძრჯე გლუხის სიმონა ძალაძის ლამაზი ცოლის დარიას შესახებ⁴; „ძალა აღმართს ხნავსო“, უთხრა სოფლებში მოპარპაშე მეფის მოხელეთა შესახებ ნაცვალმა გოგია უიშვილს, როცა უკანასკნელმა უარი თქვა სამ დღეში თუმნის გადახდა-

¹ ეგნ. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, გვ. 65 — 66.

² იქვე, გვ. 28 — 30.

³ იქვე, გვ. 26 — 27.

⁴ მოთხრ., გვ. 231.

ზე¹, „ნუ დაუყრი ღორს მარგალიტსო“, ეუბნება თავადს ცრული მოსამსახურის შვილის, მათი აღზრდილის გიორგის შესახებ²; „ძალი ძაღლის ძვალს არ გატყვერსო“, ამბობს მაშო ძველისენიძე და ამით ამართლებს მისი გარყვნილი ძმის მხეცური მოქმედების დაფარვას³; „კატა ისე უნდა დაიჭირო, რომ ბრჭყალი არ გაგკრასო“, აფროთხილებს ამხანაგებს ზნედაცემული დათიკო, ტარიელ მკლავაძისთვის დესპინეს გატაცების წინ⁴.

სოციალური ჩაგვრის შედეგად მშრომელთა წრის ზოგი წარმომადგენელი კარგავდა მებრძოლ ნებისყოფას და ურიგდებოდა მწარე ხვედრს. ზოგს ისე ჰქონდა გონება დაჩლუნგებული, რომ სოციალური ბოროტება გარდაუვალ კანონდაც კი მიაჩნდა. ეს გარემოება ნათლადაა ნაჩვენები „ჯანყი გურიაში“ პეტრია სალოსის ნათქვამი ანდაზებით: „ბატონებს წელი სტკენია და ყაზახები ტიროდნენ, რომ დაიხოცონ, რალა გვეშველება, უბატონოდ დავრჩებით-მეთქი“⁵; „გლეხი კაცი სიხარულში მოკვდებაო“⁶.

ფოლკლორის ამ მცირე ჟანრის ნაწარმოებთა საშუალებით დასურათებულია წარსულში მრავალგვარი უსამართლობით შევიწროებულ გლეხთა ყოფა. ნინოშვილის ნაწერებიდან ვეცნობით იმასაც, თუ რა მძიმე ტვირთად დააწვათ გურულ გლეხებს მეფის სამსახურისთვის სალდათად გაწვევა. „მოსე მწერალის“ მიხედვით სალდათად გაწვეული ოქრუა გაფირალემაზე ფიქრობს. სოფონა მოაგონებს უფროს ძმას, თუ რა მწარე ხვედრი ელის მას ამ გზაზე სიარულით, „ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაირჩობაო“, ეუბნება იგი ძმას⁷. „შედლეული პური ძაღლმა არ ჰამაო“, ამბობს იგივე სოფონა გულის ტკივილით, როდესაც გაუძნელდა მისი კარგი ხარების გაყიდ-

1 მოთხრობები, გვ. 183.

2 იქვე, გვ. 190.

3 იქვე, „ქრისტიანე“, გვ. 348.

4 ეგნ. ნინოშვილი, მოთხრ. „ჩვ. ქვ. რაინდი“, გვ. 490.

5 იქვე, „ჯანყი გურიაში“, გვ. 71.

6 იქვე, გვ. 182.

7 მოთხრ. „მოსე მწერალი“, გვ. 550.

ვა, რის საშუალებითაც ფიქრობდა ძმის დახსნას სალდათობი-საგან¹. გავრცელებული ანდაზით არის გამოხატული მეფის მოხელეთაგან შეწუხებულ გლეხთა უნუგეშო ყოფა წერილში „ხმა გურიიდან“. ყაჩაღობის აღსაკვეთად საყარაულო გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ასეთის წესით ყარაულობის შემოღება ჩვენში წყალწაღებულის კაცის ხავსისთვის ხელის წაღებაა“².

ეგნ. ნინოშვილის ნაწერებში გაკრიტიკებულია ისეთი შეხედულებანი და ჩვევანი, რასაც ზიანი მოჰქონდა ხალხისთვის. მოვიგონოთ „პარტახიდან“ ზალიკა ნარიშვილის შეხედულება ქორწინებაზე. ზალიკას მიუღებლად მიაჩნდა ქალ-ვაჟისაგან თავისუფალი არჩევანი, რადგანაც, მწერლის სიტყვებით, „მას თავის დღეში ასე ენახა და გაეგონა: მშობლები მონახვევნი ვაჟიშვილისათვის საცოლოს და ქალიშვილისათვის — საქმროს“. მწერალმა დაგვანახა, რა დიდი ტრაგედია მოსდევდა ასეთ შეხედულებას. გვამცნო ისიც, რომ ზალიკა ნარიშვილსა და სხვებსაც ამართლებდა რწმენა, რაც ასეა გამოხატული ანდაზაში: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“³. ამავე ანდაზით ხსნის მწერალი „გოგია უიშვილის“ მიხედვით ეგზეკუციის მიერ სულშეხუთულ გლეხთა საკალანდრო მზადებას⁴.

მრავალი ანდაზა განოიყენა ეგნ. ნინოშვილმა ადამიანთა განცდების, მათი შინაგანი სამყაროს გასაცნობად. ამ ანდაზებს ღრმა ფილოსოფიური გააზრება აქვს მის შემოქმედებაში. მაგალითები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოყვანილიც ცხადყოფს, ფოლკლორის ამ თავისებური, მარტივი, მაგრამ მოქნილი ჟანრის საშუალებით, მწერალმა თუ რა მრისხანედ აღიმალა ხმა მშრომელი ხალხის დასაცავად.

პროგრესული იდეების დანერგვის მიზნით, ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში ჩართული და გამოყენებულია რთული

¹ მოთხრობები, „მოსე მწერალი“, გვ. 551.

² თხზ. სრ. კრებული, ტ. III, გვ. 25.

³ მოთხრობები, გვ. 406.

⁴ იქვე, გვ. 189.

ქანრის ფოლკლორული ნაწარმოებებიც. საყურადღებოა „ჯანყი გურიაში-ს“ მიხედვით სიმონის მიერ მანასთვის ნაამბობი ანეგდოტით დიდგვარიანობის გამასხარავება. გლეხის ქალს მანას საეკვოდ მიაჩნია აზნაურ სიმონთან შეუღლების საკითხის კეთილად მოგვარება ღათ შორის არსებული წოდებრივი სხვაობის გამო. სიმონი უამბობს მანას გავრცელებულ ანეგდოტს დედოფლის სამარცხვინო საქციელის გამო. დედოფალი სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოიყვანა სიმონის წინაპარმა, რომელმაც დაიბრალა სამარცხვინო საქციელი. ამისთვის დედოფალმა მას აზნაურობა უბოძა. „ჩვენს გარდა კიდევ ძაან ბევრს აქ ამისთანა ახირებული რამეით ნაშოვარი ბატონობაო“, — უთხრა სიმონმა მანას¹.

* *

ეგნატე ნინოშვილი დიდად აფასებდა ხალხური სიტყვიერების ისტორიულ ღირებულებას. ეს ჩანს რომანის „ჯანყი გურიაში“ შექმნის ისტორიიდან. განსვენებულ პროფ. სიმონ ხუნდაძეს მოცემული აქვს ამ რომანის შექმნის ისტორიის დაღვენის დამაჯერებელი ცდა. რომანის წყაროების საკითხთან დაკავშირებით სიმონ ხუნდაძე წერს: „ერთადერთი დაუშრეტელი წყარო, რომელმაც ეგნატეს მდიდარი მასალა მისცა 1841 წლის გლეხთა გრანდიოზული მოძრაობის შესახებ და აამეტყველა მისი შემოქმედებითი ენერგია, — ეს იყო უშუალოდ ხალხსა და ნაცნობ-მეგობრებში შეკრებილი ცნობები. იმ ხანებში, 80-იან წლებში, ჯერ კიდევ ბლომად იყვნენ გურიაში 1841 წლის აჯანყების მომსწრენი და მონაწილენი და ხალხშიაც წარუშლელად ცოცხლობდა ზოგონება ამ უჩვეულო მოძრაობასა და მისი მოქმედი პირების შესახებ. ეგნატეზაც ამ ცოცხალსა და უშუალო წყაროს მიჰმართა და იქედან ამოჰკრიფა უმთავრესად მასალა და ცნობები თავისი რომანისათვის. თუ ოფიციალური დოკუმენტები თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი მთავრობის თვალსაზრისით აშუქებდნენ საქმის ვითარებას, უშუალოდ ხალხში დარჩენილი გადმოცემებით შენახული ცნობები, მოძრაობაში მონაწილეთა

¹ მოთხრობები, გვ. 15.

და დამსწრეთა ნაამბობში უბრალოდ, მაგრამ სინამდვილით აშუქებდნენ მას, რამაც გურიის ხალხის ეს გიგანტური ბრძოლა გამოიწვია და რისთვისაც ეს ენერგიული ხალხი იბრძოდა. აი, აქ ჰპოვა ეგნატემ დაუშრეტელი წყარო თავისი რომანისთვის¹. სიმონ ხუნდაძეს იქვე მოყავს სხვადასხვა პირთა მოგონებები და ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ კრებდა ეგნატე ნინოშვილი ხალხში მასალებს რომანისათვის. ერთი მოგონებით, ეგნ. ნინოშვილი თავის რომანზე მუშაობის პროცესში „დადიოდა ხალხში, ჰკრებდა ცნობებს აჯანყების მონაწილეებში, აგროვებდა ფაქტიურ მასალებს და სხვა“². მეორე პირს ს. ხუნდაძის დავალებით შეუკრებია ცნობები ეგნატე ნინოშვილის შესახებ. მას მოყავს გურიაში გავრცელებული ხალხური ლექსები რომანში გამოყვანილი პირების — ამბაკო შალიკაშვილის, ათარმიზა თოიძის, ბრუსილოვის და ლევან დადიანის შესახებ და დასძენს: „ესა და სხვა ამისი მსგავსი ლექსები და გადმოცემები ბევრი იყო, ამავე დროს, მე თუ მოვესწარ, ცხადია, ეგნატე მით უმეტეს უფრო მოესწრო და პირისპირ გაეცნო ჯანყის მონაწილე პირებს, მათი პირიდან მოისმინა ჯანყის ამბავი. მერე რა გატაცებით იცოდენ ამ მოხუცებმა ჯანყის სხვადასხვა ეპიზოდის გადმოცემა“³. სიმონ ხუნდაძეს მართებულად აქვს აღნიშნული, რომ 1841 წლის მოძრაობის შესახებ ბოლოდრომდე არის გავრცელებული ზეპირგადმოცემები. ამას ადასტურებს ი. მეგრელიძის მიერ სტუდენტობის დროს ჩაწერილი მასალები⁴.

თვით რომანიდანაც ჩანს, რომ ეგნატე თვალყურს ადევნებდა და უსმენდა აჯანყების მონაწილე და მომსწრე პირებს. რომანში აღნიშნულია: „აჯანყება გლეხების ხსოვნაში აჩრდილივით დარჩენილიყო — მათ და მათ მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკებისა, რომელსაც ხანდახან ზღაპარივით უამბობდენ თავიანთ ცოლ-შვილს“⁵. ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს აგ-

¹ თხზ. სრ. კრებ. ტ. III, გვ. 288.

² იქვე, გვ. 289.

³ იქვე, გვ. 291.

⁴ იქვე, გვ. 288.

⁵ მოთხრობები, გვ. 171.

რეთვე მწერლის სწორი თვალსაზრისი საისტორიო ნაწარმოებ-
თა წარმოშობის საკითხზე. იქვე საინტერესოა დაკნინებულ
ბატონთა უსულგულობისა და ზოგი გონებაჩლუნგი გლეხის
შესახებ არსებული გადმოცემის შესრულების გარემოს აწერა¹.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეგნატე ნინოშვილი საი-
სტორიო ნაწარმოებებს სიფრთხილითა და სერიოზულობით
ეკიდება. აღნიშნავს, სჯერა ნაწარმოებში გადმოცემული ამბის
სინამდვილე, თუ საექვოდ მიაჩნია იგი. ეგნატე ნინოშვილმა
მშვენიერად იცის საისტორიო ნაწარმოებთა სპეციფიკა. იცის
მათი შეფასება თვით ხალხის მიერ. საყურადღებოა მის მიერ
გამოყენებული თამარ მეფის ციკლის თქმულება „ნაქოშარ-
ზე“. აღ. ხახანაშვილის მიერ ფიქსირებული ამ თქმულების
იმერული ვარიანტის მიხედვით ლეგენდას პატრიოტული ხასი-
ათი აქვს. იგი ირანის შაჰის წინააღმდეგ თამარ მეფის ბრძო-
ლის ამბებს ასახავს. იმერული თქმულებით ირანის შაჰის
წინააღმდეგ ამხედრებულ თამარის ლაშქრის მრავალრიცხო-
ვან ქალთა ქოშებიდან ჩამოცლილი ტალახისაგან გაჩნდა ბორ-
ცვები, რასაც „ნაქოშარი“ უწოდეს².

ეგნ. ნინოშვილის ვარიანტით „ბატონი თამარი თურმე
ჩამობრძანებულა გურიაში, დაბრძანებულა ღამის გასათევად
ჩვენს სოფელში. დილაზე, წასვლის დროს, მის ამაღა ქალების
ქოშები დაუფხეკიათ, ის მონაფხეკი მიწა ისე ბევრი ყოფილა,
რომ იმისგან გორა გაკეთებულა. ბატონ თამარს შეუხედავს
გორაკისთვის და უბრძანებია თავის კალატოზებისათვის: ამ
გორაკზე საჩქაროდ ეკლესია ააგეთო“³. მწერალს ხაზგასმული
აქვს წარსულში ქართველი ხალხის დამახასიათებელი, ძველ
ნაგებობათა თამარ მეფის სახელთან დაკავშირება. მწერალი
აღნიშნავს, რომ ამგვარი თქმულებანი ხალხს უტყუარ სინამ-
დვილედ მიაჩნდა. იქვე იგი გვაცნობს მის საკუთარ შეხედუ-
ლებებსაც: „ეს კია, რომ ხალხი ვერავითარ დასამტკიცე-
ბელ საბუთს თავის ნათქვამის შესახებ ვერ გაჩვენებდა. იმათ

¹ მოთხრობები, გვ. 171.

² А. Хаканашвили. Очерки по истории грузинской словесности,

1. I, стр. 287—288.

³ მოთხრ. „ჯანყი გურიაში“, გვ. 18.

ვისგანდაც გაეგონათ, თურმე ეგრე ყოფილაო. და, როგორც ყველა უსწავლელი ხალხი, რომელსაც რაც-კი ძველადგან გაუგონია, ყველა სიმართლე ჰგონია, ამათაც დაეყინა: ეგრეა და ეგრეო¹. თამარ მეფის სახელთან ნაგებობათა დაკავშირება აღნიშნულია „სიმონაშიც“. იქვე ვეცნობით მწერლის შესედულებას ამგვარ გადმოცემებზე². ეგნ. ნინოშვილს მხედველობიდან არ გამოორჩა ის გარემოებაც, რომ ხალხის საყვარელი გმირი ხშირად სიცოცხლეშივე ხდება ლეგენდარული. ხალხი მას ზებუნებრივად წარმოიდგენს. გავიხსენოთ მწერლის სიტყვები სიმონა ძალაძის მიმართ: „ხალხში ხმა იყო გავარდნილი, რომ სიმონას ტყვია ვერას ავნებსო“³. ეს ხომ ქართულ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციული მოტივია. მოვიგონოთ თქმულებანი ვახტანგ გორგასალზე, რომელთა მიხედვითაც მას მტრის იარაღი ვერა ვნებდა⁴ ხალხური სიტყვიერების ამ ტრადიციული მოტივით მწერალმა გვაჩვენა ხალხის საყვარული სიმონა ძალაძისადმი.

ცნობილია, რომ საგვარეულო გადმოცემებში მეტწილად გაზვიადებულია წინაპართა ამბები. მუქთახორა, მშრომელი ხალხის მყვლეფელ თავადაზნაურობისადმი დიდი სიძულვილი გამოხატა მწერალმა ამგვარი გადმოცემით. მწერალი ასე გადმოგვცემს და აფასებს მკლავაძეთა საგვარეულო გადმოცემას: „ამბობენ, ძველ დროში დიდი სამსახური გაუწევია მამული-სათვის მკლავაძეების კაბუკებს, მედგრად ებრძოდენ მამულზე მოსულ მტრებსაო. რა მოგახსენოთ, იქნება მართალიც იყოს, რომ მკლავაძეების წინაპრებს მტერთან ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა გამოეჩინოთ, მაგრამ უფრო ნამდვილად კი ის ახსოვს ხალხს, რომ მკლავაძეების რაინდები სუსტებს და ხელქვეითებს ანადგურებდენ და აწიოკებდენ“⁵.

ეგნ. ნინოშვილის ნაწერებიდან ვეცნობით საინტერესო თქმულებებსა და გადმოცემებს გეოგრაფიულ ადგილებთან

¹ მოთხრ. „ჯანყი გურიაში“, გვ. 18.

² მოთხრ. გვ. 240.

³ იქვე, გვ. 255.

⁴ „დროება“ 1885, № 25; „მოგზაური“, 1901, № 3.

⁵ მოთხრ. „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, გვ. 465.

დაკავშირებით. მწერალს დაცული აქვს მეტად საინტერესო ვარიანტი პალიასტომის ტბაზე არსებული ლეგენდისა. არსებულ ჩანაწერებთან შედარებით¹ ეგნატე ნინოშვილის ვარიანტის შინაარსის განვითარება უფრო ლოგიკურია. სინამდვილეა თუ არა ლეგენდაში გადმოცემული ამბავი, ამის შეფასებაზე მწერალი თავს იკავებს: „ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენად მართალია, ამისი-კი რა მოგახსენოთ“². მწერალს გადმოცემული აქვს აგრეთვე პალიასტომის ტბის სადადიანოდ გახდომასთან დაკავშირებული თქმულება, რომელიც სხვა წყაროებით ჩვენთვის არ არის ცნობილი. ამ თქმულებით გურიელი დაექვებულა დადიანის ღალატში, თავი მოუკვეთია მასთან მძევლად მყოფი დადიანის შვილისათვის. ახალ წელს, გლეხის ხელით მიურთმევეა მამისთვის შვილის თავი. მწერლის გადმოცემით: „დადიანს თავისი შვილის სისხლში გურიელისაგან პალიასტომის ტბა აუღია“.

საინტერესოა აგრეთვე „ჯანყი გურიაში“ ჩართული თქმულებები შავი ზღვის ახლოს ჯიხურის აშენებასა და სოფ. გრიგოლეთის სახელწოდების ხალხურ ეტიმოლოგიაზე³.

მოთხრობაში „განკიცხული ოჯახი“ მწერალს ჩართული აქვს ლეგენდა წელიწადის თვლასა და საკალანდო ჩვეულებების შემოღებაზე. ეგნატეს დროს გურიაში გავრცელებული ეს საინტერესო ლეგენდა დღეს უკვე აღარ გვხვდება ზეპირსიტყვიერებაში. იგი არც სხვა ჩანაწერებით არის ჩვენთვის ცნობილი. ამგვარი ლეგენდები საერთოდ მოხუცების რეპერტუარში შედიოდა. მწერალიც საახალწლო მზადების აწერისას მოხუცის პირით ასე გადმოგვცემს მის შინაარსს: „— იცი, შვილო, ზვალინდელ დღეს, თურმე, ივლიანე განდგომილი გამეიარს ქრისტიანობის დასაქცევად. წმინდა ბასილე ვევედრებოდა ღმერთს, დეიფარე ქრისტიანის ქვეყანაო. ღმერთმა შეისმინა წმინდა ბასილის; უხილავი ხელით მოხვთა ორივე გვერდებში ღვთის პირიდან გადავარდნილ ივლიანე განდგომილს

¹ ფოლკლ. არქ. № 7375.

² მოთხრ. „პალიასტომის ტბა“, გვ. 281.

³ მოთხრ. გვ. 119 — 120.

ქანგები და, ფეხიც აღარ მოუცლია, ისე მოკტა. მაშინ წმინდა ბასილემ გამოუცხადა ქვეყანას — წელიწადის თვლია დღეიდან დღიწყეთ და სამანსოვროთ ჩემგან ნაკურთხი ღორი დაკალითო¹.

გლეხკაცობის გაუნათლებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად მწერალი შესანიშნავად იმარჯვებს ტრადიციული ფოლკლორის იმ თავისებურ უბანს, რასაც ცრურწმენის საფუძველზე შექმნილი თქმულებები და ლეგენდები შეადგენენ. საინტერესოა ამ მხრავ „ჯანყი გურიაში“ ჩართული ლეგენდები წმიდა გიორგის ხატის სასწაულებზე²; „სიმონაში“ მოყვანილი ლეგენდა გიორგობას ქარების ბრძოლაზე³ და სხვები. გაუნათლებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად ამჯვარ თქმულებებს მწერალი იყენებს იუმორისტულ ფელეტონსა და კორესპონდენციებშიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა იუმორისტული ფელეტონი „გურიის ამბები“. ფელეტონის მიხედვით მიწისძვრისაგან შეშინებულმა ლანჩხუთის ერთმა მცხოვრებმა მის თანასოფლელებს აცნობა: „სასაფლაოზე მიწაში ვიდაც კუთავსო“. „ამ არაჩვეულებრივმა ამბავმა, — გადმოგვცემს მწერალი, კიდევ უფრო შეაშინა მცხოვრებლები:

— სამარეში თუ მიცვალებულებს ბატონები გაუჩნდათ და ავად ხდებიან, ცოცხლებს რაღა უნდა მოგველოდესო, — იუჟიქრეს იმათ და რამდენიმე გაბედულმა კაცმა გადასწყვიტა, შეეტყოთ, თუ რომელი მიცვალებული გამხდარა ავად, ან რას ამბობს ეს მიცვალებული. ბარებით ხელში გასწიეს სასაფლაოსაკენ, იქ *შეიქცა* *გაიქცა* *კენესა*. გადათხარეს ერთი, ორი, სამი სამარე და, *ლოცვა შეიქცა* *შეიქცა*, კუთილი ანუ კენესა ცოტა მოშორებით მოიხსა. მთხრელებმა დაანებეს თავი შეთხე სამარეს, მისცივიდნენ იქ, სადაც კენესა ისმოდა, და ნახეს, რომ ერთი პატივცემული გომბიო კი გამოჰქიმულა და იწახეს „კეპ“. თურმე ანუ იტყვიოთ და ამ გომბიოს-კი შეუღმი-

შოთბრ., გვ. 452.

შოთბრ., გვ. 18 — 19.

³ იქვე, გვ. 259.

ნებია ჩვენი ლანჩხუთელები. ბარიანები გულდამწვიდებულნი დაბრუნდნენ სახლში, მაგრამ სხვა მცხოვრებლებს, რომლებიც სასაფლაოზე არ ყოფილან, რაც უნდა უფიცო, ვერ დააჯერებ: — ბატონო, მიცვალებული კენესოდა სამარეში, კაი აღარ მოგველისო, — ამბობენ ისინი¹. ეს თქმულება გაუნათლებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად გამოყენებულია აგრეთვე წერილში „გურია“². ზემოთ დასახელებულ ფელეტონში ეგნატე ნინოშვილს მოყვანილი აქვს აგრეთვე მიწისძვრის მიზეზის ახსნა ხალხის მიერ: „მარხვის მკამლები და ქურდები რომ თავის ცოდვილ ფეხებს დედამიწაზე ადგმენ, დედამიწას ვერ მოუთმენია და იქით-აქეთ გადაყრას გვექადისო“³. ფელეტონის დასასრულს ხალხის უმეცრებისა და გაუნათლებლობის გამო მწერალი გულისტკივილით ამბობს: „ვიცინი, მაგრამ ეს სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა“⁴.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ეგნატე ნინოშვილის დამოკიდებულება ამჟამად ფოლკლორის ამ უკვე გამჭრალი ან გადაგვარებული თავისებური ჟანრის ნაწარმოებებისადმი, რომელთა შინაარსიც სანამდვილეთ მიაჩნდათ ცრუმორწმუნე ნთქმელსაცა და მსმენელსაც.

ეგნ. ნინოშვილის ნაწერებში გამოყენებულია მკითხაობა-მარჩიელობის ტრადიცია და მისი მავნე შედეგებიც. ამითაც მწერალი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს უმეცრებასა და ჩამორჩენილობას. სანიმუშოა ამ მხრივ „პარტახი“, რომელშიც მოხდენილად არის ნაჩვენები, თუ რა გადაწყვეტ როლს თამაშობდა გაუნათლებელ გლეხთა ცხოვრებაში ეს მავნე ჩვეულება⁵. უმეცრებისა და გაუნათლებლობის წინააღმდეგ არის მიმართული ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში შელოცვების ტრადიციის აწერა⁶.

¹ თხზ. სრ. კრებ., ტ. III, გვ. 11.

² იქვე, გვ. 23.

³ იქვე, გვ. 13.

⁴ იქვე, გვ. 15.

⁵ მოთხრ., გვ. 400, 404, 421, 425, 426, 428 და სხვ.

⁶ მოთხრ. „უცნაური სენი“, გვ. 276, 278, „ჩვენი ქვეყნ. რაინდი“; გვ. 508 — 509, თხზ. სრული კრებ., ტ. II, ცოლი და ქმარი გვ. 252.

ეგნ. ნინოშვილი იცნობს და ერთ თავის წერილში იყენებს ამინდსა და მოსავალთან დაკავშირებულ გავრცელებულ საინტერესო ლეგენდას წმ. ელიასა და წმ. გიორგის შესახებ¹, რაც ცნობილია გამოქვეყნებული მასალების მიხედვით².

ეგნ. ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაში გადმოცემულია სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ტრადიცია. სატრფიალო ლირიკის ნიმუშების საშუალებით ვეცნობით მის ნაწარმოებთა გმირების გრძნობებსა და განცდებს. კლემამოსილი გურული ქალის პირველი გატაცებაა გამოზატული შინ მარტო დარჩენილი ქრისტინეს მიერ დაბალი ხმით შესრულებული სიმღერით:

ღედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
ძმები ყველას მირჩვენია,
ერთი ვინმე სხვისი შვილი
თლათ ქვეყანას მირჩვენია³.

ახალგაზრდა ქალის მწარე ექვით გაკაწრულ გულში გვახედებს მწერალი იმავე ქრისტინეს მიერ სატრფილს ამო მოლოდინში წყლის დუღუნზე აყოლებული ნაღვლიანი ლილინით⁴.

სატრფიალო ლირიკის გენეზისისა და ტრადიციის თვალსაზრისით საინტერესოა სოფლის ბიჭების სიმღერები ლამაზ ქრისტინეზე⁵ და მეორე ნაწარმოების „არშიყნის“ მიხედვით — ვარდიკოზე⁶.

ცეკვა-სიმღერის ძლიერი ტრადიცია დღესასწაულებში, ქორწილსა და საერთოდ ღვინში აღნიშნულია ეგნატე ნინოშვილის მრავალ ნაწარმოებში⁷.

საინტერესოა მწერლის ცნობა გურული სიმღერის „ხასანბეგურას“ წარმოშობაზე, რომ იგი ეკუთვნის ქობულეთის ბეგს

¹ თბ. სრული კრებული, ტ. III, გვ. 20 — 21.

² Сборник материалов для описания местн. и племен Кавказа, XIX, ст. 152—154.

³ მოთხრობები, გვ. 323.

⁴ იქვე, გვ. 329.

⁵ იქვე, გვ. 367.

⁶ იქვე, „არშიყნი“, გვ. 304.

⁷ მოთხრობები, „სიმონა“, 230, 236, 241; იქვე, „პარტახი“, გვ. 422; იქვე, „უცნ. სენი“, გვ. 266 — 267, 270; იქვე, „არშიყნი“, გვ. 300.

ცბიერ ხასან ბეგ თავდგირიძეს¹. ხშირად აღნიშნავს მწერალი გურიაში ჩონგურის აკომპანიმენტზე სიმღერის ძლიერ ტრადიციას. რომანში „ჯანყი გურიაში“ კარგად არის გადმოცემული ზალიკას მიერ ჩონგურზე სიმღერის შესრულების გარემო. გურული გლეხის მკვირცხლი ბუნებისა და საღი ოუმორის გამომხატველია მოთხრობის „ცოლი და ქმარის“ მიხედვით ლევანტის მიერ მკვეხარა და ქირვეული თინათინის გამოსაჯავრებლად შესრულებული შაირები:

დედაბერი ვარ ხნისაო,
ოთხმოცდაათი წლისაო,
გული არ გატყდა ოხერი,
მაძებარი ვარ ქმრისაო.

ოთხმოცი წლის ბებია,
ველარ გათხოვდებია².

ჩონგურზე მომღერლის მოხდენილი დახასიათებით მწერალს ხაზგასმული აქვს ხალხური შემოქმედების მაღალი ესთეტიკური და შთამაგონებელი ფუნქცია. იმავე ლევანტის შესახებ ეგნატე ნინოშვილი წერს: „როცა ლევანტიეი სიმებზე ხელს ჩაპოკრავდა და მღერას დაიწყებდა, იფიქრებდით, ეს კაცი ჩემ თვალწინ გამოიცვალა, შეუდარებელ მშვენიერ ადამიანად გადაიქცაო. ლევანტიეი მღერის დროს გადაიწყვედა უკან გიშერივით შავ ხუჭუჭა თმას, რომელიც თითქო ბუნებას გვირგვინად დაედგა მომღერლისთვის, გაიმართებოდა ტანში და სახეგაბრწყინებული ისეთი ტკბილი მკაფიო ხმით შემოსძახებდა, ისეთ ნაირათ ააკენესებდა ჩონგურის სიმებს, რომ რაც უნდა ჯავრით მოშხამული გქონოდათ გული, მაინც კი ყურს დაუგდებდით და დაივიწყებდით თავის დარდს“³.

საინტერესო დაკვირვებები გვხვდება ეგნატეს ნაწერეში შრომის სიმღერების სხვადასხვა სახის შესახებ. მათი აღნიშვნითა და დახასიათებით მოცემულია მშრომელთა ყოფის ნა-

¹ მოთხრობები, „ჯანყი გურიაში“, გვ. 24.

² ეგნ. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებ. სიპ. ხუნდაძის რედ. ტ. II. გვ. 255.

³ ეგნ. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 255.

თელი სურათები. „ხელხვავისა“ და „აბა დელიას“ ტრადიცია ნისი ნაწერების მიხედვით ცოცხლად წარმოგვიდგენს რთველს გურიაში¹. ტრადიციული შრომის სიმღერების დახასიათებით წარსულში მშრომელებისთვის მისი მნიშვნელობის აღნიშვნით მწერალი ხაზს უსვამს ხალხური შემოქმედების პოლიტიკურ-აღმზრდელობითსა და ესთეტიკურ ფუნქციას. მოთხრობაში „უცნაური სენი“ ასეა დახასიათებული შრომის სიმღერის ერთი მეტად თავისებური სახე: „რამდენსამე ადგილს ისმოდა ხმამალალი სიმღერა-ნადური, რომელიც მუშას ამხნევებს და დადლილობას ავიწყებს, ზოგს რალაც უაზრო ღმუილად ესმის ყურში, ზოგს-კი რალაც გამოურკვეველ სევდას ადენს გულზე“². აქ ხაზგასმულია ხალხური შემოქმედების ისეთივე ფუნქცია, რაც შესანიშნავად განსაზღვრა ფრ. ენგელსმა წერილში „გერმანული სახალხო წიგნები“³.

ასეთია იგნ. ნინოშვილის დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი. აღნიშნული მაგალითები ცხადყოფენ, რომ ფოლკლორი მისი შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა შეხედულებათა კიდილში პროგრესულად გააზრებული ხალხური შემოქმედების ნიმუშები რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება იყო მშრომელი ხალხის სულისშემხუთავი თავადაზნაურობის, თვითმპყრობელური ბიუროკრატიისა და ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ; საშუალება იყო მშრომელ ხალხში რევოლუციური ცეცხლის გაღვივებისა.

¹ მოთხრობები, „ჯანყი გურიაში“, გვ. 170. იქვე, „მოსე მწერალი“ რ. გვ. 572.

² მოთხრ., გვ. 274.

³ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. II.

გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძე ხალხური შემოქმედების შემკრები და მკვლევარი არ არის, როგორც მისი დიდი წინამორბედები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა იყვნენ. როდესაც ჩვენი დიადი ეპოქის ამ დიდი პოეტის ხალხურ პოეზიასთან დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მისი მსოლოდ შემოქმედებითი კავშირი ეროვნული კულტურის ძვირფას საგანძურთან. გალაკტიონ ტაბიძემ არა ერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა, გააახლა, შთაბერა თავისი პოეტური სული და მშობლიურ ხალხს მიაწოდა იდეურად ღრმა, მაღალმხატვრული ბრწყინვალე ორიგინალური ლექსები. ჩვენი სახალხო პოეტის ხალხურ შემოქმედებასთან ნათესაობის საკითხს რომ ვსვამთ, გვაგონდება მისი ლექსის სტრაიქონები:

კარგია ლექსი, მაშინ როს
ნათელია და ხალხური,
არ მოაკლდება არასდროს
მასის მღელვარე თვალყურის¹.

უტკნობი სილამაზის, გრძნობის არაჩვეულებრივი სიმდიდრის, მომხიბვლელი გულწრფელობისა და განცდის სიღრმის გამო გალაკტიონ ტაბიძის პოეზია მუდამ იყო და არის ფართო მასის მღელვარე თვალყურის საგანი. გალაკტიონ ტაბიძე თავისებური ხმით შემოვიდა პოეზიაში. მისი მეტად ორიგინალური პოეზია „ნათელია და ხალხური“ იმიტომ, რომ იგი ქართული კლასიკური მწერლობისა და ხალხური შემოქმედების მაგარ ფესვებზე აღმოცენდა და განვითარდა. თავისი

¹ გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1944 წ., გვ. 66.

მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების გზაზე გალა-
კტიონ ტაბიძე ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვა-
ნელობს საკუთარი ლექსის სტრიქონებში გამოთქმული აზ-
რით:

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ
დროის, ეპოქის და სივრცის გარეშ¹.

ამიტომ გალაკტიონ ტაბიძის ხალხურ შემოქმედებასთან
დამოკიდებულების საკითხი არ გულისხმობს პოეტის ლექსე-
ბის ხალხურ სიუჟეტებთან, თემებთან, პოეტურ სახეებთან,
სტილთან თუ ენასთან მხოლოდ დამთხვევებს. მთავარი ის
არის, რომ პოეტმა სწორედ დროის, ეპოქის, ხალხის ფიქრისა
და განცდის მიხედვით გადაამუშავა ხალხური სიუჟეტები, თე-
მები, პოეტური სახეები, გამოთქმები თუ სხვა და შექმნა
ბრწყინვალე ლექსები, რითაც ორიგინალურად განაჯივთარა
ქართული პოეზია. საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ხალხის
ოცნების, მოლოდინისა და იმედის გამომხატველი, ლამაზი
ფანტაზიის შემცველი ხალხური შემოქმედება დიდი პოეტის
მდიდარი და მრავალფეროვანი პოეზიის ერთი მნიშვნელოვა-
ნი ფაქტორია. გ. ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიაში ხალხუ-
რი შემოქმედება ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობი-
ლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი საშუალებაა. პოეტმა ძველ
თქმულებებს, სიმღერებს, ლექსებს მისცა ახალი აზრი, შინა-
არსი, დაუკავშირა ისინი დროს, ეპოქას, სივრცეს და ამგვა-
რად განიხილა პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის
პროტესტი თვითმპყრობელობის უხეში პოლიტიკის წინააღმ-
დეგ. დროსა და ეპოქასთან დაკავშირებით ასევე არის გამო-
ყენებული ხალხური შემოქმედება რევოლუციის შემდეგდრო-
ინდელ პოეზიაში. იგი გამომხატველია განთავისუფლებული
მშრომელების ნათელი ფიქრისა და დიადი ოცნების. ამ უნი-
ჭიერესი პოეტის ხალხურ პოეზიასთან კავშირზე რომ ვლაპა-
რაკობთ, მიმბაძველობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ინდი-
ვიდუალურ, მაღალ ოსტატობასთან.

¹ რჩეული, გვ. 76.

გალაკტიონ ტაბიძე ისე უკავშირდება ხალხურ შემოქმედებას, რომ ინარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას. გალაკტიონ ტაბიძეს გულწრფელად უყვარს ხალხური შემოქმედება. პოეტი შესანიშნავად იცნობს ხალხური შემოქმედების ყველა უბანს. ეს იგრძნობა მისი შემოქმედების ყველა პერიოდის ლექსებში, რომლებშიაც მაღალი ოსტატობით არის გამოყენებული არა მხოლოდ სიუჟეტები, თემები, სტრიქონები, პოეტური ხერხები ხალხური შემოქმედებისა, არამედ ხასიათი, ტრადიცია და შესრულების წესები ხალხურ ნაწარმოებთა. გ. ტაბიძეს განსაკუთრებით უყვარს ქართული ეპოსის უკვდავი ძეგლი, უძველესი კლასიკური თქმულება ამირანის შესახებ. ამ თქმულებით არის შთაგონებული გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე პატრიოტული ლექსი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მრავალსაუკუნოვანი ეპიური გმირი საყვარელი სამშობლოს სახეა. კლასიკური ეპოსის გმირი ხშირად აგონდება პოეტს სამშობლოს ბედისა თუ მშობლიური პეიზაჟის დახატვისას. ლექსში „გორიდან“ საქართველოს წარმტაც ბუნებას, კავკასიონის გრანდიოზულობას: პოეტი აგვირგვინებს უძველესი მითოლოგიური თქმულებით:

... მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ —
 სულ ახლო არის თეთრი მთები კავკასიონის,
 მთები, რომელზეც, ლეგენდების თქმით, რა ხანია,
 მუდმივ თოვლი და მიჯაჭვული ამირანია¹.

წარსულში მშრომელი ხალხის ძნელბედობით შექმნილ დაცემულ განწყობილებას, უსამართლობით შეზუთულ სულს პოეტი ღრმად განგვაცდევინებს ლექსში „მე მოვალ“. პოეტი მწარე ხვედრით ედარება კლდეზე ზიჯაჭვულ, ყორნების კლანჭებით გულდაფლეთილ გმირს:

ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,
 თვალებში ყორნების მკენჯნიან კლანჭებს,
 ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
 ვილაც ფრთებს ბიკვეცავს... ეპა, ვიტანჯები².

¹ რჩეული, გვ. 299.

² იქვე, გვ. 354.

ეს არ იყო უიმედო მოთქმა-გოდება პოეტისა, ეს აშკარა პროტესტი იყო ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ მიმართული. ეს იყო თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგვარი ხერხი.

ეპიკური გმირის მძიმე ხვედრით არის გამოხატული აგრეთვე ბნელი რეაქციის მძიმე წლებში ინტელიგენტთა დაცემული განწყობილება ლექსში „ოცნება კლდეზე“. პოეტმა მშობლიურ გრანდიოზულ ბუნებას დაუკავშირა ოცნება მოვალზე, ღრმა განცდა აწმყოსი:

მე მომეჩვენა ვითომ ოცნებას
თავისუფლების შესხმოდა ფრთები,
მე ეხლაც მახსოვს მისი შეგნება,
მისი ღიმილი, მისი თვალები.
სად გაჰქრა მეთქი,— ვკითხავდი ნიავს
და შორს გაეხედე მთების მწვერვალებს;
იქ კავკასიის კლდეზე ვამჩნევდი
მოღლილ-მოქანცულ და მიმქრალ თვალებს.
ოცნება კლდეზე მიჯაქველიყო,
ოცნება სისხლში თრთოდა და კენესდა,
სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა
და ყორანთ გუნდი მის სხეულს სწეწდა¹.

ქართული კლასიკური ეპოსის უკვდავი ძეგლი კიდევ უფრო მაღალი ოსტატობით არის გამოყენებული პოეტური მშვენიების ისეთ იშვიათ ნიმუშში, როგორიცაა „მშობლიური ეფემერა“. ეს ვირტუოზული ლექსი იყო პოეტის მედგარი ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, გმირის ძნელბედობა, მოხდენილად დახატულ გრანდიოზულ მშობლიურ პეიზაჟთან ერთად, აღრმავებდა პოეტის თანამემამულეთა პატრიოტულ გრძნობებს და რაზმავდა მათ შეგნებას უკეთესი მომავლის შექმნისათვის საბრძოლველად. „მშობლიურ ეფემერაში“ პოეტმა აასულდგმულა მშობლიური დიადი ბუნება. იდეალური პოეტური მშვენიება ღრმად განგვაცდევინებს უსამართლობით სულშეხუთული ადამიანის მებრძოლ განწყობილებას. ჩვენ ახლაც მღელვარებით ვკითხულობთ ამ ლექსს:

¹ რჩეული, გვ. 471.

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
 ზამთარს ბილიკი დაუტანია...
 „დიდი ხანია?“ — მიემართავ ტყეებს
 და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...
 შეხავსებია კლდეები კლდეებს,
 იქ ვილაც კენესის დიდი ხანია.
 „ამირანია?“ — მიემართავ ტყეებს,
 და ტყე გუგუნებს: ამირანია.
 ეს მძაფრი კენესა მიწამლავს ღღებებს,
 ის გული ისევ ჩემი გულია...
 დაკარგულია? — მიემართავ ტყეებს
 და ტყე გუგუნებს: დაკარგულია.
 გუგუნებს თერგი, ზმურობს თერგი,
 მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...
 ფერები ჰევრი ირევა ბევრი,
 ლაღების ტევრი — ლილა და შინდი.
 ყაზბეგის შებლი შემოსეს ღრუბლით
 და ცა აღუბლით სავსეა... კმარა.
 ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდენ,
 დარიალიდან ზარავდა ზარა.
 სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად,
 შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო.
 მოგონებებით რაც ჩემ გულს ანთებს,
 იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!
 შეხავსებია კლდეები კლდეებს,
 იქ ვილაც კენესის დიდი ხანია.
 „ამირანია?“ — კვლავ ვკითხავ ტყეებს
 და ტყე გუგუნებს: ამირანია¹.

გალაკტიონ ტაბიძის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ-
 დროინდელ პოეზიაში ახალი იერით გაბრწყინდა უძველესი
 ეპიური გმირის სახე. ამ პერიოდის ლექსებში ამირანი განთა-
 ვისუფლებული სამშობლოს სახეა. თავისუფალი სამშობლოს
 სახეა ამირანი ლექსებში „ახალი ტფილისის დაფუძნება“²,
 „როტორც მერანი თავს აღწევს ლაგამს“³, „მთვარის ნაამბობი-

¹ რჩეული, გვ. 305 — 306.

² იქვე, გვ. 40.

³ იქვე, გვ. 42.

დან“, „მთის გულისცემა“¹. ლექსში „მთვარის ნაამბობი-დან“ პოეტი საქართველოს მომხიბვლელი ბუნების სურათს ასე ამთავრებს:

აგერ მძლავრი და ტიტანი
მოჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭული აქ იყო და
აქ აეშვა ამირანი².

ლექსი „მთის გულისცემა“ თითქოს მეორე ნაწილია ლექსისა „მშობლიური ეფემერა“. თუ რევოლუციამდელი ლექსის მიხედვით მთისა და ტყის გუგუნის ხალხის კენესა იყო ძლევამოსილი გმირის ბედით გამოხატული, რევოლუციის შემდეგ-დროინდელ ლექსში მთის გულისცემა, მისი გუგუნის გმირის განთავისუფლების — ხალხის გამარჯვების მაუწყებელია. ახალ ლექსში გამოყენებულია ეპიკური თქმულების თითქმის ყველა უძველესი მოტივი — სიმართლისათვის მებრძოლი გმირის კლდეზე მიჯაჭვა, მისი მოწყვეტა ადამიანებისაგან და ჩაკეტვა ბნელს, ყინულიან კლდეში, გმირის გულის უმოწყალოდ ფლეთა ყორნების მიერ, ყოველ ას წელში ავი ფრინველის ცბიერებით თითქმის ამოგლეჯილი პალოს ისევ გამაგრება და სხვა.

მშრომელი ხალხის ჯანსაღი სულისკვეთების გამოსახატავად პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს გმირის უდრეკ ნებისყოფას:

გმირმა იცოდა — რა არის ზუნდი
და არ იცოდა — რა არის კენესა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა მშრომელ ხალხს. ბოროტების დათრგუნვა, სამშობლოს განთავისუფლება ასეა გამოხატული ლექსის დასასრულში:

და ერთხელ ფრინველს დაუწყდა ფრთანი,
დააკვდა პალოს, და აი, ბოლოს,
თავისუფალი სდგას ამირანი
და აწ ვერავინ ვერ დაიმონოს.

¹ რჩეული, გვ. 54, 86.

² იქვე, გვ. 55.

თუ მიაყურებ ღუმელს ღამისას
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი,
მოისმენ გულისცემას ამ მთისას,
ის კრთის იღუმალ, მოგუგუნარი!

გ. ტაბიძის პოეზიაში გაახლებულია ბერძნული მითოლოგიის ნიმუშებიც. ერთგვარი სათაურის მქონე ორ ბრწყინვალე პატრიოტულ ლექსში „არგონავტები ახალი დროის“ გამოყენებულია მითი არგონავტების შესახებ. ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული გამარჯვება, ახალი ეპოქის მაჯისცემა ასე აუწყა პოეტმა ხალხს:

სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს —
ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული,
დიდი ხანია შრომის სახლი დგას
ქებნათა ეშხით დამონებული...
დრომ რომ წაიღო უბოროტესმა,
აქ საწმისია იმ ოქროსა,
მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის
არგონავტები ახალ დროისა¹!

მეორე ლექსი მგზნებარე სიმღერაა დიად სოციალისტურ მშენებლობაზე. პოეტი აღტაცებით მიმართავს ახალი ცხოვრების მშენებლებს:

ახალი დროის არგონავტები
მიეშურებით კოლხიდის მხარეს,
ოქროვ შენ მაინც არ ათავდები,
თუ სხვა გრძნობები მიაქვს სამარეს.
ვით ქველი დროის არგონავტები,
ვით ქველი დროის არგონავტები,
მიეშურებით კოლხიდის მხარეს
ახმაურებით და აწავთებით.
თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა,
დაბრკოლებანი გარემოისა,
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა,
არგონავტებო ახალ დროისა².

¹ რჩეული, გვ. 87.

² იქვე, გვ. 137.

³ იქვე, გვ. 151.

პოეტმა გადაამუშავა აგრეთვე ბერძნული მითი აქტეონის შესახებ და ამით ოსტატურად გამოხატა სიყვარულის მწველი გრძნობა ლექსში „როცა აქტეონი, ძე არისტეას“¹.

პოეტს გადამუშავებული აქვს სხვა ხასიათისა თუ ჟანრის ნაწარმოებნიც. ხალხური სიმღერის გადამუშავების, მასში ახალი შინაარსის შეტანის ერთი საუკეთესო ნიმუშია ლექსი „შეებული“. პოეტი თავისებური ხმით უმღერის დიად სოციალისტურ მშენებლობას და ძველი პატრიოტული სიმღერის სტრიქონების, კილოსი, მოტივებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ნათლად გვაგრძნობინებს ახალი ეპოქის მაჯისცემას, სოფლად კოლექტიური შრომის გამარჯვებას. ზალხური სიმღერა „ეუჟუნა წვიმა მოსულა“ მეტად ორიგინალურად არის გაახლებული ლექსში:

აქ როგორ არ გაიხაროს,
რაც დილის ნაშა დანაშა,
შეებულის გული ახაროს
კოლექტიურმა ყანაშა.
მზის შუქზე უფერადესია
ეუჟუნა წვიმა მოსულა,
მოსაწევ-ნახნავ-ნათესი
ყიენით გარემოცულა.
ეს მოსავალიც, ვით მოლი
ეუჟუნა წვიმამ დანაშა,
თუ რამემ გული გაათბოს
ისევ აკრეფის ხანაშა.
ზვარს ვინ შეხედავს უგულოდ,
ვარდი ყელამდე მოსულა.
მოსულა, მოსულა, მოსულა,
ჩვენი შეებულიც მოსულა,
გაზეთი მოუტანია,
ბობოლა დგას გულმოსულად.
დანაშა, დანაშა, დანაშა,
ეუჟუნა წვიმამ დანაშა,
თუ რამემ გაგვახალისოს
შეხვედრამ ამისთანაშა².

¹ რჩეული, გვ. 308.

² იქვე, გვ. 77.

პოეტს ისე უყვარს ამ ძველი პატრიოტული სიმღერის კილო და მისი პოეტური ფაქტურა, რომ მას იყენებს აგრეთვე სატრფიალო ლექსში „ქალმა დამწყევლა ლამაზმა“¹.

ხალხური ნაწარმოების მაღალი ოსტატობით გადამუშავების ნიმუშია ბრწყინვალე ლექსი „გამხიარულდი ბუხარო“. ხალხური ნაწარმოების გადამუშავებით პოეტმა წარმოგვიდგინა ბნელი რეაქციის მრისხანე წლებში თავისუფლებისათვის მებრძოლთა განადგურებული სახლ-კარის შემადრწუნებელი სურათი:

თოვლი და ქარის ფაფარი, გაფითრებული მთა-ბარი.

ქოხმახი მიუსაფარი, უსახურავო, უკარო.

ისიც გადასწევს ცხრაასშვიდს (აბობოქრებულს, განა მშვიდს, შენდა იხდიდი პანაშვიდს, თავმონგრეულო ბუხარო!)

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეს წარსულს ჩააბარა და პოეტმა აღტაცებით მიმართა ძველი ნასახლ-კარის თავმონგრეულ ბუხარს:

ის გაჰქრა, იმ სამწუხარო გზისკენ ვერ, გადაუხარო,

გამხიარულდი ბუხარო, ბუხარო თვალებ-გიზგიზა.

ოც წელს (ყოველ წელს) თრთის გული: მოზღვავედა ბავშვთა
კრებულის,

და თავის გახარებული სიცოცხლით გადიკისკისა².

გ. ტაბიძე მაშინაც კი ინარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას, როდესაც საკუთარ ლექსებში უცვლელად შეაქვს ხალხური ნაწარმოებები.

ძველ სიმღერებს პოეტი იყენებს დროისა და ეპოქის მოთხოვნილების მიხედვით. პოეტის ლექსებში ხალხურ ტექსტებს ახალი დანიშნულება აქვთ. შესანიშნავ ლექსში „ზევით ასწიეთ მზე, ზევით“ წარსულში მზის საღიღებელ ჰიმნს პოეტმა თავისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია დააკისრა — და ამით გამოხატა პროგრესულად განწყობილი ინტელიგენ-

¹ რჩეული, გვ. 375.

² იქვე, გვ. 66.

ციის პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ. ბნელი რეაქციის წლებში აწმყოთი უკმაყოფილო პოეტმა ასე უგალობა მზეს — თავისუფლებას:

მზეო, დაუდე საზღვარი
მწუხარე ფიქრთა ქროლასა,
„მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა“¹.

ეს არ არის უბრალო განმეორება მზის საგალობელი ძველი საწესო სიმღერისა. სიმღერისათვის ამგვარი ახალი ფუნქციის დაკისრება ნიმუშია მაღალი ოსტატობით განვითარებული ორიენინალური შემოქმედებისა.

გ. ტაბიძის ლექსში „აგერა, აჰანდე!“ უცვლელად არის შეტანილი ხალხური საყოფიერო ლექსი:

კაცის გული ისეთია,
ვით მორვეი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა².

ამ ლექსში მოცემულია სურათი ძველი სოფლისა, რომლის მცხოვრებნიც უნდობლად და მტრულად იყვნენ განწყობილნი ქალაქსა და ქალაქელებისადმი. ამ ლექსს ახლა ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის შედეგად, ქალაქსა და სოფელს შორის მტრობისა და უნდობლობის კვალიც კი აღარ დარჩენილა. გ. ტაბიძის ლექსში ჩართული ხალხური სიმღერაც გვაცნობს წარსულში მშრომელთა განწყობილებას.

ზოგ შემთხვევაში პოეტს გამოყენებული აქვს ხასიათი ან მხოლოდ ერთი მოტივი ხალხური ნაწარმოებისა. ლექსში „თუმც ცოცხალი ვარ“ ძირითადი მოტივი პატრიოტული სიმღერისა „მუმლი მუხასა“ გვაცნობს წარსულში პოეტის ლტოლ-

¹ რჩეული, გვ. 474.

² იქვე, გვ. 292.

ვას ჯანსაღი მომავლისაკენ¹. წარსულში პოეტის განწყობილების ამსახველ ლექსში „იქ პოეტების ფრიალებს დრომა“ გამოყენებულია მოტივი ზღაპრისა „მებადური და ოქროს თევზი“². რევოლუციამდელ ლექსში „არაგვი“ ოცნება უკეთეს მომავალზე მშვენიერად არის გამოხატული ხალხური რწმენით:

„ერთხელ შეიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება,
რასაც მაშინ ისურვებ — ყველაფერი იქნება“³.

ლექსში „სადღაც დარჩა“... კოლმეურნეთა საამური ცხოვრების დასახატავად, ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირების საშუალებად პოეტს გამოყენებული აქვს შინაარსი წარსულში მოჯამაგირეთა ბედუკულმართობის ამსახველი ლექსისა:

„იქ თელა არ აქეთ ამანათებს,
სიუხვეა და სიმღერაც,
კოლმეურნის ოჯახს მატებს
სიხალისეს ფერად-ფერადს.
სხვათა მოჯამაგირობით
რომ სწყველიდა ბედისწერას,
თავისუფალს, თავის შრომით
ბედს აწვდიან ფერად-ფერადს“⁴.

ასე ორიგინალური და სავსებით დამოუკიდებელია ჩვენი პოეტი ხალხურ ნაწარმოებთა გადამუშავებისა და საკუთარ ლექსში მათი უცვლელად შეტანისას.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, გ. ტაბიძე არ არის შემკრებ-მკვლევარი ხალხური შემოქმედებისა. იგი არც ეთნოგრაფია და არც ფოლკლორისტი. მაგრამ მისი მდიდარი პოეზია შეიცავს ისეთ საყურადღებო ცნობებს ხალხური შემოქმედების ხასიათის, ტრადიციისა და შესრულების წესების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფოლკლორისტიკისათვის, ისე ეთნოგრაფიისა და საერთოდ ისტორიისათვის.

¹ რჩეული, გვ. 242.

² იქვე, გვ. 309.

³ იქვე, გვ. 267.

⁴ იქვე, გვ. 224.

პოეტს გატაცებით უყვარს ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერები. ცრემლებით დანამული ქამანჩა, სალამურისა და სტვირის კვნესა, ფანდურის სევდიანი ჟღარუნი, მწუხარე ჰანგები ურმულისა გ. ტაბიძის რევოლუციამდელი ლექსების ატრიბუტებია — და გვაცნობენ მშრომელთა ძნელბედობას წარსულში, გვაცნობენ უსამართლობით ამღვრეულ სულსა და გულს პოეტისა. იგივე ხალხური მუსიკა, იგივე ხალხური სიმღერები იმავე პერიოდის ლექსებში გამოხატავს პოეტის უსაზღვრო ლტოლვას უკეთესი მომავლისაკენ, გვაცნობს მშრომელი ხალხის ბრძოლის უნარს, უდრეკ ნებისყოფასა და დიდ გამძლეობას.

ხალხური შემოქმედების ტრადიცია და შესრულების წესები რევოლუციის შემდეგდროინდელ ლექსებში გამოყენებულია განთავისუფლებული მშრომელი ხალხის ყოფის ასახვის საშუალებად.

ღრმა შინაარსის წარმატებულ მუსიკალურ ლექსში „ქუჩის მომღერალი“ პოეტმა მაღალი შეფასება მისცა ხალხურ პოეზიას, ხალხურ მუსიკას, აღნიშნა მისი უკვდავება. პოეტმა განსაჯა ქუჩის მომღერლის — მესტვირის გულსაკლავი ხვედრი წარსულში. ამით აიმაღლა ხმა ფარჩით მოსილი მდიდრების წინააღმდეგ, რომელთაც არ იცოდნენ ფასი იმ ლამაზი სიმღერებისა, რომელთაც ძონძებიანი მესტვირეები ცრემლებით დანამულ ქამანჩაზე დასძახოდნენ. მახვილ სოციალურ მოტივზე აგებული ლექსი ცოცხლად წარმოგვიდგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კარიდან კარზე მონეტიალე მომღერლებს:

მან ეზო-ეზო,
კარიდან კარად
ბევრი ლამაზი
სიმღერა ხარჯა,
მაგრამ არავინ
ჩასთვალა არად:
მას ძონძი მოსავეს,
მდიდრებს კი ფარჩა.
ქამანჩა, ქმნილი

ცრემლების ღვარად —
აი სულ — რაც მის
ცხოვრებას დარჩა¹.

მონეტიალე მუსიკოსთა ხელოვნება ეფარდებოდა სამშობ-
ლოს ბედით შექმნილ პოეტის სევდას. ეს კარგად არის გადმო-
ცემული ლექსში „სარკმლიდან“. ამ ლექსის დასაწყისი და და-
სასრული სტროფია:

სარკმელთან ვდგავარ, მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დაუფგდებ მე ყურს.
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკენსებს ჩემს კართან ფანდურს...?²

ეს სტროფი პოეტის განწყობილებასთან ერთად გვაცნობს
ძველი მუსიკის ხასიათს.

პოეტის გულისტკივილს გვაგრძნობინებს სალამურის
კენესა ლექსში „პრიმიტივი“³.

სიყვარული ხალხური მუსიკისადმი, როგორც სიცოცხლის
ერთ მშვენიერ მხარისადმი პატრიოტულ ლექსში „ქალაქის-
კენ“ ასეა გამოხატული:

ჩემო ძვირფასო დედამიწავ,
ძვირფასო დედა,
მხოლოდ შეილურმა სიყვარულმა
აქ მომახედა.
პირქვე ვემზობი, ვიყრი მუხლებს
და ასე ვამბობ:
გმადლობ, დედაო, ყველაფრისთვის.
უზომოდ გმადლობ,
რომ აშრილდნენ ჩონგურები,
როგორც ტყეები,
მიტოვებული, დავიწყებით
სავსე ტყეები,
რომ მოჰყავს სიმთა ოქროს ნავებს
სიმსუბუქეში
ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ
მინდვრის ნუგეში⁴.

¹ რჩეული, გვ. 228.

² იქვე, გვ. 354.

³ იქვე, გვ. 352.

⁴ იქვე, გვ. 230.

ხალხური სიმღერის დიდ შთამაგონებელ ძალას უძღვნა პოეტმა მშვენიერი სტრიქონები მეზობლი განწყობილების დინამიკური ლექსისა „გურიის მთები“:

— ჩუმაღ! ვილაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტყვილ სპაჲ,
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...¹

ხალხური მუსიკის დიდი შთამაგონებელი ძალა შესანიშნავად არის გადმოცემული სამამულო ომის წლებში შექმნილ ლექსში „სიმართლის დროშა“. ამ ლექსის სტრიქონებში გამოხატულია ხალხური მუსიკის პატრიოტული ფუნქცია:

ჩენი ქუნირი, ფანდური,
საოცხლით გაიწკრიალებს,
მის ჰანგში ანდამატური
სამშობლოს დროშა ფრიალებს².

პოეტს განსაკუთრებით უყვარს შრომის სიმღერები — ხალხური შემოქმედების ეს მეტად მიმზიდველი უბანი. მრავალ ლექსშია დახასიათებული შრომის სიმღერების სხვადასხვა სახე — ურმული³, სამკალი⁴, მწყემსის სიმღერა⁵ და სხვები.

პოეტის შემოქმედებიდან ვეცნობით იმასაც, რომ სულ სხვადასხვა ხასიათი აქვს რევოლუციამდელსა და რევოლუციის შემდეგდროინდელ ხალხურ სიმღერებს. ასე, მაგალითად, ლექსში „მთვარე მთას ამოეფარა“ წარსულში პოეტს ურმულის შესრულების გარემო ასე აქვს აწერილი:

მთვარე მთის ხრიოკს აჟოეფარა,
სიცხე მინელდა, მტვერს მიეძინა.
მეურმე მღერის, და მოგონებით
აჩრდილს სურს მისცეს მსუბუქი ბინა.

ეს სიმღერა სრულიად შესატყვისი იყო პოეტის მაშინდელი განწყობილებისა, რაც გადმოცემულია ლექსის დასასრულ სტრიქონებში:

¹ რჩელი, გვ. 476.

² იქვე, გვ. 31.

³ იქვე, გვ. 126, 351.

⁴ იქვე, გვ. 286.

⁵ იქვე, გვ. 417.

მე კი, კავშირის მხარეში მიწევს
სევდით მოცული ოცნება შაეი¹.

საბჭოთა პერიოდის ლექსში სულ სხვა გვარად არის წარმოდგენილი ურმულის შესრულება:

პაპას ზღაპრები შემოვლია,
დიდუდას კიდევ ამბები ძველი:
სიტყვა ეკუთვნის ეხლა პიონერს,
ხვალ რა მოხდება — კარგი თუ მწველი?
მეურმეს გზაზედ წყნარი სიმღერით
წისკვილისაკენ მიაქვს ხორბალი.
კოლექტივებზე ყრიალებს ღერძი
და ტრაქტორებზე მღერის ბორბალი².

სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობაა გამოხატული მზის სადიდებელი პიმნის, მრავალუამიერის, ხასანბეგურას, ალიფ-შას, ლილეს და სხვათა შესრულების წესის აღნიშვნით ლექსებში „აპა თენდება“³, „მშობლიურო ჩემო მიწა“⁴, „სადღეგრძელო“⁵, „შეხედე“⁶, „ცაზე მიდის“⁷ და სხვ.

* * *

ხალხურ შემოქმედებას ენათესავება აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული ენა და სტილი. ღრმა შინაარსთან ერთად გალაკტიონ ტაბიძეს უყვარს საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ხალხური ჟანრი, პოეტური სახეები. მოტივები, სტილი და ენა. ყველა ამას ახალი აზრით, ახალი შინაარსით მისთვის ჩვეული ოსტატობით იყენებს პოეტი საკუთარ ლექსთა სრულქმნისათვის. ზღაპრული ჟანრისა და ზღაპრული ფანტაზიის მიხედვით არის შექმნილი პოეტის სავსებით ორი-

¹ რჩეული, გვ. 351.

² იქვე, გვ. 126.

³ იქვე, გვ. 150.

⁴ იქვე, გვ. 24.

⁵ იქვე, გვ. 137.

⁶ იქვე, გვ. 162.

⁷ იქვე, გვ. 184.

გინალური ლექსები „ზღაპარი“¹ და „ზღაპრებიდან“². ხალხური მოტივების გამოყენება პოეტის ლექსებს აძლევს მონიხვლელ სისადავეს. ლექსი „ხალხური მოტივებიდან“ მხოლოდ მოტივებით, რიტმითა და მეტრით ენათესავება ხალხურ სასიმღერო ლექსებს³. ასევე ხალხურია კილო ლექსისა „მე ვინც მიყვარდა“⁴. პატრიოტული გრძნობის გამოხატვისა და თანამემამულეთა შორის ამ გრძნობის გაღრმავების მიზნით, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, გ. ტაბიძე ხშირად იყენებს ძველი საწესო, სააკვნო სიმღერის ჰანგს, კილოს, მისამღერს და პოეტურ ზერხებს. ამის ნიმუშებია დიდა სამამულო ომის წლებში შექმნილი საგმირო-პატრიოტული ლექსი „იავ-ნანა“ და დიადი სოციალისტური მშენებლობის ამსახველი „ახალი ნანა“⁵. ეს ლექსები არა მხოლოდ ჰანგითა და კილოთი ენათესავება ხალხურ შემოქმედებას, ისინი შთაგონებულია სახალხო გმირის სახითა თუ ძველი პატრიოტული ლექსით. პირველი ლექსის მიხედვით მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ფრანტელი ვაჟკაცის შვილს პოეტი ანდერძად უდებს, რომ იყოს „გმირი, ვით ოძელაშვილი“⁶. მეორე ლექსისა და ხალხური ტექსტის შედარებიდან ჩანს, რომ პოეტს ძველი ლექსის სტრიქონებისათვის ახალი დანიშნულება მიუცია:

ხ ა ლ ხ უ რ ი :

ნეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
გაღმა-გამოღმა ქალაქი,
შუაზე მეიდნისთანა,
წყალში ფეხი რო უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა,

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი :

ინჟინერი თუ ხარ განა,
ცოტა არის ამოცანა?
სახლი დადგი იმისთანა,
საუბრობდეს ღრუბლებთანა.
ნეტა რაა იმისთანა
ამომავალი მზისთანა,

1 რჩეული, გვ. 266.

2 იქვე, გვ. 267.

3 იქვე, გვ. 382.

4 იქვე, გვ. 384.

5 იქვე, გვ. 22.

6 იქვე.

კაცის ხელითა ნაშენი
საყდარი გელათისთანა,
დედის ძუძუთი ნაზარდი
ქეთევან დედოფლისთანა!

შრომასთან რომ დროშებია,
გაერთიხნებისთანა?

ვის არ გაუგონია სატრფიალო შაირი:

...გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყლისა დენამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი
ერთმანეთისა ცქერამა.

ან კიდევ ისევ სამწევრიანი პარალელიზმით შეკრული საგ-
მირო პატრიოტული შაირი:

სიმღერას ბანი ამშვენებს,
წაღკოტსა — ვაშლი წითელი,
ვაეკაცსა ფარი და ხმალი,
გაილამაზოს კისერი.

ამ სასიმღერო შაირების სტრიქონებს და პოეტურ ხერხებს
პოეტმა მისცა ახალი დანიშნულება. ახლებურად გააზრებული
ხალხური სიმღერების სტრიქონებით გ. ტაბიძემ მოხდენილად
დახატა საქართველოს ერთი წარმტაც კუთხე ღრმად პატრი-
ოტულ ლექსში „ეს მშობლიური ქარია“. ამ ლექსის სტრიქო-
ნებია:

„დღემ ნისლი შემოახვია,
გზაც სიარულმა დალია,
ის — ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წანადლაია.
წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი.
როგორ რთავს. როგორ აშენებს
აკიდოების შკიდელი?.

ყამარისადმი საყვედურით მიმართული მამის სიტყვები
თქმულებიდან ამირანის შესახებ „რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა“ ახალი შინაარსით არის გამოყენე-

¹ ხალხური პოეზია, 1934 წ., გვ. 238.

² რჩეული, გვ. 110.

³ რჩეული, გვ. 251.

ბელი დასაწყის და დასასრულ სტროფებში ლექსში „შენ რა-
ღას იტყვი, ყანა?“ ამ ლექსში ხალხური სტრიქონები პოეტის
მღელვარე სულს გვაცნობს:

თვალთ ველარას ვხედავ,
გული მოელის დანას,
რისთვის გამზარდა დედა,
რისთვის მეტყოდა ნანას?
...თვალი წაიღო სევდამ,
როგორ აკრეოლებს ყანას...
რისთვის გამზარდა დედა,
რისთვის მეტყოდა ნანას?!

ლექსში „ერთი გავარდნილი კაცი“ წარსულში უსამართ-
ლობით სულშეხუთული ადამიანის მწვავე განცდის გამომხატ-
ველი სტრიქონები:

მე ხომ ხეებს ვეფარები
ერთი გავარდნილი კაცი²

გეაგონებს სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შესახებ
შექმნილ მესტვირული ლექსის სტრიქონებს:

ერთი გავარდნილი კაცი
ტყეში ეფარება ხესა.

შემთხვევითი არ არის, რომ მეამბოხე გმირის შესახებ ნათქვა-
მი სიტყვებით გამოხატა პოეტმა პროტესტი უსამართლობის
წინააღმდეგ.

წითელი არმიისადმი მიძღვნილ პატრიოტულ ლექსში
„ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა ძლიერებით“ კაპიტალის-
ტური ქვეყნების არმიები დახასიათებულია გამოცანის
ფორმით:

ქვეყნად ბევრი არმიაა —
სულ სხვადასხვა ფერია;
ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი,
ზოგან ყორნის ფერია³.

¹ რჩელი, გვ. 289.

² იქვე, გვ. 463.

³ იქვე, გვ. 262.

ამ შემთხვევაში გამოყენებულია ხერხი ხალიჩაზე შექმნილი
გამოცანისა:

გამოცანას მოგახსენებთ,
ბერი არაფერია,
ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ,
ზოგან ალისფერია.

მთლიანად ხალხური ხერხითაა აგებული სტრიქონები
მინიატურისა „აი რა მზის სიზმარია“¹. ლექსის ყოველი სტრი-
ქონი დასაწყისიდან და ბოლოდან ერთგვარად იკიახება, ისე-
ვე როგორც მაგალითად ხალხური: „ატამი ითესა, ასეთი
იმატა“.

* *

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები სასიძღვროდ აიტაცა ხალ-
ხმა. ამის მიზეზი ლექსების ღრმა ემოციურობასთან ერთად
რითმთა სინარნარე და მომხიბვლელი მუსიკალობაა. ხალხ-
ში გავრცელებული სატრფიალო სიმღერა:

მიყვარს ეთერი,
სულ ვმღერი, ვმღერი,
ჩემთვის ერთია
სულ ყველაფერი

არის ლექსიდან „სხვა... ყველაფერი...“ ოდნავ შეცვლილი
სტროფი:

მნიბლავს ეთერი
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა ყველაფერი
ერთია ჩემთვის².

¹ რჩეული, გვ. 168.

² იქვე, გვ. 420.

ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში
საქმობლოს სიყვარულის ფაქიზი და სათუთი გრძნობის იშვი-
ათი ოსტატობით გამომხატველი სიმღერა:

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო¹.

ასე მრავალფეროვანია ჩვენი უნიჭიერესი პოეტის დამოკი-
დებულება ხალხურ შემოქმედებასთან, რომელსაც იგი სავსე-
ბით დაეუფლა და ბრწყინვალედ გამოიყენა რეალისტური ხე-
ლოვნების ფართო გზაზე გამოსასვლელად.



¹ რჩეული, გვ. 185.

სარჩივი

	გვ.
წინასიტყვაობა	3
ილია ჭავჭავაძე	8
აკაკი წერეთელი	65
რაფიელ ერისთავი	100
ალექსანდრე ყაზბეგი	133
ვაჟა-ფშაველა	186
ეგნატე ნინოშვილი	228
გალაკტიონ ტაბიძე	257

რედაქტორი პლ. ბეზია
მხატვარი შ. ნიორაძე
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექნიკური რედაქტორი ან. ლვინიაშვილი
კორექტორი თ. მაჩაბელი

გადაეცა წარმოებას 5/V-55 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 20/IX-56 წ. უე 07308. ანაწყოების
ზომა 5,5×9. ქალაქის ზომა 84×108. ნაბეჭდი
თაბახი 17,5. ტირაჟი 5.000. შუკვ. № 278.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლოგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომპინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджаншвили, 5,

Ксения Алексеевна Сихарулидзе
Грузинские писатели
и
народное творчество
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1958